

5/2

ISSN 0182-599 X  
საქართველოს  
ზოგადი განათლების

# გენეტიკა



8

---

1985



# გნათობა

საქართველოს  
მწერთა კავშირი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთაო და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუბრული

ფილიალი 61-0

№ 8

აგვისტო, 1983 წ.

საქართველოს საბოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

გივი ძეგლაძე — ლექსები	3
ნაირა ველაშვილი — დედის ოთახი. რომანი. გაგრძელება	7
იონაძე მამაკაძე — ემოციები. ლექსი	51
ირინე ტალიაშვილი — მვას სიკვდილი. მოთხრობა	58
გორდონა ჯაფარიანი — ლექსები	63
ვარკაძე კლდიაშვილი — ლექსები	65
ჯუღაძე საგადაშვილი — ლექსები	69
თედგოზ გოგოლაძე — სატირულ-სახალისო ფაბლა. დოკუმენტური მოთხრობა.	70

### XVII ყრილობის შესახებ

ლალო მკაღალაშვილი — შირაქის ველზე მივდივარ. ნარკვევი	113
--	-----

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მეზარ კვიციანიშვილი — კობის ახალი ცხოვრება	133
მარინა ნოვიკოვა — გვირი და აბტორი, თარგმანა ა. ანაწიქეშ	137

### მეხსენება

ქეთევან ლომთათიძე — კვლავ ლაშარის ჯვარის შესახებ	142
ჯეგაძე სტეფანო — რუსულად — თამარის და	148

### მოგონებები, ფაქტები

სერგი ლაჩიშვილი — დაბრუნებული დღეები	154
--------------------------------------	-----

(ბ. მეტეე ვერდი).

შინაარსი (გაგრძელება)



წიგნების მიმოხილვა

ვალიან დთონიშვილი — ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევის შედეგები	166
ანდრო ზირინაშვილი — თავბანურიკის ტოლფასი ღვაწლი და მისი შედეგი	169

გამოსათხოვარი

დავით ასიბაძე — სავაჭრო მანქანების	174
------------------------------------	-----



შთაფარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

ს ა რ ე დ ა კ ტ ი რ ე კ ო ლ ე ბ ი ა :

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ზურაბიანიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე,  
მ. ლასურია, მ. ლეზანიძე, ე. მალრაძე, ლ. შრამიაშვილი, გ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულუიშვილი, ი. შილაძე,  
ბ. ხარბაშვილი (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

### ფიგნიდან „მბრძნობიარე ფიქრები“

დღეს მე ვზეიმობ  
 დაბადების ორმოცდაჩვიდმეტსი..  
 რა, — თქვენ გგონიათ,  
 ეს არ არის დიდი თარიღი?  
 (დიდი თარიღი, რა თქმა უნდა, —  
 ჩემი მასშტაბით!...)  
 რა, — თქვენ გგონიათ,  
 ეს არ არის  
 მრგვალი თარიღი?  
 წამში რამდენი  
 23 აგვისტო გასხლტა!...  
 რამდენ სიხარულს,

რამდენ წუხილს მოელო ბოლო!...  
 შუე კი ანათებს  
 დარბაზებშიც და ჭურღმულეებშიც...  
 მთვარეს კი ახლა  
 დედაჩემის საფლავზე სძინავს...  
 სიტყვა „ვზეიმობ“, —  
 ზემოთ რომ ვთქვი, —  
 ნუ შეგაშინებთ:  
 მეც მაქვს პატარა ჩემი ცხოვრება —  
 საზეიმოც და საწუხარიც  
 მაქვს საყუთარი!...  
 „...მარტოობა ჩემი მეგობარია,  
 მაგრამ მაინც მარტო ვარ!...“

17.942

თუ ვინმე სადმე რითიმე  
 დაღონებულა ისე,  
 როგორც მე დავღონდი  
 ერთხელ,  
 როცა თვალი შევასწარი  
 დედაჩემის სევდიან სახეს, —  
 მაშინ... ადამიანი  
 ათასჯერ უფრო უბედურია,  
 უღრე გვგონია!...

თუ ვინმეს რამე ოდესმე  
 გახარებია ისე,  
 როგორც მე გამიხარდა  
 ერთხელ  
 ჩვენი წისქვილის სათავეში,  
 მეზობლის გოგოს დანახვა, —  
 მაშინ... ადამიანი  
 ათასჯერ უფრო ბედნიერია,  
 ვიდრე გვგონია!...

საქ. სსრკ. კ. სსრ. სსრ. რ.

## შუალაშის ლექსი



გავსებული მაქვს წიგნებით სახლი,  
ძველით და ახლით... ძველით და  
ახლით...

ბანი და კინი. ზილი და მზახრი, —  
გავსებული მაქვს წიგნებით სახლი!...

...მარტოობის ეამს, — მწუხარს და  
დაღლილს, —  
მეომედება ამდენი ხალხი!..

მესმის ცივი ხმა:  
— მოვდივარ, დამხვდი! —

— არ გადამაჭრა  
ყურებზე ხახვი!...

რამდენიც გინდა  
იძახე:

— დამხვდი! —  
აგერ მყავს ძმები —  
წიგნების ხალხი!..

...ახლით და ძველით, ძველით და  
ახლით —  
ავსებული მაქვს წიგნებით სახლი!

## არარაობა

ღღე ღღეს ჰგავს და  
ლაშე — ლაშეს,  
ხე ხეს ჰგავს და  
რამე — რამეს,  
ცხენი ცხენს ჰგავს,  
კაცი — კაცს,  
ცელი ცელს ჰგავს,  
ქაცივი — ქაცვს.  
აზრი აზრს ჰგავს,  
ვაზი — ვაზს,

მკაცრი — მკაცრს და  
ნაზი — ნაზს.  
გული გულს ჰგავს,  
თვალი — თვალს,  
სული სულს ჰგავს,  
ქალი — ქალს.  
ქალაქები — ქალაქებს,  
ქარაფები — ქარაფებს,  
ქალაქები — ქალაქებს,  
სიკვდილი კი — არაფერს!..

## თურმე...

ადამიანს ყველაფერი მოსწყინდება, —  
სიხარულიც.  
მწუხარებაც.  
ყველაფერი.. ყველაფერი...  
მწუხარებაც.  
სიხარულიც.

სიყვარულიც!..  
სიყვარულიც!..  
ამოღებულ გემდ ჩაფიქრდება.

სიკვდილიც ჩაფიქრდება.  
მერე ისევ დამწუხრდება.  
დამწუხრებაც მოსწყინდება.  
მოსწყინდება.  
მოსწყინდება და..

მდაა!...

ცხოვრება კი — თავისი გზით მიდის!..

ჩემო წერი



ჩვეულებრივად თქმული,  
თავისთავადი ლექსი, —  
ვისაც ესმოდა, წერი,  
ვატყობ — არც იმას ესმის!..

განსხვავებაა დიდი  
ჩემში, მასში და შენში:  
ზოგს მთხლე ჰგონია ღვინო,  
მთვარე ჰგონია — ნესვი!..

ზოგს დღე ჰგონია ღამე,  
ზოგს კიდეც — უარესი!..  
სულისთქმასავით თქმული —  
გლახა დღეშია ლექსი!..  
გესმის?!..

\* \* \*

„ღვითი!“ —  
ვიტყვით ჩვენ და...  
თითქოს რაღაცას  
გვითმობს ვიღაცა  
(თუ გვეპატიია!..);  
ჩადენილ ცოდვებს, —  
ძველსაც,  
ახლსაც —  
ადამიანის ხელი ატყვია!..

ჩვენ — ჩვენი გვწამდეს, —  
ვისაც რა უნდა, —  
დემონშიც კეთილს ბოროტი ებრძვის...  
სულმოკლეობას თვალი დაუდგა,  
თორემ... რად გავხდით სიხარბის კერძი!..  
მე მოვესწრები ბოლო რაუნდსაც:  
გამარჯვებულად ვიხილავ შერმისს!..  
ბოლოს ინანებს, დღეს ვინც „რაინდობს“,  
მთლად უზრუნველად ახლა ვინც მღერის!..



საქართველოს  
წიგნების კავშირი

არა იმიტომ, რომ ცხოვრებას ვერ გავუძელი,  
არამედ ისე, როგორც წესი, გარდავიცვალო, —  
მომენატრება, ალბათ, ლელვი, მსხალი, ყურძენი,  
იქ დედა მეტყვის:

„შვილო ჩემო, ძლივსა გიყანო!“

იქ ყველას თურმე ამღვრეული თვალი ჰქონია,  
იქ ყველა თურმე ელის მორიგ გარდაცვალებას...  
ვთქვათ, დედამ მკითხოს:

„შვილო, ზემოთ როგორ ჰკონიათ,  
სინამდვილე არ ჰგაგს ზმანებას?!“, —  
მე ვუბასუხებ:

„— არა, არა! — იქ ასე არ სწამთ,  
იქ სამოთხეზე სასაცილო ზღაპრებს ჰყვებიან...  
დედი, ჩრდილისკენ გადავიდეთ, ძალიან დაცხა,  
თმები, დედილო, თმები როგორ გაგთეთრებია!..  
ამ მყუდროებას ეს სიმუქე როგორ უზღდება;  
ვაი, საცაა სული, სული შემიწუხდება!...“

ხდება: სიზმრული გააზრება — უცბად ლექსია, —  
სიზმარი ზოგჯერ ცხადეულზე უცბადესია!..

## მოდინხარ?

მე ვგავარ წარსულს,  
ჩემებურად დანახულ წარსულს, —  
მსგავსება არ მსურს,  
არავისთან მსგავსება არ მსურს.  
მომავალთან? — ჰო,  
მომავალთან მსგავსება მინდა, —  
ბედნიერება არ ჩამოდის თავისით ციდან,  
მომავლისაკენ  
ბეწვის ხილით  
წავიდეთ, ძამო,  
კი არ წამომცდა, —  
ბე-წვის ხი-ლით!..  
მოდინხარ? — წამო!

## ღედის ოთახი\*

რომანი

პირველად რომ მივიდა, ერთ ხანს იდგა ხია, მუქყავისფერი კარის წინ და ზარის დარეკვას ვერ ახერხებდა. სახელურს დასჩერებოდა, კარს უყურებდა, გული უცემდა. აი, გაიღება და უნდა შევიდეს სხვათა ცხოვრებით გაყვანილი კედლებში, იმ ჰერქვეშ, სადაც მიაღიზიანდა და გაიზარდა, სხვათა მწუხარებით, სიტყვებითა და სიხარულის მკრთალი წამებით აღვსილი ოთახები უცდიდნენ: თავიანთი სატკივრითა და საიდუმლოებით და ეს ყველაფერი მასაც უნდა შეეწოვა, გაყვანილიყო, რადგან მიაღიზიანდა და ამ მაღალ კარს მიღმა. შესჩერებოდა კარს უცნაური სევდით აღვსილი და... რაღაც უსიამოვნო შფოთმა გამსჭვალა, შეუმჩნევლად, რაღაც უსახელომ ააფორიაქა რაღაც დასძლია თავის თავში, რაღაც ზღურბლს ძალიან გადააბიჯა და გულამოვარდნილმა ზარი დარეკა.

ღედამისმა გაულო კარი. ნერვული, გადაღლილი სახე გაუნათდა, შიგნით შეუძვრა.

სავარძელში ზის მია, სავარძლის თათზე შავი ყავარჩენი მიუყუდებია და ირგვლივ რომ ოთხი ხნიერი კაცი

უზის, ოთხივეს მუხლზე ან სავარძელზე ყავარჩენია მისკენებული. ერთი მამაა.

— შათე მოვიდა! — ყვირის მამას ძმა და ოთახიდან მიჰქრის, გულში ჩაუბლუჯავს კნუტი თუ ლეკვი.

უცნობ კაცებს მუქი სათვალეები უკეთიათ, მამას — არა, მისკენ აბრუნებენ თავს, საღამოზე პასუხობენ.

— მოდი, დაჩქეი, — სახეში შეპყურებს მამა, თვალებით კოცნის.

ერთი, მელოტი და მსუქანი, ხელს უსვამს მამას ყავარჩენს, ხელშიც სწავლობს. მეორე, პიუამოში გამოწყობილი ეკითხება, მუხლიც შეხვეული აქვს თუ მხოლოდ წვივი. მესამის ხელი ნელა პოულობს მამას კეფას და ეფერება, ფრთხილად, მსუბუქად.

— ადვილად მოაგენი ჩვენს სახლს? — ეკითხება მამა.

— ადვილად მოვაგენი. მის პასუხზე სიჩუმე ჩამოწვა. ისინი

— სმენით აღმქმელნი ქვეყნიერებისა, შეერთებულნი სიციოცხლესთან ყურის ნიჟარის თბილი, მორთოლვარე ლაბირინთით, — დაიძაბნენ, ხმა შეიწოვეს. მის მოუსმენელ ვიბრაციას გაეტრუნნენ, გაატარეს საკუთარ კანსა და სისხლძარღვებში, აწონ-დაწონეს, გაფაციცებულ-გაფაქიზებული გუმანით შე-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ა. წ. „მნათობი“ № 7.



აფასეს ხმის პატრონი და ერთ-ერთმა მათგანმა, უკვე ორმოცი წელი ხმათა თაღისფერი ქვეყნის ბინადარმა, მაიას მამამ, თავი მისკენ მოატრიალა და მკაფიოდ თქვა:

— უსინათლოთა სახლი მხოლოდ ერთია მთელს ამ უბანში — და ხელი ვერცხლის სამაჭურისაკენ წაიღო, პატარა მაგიდაზე რომ კრიალებდა. აიღო და გაუვარდა...

უკვე ხნის შემდეგ წამოდგნენ და ყავარჩნების მსუბუქი კაკუნით დატოვეს ოთახი: მაიას მამამ და მეზობლებმა.

— როგორა ხარ? — მოუთმენლად ეკითხება, — როგორა ხარ? ჰა, როგორ?

— შენ როგორა ხარ, მითხარი, როგორა ხარ, გტყვიან ფეხი, ზომ არა გტყვიან? აი, ეს დედაჩემმა გამოგიგზავნა.

ნელა შლის მაია ბატისტის ცხვირსახოცს...

— რა საოცარია... ასე სასწაულად ქარგავს ეს ქალი?

— ჩვენთან რომ მოხვალ, ნახავ. — შებორკილია მაიას სახლში.

— ცხვირსახოცმა რომ შეძლება იცი?

— ვინ შეგძულდება, მე თუ დედა ჩემი? როგორ უნდა მოხდეს წესით?

— შენ რა გირჩევენია?

— ეე, ძნელია, მაგრამ თუ გარდაუვალია, მაინც სჯობს, მე არ შეგძულდე.

— ეგოისტი, — იცინის. უტბად ჩუმდება და ნაღველი ეფინება ფერმკრთალ სახეზე.

— რა ნაქარგია, შეხედე. დედაშენის შემდეგ როგორ უნდა მოგეწონოს სხვა ქალი?

— ოო, დედაჩემსაც აქვს თავისი შიშივე თვისებები, რაც ძალიან მინდა. მე რომ ქალი მიყვარს, იმას არ ჰქონდეს...

— მართლა? ვერ წარმომიდგენია.

— ამბობს. უბრალოდ. ისევ ეცვლება ხმა. — შენ რომ არ ყოფილიყავი, ვერ გავუძლებდი. იმ საშინელებას, ვერ

გავუძლებდი, — გააჩრდილა, ცრემლითა გამოყოფა.

უხმოდ მოსწმინდა ცრემლი. შეხვეულ მუხლზე დაუსვა ხელი.

— ჩუუ. ყველაფერი წავიდა, უკან დარჩა. და... მე რომ არ ყოფილიყავი... არც დაგემართებოდა... ჩემი ბრალია...

— გავიდი? რას ამბობ? ჩუუ... — ტუჩები მოკუმბა. შეიკრა ტუჩების ზომიერ, დასრულებული მონახაზი, რომელიც მან ჯერ მხოლოდ თვალებით იცის.

— ჩუუ! — ჩურჩულებენ ლამეში, ხეების ძირას. გავიდა დრო. უკვლოდ შებორცდა: ძვლიც და ხორციც. გარეთ არიან ისევ, ერთად. მესამედ შეხვდნენ უკვე ერთმანეთს. ამჯერად — არაშემთხვევით.

— არ დააგვიანო.

— არა. არა. ნერვიულობ ზოლმე?

— ზო იცი. მოდი, — გულში იკრავს, — გაიგე? არ დაიგვიანო, — სამაჭურზე ჰკიდებს ხელს.

— არა. არ დაიგვიანებ. წავიდეთ ლისის ტბაზე?

— როგორც შენ გინდა. სადაც გინდა, იქ წავიდეთ.

— მეშინია.

— გაჩუმდი. ჩუ.

— მეშინია.

— არა-მეთქი, ნუ გეშინია. ნუ.

— რატომ არ მეკითხები, რისი?

— რისი?

— აღარ გეტყვი. ძალიან გინდა დიდხანს სიცოცხლე?

— ძალიან. შენ?

— მეც, მაგრამ...

— ჩუუ. ხომ იგრძენი? ხომ გრძნობ?

— ვიგრძენი: შენთან უნდა ვიყო.

შენც მხოლოდ ჩემთან.

— ვიცი, როცა იგრძენი. მეც მაშინ.

— ვიცი, რომ იცი, და მეშინია. როგორც კი მოგწორდება, ასე მგონია.

— ჩუ, ჩუ, — ხელს ტუჩებზე აფარებს, — ხვალ. ისევ იქ. არ დააგვიანო. წადი. გიყურებ.

მიღის

ჩურჩულებდნენ: ახლად გაჩენილი ფოთლების შრიალზე უფრო ხმადაბლა. გაზაფხული იდგა: ახალშობილი, ღიამწვანე, ნედლი ფოთლებით ათრთოლებული. ზამთრის ძაბუნი ჰაერის პირველ გამგმირავს — ფოთოლთა მწვანეს — სულ მალე მოჰყვებოდა ყვავილთა ნაირფერობა. ახლა კი ახალი გაზაფხულის პირველი ფურცლები გადაშლილიყო, — სალათისფერი, — ყვავილთა მკვეთრ ფერადოვნებამდე.

ამოიოხრა. კედელთან მივიდა. ლურჯ ზავერზე დაკრული თეთრი იასამნის გამხმარი კუნწულა. — როგორ ამბობს ასე ლამაზად — რომელ გაზაფხულზე გაახმო? რაღა მაინცდამაინც ეს ტოტი? აჩუქე? ვისი გულისათვის გადაარჩინა გაქრობა? ნუთუ ესეც...

— შეხედეთ, როგორია? — დედა აბაზანიდან გამოდის. წელზემოთ არ ჩანს: მაღალ ჩინურ ლარნაკში გადაპენტილი თეთრი იასამნის თაიგული ფარავს... ლარნაკს წყლის წვეთები ჩამოადის, იასამანზეც წყლის წვეთები კრიალებს.

— მოიცა, მოგებმარები! — თვითონ.

— ბარემ დავდგამ, — მაგიდაზე შემოდგა, შუაგულისაყენ გააცურა, ტილოთი ამშრალებს ლარნაკს, მერე მაგიდას... — ჯერ აქ იყოს, ვიდრე ვისადიდლებთ, მერე სასტუმრო ოთახში გავიტანო...

— დე, შენ თეთრი უფრო გიყვარს, არა? — დანა-ჩანგალს არიგებს ენლი.

— ჰო, თეთრი უფრო, შენა?

— მე? რა ვიცი, ორივე. დასხედით! რაღას უცდით? — თეთრი ხელსაწმენდები მაღალ ჭიქაში ააწოწოლა, ენდომ.

— მე მარტო ვინეგრეტს შევკვამ — გიორგი პირსაწმენდით დადის აქეთ-იქით. — ძალიან მეჩქარება, — ფათაფუთით იმშრალებს სახეს.

— მაწვნის შექვამანდი? როგორ, უარს იტყვი?

— მაწვნის შექვამანდი? რას ამბობ? მკვდარიც რომ ვიყო! გესმით, მკვდარიც — გამაცოცხლებს! კუბოში რომ ვიწ-

ვე, ერთი მათლაფით თავთან დამოდგით! ოდნავ რომ ასდის ობზევარტი, კამისა და ქინძის ფოთლები რომ დაკრუნვევენ... ოჰ, დედი! ერთ კოცნს პირში თუ ჩამასხამთ, ხომ მთლად დამავალებთ!

— ფუუ, რეებს ამბობს! — ენდომ ქვაბი ქურიდან მაგიდაზე გადმოდგა...

— სად მიდინხარ? — დედა ჯდება, გიორგის უყურებს.

— ალიკასთან, — ჩქარ-ჩქარა ილუყმება, — ორი დღეა ვარჯიშზე არ მოსულა, დედამისი ხო ავადაა, უნდა გავივო, რაშია საქმე!

— ისევე სვამს? — თვითონ.

— რა ვიცი.

— როგორ არ იცი, ყოველდღე არ ხედებით ვარჯიშზე?

— ვარჯიშზე მთერალი არ მოდის და ისე, რა ვიცი...

— დედამისი საავადმყოფოშია თუ შინ?

— შინ არის უკვე.

— ვინ უვლის?

— ალიკა.

— მთელი დღე ალიკა უვლის?

— ეგრე გამოდის. თუ შინ არის, თუ არ სვამს...

— აჰა! გათქმევიინე? აჲ, არ ვიცი, სვამს თუ არაო? შენცა ხარ, რა! მე რას მიმალავ!

— რას გიმალავ.

— რას ეჩხუბება იმ საცოდავ ქალს?

— რა ვიცი... საცოდავია, მაგრამ შენ რომ იმასთან ცხოვრობდე, შეიძლება ვერც შენიკავო თავი... ძალიან გამაფიქრებელი ლაპარაკი იცის... თორემ ალიკაზე მეტად არც შენ გეცოდება და არც მე... ერთხელ მე და ალიკა საქმელს ვკამდით და იმის ლაპარაკზე რაე მოვიშალე, კუპატის მაგივრად საკუთარ ცერში ჩავიკრე ჩანგალი...

— მოკბიჩე კიდევ? — ჩაბყირდა ენლი.

— კარგი ერთი! რა უნდა გავალიზი-აქოს იმ საცოდავმა ქალმა?

— ვა! შენც ამბობ, რა! შენ რა ძლიერი და დიდებული გალიზიანებს მარტო? სიმართლე თუ გინდა, ალიკას მაგისგა-

ნა აქვს ნერვები დაწყვეტილი: რომ თან ეცოდება და თან აცოფებს თავისი ლაპარაკით... მაგან რომ სმამ დაიწყო, დედამისის დიდი წვლილიც ურევია ამ საქმეში. თუმცა დედამისის ეს რო უთხრა, გულჭვაობაში ჩაგეთვლება და მეტი არაფერი... „მაგაზე ნერვიულობამ გამიჩინა კიბოო“, — სულ ეგრე ამბობს, ალიცა კიდე ამ აზე გიყდება: თავისი კიბო კოზირივით უჭირავს ხელში, ჩემს გასანადგურებლადო...

— გიყდება არა ის! რომ უნდა აცოცხლოს დედამისი მაგისი შემხედვარე, თან რა დედა! წელეებზე ფეხს იდგამდა, რომ ეგ ერჩინა, ზედ აღარ შეეხედება, ისეა მოტეხილი... ალიცას ბებია გეგონება.

— შენ იმ კაცისა არ გაგივია — წყალი დაისხა, გიორგიმ, — ერთმა ორმოდან რომ ამოიყვანა და იმდენი უძახა ხო კარგი ვქენი, რო დაგეხმარეო; რომ წაიღო და ისევე ორმოში ჩაჯდა!

— მოიცა. ერთი! — პური მოიწოდა, — ქალს ერთი დღე თავისთვის არ უცხვრია.

— დედამისის წელეებზე ფეხი რომ არ დაედგა და თავისი ცხოვრებაც ჰქონოდა, მაშინ არ უნდა ყოფილიყო მადლიერი? მაშინ უარესი დედა იქნებოდა? — დედამ ხელისგული შეუშვირა ისამინის ყვავილიდან ჩამოსაწყვეტად გამზადებულ წვეთს.

ენდი ჰამას წყვეტს და დედას მისჩერებია. მერე მას.

გიორგი ფათაფუთით იწმენდს ხელებს და ასადგომად ემზადება.

— ყოველ შემთხვევაში, — წამოიწყოს სიჩუმის შემდეგ, — ყველა ერთნაირად არ იხარჯება შვილებისათვის.

— ეგებ ქალს არ სჭირდება წელეებზე ფეხის დადგმა, დავუშვათ, შეძლებულია... შეუძლია შინამოსამსახურე ჰყავდეს, რა ქნას ასეთმა დედამ? — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, პეშვი ასწია, ყვავილს მიუახლოვა.

— თავისი შვილების ცხოვრებით უნდა იცხოვროს.

— ყველას თავისი ცხოვრება უნდა ჰქონდეს. თავისი სამყარო და კარგი ის იქნებოდა. მისივე მსუბუქობა სხვისი ცხოვრების გაგება. და დადგება დრო, როცა გაგება გახდება მთავარი და არა პრაქტიკული ზრუნვა და დახმარება... იცი, რა? ადამიანი ხომ იშვიათად მოქმედებს უანგაროდ. ხშირად ზრუნვასა და სიყვარულში ისეთი ძალადობაა გახვეული, ვერც წარმოიდგენენ... და ეს ძალადობა ყველაფერზე საშინელია... ვინც გარჩენს და გემსახურება. თავისუფლებას გართმევს ხშირად, სურს რომ წაგართვას, შეუფენებლად ებრძვის შენს პიროვნებას, და იცი, ერთხელაც, მწარედ გამიკვირდება, რომ ის, ვინც გზრდიდა, გაქმევდა, გბანდა, გვილიდა. გაცემვდა, ვერასდროს ხვდება, რა დარდი გქამს, რა სატყვიარო, ან ფანჯარასთან რომ იდგე, რატომ ტირილი, და საერთოდ...—თავი მიამბრუნა, შეხედა, — მითხარი, სწორეა, ადამიანს თავისი ოჯახის, თავისი შვილების მეტი სხვა საქმე რომ არაფერი აქვს? სხვა რომ არაფერი აღარდებს და ეკითხება ამ ქვეყანაზე? სხვას რომ არაფერს არ წარმოადგენს? ავადმყოფობაა, მე თუ მკითხავ.

— სხვას რას უნდა წარმოადგენდეს ქალი! რა საჭიროა! დედა რომ არის, არაა საკმარისი?

— არა. ხომ არ გავიწყდება, რომ იყო დრო, როცა შვილზე დიდი ღირებულებაც არსებობდა...

— რა, მაგალითად?

— რა? — სევდიანად ჩაეცინა. — ეგებ გაგახსენდეს, თუ მართლა არ გახსოვს, — გაჩუმდა. თვალები გაუშტერდა. წყლის წვეთი ჩამოწყდა ყვავილიდან და პეშვიში ჩაეცა, მეორე მოემზადა ჩამოსავარდნად.

— წავედი! — ხმაურით დგება გიორგი, — შენ, მათე! არ დაგავიწყდეს მერაბი გელოდება ამ საღამოს!

— ყოველ შემთხვევაში, — ჩაიციინა განგებ მწარედ, — პატარაობისას ხშირად მინდოდა, რომ შენ დაგვიძინებინე.

— პატარაობისას მე გაძინებდი, და

შენ — ყველაზე დიდხანს მე არ ვიცი, შენ რას ეძახი პატარაობას. მარტოობას ვერაფერ ასცდებდა და სჯობს, კაცი მოზადებული შეხვდეს. — წყნარად ამბობს.

— შენ შენთვის ხარ! ამაზე უკეთ ვერ ვიტყვი, — შენთვისა ხარ, ჩვენ ჩვენთვის!

მეორე წვეთიც ჩამოწყდა და პეშვის ნაოჭებში გაიღვარა.

— აბა, როგორ უნდა ვიყოთ, გამაგებინე. ისე ავითქვიფოთ ერთმანეთში, რომ ჩვენთვის ყოფნა ვეღარ შევიძლოთ? მე არც მინდა, რომ ამაგის გული-სთვის გიყვარდეთ... რომ ვალდებულნი იყოთ, გიყვარდეთ, და ხელისგულზე მომწვარი ერბო-კვერცხი გახსენოთ წარამარა. მე... მეჭავრება ის ერბო-კვერცხი!

— შენ... შენ არ იტანებები ჩვენს გამო, არ წვალბობ... შენ შენთვისა ხარ, საკუთარი თავის გარშემო, — აღარ უნდა უკან დახევია.

ჩაიციანა უცნაურად. მერე ჩუმად და მშვიდად თქვა:

— მე თქვენ თავისუფლები გაგზარდეთ.

მესამე წვეთიც ჩამოწყდა. დაეშატა პეშვის სისველეს.

— შენ... გვორგუნავდი.

— არა. ეგ შენი ბუნებაა. მე თავისუფლები გაგზარდეთ, შენ გულგრილობა დაარქვი. ახლა, თუ გინდათ — გიყვარდეთ, თუ გინდათ არა. ეგ თქვენი საქმეა. მე არაფერს ვითხოვ!

— კარგი და... მითხარი, სად წავიღოთ ეგ თავისუფლება! სად მოვიხმაროთ. ააქ?!

კარი ისე მიენარცხა, სახლი შეირყა: გიორგი გავიდა, მოშხამული.

დგდა კრთება. დგება. ხელსაწმენდს მაგიდაზე დებს.

„არ დაუგდია. დადო. ნერვები არ დალატობს“.

ონკანს ხსნის, ჭიქას უშვერს, თვალგაშტერებული, წყალი ჭიქიდან გადმოღის. სვამს. ნახევარს ტოვებს. დგამს და გაღის.

ენდი უხმოდ აყოლებს ეკლესიას. — შენ რაღას ელაპარაკებოდი გლეხებს? ას გუშინ საღამოს? — ახლა დას ეცა, მოშლილი, გალიზიანებული.

— რას ჩააცივდი ამ ალიყას! — პეშვში მწარედ მომწყვდებული ხელსახოცი პირდაპირ ნაკვამ თეთვში ისროლა და წამოხტა ენდი. სამზარეულოს კარში შეჩერდა, შემოტრიალდა, თითი საფეთქელზე მიიჭირა და მალლა აიჭინა:

— აზრები გაფუხებებს არა? აზრები!

„ლეწი ახლა ამ ლაწირაქს!“ — გაფიქრა მთლად მოშხამულმა,

დაკმუტუნული ქაღალდის ხელსახოცი იასამნის თაიგულს სთხლიშა და წვეთები გააყრევინა.

„სულ ალიკა ადარდებს სწორედ!“

თითი დაუსვა სურათის მინას. კვალი დარჩა: თითის სიგანე. „მტვერი დასდებია. ნეტავი რისთვის არის აქ? ამ კედელზე? აქ ხომ შემთხვევით არაფერია. მოჩვენებითი შემთხვევითობით საესე ოთახი. როგორც — მოთხრობა, როგორც ცხოვრება. ნუთუ ეს სურათი — ჩარჩოში ჩასმული, ხავერდზე მიკრული იასამნის თეთრი ყუნწულა — ოთახის პატრონსაც იგივეს აგონებს, რასაც მას: შემოსულს, უცაბედად შემოხეტებულს? (უცაბედად, ესე იგი შემთხვევით? არა) თუ სულ სხვა წუთის, სხვა დღის, სხვა ამბის მოსაგონებლად გადაარჩინეს, გამორჩეული იასამანი, და სურათად გადააქციეს?“

ისევე კარადას დაუბრუნდა. მწვანეთვლიანი ვერცხლის ბეჭედი ჰკიდია თეთრი ჭიქიდან ამოზიდული ერთი გოჯა ეკლიან ტოტზე. თითით შეებო. მუქ ეკალზე დაირწა ბეჭედი... „ხშირად იკეთებდა ხოლმე ამ ბეჭედს... ნუთუ ის ბეჭედი, მაშინ წყალში რომ ჩაიძირა? მოიცა, მოიცა, ბეჭედი იყო თუ ვერცხლის ჭაჭვი? არაა, ბეჭედი, რა თქმა უნდა — ბეჭედი...“

განიერი, ბალახისფერი პირსაწმენდი ჰქონდათ ძირს გაფენილი. შიშველი სხეულებით გაჭედილი ჰერი, შიშველი

სხეულებით მოფენილი ვარვარა ქვიშა. თვითონ კი წყალში იდგნენ...

— მისმინე, ენლი, ტანი სწორად დაიკირე, მუხლებში ნუ ლუნავ ფეხებს, ხელები გაშალე, აი, ასე, წელში არ მოიხარო და არ ჩაიძირები, არ გესმის, რას გეუბნები? იწყე, თითქოს მიწაზე წევხარ, ბალახზე, არხეინად, დამიჯერე, მიენდე წყალს და არ ჩაიძირები! წყალი დაგიპერს. ნუ გეშინია, გასწორდი, არ გამოგაცლი ხელებს...

ენლის სველი, ტიტველი მუცელი წყლიდან ამოზიდულა, კეფას წყალს არ ანდობს, მაღლა სწევს თავს, სველ თვალებს მზებზე კუტავს. — თავი დააყრდენი, ყურებამდე წყალში ჩაძირე და ტანში გასწორდი, ნუ გეშინია, არ გაცლი ხელებს.

წყალი მკერდს უფარავს დედას.

ენლიმ ტანი გაასწორა და კეფა წყალში ჩაძირა.

— წელში გასწორდი! აი, რა კარგია ხედავ; წყალი როგორ ვიპერს, არ იძირები! გიორგი, ტივტივას არ გასცდე! მათე, მომეხმარე, ენლის ვასწავლოო წყალზე წოლა...

— არ მინდა მაგისი სწავლა, წავიდეს! — დედას ეკიდება კისერზე. დედიმ ძლივს გამოაძრო მარცხენა ხელი, ენლიმ ტანზე რომ მიიპყლიტა, ზედ იყურება, ხელს ატრიალებს და იძახის:

— მათე! გიორგი!! ჩქარა! ბეჭედი ჩამივარდა! ჩქარა! ჩემთან ახლოს იქნება...

მაშინვე ჩაყვინთა... ხელებით დასაგსავეებს ფსკერზე. სადა აქვს ახლა წყლის სათვალე! დედის წვივები ოდნავ ირწყვიან. ტერფები ქებებზე. ნისლიანია წყალი და ბლანტი, თუ სიღრმეში გაახელ თვალებს, რადგან თვალის წყლები ყოველ ანკარა წყალზე უფრო ანკარაა, ალბათ. სახე უახლოვდება: უმცროსი ძმისა, თმა უკან წასვლია წყლის ბალახით, დედის წვივებს მოადგა მეორე მხრიდან. რალაც ანიშნა ხელით. ტერფების ირგვლივ დაბორიალებენ, ფსკერზე, წყლის წრეში. მეტი აღარ შეუძლი-

ათ. ზემოთ აცურდნენ. პაპრი ჩაისუნთქეს...

ადგილიდან არ გაიშრე; დედა, კე-  
ლარ ვიპოვიო! — ეუბნება, თვითონ, ჩა-  
ყვინთეს. მედეზა. ვაშლილი პარაშუტ-  
ივით ატივტივდა დედის მკერდთან.  
ქვემოდან ასცქერის. ენლი ფეხებს იქ-  
ნევს და მედეზა შორდება. რა ლამაზია  
შედედებული წყალ-ნისლის ყვავილი.  
წყალი ყველაფერს აუცნაურებს. ყვე-  
ლაფერს, რასაც კი სიღრმეში მოიქცე-  
ვს... და უცნაურია დედის წვივები,  
წყლისაგან დატალღული თუ დარბეუ-  
ლი. უცნობი, უსიამოვნო ფიქრით გაი-  
ვლინთა, თანდათან. ფიქრით კი არა, რა-  
ღაც შეგვრძნობით. ათასნაირი, რალაცნა-  
ირი, ჯანდაბური განცდა აეშალა და აღ-  
არ უყურებს დედის ნისლოვან-მოთეთ-  
რო წვივებს. ტერფებიდან მოშორებით  
ექებს მწვანე თვალს. დასავსავეებს. ხელს  
აიქნევდა და ბეჭედი აქეთ უფრო იქნე-  
ბა, სადმე. ამ დროს რალაც ხმა შემოგეს-  
ნა, რალაც ბუყბუყი, მიიხედა, წყლის  
ბუშტებია ძმის სახესთან, და თვალი მო-  
პკრა ამობურცულ, ბალახისფერ ქვას,  
ძმის ხელში, ხელში, რომელიც დედის  
ტერფებს შორის მოსცილდა ზღვის  
ფსკერს... აცურდნენ.

ნაპირზე გავიდნენ და დედა მალი-მალ  
იხედება ბეჭდიან ხელზე, გაბარებუ-  
ლი, გიორგის სველ კეფაზე უსვამს იმ  
სველ ხელს: «ყოჩად, გიო».

თვითონ რალაც კენჭის ასაღებად იხ-  
რება და «ნახე, ნახე! კარგია, არა?» —  
ახლოდან ჩაესმის წყალჩამდგარ ყურ-  
ში. აიხედა: ორი კაცი, ორი უცხო, უშ-  
ნო კაცი საბანაო ტრუსებში, სხედან:  
წვივებგაჩაჩხულები. ერთს მუხლებზე  
მუჭი დაუყრდნია, მუჭზე ნიკაბი. «ალბ-  
ათ ამანა სთქვა». ბარძაყებზე მოდებულ,  
წვრილად ზვეულ, წაბლისფერ ბალან-  
ზე წყლის წვეთები შერჩენია: «როგორც  
ნამი ხავსზე», უსწორმასწოროდ წაზრ-  
დილ-ჩაზრდილი, ჩაყვითლებულ-ჩაშმა-  
ვებული, სქელი ფრჩხილები მოუჩანს.  
«რა მახინჯია ფეხის თითები. ფეხის  
ფრჩხილები ყველას უშნო აქვს. უსიამ-  
ოვნო. ქალსაც და კაცსაც, ყველას —

უფროსებს, კაცებს — განსაკუთრებით“. მუხლი წაჰკრა მეორე კაცის მუხლს. მათ შერას გაჰყვა: დედაშის უყურებენ. ენდი რომ მიჰყავს ხელჩაკიდებული, განიერ, ბალახისფერ პირსაწმენდს უახლოვდებიან. „პრიმა!“ — ამბობს მეორე, ვინც გაახედეს. „კარგია!“ — და კიდევ რალაცას გადაულაპარაკებს ჩუმად იმას, ვინც გაახედა და იცინიან: და პირველი თავისი ფეხის ფრჩხილებს ფერ კბილებს აჩენს.

მიდის.

დედა იცინის. ენდის ამშრალებს. მერე ჯდება. თავს უკან აგდებს და მზეს უშვერს თვალბდახუჭულ სახეს. მერე ისევ ბეჭედს დახედავს, გიორგი ცალ ფეხზე ხტუნავს, ყურზე ხელაფარებული.

— წავიდეთ შინ!

— რატომ? ჯერ გავშრეთ და მერე წავიდეთ, — ამბობს დედა; თვალდახუჭული.

— წავიდეთ! აღარ მინდა მომწყინდა!

შინ, სასტუმროში; დაწოლის წინ:

— აღარ მინდა ზღვაზე! მომწყინდა წავიდეთ თბილისში!

— შენ წადი, თუ არ გინდა. მე ზღვაში მინდა. შუა ზღვაში უნდა გავცურო! თან ჩემი დამბოც უნდა წავიყვანო! — ენდი მუცელს უზელს ბეწვის სპილოს.

— რა დაგემართა? — უყურებს, დედა, — სულ იმას არ მეხვეწებით ხოლმე, ზღვაზე წავიდეთო?

— აღარ მინდა ვერ ვიტანი მეზიზღება! თავი მტკივდება!

— შეიხეივ და მოგირჩება! — ენდი მუცელს უხვევს „დამბოს“.

— მე ერთი ადგილი ვიცი, — წამოიწყო დედამ და ვაშლს დანა დაუსვა სადაც ჩვენს გარდა არავინ იქნება. არ გინდათ? წავიდეთ. ისეთი სიჩუმეა; დიდი ევკალიპტები ღვანან, — ვაშლის ნაფცქვენი ჩამოეკიდა, ხვეულ კიბესავით, — და შეიძლება ბატებმა ჩაისიერონ შიგა და შიგ. ენდისაც ვასწავლოთ ცურვა, თქვენ რომ იცით, ამასაც ხომ უნდა. ოღონდ ცოტა შორს არის აქედან.

ფეხით მოგვიწევს, ხოლმე სიარული.

და იქ მყუდრო ადგილას, მარტო არავინ ჰაჰანებდა ვიღაც მსხუცე კმრის გარდა, ერთნაირი შლაპები რომ ეხურათ და ისხდნენ მთელი დღე ჩუმად, სოკოებივით, მოხარულ სიმინდს ყიდულობდნენ ზოგჯერ ვიღაც შავი, კოკლი ბიჭისაგან, სავეც კალათით რომ ჩაიკონწილვებდა ხოლმე უკაცრიელ სანაპიროზე, ისხდნენ და დიდხანს, მარცვალ-მარცვალ შეექცეოდნენ თბილ-თბილ ტაროებს და ერთნაირად მოუჩანდათ ბარძაყებზე დაკვეთებული დამკნარი მუცლების განივი ნაკეცები. ენდი დაუმეგობრდა უცნობ მოხუცებს, რადგან მაშინვე მოინუსხა მათი მუცლების ამ ღირსშესანიშნაობით და ცნობისწადილ-ისაგან კინალამ გაგიჟდა, ვიდრე საშუალება არ გამოძებნა ახლოდან შეეხედა მათთვის. „ამხელა ნაოჭები ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს“, — განაცხადა მერე, და ეტყობოდა ამხანაგებისათვის მოსაყოლ ამბებს კიდევ ერთი მიუმატა — განსაკუთრებული უპირატესობის მიმნიჭებელი. მოხუცები კი მართლა შეუყვარდა.

ორი-სამი დღის შემდეგ დედამ ჰკითხა: „აღარ გტკივდება თავი?“

თოთხმეტი წლისა იქნებოდა მაშინ.

თითი გადაუსვა ამობურცულ მწვანე თვალს, რა თვალთანეტავ: ჭრიზოლიტი? მალაქიტი? ზურმუხტი? გაქვავებული მწვანე რძე. „იირიბირიუსი“ კი ყვირთელ რძესა ჰგავს. რომ გაქვავდეს, ლამაზი იქნება. მთვარისფერი. მთვარის რძე. მთვარის თვალი. დამდნარი მთვარე...

„ერთი თვეც გავიდა „ამბროზიას“ ათდღიანი კურსის შემდეგ. ცვლილება უკვე ამკარა იყო: ძალღები განერვიულდნენ, ცუდად ეძინათ, ყმუოდნენ და წკმუტუნებდნენ, თვალები გაუფართოვდათ... უცხოდ უგვიგოვებდათ... უკვე მოქმედებდა „ამბროზია“. ჩუმად, განუხრელად. ასე მიიყვანდა ბოლომდე საქმეს. ახლა კი შევიდოდა თუ არა ვინმე, ბალანს იშლიდნენ, უხალისოდ ჰამდნენ. შემდეგ, შუა პერიოდში უნდა და“

წყნარებულოყენენ, მოშვებულოყენენ, წესით. ძნელი იყო სისხლის აღება. სტელა მშვიდად, უზუსტესად ჩერებდა ერთ ადგილას ბალანგაპარსულ ხორცს ნემსის წვერით... პირაქრულ პირუტყვებს ორი-სამი ასისტენტი აკავებდა, ამ დროს „პალმა“ შეუცვლელი იყო... მოხერხებულად ხმარობდა ხელებს, ლაგებს, მუხლებს... სისხლით სავსე ამბულები ზემოთ აქონდათ. ლაბორატორიაში და იქ, ჩაკეტილ ოთახში, მის სენაკში მთვარისა და ნალელისფერი, შხამიან-ყვირთელი „ირიბირიუსი“ ტეხდა სისხლის ძოწს. ერეოდა, უჯრედებს სწრაფად უცვლიდა სახეს და ურყევად აჩვენებდა ერთსა და იმავეს: მომავლდინებელი სიმსივნის არსებობას პირუტყვის სხეულში.

წითელი ბურთულაკები იშლებოდნენ, მიკროსკოპის ლულის ქვეშ, ატომივით, უსასრულოდ ნამცეცდებოდნენ... „ყველაფერი დაიშლება, თუ მოინდომე. დამშლელი თუ აღმოაჩინე... ყველაფერი დაიშლება... მარტო დამშალა უსასრულო და არ არსებობს ნამცეცი, იოტი და მისხალი, რომელიც დარჩეს და წინ აღუდგეს... დამშლელი თუ აღმოაჩინე“.

ბუთი თვეც გავიდა... ძაღლები აღარაფერს ჭამდნენ, მისაგათებულნი ეყარნენ და წყალს თუ მოსავამდნენ ხოლმე უღონოდ... ბალანში ჩამჭდარი თვალეები უმეტესად დახუჭული ჰქონდათ და ზოგჯერ, დიდ ხმაურზე თუ ახელდნენ მძიმედ, უხალისოდ, უცნობისწადილოდ, უსაყვედუროდ. გულისგამსრესი თვინიერებით... გაკვეთა დაიწყო... პირველად ერთი ბომბორა, ყავისფერლაქებიანი ძაღლი გამოიყვანა ასისტენტმა... ძაღლმა უღონოდ დაადო თავი მკლავზე და სუსტი ყმულით შესთხოვა შველა: ლანცეტმა მუცელზე ჩაისრიალა... ამოაცალეს ალაგ-ალაგ დაშლილი, კრისტალუბად და თითქოს თიხად ქცეული ლეიქი. ზედიზედ კვეთდნენ.

ელისაბედმა ლანგრით გაიტანა ათი გაქვავებული, დაცხავებული-დაკრისტა-

ლებული ლეიქი მორფოლოგიურ ლაბორატორიაში. მეორე უცვლელ მსგავსებთან შევიდა პასუხისათვის სხვა სხვაგვარად იყო გამგესთან. მორფოლოგიური ლაბორატორიის გამგე, სარდიონ ქერაქაძე, ცივად, უსიტყვოდ აწერდა ხელს დასკვნას. ოდნავი ექვის შეტანა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, რა თქმა უნდა, შეუპოვრად შეიტანდა ექვს... მაგრამ „ამბროზია“ და „ირიბირიუსი“ ჯერჯერობით თავს არ ირცხვენდნენ.

ყარი შეაღო. სტელა წამოდგა, გაუღიმა.

— დაიღალეთ?

— რა ვიცი. — ნალელიანად გამოუვიდა.

— ყავას მოგიდუღებთ, — მწუხარე მზრუნველობით უყურებდა.

— ჰოო. კარგი იქნება, — და ყავის სუნი რომ დატრიალდა, და მოშვებულო რომ იქნა სავარძელში, გაიფიქრა: ვინ იცის, ეგებ ყველაზე მშვიდად, ყველაზე მყუდროდ აქ ამ ლაბორატორიაში გრძნობდა თავს, აქ იყო ყველაზე ბუნებრივი, დიახ, სწორედ — ბუნებრივი. მშვიდი და მნიშვნელოვანი. თავის მიწაზე იდგა. თავის ადგილას, აქ ამ ათი წლით უფროს, ბაც ქალთან, რომელსაც თმის მსუბუქი კუდი ფარფლივით ეშლებოდა, მკერდი კი დაშვებული ჰქონდა. ეტყობოდა, აღუსრულებლად დაპბერებოდა სურვილები, და იზიდავდა ეს ნალელიანი მკერდი, იზიდავდა დაღლილ-დაქანცულს, დღეობით, კვირეობით ჩაკეტულს თავის სინჯარებიან-კოლბებიან სენაკში, ეძახდა მის შუბლს ანდა საფეთქელს: მისაყრდნობად, მშვიდ, ერთგულ, უუფლებო სითბოს კვირდებოდა, სხვას არაფერს...

პლასტიკატის ციციცივსფრად დაფიქტულ მაგიდას ლურჯი ქსოვილი გადააფარა და ჭიშმიშიანი, შინ გამომცხვარი ბისკვიტი თხელ ნაჭრებად დაჭრა. „იცის, რომ მიყვარს, ეს ნამცხვარი. ყველაფერი იცის, რაც მიყვარს“.

ყავა დაუსხა.

— რომ იცოდეთ, როგორ მიხარია,

ასე კარგად რომ მიდის ცდები... „ირიბირიუსი“ არც ერთხელ არ შემეცდარა... გახსოვთ, რა ეპეის თვლით უუფრებდნენ ყველაფერს, რამდენი იწვალეთ ამ ლაბორატორიისათვის, არავეს სჯეროდა, ახლა კი თვითონ გეხვეწებიან. დღესაც მოვიდნენ, — ნამსჯერის ნამსჯეები გადაწმინდა მაგიდიდან.

— ჰო, — ყავა მოსვა, — ბევრი ვიწვალეთ. შენ რომ არ ამყოლოდი, სულ მარტო ვიქნებოდი, სულ მარტო... ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი — უნივერსალური: ექიმი, ლაბორანტი, ბიოქიმიკოსი, ის, რაც სჭირდება ჩვენს საქმეს და საერთოდ დღევანდელ მეცნიერებას: სინთეზური — ეხუმრებასავით! ატელა გაწითლდა. ხალათის პირველ ლილა მისწვდა.

— ვინ იყო დღეს?

— ონკოლოგიური ცენტრიდან განყოფილები გამგე, თავისი ცოლისძმა მოიყვანა, ორმოცი წლის კაცი, უნდოდა სისხლის ანალიზი გაგვეეთვინათ „ირიბირიუსით“, ფილტვის კიბოზე ეპარებათ ექვე, „ირბირიუსი“, ამბობდა, — ჩაეცინა, მანგოს ბლანტი, მძიმე, გოგრისფერი წვენი დაუსხა მაღალ ქიქაში, საწრუპი ჩხირიც ჩაღო.

— რა უთხარი?

— რაც დამიბარეთ, ძაღლების სისხლის ანალიზი არ დამთავრებულა და ადამიანის სისხლზე ჯერ ვერ გადავალთ-მეთქი. ვიცო, არაოფიციალურად რომ აკეთებთ ზოგჯერ, ეგებ დამეხმაროთ. ვუთხარი, გამგეს ელაპარაკეთ-მეთქი... დღეს ალბათ განხავთ...

— ეტყობა, მოგვიწვევს ზოგჯერ, ახლობლებისთვის, რას იტყვი? სხვა გზა არა ჩანს.

— მეშინია. იმდენი ხალხი მოგვაწყდება, რომ ვერ აუვალთ ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ძალებით, — ხელის ზურგი ნიკაპქვეშ გაისვა, — გახსოვთ, საიდან დაიწყო ყველაფერი? ის თქვენი ნაცნობი ლამაზი ქალი რომ მოვიდა, ისე, ხუმრობით გაიკეთა ანალიზი, დააეცინა, გამოიკეთეთო, ჩვენც ავუღღეთ სისხლი და სრულიად მოულოდნელად

„ირიბირიუსმა“ სიმსივნე აჩვენა. შემდეგ, გასინჯვისას, მართლაც მიგვეჩვენა რაც ლილივით პატარა სიმსივნეს შეერღვი, დროზე მიხედეს და უშველეს კიდევ, ამ სტადიაზე ყველაფერს მოველებო... მერე თქვენი ნათესავი ბიჭი მოვიდა. თქვენ რომ მოიყვანეთ. აქაც მოსკოვშიც, ლენინგრადშიც ყელის კიბოს დიაგნოზი რომ დაესვათ. „ირიბირიუსმა“ კი სიმსივნე არ აჩვენა. არა და არა! ბოლოს მართალი გამოდგა. ექვსათვის შემდეგ იმ ბიჭს ფილტვში კავერნა გაუჩნდა და ზორბისეული წარმონაქმნი იმის წინასიმპტომი აღმოჩნდა, თავისით გაქრა. მაგრამ, გახსოვთ? ვიღარე „ირიბირიუსის“ სიმართლე დადგინდებოდა, რა დღეში ჩაგვეყარეს პროფესორ-მეცნიერებმა! რამდენი საჩივარი იწერებოდა, გაზეთშიც ხომ მოგვიხსენიეს, თუმცა დაუბახვლებლად. როგორ ნატრობდნენ ალბათ, რომ იმ ბიჭს კიბო აღმოჩენოდა. არ აღმოაჩნდა! მას შემდეგ იყო, რომ მოგვაწყდა ხალხი. ძლივს შევაჩერეთ ის ნაკადი. გახსოვთ, ლაბორატორია რომ დაკეცტებ დროებით, ახლაც იგივე მოხდება. პროფილაქტიკისთვისაც რამდენი მოვა! თუმცა, თქვენ უკეთ იცით.

— უნდა მოვიდნენ. აბა, რისთვისაა ჩვენი ლაბორატორია. შენ ნუ გეშინია. ხუთი ლაბორანტი გვყავს თავ-თავიანთა შტატებით მოსული, უსაქმურობისაგან ლამის დაგიყდნენ, ისინი მოემსახურებიან, სისხლს ისინი აიღებენ, შენ „ირიბირიუსისთვის“ გაამზადებ მხოლოდ. ეგ არის, რომ ასე არაოფიციალურად ხალხის მიღება საშიშია. ერთი თუ ფეხი გადაგვიბრუნდა ჩაგვექოლავენ, შეიძლება ციხეშიც ამოგვაცყოფინონ თავი, მე და შენ. პრეპარატს ჯერ პატენტი არა აქვს, საშიშია, — მანგო მოსვა.

— მაშინ გააფორმეთ ექსპერიმენტი, პაციენტების დიდ რიცხვზე. მაგის ნე ბართვას ხომ მოგეცემენ.

— ჰო. ეტყობა ეგრე უნდა მოვიქცე. არ მინდოდა ასე მალე გადასვლა ადამიანის სისხლზე, დავილაღე, მაგრამ, რომ არ გამოდის! ექსპერიმენტს გავა-



ფორმებ ამ დღეებში. ორი ათას ადამიანზე. ცხოველიც ხომ ამდენი იყო. ისეთი რაოდენობაა, აჩქარებას ვერაფერს დაგვაბრალებს... ათი ძალღილა დაგვრჩა გამოსაკვები. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ყველაფერი დამთავრდება.

— პი.პორჩება ძაღლები — ახლა კაბის პირველი ღივი შეიხსნა ნიკაპჭევეს, ყვითელი კაბის ყვითელი ღივი, ამოიხსნება, — თქვენც... დაილაღეთ, — გაუბეღდავად შეხედა და: — სულ მინდა გკითხოთ და ვერ გიბედავთ...

— რა? მკითხე.

— რას შერება თქვენი „ირიბირიუს 2“?

— რა გითხრა, სტელა, თითქოს ყველაფერი სწორია, თითქოს წინ ბევრა აღარაფერი უნდა დაუდგეს და მაინც, რატომღაც გული გამიცვიდა...

— რატომ. რატომ. თქვენი გეგმა ლოგიკურად უნაკლოა, — აღელდა, დაჭდა — კიბოს უჭრედები ჩანმრთელი უჭრედებისაგან განსხვავებით ძალზე დიდი რაოდენობით შეიცავენ თუთიას. თქვენი „ირიბირიუს 2“, როგორც მე მესმის, — სრულიად განსაკუთრებული მაგნიტური სითხე, — შინაგანი მიღებისას უნდა მიიზიდოს ჭარბმა თუთიამ. ორგანიზმის შინაგანი ქიმიური პროცესების შედეგად და თავისი სპეციფიური ბუნების გამო სიმსივნეზე დაღეჭილ-გარსშემოვლებული „ირიბირიუს 2“ თანდათან უნდა გამკვრივდეს და ისეთ გარსში მრავლიობის ზედმეტი უჭრედი. რომ მექანიკურად შეაჩეროს მისი ზრდა-გამრავლება. ცხადია, მთელი ეს ღონისძიება ვათვალისწინებელია კიბოს ადრულ საფეხურზე, როცა გადაგვარებულ უჭრედთა მოცულობა მცირეა, ამის დადგენა კი „ირიბირიუს 1“-ის საქმეა!

„მოხსენება წაიკითხა. ასისტენტიც ასეთი უნდა“.

— ოლონდ, მაინტერესებს, „ირიბირიუს 2“-ის გარსში მოხვედრილ ზრდა შეწყვეტილ უჭრედებს რა დაემართება? დანეკროზდება, გაილევა თუ როგორ წარმოგიდგენიათ?

— როგორც მე ვფიქრობ, ნელ-ნელა უნდა გაიწოვოს სწორედ მინდობრიუს 2“-ის ზემოქმედებით. *შეზღუდულია*

— ერთსახოვანი სითხეა?

— არა. მცირე რაოდენობით მცენარის წვესნაც შეიცავს, შხამიანი მცენარისას.

— ადამიანის ორგანიზმისთვის უვნებელია?

— თეორიულად დარწმუნებული ვარ. პრაქტიკულ შემოწმებას შენც იცი, რამდენი დრო დასჭირდება... მე შეიძლება ვერც მოვესწრო.

— რას ამბობთ! — საყვედურით შეხედა, — 8-9 წელი დაკვირვება სრულიად საკმარისი იქნება... ყოველ შემთხვევაში, თუ გაგიმართლათ, ასე ორმოც წელს რომ მიუახლოვდებით, შეიძლება „ირიბირიუს 2“-მა უკვე პატენტს გამოჰკრას ხელი.

— ვნახოთ. შენ თუ გვერდით მეყოლები...

გაწითლდა. უფრო აღელდა:

— და... ორგანიზმში მოხვედრისას, შინაგან ორგანოებში... არ შეიცვლება? ორიოდ წამი ჩუმად იყო და მერე წამოიწყო:

— სტელა, ეს ყველაფერი საიდუმლოა, შენს გარდა არავისთვის მითქვამს, ამასაც გეტყვი: ორ კურდღელზე ჩუმად ჩაეატარე ცდა 6 თვის წინათ. მივეცი „ამბროზია“, „ირიბირიუს 1“-მა მალევე აჩვენა ავთვისებიანი სიმსივნე. მივეცი „ირიბირიუს 2“. არ სვამდნენ, მაგრამ ძალიან მოვაწყურე და მერე დალიეს. ორი თვის შემდეგ „ირიბირიუს 1“ აღარ აჩვენებდა კიბოს, კიდევ ორი თვის შემდეგ ისევ ჩანმრთელი სისხლის სურათი მქონდა. ახლაც ცალკე მყავს, ის კურდღლები ვივარაუდებში, კარგად არიან. რეგულარულად ავუღებ ხოლმე სისხლს, დავაკვირდები, ერთ-ორი წლის განმავლობაში, ვნახოთ.

— კი მაგრამ, — თვალეები გაფართოებოდა — ეგ, ხომ... ეგ ხომ უკვე გამარჯვებაა. ეგ შედეგი ხომ უკვე სენსაციია! რაღად გაგიტყდათ გული?

— რა ვიცი, სტელა, — უცებ დაილა-



ლა, შუბლი ხელისგულს ჩამოაყრდნო.  
— აბა, რა ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ  
სულ შედეგს ვებრძვით და მიზეზს ვერა.  
მიზეზი ჩვენ არ ვიცი, ვერა ეხედავთ

— კი მაგრამ... მედიცინას ხომ სულ  
შედგებთანა აქვს საქმე... ავადმყოფობა  
შედგევი არ არის?

— როგორ გითხრა. ძველი მედიცინა  
ავადმყოფობის მიზეზს კურნავდა. ჩვენ  
კი შედეგს ვერ გავცილებივართ... გა-  
რედან ვებრძვით... კარგი, შევეშვათ, ეს  
ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ როდის-  
ღა უნდა მომმართო შენობით, არ არის  
დრო? — თემა შეცვალა.

— არ შემიძლია. — გაწითლდა. ის-  
ევ შეიკრა ღილი.

მოწყენილობა დაეუფლა. მოეშვა და  
სევდიანად ჰკითხა ქალს:

— შენ? შენ არ დაიღალე?

— არა, რას ამბობთ! ჩემზე ნუ ფიქ-  
რობთ! — უკრიდან ცელოფანის პარკ-  
ში გახვეული რაღაც ფაფუკი, ვარდის  
ფერი ნაქსოვი გამოიღო, მუხლებზე გა-  
იფინა.

— სტელა, ლოცულობ ხოლმე? —  
ჰკითხა თავისთვისვე მოულოდნელად.

— მე? — შეცბა. თვალბეჭეში შეხედა  
და გაწითლდა, — მე ლოცვა არ ვიცი,  
— უხერხულად აიწურა მხრები, — არ  
ვიცი, ვის უნდა მივმართო ლოცვით, —  
პარკიდან ჩვილის ფაფუკი, ნაქსოვი სა-  
მოსი ამოიღო, გაშალა და ისევ დაკე-  
ცა, — ხანდახან გავიფიქრებ ხოლმე,  
ნეტავ ჭრისტე ვინ იყო-მეთქი, ან... და-  
ვეუშვათ. ღვთისმშობელი. და. მეტი არა-  
ფერი. მერე მაიწიფდება ამდენ საქმეში.  
— ნაქსოვი პარკში ჩააბრუნა და შავ ჩა-  
ნთაში ჩაიღო.

— ეგ ვისთვის გინდა? — ჰკითხა და  
მაშინვე ენაზე იკბინა.

— ჩემი და... ბავშვს ელოდება, —  
აღელდა, ტუჩები სულ დაუმრგვალდა.  
გაგონილი ჰქონდა. ზუსტად კი არა-  
ფერი იცოდა. სტელას და მეოთხე კურ-  
ჩზე იყო თუ ამთავრებდა: თინა. ერთ-  
ხელ თვითონაც დაინახა ვახტანგთან ერ-  
თად, მაგრამ ვახტანგს არასდროს უხ-  
სენებია. ეს კი ცუდი ნიშანი იყო.

— ბავშვი... ბავშვი ყოველთვის კა-  
რგია... ყოველთვის მფაფუნაა...  
ისე.

— მეც მასე ვფიქრობ; — გამოცოც-  
ხლდა, სტელა. მადლიერად შეხედა, —  
ჩემი და კი — არა. სულ ტირის, საერ-  
თოდ ნერვიულობს, ყავა ხომ არ დაგიმა-  
ტო?

— დამიმატე. „ენახავ ერთი ვახტანგს,  
რას აპირებს“.

ზარი დარეკა. ვახტანგის დედამ გაულო-  
კარი:

— ო, მათე, შვილო, შემოდი, შემო-  
დი..

— როგორ ბრძანდებით, დეიდა თა-  
მარ, ვახტანგი ხომ არ გიშლით ნერვ-  
ებს?

— აბა სხვა რა უნდა გააკეთოს მა-  
გან! ორივენი, შვილო, ორივენი. ისიც  
და ზიზიცი! ამ გოგოს ხომ არაფერი არ  
უნდა ჩაკმა-დახურვისა და დროსტარების  
მეტი. შემოდი, აი, აქ, ვახტანგის ოთახ-  
ში, დაჯექი, არ ვიცი, რის იმედი აქვთ,  
მამა ამათ არა ჰყავთ და ბიძა. ვეუბნე-  
ბი, ჩვენი წყნეთის აგარაკი მაინც გაე-  
ყიდოთ-მეთქი, ზოგჯერ პურის ფულს  
არა გვაქვს სახლში, ჰოდა, მეუბნებიან:  
თავი მოგვეჭრებაო. გესმის? საფერფლე  
გინდა? მოიცადე, არ აღგე, აბა, ძალიან  
ნავსიანი წელი მაქვს, შვილო, ათი წე-  
ლიწადია ინვალიდობის პენსიას ვიღებ-  
დი, მე ხომ მეორე ჯგუფის ინვალდი  
ვარ, ათი წელი, წელს კი მომიხსნეს! გა-  
დამიყვანეს მესამე ჯგუფში და დამინი-  
შნეს ოცდახუთი მანეთი თვეში. აქეთ  
ვეცი, იქით ვეცი, შენც არ მომიყვდე! ერ-  
თი ნაცნობი დამპირდა დახმარებას, ჩე-  
მი ძველი ამხანაგის შვილი... აი ასეთი  
ცხოვრება გვაქვს, შვილო, მართლა ინ-  
ვალდი ვარ, ძლივსლა დავდივარ, და  
არა ხარო, მეუბნებიან, ა. ოთხმოც მა-  
ნეთს მართო ბინის ქირას ვიხდით კვა-  
რტალში... ესენი კიდევ, ჩემი შვილები,  
დატორღილებენ აღმა-დაღმა.

— რატომ არაფერი მითხრა ვახტანგ-  
მა!

— ოჰ, ეგ მაგას იკადრებს! ერცხვინე-  
ბათ, პენსიონერი რომ ვარ

17.9.92

საქსი 5



და... ზიზი კედელთან მივიდა, იქაც სარკეა. სარკეში იხედება, მერე ქუთუთოებს იგრძელებს თითებით, იაპონელ ქალს ბიძავს უკანალის უცნაური შეთამაშებითაც, და ღივანს აწყდება, მერე, გადაბეზრებული, წიგნს იქვე აგდებს და გადაბრუნებულ ფინჯანს იღებს პატარა მაგიდიდან, ერთხანს დაძაბული ჩასკეკრის, დგამს, კარტს შლის, ეტყობა, პასიანსს. ჩუმადაა. მერე ოხრავს. კარტს ურევს. დგება. კაბა მუხლებზემით წყდება, მაღალ, სწორ წვივებზე მოდურადაა აქვს ჩაჩაჩული სქელი, ნაქსოვი გეტრები. რწვევარწვეით მიდი-მოდის...

— მარტო ცოდნა და ხერხი არ კმარა, დიდი მოთმენაც სჭირდება ამას, მომთმენი სული მუშაობს წლობით, მხოლოდ დრო აძლევს მის ნაშრომს ძალას და დამზადება ამნაირ წამლის უცნაურად და საოცრად ხდება... ჰო, ესე იგი ჯადოქრები რომ წამალს ამზადებენ... არა, რად მინდა, რად... თუმცა ასეთი წამალი რომ მქონდეს, სიყვარულის... და ალევინო, ვისაც გინდა... და შეუყვარდე? აი, ეს მესმის! ხო, მაშასადამე — რაღაც როკის რიტმში წაიმღერა:

საკვამლე მილით  
მალა ავიდა  
და საქვიფოდ  
საღღაც წავიდა!

რა გლეჯვის მუსიკა დაწერა ბესიკამ! რა ნიჭიერია! დღეს რომ გოეთე რამეში გამოიყენო, ნიჭი არ უნდა ამას! მაგ როკით გაიმარჯვა ჩვენმა ჯაზმა. ახლა მთელი თბილისი ამას მღერის:

საკვამლე მილით  
მალა ავიდა  
და საქვიფოდ  
საღღაც წავიდა, ტან, ბარა-ბარაა  
ჲ! ჲ! ჲ! ჲ!  
დაიწვევლოს მზეცთა ტომი,  
დაგაიწყდათ ქაბის მოვლა,  
სულ გაფუფქეთ ქალბატონი!  
ჲ! ჲ ტან-ბარა-ბარაა, ჯაგი, ჯუგი.

მანი, მანი, მანი... გამოცდაზე მკითხა ალქაჯის სამზარეთლოში რა საგნები იყო, რა იყო და... ცოცხი, ბურთი, საცერი, სარკე, ციცივი, მაშხალა, კიდევ

რა? მამლის ბუმბული, სტრინის მუსიკები, ყუთი, რკები, წითელი სამოსი... და კიდევ ეს მკითხა, რას ნიშნავსო: „მუდამ ცდილობდნენ ეჩვენებინათ ერთი საზღად და სამი კი ერთად“. რა ვიცი მე, რას ნიშნავს. საერთოდ, სრული დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი არ მესმის! არაფერი და შემეჭამა გული!

კიდევ ეს მკითხა: მაგია რა არისო. კიდევ რომ მკითხოს, რა ვქნა? საღღაც ჩაწერე პასუხი. რაღაც შავი მაგიოა. აი, აი, აქ მიწერია, მგონი. „ბუნების ძალების ყოველგვარი გამოყენება ღმერთთან კავშირის გარეშე, მორალურად განუწყმენდავ პიროვნებათა მიერ, ეკლესიის მიერ მიჩნეული იყო შავ მაგიად. ბუნების ენერჯის უწმინდურთა ხელში ჩაგდება უბედურების საწინდრად ითვლებოდა“. უნდა დავიზებო... მაშასადამე: „ბუნების ძალების...“

— ზიზი!

— ვაი! ვინ არის! მათე?! შეენ? ვაიმე, გული გამიხეთქე! აქ იჯექი? არ გადამრიო! მისმენდი, მე რომ ვიზუთბავდი? ტვინი მიდულს გეუბნები!

შეირწა, ოთახში, ტახტზე მოკეცა გრძელი ფეხები.

— არაფერი გამიგია. ჩამძინებია, ახლა გამეღვიძა. არ მოსულა შენი ძმა?

— არა. მოვა. დაუცადე, რა, მოდი, ყავას მოგიღლე, კარგი?

— გამოცდა დაგრჩა?

— დამრჩა. დამრჩა. ჩემი ამხანაგები უკვე ტრესკოლში არიან, ლამის გულამისკედეს! საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ხო აზრზე ხარ, რამხელა საგანია, ლექტორმა მითხრა, სერვანტესი, შექსპირი და გოეთე მაინც ისწავლეო, ეს სამი კარგად ჩამაბარე და ნიშანს დაგიწერო... ისინი წავეითებ, შექსპირი და სერვანტესი, იმათ რა უჭირთ. ამან შეჭამა ჩემი სიცოცხლე, გოეთემ, არაფერი არ მესმის და არ მამახსოვრდება... აი, შენი ჭირიმე, ეს მაინც ამიხსენი, რას ნიშნავს, ეს... მე... მეფისტოფელი რომ ეუბნება: „სწავლამაც ყველგან გაიდგა ფესვი და მიალწია ეშ-

მაკის კერას, მე აღარ ვგავარ ჩრდილო-  
ელ მახინჯს, აბა თუ ხედავ კუდსა და  
რქებსა? —

— მე რა ამხსნელი ვარ? ესე იგი მე-  
ფისტოფელმა, ანუ ეშმაკმა, ანუ ბორო-  
ტებამ სახე იცვალა. გაიგე! იმ სახით კი  
აღარ დადის: კუდით და ჩლიქებით! ის-  
იც თანამედროვე ხდება, ყველა დროში  
ახალ-ახალ სახეს იღებს. ძალიან მარტი-  
ვია...

— მართლა არსებობს?

— რა? ეშმაკი? მაში!

— შენ გკერა?

— მე შემეშვი. შენ გოეთე ისწავ-  
ლე, თორემ მოგარტყამენ ორიანს.

— ოჰ, რა გაუგებარია ყველაფერი!  
შენ ყოფილხარ ტერსკოლში?

— ვა! ზღრასტი! — ვახტანგმა ქუდი  
სავარძელზე ისროლა, — აბა, შეუბე-  
რე! — გადაუგდო ზიზის, — როგორა  
ხარ?

რადაც ბალღამი დასწოლოდა გულზე.  
ლაპარაკის გუნებაც მთლად გაქრობო-  
და. მცირეოდენი მიეთ-მოეთის შემდეგ,  
უძალოდ ჰკითხა, ამხანაგს, თინასთან  
რას აპირებო.

— შენ, რა, როგორც სტელას უფრო-  
სი, თანამშრომლის ოჯახზე ზრუნავ? —  
კევი გალუბა — რა უნდა დავაპირო! ვი-  
სთანაც ვიქნები, ყველას ცოლად ხომ  
ვერ მოვიყვან, გვარს მივცემ, თუ უნდა,  
მეტი რა ვქნა. თუ არ უნდოდა. ნუ იჭ-  
ნებოდა ჩემთან, ვინ აძალებდა? შენ  
რას შერებნი? მიაა როგორ არის?

გალიზიანდა.

— კარგად. წავედი, — უპასუხა  
მთლად მოშხამულმა. აუტანელ დაღლი-  
ლობას გრძნობდა.

— რიუუნნი! — გაისმა საათის ხმა.  
შეხტა — როონნი! — შიაცოლა და გა-  
ჩუმდა. ღამის ორი საათია. გული აუპ-  
გერდა, საათის ხმაზე... „საათები მირ-  
ბიან. წინ კიდევ ნახევარი ღამეა, უჩ-  
უმარი შარიშურით და მოსალოდნელი  
ჩურჩულით სავესე...“

— რაენნი! — რიინი! — ორჯერ დარე-  
კა საათმა, ღამის ორი საათი აუწყათ,

გაჩერდა და გიორგიმაც შემოაღო კარა.  
ენდიმ გამოხედა თავისძირისკენ.

— სად იყავი, ბიჭო? — კრთულა შე-  
ეკითხა და-ძმა.

— რეზოს ვეძებდი, დედამისმა მთხო-  
ვა...

— რა მოუვიდა რეზოს? — იკვლევს.  
თვითონ.

— რა ვიცი, წავიდა...

— სად წავიდა?

— არ ვიცი.

— აბა, სად ჯანდაბაში ეძებდი!

— რა ვიცი...

— რატომ წავიდა?

— არ ვიცი.

— ოჰ! ნეტავ შენი მეტყველების  
ნიჭი მომცა და შერე მომკლა!

დედა გამოდის თავისი ოთახიდან...  
სავარძელში ჯდება. საათის მოპირდაპი-  
რე კედელთან...

— ძალიანაც კარგად იცის, რატომ  
წავიდა! — იცის ენდიმ.

— რატომ?

— რატომ და გაიგო, დალი დეიდა მა-  
გისი დედა რომ არ არის...

— გაიგო? ვინ უთხრა?

— ვილაყას უთქვამს...

— ჰოო. მაშინ წავიდოდა, აბა რას  
იზამდა!

— რატომ ვითომ, რა აუცილებელი  
იყო საბლიდან გავარდნა! — სავარძე-  
ლში ჩაეშვა გიორგი, საათის გვერდით,  
საათს ახედა, — ვა, ორია უკვე?

— შენ რა, პატარა ამბავი გგონია მა-  
გის გაგება?

— რა ვიცი... პატარა ამბავი არა მგო-  
ნია, მაგრამ უფრო მადლობელი არ უნ-  
და იყო! — მუქით თვალს ისრესს, და-  
ლილია.

— რისი მადლობელი უნდა იყო, ტყუ-  
ილში რომ გაცხოვრეს, იმისი?

დედა სავარძელში ზის და ცხვირსა-  
ხოციტ წმენდს პატარა სარკეს, აორთ-  
ქლებს. ისევ წმენდს.

— ჰა, ტყუილის მადლობელი უნდა  
იყო?

დედას ხელები უყან მიაქვს, კისერ-  
თან, ვერცხლის ჯაჭვის ცალი ბოლო

მერდზე ეცემა, მერე ჭაჭვი მთელი სიგრძით ეკიდება პაერში და ნელა ეშვება პატარა მაგიდაზე... დედა რგოლებად ახვევს ჭაჭვს, ფიჭრში წასული.

— რა, ტყუილია, — გიორგი მეორე თვალს ისრებს მეორე მუჭით, ეძინება ალბათ, — გაგზარდეს, გივლიდნენ, უყვარდი და ტყუილია?

— რომ არ იცი, ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ, რატომ მოხვდი სხვასთან, შენი ბედისწერა რომ არ იცი და სხვებმა რომ იციან, ეს არ არის საშინელება? ეს სიბნელე! ეს ბურუსი! ეს ნისლში ყოფნა!

— რა გემართება? — მშვიდად უკვირს გიორგის, — რა ძალიან იშლი ნერვებს! ჩვენი დაბადება და პირველი წლები მაინც არავის არ გვახსოვს და ესე იგი ყველანი ნისლში ვართ და ძალიანაც კარგი. ეგრეა ალბათ საჭირო და მერე... რეზო დედამისს მიუტოვებია, ასე ამბობენ, უბატრონო ბავშვთა თავშესაფარში. ეს რომ ადამიანს დაუმალთ და უთხრა, ჩემი შვილი ხარო, ეს ტყუილია? რა ვიცი, აბა... ასე არა სჯობს მისთვის?

— ტყუილი არ არის, არა, შენის აზრით? ადამიანმა სიმართლე უნდა იცოდეს. სიმართლის წართმევა ყველაზე დიდი დანაშაულია!

ვერცხლის ჭაჭვი გაიკლაცნა პატარა მაგიდაზე. საფერფლის გვერდით.

— ერთი ნახე, დალი დეიდა რა დღეშია! ეგრე აღარ ილაპარაკებდი! ის მუტრუკი ხვალაც თუ არ დაბრუნდა, ნამდვილად თავს მოიკლავს, ნამდვილად თავს მოიკლავს. ეს არის სიმართლე! სადაცა ვნახე, ერთს კარგად ჩავახელ და ვეტყვი, რომ გოიმი და ვირია!

— შენ რა გენაღვლებია! შენთვის აღვილია მასე ლაპარაკი!

— შენი ვერაფერი გამიგია! ალიკას დედას ვაგვიყვებოდა იცავდი, ალიკას ლანძღავდი, დედამისს ცუდად რად ეტყევო, ახლა რეზოს იცავ, კარგია, დედამისს ცუდად რომ მოექცაო! გამაგიყვებ, რა! თითქოს სულ სხვა რაღაც ვალაპარაკებ!

ვერცხლის გველი ნახად გაიკლაცნა, გრძლად, თავი სევდიანად შემოიღწია კუთარ ტანზე და გაჩერდა...

— მე, მაგალითად, — გიორგიმ ტუჩების კუთხეში საბერველი მოიმარგვალა და შუბლზე ჩამოყრილ თმას აუბერა, — უფრო მაღლობელი ვიქნებოდი და უფრო მეტად მეყვარებოდა...

დედა თავს იღებს: გიორგის უყურებს. მერე საკუთარ ხელს: ჭაჭვი კი ერთ დიდ წრედ იყვრება...

მაშინ კი, მაშინ, ცამეტისაც არ იყო ალბათ... სასტუმრო ოთახში შემოირბინა აქოშინებულმა... და უცბად შეჩერდა... გაშეშდა, მერე:

— თქვენ მაშინ ერთად არ იყავით, თქვენ და თქვენი მეუღლე, ბავშვი როგორ გაჩნდებოდა იმ ხანში... თქვენ მაშინ ერთმანეთს არც ნახულობდით! — ტაფასა და ჭვავს ერთმანეთს ახლიან, ხმა ისეთი: უცხო, უხეში, მყიდვე, — უნდა დაგვიბრუნოთ, თუმცა უკვე დიდი დრო გავიდა, მაგრამ მთელი ეს ხანი ვიკვლევდი, ვაზუსტებდი...

— გიკრძალავთ ჩემს ცხოვრებაზე ლაპარაკს. ახლა მიბრძანდით. არ მაინტერესებთ თქვენი მიხვედრები და მიგნებები. ბავშვი ჩემია და ჩემთან დარჩება. არ გირჩევთ თქვენი ძიების გაგრძელებას! — ყინულის ლოლუაზე ვერცხლის თხელ, დრეკად ხმალს ურტყამენ, ბრტყლად: — ხმა ისეთი: დედის, უცხო, უცნობი.

— კი მაგრამ, რატომ მატყუებთ, — ტაფა გაიბზარა, ჭვავიც, მინანქარი ასძვრა: ტირილმა დაფშენა ხმის შენივთული სიცივე, — რატომ მატყუებთ! თქვენ ხომ მაშინ ერთად არ იყავით! ჩვენი ბავშვი რომ გაჩნდა, ჩემი დის, მერელა შეერთდით... იმ ბავშვმა შეგაერთადა, ბავშვი თქვენ წაიყვანეთ... მე გამოვიკვლიე...

— მცდარ გზაზე დგახართ! გირჩევთ, დროზე მოხვიდეთ გონს! თქვენ ასაკში შედიხართ, მარტო ხართ, გეშინიათ სიბერისა და მარტოობის, ბავშვი მოგიზნდათ და გადაწყვიტეთ... მე ნულარ შე-

მეხებით, მიბრძანდით! საესეა უპატრონო ბავშვთა სახლები... გაზარდეთ, მადლი იქნება! რალა მე მირევთ ცხოვრებას! — ყინულზე ვერცხლის ჯაჭვი მიცურავს, — დამივიწყეთ მეც და ჩემი შვილებიც!

სკამის ხრიალი. ვილაც წამოდგა. ლაპარაკი მოახლოვდა.

— მე წავალ, მაგრამ მაინც მგონია, რომ მართალი ვარ, — ბრინჯი ჩაიყარა ქვაბში.

— ცდებით! — მართალს არ ამბობს, — სწორი არა ხართ! — ვერცხლის ჯვარი დაიფინა მარმარილოს, მართალი თქვა.

ლამის უგონოდ შებორილდა თავის ოთახში, ხელში ბადმინტონის ჩოგნით. ჩოგანი სახეზე აიფარა, დაინახა ციციქნა ოთხკუთხედებად დაქუცმაცებული: რუკა, მერე ისროლა, მერე ისევ გალასლასდა სასტუმრო ოთახში და დედაც შემობრუნდა! ისტუმარი უკვე გაეცილებინა.

— რა დაგემართა? მათე! რა მოგივიდა!

ხმას ვერ იღებს. „ეს მე ვარ. მე არა ვარ ამათი შვილი. ვილაციისა ვარ. ვილაციების. ვილაც ოხრების. დედა ტყუოდა. იგრძნო. მაგრამ თან რომ მართალი იყო? — თან რომ ტყუოდა? იგრძნო. დედა, ნუთუ მე არა ვარ შენი შვილი? მითხარი, ხარო, მომეხვიე“ ქვითინებს: უხმოდ. შიგნით. დედა სახეში ჩაშტერებია.

— მათე! შენ მოისმინე ის ლაპარაკი?

თავს უქნევს.

დედა სავარძელში სვამს, საათის პირდაპირ. თვითონ მუხლის ჩოქზე დგება, წინ, და მუხლებზე აწყობს ხელებს.

— მისმინე!

— მე არა ვარ თქვენი შვილი? — გახსნა გულისწამსვლელად შეკრული კრიკა, ამოთქვა.

— მისმინე! — ფითრდება, — და დამახსოვრე: შენ ჩვენი შვილი ხარ.

— შენი და მამაჩემის? ნამდვილი?

— მისმინე! — ძალიან ნელა ლაპარაკობს,

კომბს, მარცვლავს: ვერცხლის ჯაჭვები ცვივიან მარმარილოს. ვილაციისა — მისმინე! გეფიცები თქვენს სიცოცხლეს. გეფიცები ნანის სულს და ყველაფერს. რაც წმინდაა: შენ ჩემი შვილი ხარ. ჩვენი ნამდვილი შვილი და თუ გატყუებდემ, სამივე შვილის სიცოცხლე ჩამიჭრეს. სამივე შვილის. გჯერა?

— მჯერა, — და დაიჯერა: რადგან ის ხმა არ იტყუებოდა. დაიჯერა. მაშინ.

— მაგრამ, მათე, მისმინე: გაფიცებ ყველაფერს, რაც მე დავიფიცე, არასდროს ხმამალა არ გაიმეორო, რაც გაიგონე. არასოდეს, გესმის? ეგ სისულელეა და სისულელე ადვილად ვრცელდება. უკვე დიდი ხარ. ცამეტი წელი შეგისრულდა, უნდა შეგეძლოს სიტყვის პატრონი იყო. მაძლევ სიტყვას?

— სიტყვას გაძლევ.

— ახლა წადი. ითამაშე და არასოდეს აღარ გაიხსენო. არასოდეს.

გაფითრებულმა თმა უკან გადაიყარა, შუბლზე აკოცა, ცალ მუხლს ხელით დაეყრდნო და წამოდგა: „ნრიუნნ!“ — დარეკა საათმა. შეხედა, 2 საათს აჩვენებდა. შუადღეს.

ღია კარადას მიუბრუნდა. მესამე თარიოდან ასანთის კოლოფის ხელა ღრმა ჩარჩო აიღო. ვაშლის ყვავილი იყო მინის ქვეშ, გამხმარი, ოდნავ სიყვითლესეპარული ვაშლის ყვავილი... მტერიანებიც შერჩენოდა, პეპლის საცეცებივით — ძველი ჩარჩოა, ღრმა, უცნაური. ერთი ციციქნა ყვავილი ისე მოჩანს, თითქოს ჭოგრიტის დამამოკრებელი მხრიდან ხედავდეს... ამ ჩარჩოში ადრე სხვა რაღაც იყო: რაღაც ქსოვილზე ამოქარგული ემბლემა, ღერბი თუ რაღაც სიმბოლო... ახლა გამხმარი ყვავილია. რომელი ხისა, ნეტავ? მათი ბაღის თუ სხვა, სულ სხვა ვაშლის ხის, რომელიც შორს, სადაღაც ტაფობში ჰყვავოდა ეგებ, ანდა ტყის პირას. კენტი, ველური, ლალი ხე, არავისი... მისი ყვავილი კი აი, აქ მოხვდა, ამ ღრმში ჩარჩოში... ვინ მოიტანა, რა ქარმა ძეგლი გაიტანა აქ, ამ ოთახში... რატონ შინაარჩუნა, დედამ, და



გაქრობას გადაარჩინა, იმ იასამნის ტოტივით?... ვაშლი... ვაშლის ფცქვნა... ბავშვობის ერთ-ერთი უბშირესი სურათი... გრძელდება, ეხვევა ნაფცქვენი, წვნიანი სპირალი, დაშვებული დედის დანიანი ხელიდან... და ქათქათა, წვრილნამცეცებად მბზინავი ხორცი უშიშვლდება ნაყოფს... „არ გაწყვიტო, დე, მთლიანად მომეცი...“ მერე სიცხისაგან დაწყდარ ტუჩებზე დედა ფრთხილად ადებს სიფრიფანა ნაპერს. და რა ცივი... ერთნატილი უვლის ენაზე, ლოყების შიგნითა კედლებზე და მთელ სასაში. კბილებსაც შესცივდით... ძლივს ჩაღვება. ახლა ყელში ჩასრიალდება მოტკბო-მომეცავო, ერთნატილიანი სიგრილე... მაგრამ არა, ყელს აღარ შესცივდა, გამთბარა გრილი ლუქმა პირის ღრუში... და უმტკივნეულოდ გადაყლაპა. ჰიანჭველებია ჯარი აღარ მოსდებია გულსა და ხერხემაღს... „ვაშლი, სისხლივით წითელი“ — ამბობს, დედა... — „შეხედე, ისეთი წითელი კანი აქვს, ისეთი, რომ ხორციც ჩაუფონია სიწითლეს, ხედავ?“ გაფცქვნილი ვაშლის ქათქათა ზედაპირი შეინდისფრადდა ოდნავ გაყვნილი, მერე კი სრულყოფილ სითეთრეში გადადის... „ვაშლი ძალიან კარგია, ძალიან საჭირო... უნდა ჰქამო, რაც შეიძლება ხშირად“... და გამზარა სხეულის მშრალი გვალვა ვაშლის სისველემ, დაუღბო, ღბილად გაუგრიალა გულმუცელი... ჩაწმინდა ენაზე მოდებული თეთრი ნალექი და გააღლო ცხელი, მშრალი უფმური, მთელს ტანს რომ უფშენეტდა, რაღაც აკრიალდა მთელს არსებაში, ხალისი გაერთა სადღაც... და მერე: „მეთამაშე, დე, მეთამაშე, რა“.

„მოიცა, მაშოს ვუთხრა, გიორგის მიხედოს, გამოუცვალოს და ახლავე მოვალ“.

„ახლავე“ ყოველთვის გრძელია. ცუდია გიორგი. სულ გიორგი და გიორგი. სულ ტირის, სულ ჰქამს. რად უნდათ ნეტავ, რატომ არ გადაადგდებენ! რისთვის არის საჭირო. ტირის და ფეხებს იქნევს. ვერც დადის, ვერც ლაპარაკობს...

ისერის და ისველებს. დორბლოც ჩამოსდის. ფუჰ! ნეტავ მოკვდები...  
 — რა ვითამაშოთ?  
 — აფრინდა-აფრინდა!  
 — მოდი, დაეიწყეთ!.. აფრინდა, აფრინდა... ჩიტო აფრინდა!

ორი თითი, ორად ორი თითი ფრინდება დედის ხელისგულიდან. მაშინ კი სამი მიფრინავდა: ენდი წევს, ავადაა, თეთრი ხილაბანდითა აქვს თავი შეხვეული. გიორგის — ყელი. ენდი ლოგინში ზის. სამ ბალიშზეა მიყრდნობილი... გიორგი ფეხზეა, ჩაცმული. არ წვება. და ენდი იძახის.

— დედა, დედა, აფრინდა-აფრინდა, რა. — ხუთი წლის იქნება.

— აი, ჯერ ეს შევამე და მერე. — და ლურჯი კობალტის განიერ თეფშზე გაფცქვნილი ვაშლის თეთრი ნაჭრებია და მათ გვერდით მრგვლად დახვეული წითელ-ყვითელი ნაფცქვენები:

— ამდენი? — სასო წარეკეთა ენდის.

— გიორგის წილიცაა და მათესიც... აბა, მოდით!

ხრამ-ხრუმ. ხრშ. ხრრ. ხრშ. ენდა თვალბმობუტული ფრთხილად კბენს ვაშლს, ეპარება და ეტყობა: ერთნატიელი უვლის.

— მორჩა, ახლა აეფრინდეთ! — ხელი ბამბაზის ყოლოსფერ პერანგზე გაიწმინდა, კარგად მიისვ-მოისვა მუცელზე და უცბად მიხედა, აკრძალულ რასმე რომ სჩადიოდა. ვიღრე დედა მისკენ შებრუნდებოდა, ქალღმრთის ხელსაწმენდი მოქმუქნა და თეფშზე დააგდო. სახეში შეაჩერდა დედას და სიხარულის ჰინკა აუხტუნდა თვალბმობი: „ვერ შეამჩნია“.

— ახლა აფრინდა-აფრინდა! — იძახის.

დედამ ხელისგული გაშალა და დამის თითები ასაფრენად მოემზადნენ დედის საჩვენებელი თითის გვერდით.

— აფრინდა აფრინდა, ჩიტო აფრინდა!

თითები აფრინდნენ.  
 — აფრინდა, აფრინდა, ჩიი,—თითები



მოსწყდნენ დაღარულ აეროდრომს, —  
რგვი აფრინდა!

გიორგის თითი შუაგზიდან დაბრუნ-  
და. ენდისა პაერში გაშეშდა — შეცდო-  
მას მიმხვდარი:

— ვაი!

— აბა ჭარიმა! ჩირგვი არ ფრინავს! —  
იძახის შემცდენელი და სათითაო წიკ-  
პურტს არიგებს.

— აფრინდა, აფრინდა, ყვა-ვი აფ-  
რინდა!

თითები კისრისტეხით აცვიდნენ პა-  
ერში.

— აფრინდა, აფრინდა, ყვა-ვი, — თა-  
თებმა დასტოვეს თბილი აეროდრომი,  
— ლი აფრინდა!

— ვაი! — ენდომ პირში იტაცა თი-  
თი.

გიორგიმ შუბლზე იტაცა.

— ჭარიმა! — იძახის დედა.

იციინან.

უცებ გიორგი ენდის ბლუჯავს და ლო-  
ყაზე კოცნის.

— გამიშვი, გამიშვი! არ მაკოცო, გი-  
ყო!

— აფრინდა, აფრინდა! — ბავშვებს  
უძახის, დედა.

თითები ხელისგულს უბრუნდებიან.

— ძრაბა აფრინდა!

ენდი იციინის. თითს მაგრად აჭერს.

— კვერცხი აფრინდა!

ენდი ჩაბეირდა.

— ენდი აფრინდა! — იციინის დე-  
და, — გიო ა—ფრინდაა! მათე აფრინდაა!  
ენდი დაოსდა. ხელს იშვერს უფროსი  
ძმისკენ:

— მათე ვერ აფრინდება, — კაკანებს,  
— და-დაეკო...

იხედებიან. სამი, გაცილებული საბე  
უყურებს: თვითონ წებოიან მუყაოს  
ველარ იცილებს თითებიდან. იციინან.  
ხუთი წლისა იქნება, ენდი.

გიორგი ვაშლის გრძელ ნაფცქვენს  
ილებს და ლოყაზე ადებს. დას: — მო-  
დი, სახეზე დაგაკობ, სოფიკო რო იკ-  
რავს ხოლმე, ვითომ ექიმო ვარ.

ენდი მორჩილად, სეროოზულად უშ-  
ვერს სახეს.

მეორე მხარეს გადააბრუნა ღრმა, პა-  
ტარა სურათი, არაფერი აჩვენა. შეყა-  
ოს. არც სიტყვა, არც რიცხვი, სულ  
არაფერი. თავის ადგილას დადო, მია-  
ყუდა რალაც ზღვის კენჭზე. შორიდან  
შეხედა...

ფანჯარა ღია... გარეთ მთვარეა, მი-  
სი შუქი ღვას მალალ ოთახში, თვითონ  
კი არ ჩანს, აქედან არ ჩანს—საწოლი-  
დან, სადღაც მიცურავს, ცის მინდორზე,  
ღრუბლების ბორცვ-ტაფობებში, მიდ-  
ის, მიდის, მიიზაფრება, მიყვავილობს.  
მერამდენედ მიუყვება თავის ასავალ-  
დასავალს, მიეხეტება... ფანჯრის წინ  
გაბარდული დიდი ვაშლის ხე ოთახის  
კედელზე გადაუხატავს და ვაშლის ხე  
ირწყვა მათ საწოლთან, საწოლის კედე-  
ლთან, ჩრდილის ტოტებით, ლანდის ვა-  
შლებით... და ორივენი შავ, უსხეულო  
ხეს შესცქერიან, რომელიც მალე გაპ-  
ყვება მთვარეს...

შესცქერიან. ჩუმად სუნთქავენ. ფი-  
ქრობენ, და სიტყვები არ იბადებიან.

მხარზე წვეთი დაეცა.

თავი მიაბრუნა. სველ უპეში აკოცა.  
უბგეროდ.

— ისევ ტირი?

— არა.

— რა გატირებს?

— ნუ მიყურებ. ნუ, არა ვტირი.

მეორე წვეთი.

— ნუ ტირი... შენ... იცი... მე არ მო-  
მინდომებია... თავისთავად მოხდა, ასე  
— ხელს უსვამს შიშველ მხარზე — და...  
განა ცუდად ვართ, თქვი, — არ გიხა-  
რია ჩემთან ყოფნა? ხომ გიხარია? მეც...  
ამაზე მეტს რას მოგვიტანდა ერთად  
ცხოვრება... ერთი ქერი... თუ არ წაგ-  
ვართმევდა...

სიჩუმე.

— იცი, შარშან, ამ დღეს პირველად  
მოვედი თქვენთან, აქ, პირველად შე-  
მოვედი ამ ოთახში, მაშინ ოცდახუთი  
წლისა იყავი.

— ეს დღე იყო?

გაახსენდა: შუა ოთახში შეუშვა და  
აპყვა. ის კი იქვე გაშეშდა, ზღურბლთან:  
მაია, და გაოგნებული მიაშტერდა ფარდ-

ას, დედის კარზე. „რა მოგივიდა?“ „ეს... ეს რა არის?“ „ფარდაა, ვერა ხედავ?“ — გაუცინა. „ეს... დედაშენის მოქარგულია?“ „ჰო, მიდი, ახლოდან შეხედე“. ფეხს არ იცვლის: „მიდი, რა მოგივიდა?“ „მეშინია. ეს... ეს ხომ საოცრებაა“. და ფარდის წინ არ გაუვლია. დიდ ოვალურ მაგიდას შემოუარა. იქიდან შეხედა: „საოცრება“ — დაიხურჩულა და დიდხანს უყურა გაფითრებულმა, ვიღრე გიორგი და ენდი არ შემოვიდნენ და მერეც, რამდენჯერაც მოსულა, წინ არასოდეს ჩაუვლია ფარდისთვის, მაგიდას შემოულიდა ხოლმე, იქიდან მიაშტერდებოდა მონუსხული და ასე შედიოდა მის ოთახში...

— ეს დღე იყო?

— ჰო. ეს რიცხვი. მრცხვენია.

— რისი.

— არ ვიცი. რისი არა.

— აბა?

— დედაშენის.

— სისულელეა. დედაჩემი რა შუაშია. ის არავის საქმეში არ ერევა. მით უმეტეს ასეთში და საერთოდ, ქვის სროლა ეჭავრება. თანაც... ხომ არაფერი იცის.

— მერე რა.

— რა მერე რა.

— მე მრცხვენია.

— კარგი. კარგი რა. მე შენ უფრო... უფრო ძლიერი მეგონე.

— სიძლიერე რა შუაშია? — ამოიოხრა.

— ნუ ტირი. ერთადა ვართ. ერთად. სხვა რალა გინდა? სხვებს რას უყურებ. სხვებივით რას ფიქრობ. შენ შენა ხარ. შენი თვალთ შეხედე.

— ჩემი თვალთ ვუყურებ და... არ არის სწორი.

— რატომ?

— ბუნებრივი არ არის...

— ვისთვის?

— ჩემთვის, შენთვის. შენც იცი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ნულარ ვილაპარაკებთ. არ გვინდა.

ჩურჩულებდნენ: ახალი ფოთლები სწრაფად უფრო ხმამაღლა იჭრებოდა გაშვრალ ფოთლებს გახვეტავს. იმ სიხმამალით.

სიჩუმე.

მერე ეხვევა. ერთმანეთს ეხვევიან, ერთმანეთში ემალებიან დაგროვილ-დაგუბებულ, გასიებულ სიტყვებს...

ჩრდილის ტოტები ირწყვავა კედლებზე... ტოკავენ შავი, უწონო ფოთლები, შავი, უწონო ნაყოფები. გარეთ ცოცხალი ვაშლის ხე შრიალებს... ორი ლანდის ვაშლი, ტყუპები, ირწყვვიან და ერთი წყდება უეცრად და მაიას მუხლით ამობურცულ საბანთან ქრება... გარეთ მიწაზე მიიწე ნაყოფი დავარდა... მერე, ნელ-ნელა ჩრდილის ხე გადნა... წაიღო მთვარემ.

დილით:

— ცოტა ხანს გადი, ჩაეცმევე, — ხელი ფრთხილად დაუსვა ყელზე, სევდიანად, — გადი, მათე.

ასეა ყოველთვის. არ უყვარს მის თვალწინ ჩაცმა. გადის, ხელპირს იბანს. ძალიან ცივია წყალი. თბილი წყლის ონკანიც გახსნა.

მაია ჩაცმული ზის... თმადავარცხნილი. საწოლი გასწორებულია.

სავარძელში ზის, პატარა მაგიდასთან. ხელის გულზე დაუყრდნია ნიკაპი. მეორე ხელით ნელა უფიქროდ ატრიალებს ძველ გლობუსს. მზის ქველშია გახვეული, გლობუსიანად — მზის სვეტზე აფუტფუტებულ მტვრის ნაწილაკების ჩქერალში...

მივიდა. ფარდა ჩამოაფარა. მზის სვეტი გაქრა. ის არ შერხეულა.

— ჩაი არ დავლიოთ?

— არა, — ჩუმად ამბობს, თითქოს სიზმარშია. — მე ახლა წავალ.

— რა გეჩქარება? იყავი. არავინ მოვა.

— არა წავალ. ველარ ვჩერდები.

წამოდგა. სჯამზე გადაკიდებული ჩანთა აიღო, გაჩერდა: თხელი, ფერმკრთალი.

— გინდა, რალაც ვითხრა?

— რა უნდა მითხრა?

— ვიცი, არასოდეს მაპატიებ, მაგრამ მაინც გეტყვი.

— ?

— იცი, რატომ არ მოინდომე ჩვენი ცოლქმრობა?

— რატომ?

— გრძობდი, დედაშენს უნდოდა ძალიან.

გული შეუხტა.

— საინტერესოა. ასე კრიჭაში ვუღვაკარ დედაჩემს?

— ჰო, კრიჭაში უღვახარ... თუმცა ვერ ბედავ ამას აშკარად... და...

— და რა?

— იცი კრიჭაში რატომ უღვახარ?

— რატომ?

— იმიტომ რომ... შენზე მეტია და... არ გეჭკვემდებარება. ის არის. შენ კი გინდა რომ იყო.

შეძლო და არაფერი დაიმჩნია. ნეტავ ასე უღვარძლოდ მაინც არ ეთქვა, ყოველგვარი ბრაზის გარეშე. ქუჩაში აღარ გაპყოლია. ფანჯრიდან კი გახედა მიშავალს. იცოდა, თავს ვეღარ გადაახტებოდა, ვერ აპატიებდა: უკანასკნელად ხედავდა...

— როგორ, მათე, შენ უარყოფ ფსიქოანალიზის მნიშვნელობას? არ გამაგიჟო ბიჭო! — ლადომ გლობუსს ჩამოჰკრა ხელი და დააბზარიალა — მეცნიერი მაინც არ იყო! ჩვენს დროში, როცა ამდენი რამის აზრზე ვართ უკვე, ფსიქოანალიზის უარყოფა შეიძლება? — შეთხელებულ ქერა თმაზე ხელი გადაიკრა და მუნდშტუცი დააკაუნა დატრიალებული გლობუსის ალუმინის ჰიპზე.

— მოიცა, მოიცა. მე კი არ უარყოფ, მისმინე! შენა გგონია მეცნიერებამ ამით უფრო დიდ სირთულეს მიაგნო ადამიანში და აღფრთოვანებული ხარ! სინამდვილეში, თუ დაუყვირდები, ძალიან ამარტივებს ადამიანს, მე ეს გამარტივება მეჭაერება...

— რას ამარტივებს? რას ამარტივებს! ვეღარ გავიგე!

— ადამიანსო! რა ვერ გაიგე! დამა-

ცადეთ, რა, მუსიკის მოსმენა! — ვერის მერაბი და ფირსაკრავს ხმას ხმებს.

ფაგოტის ოდნავ მოგუდულ, ნემოთ მიმსწრაფ ლარზე აისხა დაფდაფების ყრუ, თანაბარი დგანდგარი, ელექტრო-გიტარის ნერვიულმა, მკრელმა ბგერებმა ერთმანეთის მიყოლებით ჩაიზუზუნეს, სათითაოდ ჩაიყრიალეს...

— ჩაუწიე, რა ბიჭო, ცოტა, ამასთან ხომ ვერაფერზე ვერ ილაპარაკებ! მართო უნდა იტროყო. მისმინე, რას ამარტივებს?

— ოხ, თქვენი! — მერაბი ფანჯრისკენ მითარევეს ფირსაკრავს, ვახტანგიც მიჰყვება, ხელში კონიაკით საესე სირჩით.

— ადამიანის მოქმედებისა და ფსიქიკის მთავარ იმპულსად რომ სხეულს მიიჩნევ, გამარტივებაა, აბა რა არის! იმიტომ, რომ ეროტიული, რა ფართოდაც არ უნდა გავიგოთ, მაინც სხეულის სფეროა, ყოველ შემთხვევაში, ასეა მანდ.

— არა, გენაცვალე, არ არის სხეულის სფერო, მთლიანია, მთელი ადამიანია! — მუნდშტუცი პირში გაიჩარა, — მანდ იჭრები სწორედ, ფროიდს მასე არ ესმოდა... და ქვეცნობიერი სწორედ ფსიქოანალიზმა აღმოაჩინა და კუთვნილი მნიშვნელობაც მან მიანიჭა, ეგრე არ არის? მომიკიდე, სერგო.

სმენადქცეული, გაფაციცებული, ჭორფლიანი სერგო უკიდებს.

— არ არის. ჯერ ერთი არაცნობიერი ეროტიულზე არ უნდა დაიყვანო, ჩასაც აკეთებს ფსიქოანალიზი, და რაც მე დიდ სიბრიყვედ მიმაჩნია, ისევე როგორც მრავალ სხვას, და მეორეც: არაცნობიერის არსებობა ყოველთვის იცოდნენ, ეგ სულაც არ არის ახალი... ახალი ის არის, რომ ის მთლიანად სექსუალურზე იქნა დაყვანილი.

გუნდის ხმამალალი სტერეოსუნთქვა ისმოდა, ძლიერდებოდა თანაბარი, დამუხტული სულთქმა. შიგადაშიგ საქსაფონის წყვეტილი, წვრილი ელვა გაიკლავებოდა, წვებლასავით... და უცბად ამოსკდა მამაკაცის სასოწარკვეთილი, ძლიერი, მღვრიე ხმა: ზემოთ წავიდა.

წავიდა, შეასკდა ღრუბლებს, გაფატრა ცა და ერთბაშად გაიყინა მუსიკასთან ერთად: უდაბნოში გაგრძელდა ჩუმი ეჭო... და ისევ თანაბარ ქოშინში გადაიზარდა.

— გლიჯავს! — მერაბი რიტმულად იქნევის მუშტებს.

— ჰოდა, აქედან მივიღეთ ცირკები: თუ მამა გეჯავრება, ე. ი. დედას ელტვი ეროტიულად, თუ დედა გეჯავრება — ესე იგი მამას ესწრაფვი სექსუალურად, თუ ორივე გეჯავრება, მაშინ, მაშინ აღარ ვიცი, ან ძმა, ან და, ან შენი თავი უნდა გადელეგებდეს სქესობრივად — იციანა.

სერგოც აპყვა, მეთექვსმეტე, ხითხითებს:

— მაზალა, ხო იცი!

— ეგრე ყველაფრის გამასხრება შეიძლება! — ლადომ სერგოს გადახედა: გააცამტვერა. — ეგრე არ არის!

— რა, არ შეიძლება მამა იმიტომ გეჯავრებოდეს, რომ არამზადა ან რეგენი! ჰა? დაეუშვათ! ან დედა? რა აუცილებელია, სექსუალურად ელტვოდე რომელიმეს! მოიცა, ის ვინ იყო, ფროიდზე რომ თქვა, ფინჯანში რომ კოვზი დევს, მათ შორისაც ეროტიულ კავშირს ხედავს!

ხარხარებენ: ყველანი.

ლადო თმას უკან იყრის.

— აი, ყავა მიირთვით, — დედამ ორთქლამდინარე ლანგარი დაუშვა გლობუსის ძირში.

სერგო წამოხტა, ტანმოტრიალი.

— გმადლობთ, ქალბატონო ელენე, — ხელი შეაშველა ლადომ.

— ნუ წუხდებით, დეიდა ელენე!

— გმადლობთ!

დედა გადის.

— საერთოდ, შვილისა და მშობლის ურთიერთობა უფრო რთულია, ვიდრე ფსიქოანალიზი გიჩვენებს... მშობელი უკვე არის, — თქვა თუ არა ეს, ნაღველმა აავსო, გულმა დამძიმება დაუწყო, — მშობელი უკვე არის, შვილს კი... ჯერ... უნდა, რომ იყოს. არ გეჩვენება ეს უფრო დიდ მიზეზად, უფრო ძნელ-

ად. ყველა იტანჯება იმის გამო, რომ არ არის, ჯერ არ არის თვითონ, ენე უანმე...

— ეგ კარგად თქვი! — გულსკდა სერგო, მოხიზლული მიჩერდა.

— თანაც სული... მისი განმარტება რომ არ ხერხდება, მისი ახსნა... ამიტომ ან უარყოფენ, ან სურთ ნაწილებად დაშალონ, ატომივით, გამოაცალკავონ რაც-რაღაცეები, თუნდაც ეროტიული, და ასე ახსნან ადამიანის ქცევა თუ დაევალება — ხმა აშკარად შეეცვალა. მოწყვეტილი, უიმედოდ ლაპარაკობდა — ადამიანი კი გაცილებით დიდი კავშირებითაა განსახილველი... მისი დარდიც, ავადმყოფობაც და საქციელიც.

— არ დამიწყო, ეხლა, შენი ჭირიმე! სახელგანთქმული კაცი კი ხარ, მაგრამ... სულის ხსენებაც კი ნერვებს მიშლის! სულის უკედავებასა და მარადისობაზე რომ დაიწყებენ ხოლმე მიეთმოეთს, ასე მგონია, ნაფტალინის სუნი მახრჩობს. მაგისტანა ტიპებს კულულეებიანი პარიკები უნდა ეხურათ, თეთრი, ფუნჯებიანი გეტრები ეცვათ და მენუეტს ასრულებდნენ ხავერდის ელემენტში გამოწყობილი!

— თუ დატრიალდა მოდა, შენც გიხილავთ ფუნჯებიან გეტრებში აცუნდრუკებულს, მე შენ გეტყვი და მოდაზე მალდები! — ჩიხითხითა ვახტანგმა.

— არსებობს: რასაც ვხედავ, ვცნოს-ავ, — შეუპოვრად განაგრძო ლადომ, — ვეხები, ვბლუჭავ, ვსინჯავ და ვშილი! და მორჩა!

— ესე იგი, რუსიკო არსებობს, ამისი, — თავი ლადოსკენ გადააქნია მერაბმა.

გადაიხარხარეს.

— დიახ! სხვა არსებობა არ არსებობს და არ ვიცი მე! როდემდე უნდა კენკონ შექარმოყრილი ფეტვი! — დაასრულა ლადომ.

— ფეტვი და რეტი შენ! ჩაიგდე რა ენა ცოტა ხანს, არა გაქვს მუცელი? — ვახტანგმა ერთიანად მოიყუდ ყავა.

— არა, — გატანჯული სახით წამოიწყო მერაბმა, — ამას რომ რაიმე დარგის შესწავლა აუტყდება ხოლმე, ჩვენ

რად უნდა ვისჯებოდეთ ამისთვის? — ფირსაკრავს ხმა აუწყია და თვალები დახუჭა.

მამაკაცის გაბზარული ხმა ჩუმად მოთქვამდა ფაგოტთან ერთად... წინწილების წვიმში.

მარტოდ დარჩენილი გამომფიტავმა მოწყენილობამ აავსო. უსურველოდ, უაზროდ დასჩერებოდა გლობუსის ძირში სამხრეთ პოლუსის მოარზიებული თეთრი ლაქის ქვეშ მიმოფანტულ მუქნაღებთან ფინჯნებს.

წამოკრიფა და, მკერდთან ახუხულა-ვებული, სამზარეულოში გაიტანა.

— ცოტაც და მუშტი-კრივზე გადახვიდოდით, რაზე კამათობდით? — გაიცინა დედამ.

— რა ვიცი, არაფერზე.

— მეც მომინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ ჩემთან ხომ თავისუფლად ვერ იქნებოდით.

— მართალია. თანაც რა მოსასმენი იყო!

— ლადო, მგონი, მართლა გააბრაზეთ.

— მაგის გაბრაზებას რა უნდა... სულის ხსენებაც კი ნერვებს მიშლისო, სულის უკვდავებაზე რომ ლაპარაკობენ, ნაფტალინის სუნი მახრჩობსო...

— არა სჯერა?

— ...არც მე მჯერა, თუ განტერესებს... მაგრამ არ მინდა, რომ სხვებსაც არა სჯეროდეთ... არ მინდა, იცოდნენ, რომ არავითარი მარადიული სული და გონი არ არსებობს... ეგ ნამდვილად არ მინდა...

— აბა? იცი, რომ ტყუილია და გინდა, რომ ტყუვდებოდნენ?

— ადამიანს ტყუილი აცოცხლებს. რატომ უნდა გამოაცალო. არა?

შეხედა, დედას.

— არა, — თქვა დედამ, უფრო თავისთვის, — ვარცხბილი ყავის ფინჯანი ნიჯარა... ავზე დააპირქვევა. მერე ჩაეცინა.

— რა გაცინებს?

— ერთი ჩვენი... თქვენი საუბარი გა-

მასხენდა... გახსოვს, რეზონს რომ ეძებდა გიორგი?

ველარაფერი უპასუხა. ისევე გაება ხლართებში, აბლაბუდაში.

სამზარეულოდან გავიდა და იგრძნო, რაღაც ტყვილი გამოჰყვა, თითქოს ხიჭვი შეესო გულში. მიხვდა, დედასთან საუბრისას ეტყინა რაღაც: მეც მინდოდა თქვენთან ჯდომაო. არასოდეს უთქვამს. მაშინვე გაუკვირდა. ახლა შეეცოდა: ზოგჯერ ისიც მოიწყენდა ხოლმე ალბათ, მარტო რჩებოდა, მარტო გრძნობდა თავს. შვილებს თავთავიანთი მოულოდნელი გზებისაკენ მიუხაროდით. როცა იქ ფეხს წამოკრავდნენ ხოლმე ქვა-ლორღს, მაშინ გარბოდნენ უკან, დედასთან. ის კი იჯდა და ქარგავდა და ქსოვდა და ზოგჯერ უნდოდა მათთან ყოფილიყო, ახლაგაზრდებთან, შვილების თანატოლებთან, მათ ოთახში, უნდოდა და არ შეეძლო... ასე ხდებოდა?

აწრიალდა და ისევე შებრუნდა სამზარეულოში. ფინჯანი აიღო. წყალს შეუშვირა, მოსვა. დანარჩენი გადაღვარა.

— იყავი დღეს დიზაინერთა გამოფენაზე, ხომ გინდოდა წასვლა?

— არა, არ წაესულვარ.

— ის კაბა? იყიდე? კარგი კაბა იყო.

— არა, არ მიყიდი, — ღრმად ამოისუნთქა და სველი ტილო კედელზე მიჰკიდა.

„ტყუილად შემობრუნდიო“, — გაიფიქრა.

ნეტავ გიორგი რას იზამდა, ასეთ დროს? დედის მარტოობა რომ ეგრძნო, როგორ მოუვლიდა ამ აღმოჩენას, როგორ გაართმევდა თავს იმ ძნელ, იშვიათ წუთს? მათი კონფლიქტები სულ სხეანიარად წყდებოდა ხოლმე, კონფლიქტს ვერც დაარქმევდი. ჩნდებოდა რაღაც წამიერი დამაბულობა და გიორგი მუდამ უკან იხევდა, შშვიდობიანად... პატარაობიდანვე ასე იყო და თუ არ შეეძლო დედის ნების აღსრულება, დამნაშავედ თვლიდა თავს და დამნაშავესავით იქცეოდა. მართლა ასე იყო, თუ უბრალოდ, გულის სიღრმეში ჩაუშვებლად აფუჩჩებდა ხოლმე გაუგებრობას,

უფროს მისაგან განსხვავებით დაუდევრად უვლიდა გვერს?...  
 ...კარი გახუნით გაიღო სასტუმრო ოთახში. გიორგიმ დიდი, სპორტული ჩანთა იატაკზე დააგდო, იქ მყოფნი შეათვალიერა და განაცხადა:

— ცოლი მომყავს!

ჭეჩებზე მიმოსრიალე ენდი გაშეშდა. დაკვირვებით შეხედა შესულს და ცალ ფეხზე დატრიალდა მოციგურავესავით.

— ჰსიუ-ჰსიი! — დაუსტვინა თვითონ, და ფანჯრის მოჯანჯლარებულ სახელურს ერთხელ კიდევ დაარტყა ჩაქუჩი.

— როდის გადაწყვიტე? — მთელი სამყაროს სერიოზულობა ჩაიღვარა ხმაში ენდომ.

— ამ საღამოს, 8 საათზე, — გიორგი სავარძელში ჩაეშვა.

დედამ თავი აიღო და საათს შეხედა. 10 სრულდებოდა. მერე ისევ მშვიდად გააგრძელა რაღაც წიგნის ფურცლების აჭრა, ბრტყელი ძვლის დანით. თითქოს არ ესმოდა, რაც იქ ხდებოდა.

— როდის მოგყავს? — საქმის დაზუსტებას ისევ ენდი განაგრძობს.

— ...ორ-სამ დღეში — განაცხადა ორი საათის საქმრომ.

— ბარემ დღესვე მოგეყვანა, ხომ იცი, გადადებული საქმე ეშმაკისაა, — ჩაქუჩი დაარტყა პატარა ლურსმანს.

— ნამდვილად! — აიტაცა ენდომ, — და ჭეჩები გაუსვ-გამოუსვა იატაკს, — ხო, მართლა, ვის აბედნიერებ?

— დალი მომყავს, — სერიოზულად და მშვიდად დააკმაყოფილა დის ცნობისწადილი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მხოლოდ დალის შეეძლო ასეთი სიჩუმის ჩამოგდება: გამხდარ, ნერვიულ და ნატიფ სახეზე სიცოცხლეს დანატრებული თვალები ენთო. ვარეთ იშვიათად გამოდიოდა და ბავშვობის შემდეგ გაღიშებული აღარ უნახავთ. გამოვიდოდა თუ არა სახლიდან, მისი უფროსი დის ყვირილ-ტირილი მთელ ქუჩას ესმოდა: „დალი, მოოდინ, სადა ხარ... უკვე

შემოყვეს თაავიი... მოვიდნენ ბერიკები...“ ორმოცს უახლოვდებოდნენ დალის და, სავარძელზე და საწოლზე მიჯექული გონებასუსტი. და გაახსნედა ის ბნელი დღე...

ერთსართულიანი სახლის ფანჯარაზე ძვრებოდნენ ხოლმე ისა და მისი ამხანაგები... მაშინ დალის მამაც ცოცხალი იყო, ცოლისგან მითოვებული, თავმოყვარეობა შელახული, გაძალღებული, ლამაზი კაცი და ზოგჯერ დალიც თამაშობდა ხოლმე ვარეთ, ეზოში, ქუჩაში. ბიჭები კი ჩუმად ძვრებოდნენ კედელზე და თუ ფანჯარა ღია იყო, ამინებდნენ სავარძელში გარინდებულ, უზროდ მომღიმარე ქალს: მაკრატლის ეშინოდა. ვერ წარბებს იჭმუნხნიდა, იძაბებოდა. მერე, გამტყნარებული, ცალი თვალით იყურებოდა მათკენ... მერე კი სახეზე დონდლო ხელებს იფარებდა და ტიროდა... მამას უძახდა: ფანჯარაზე ანიშნებდა, სთხოვდა, გაეყარა „ბერიკები“ მამამისი ფანჯარაში ვერავის პოულობდა. „ბერიკები“ სახლის ძირას მიიყუნცებოდნენ ხოლმე. ვერავის პოულობდა და ბოლოს და ბოლოს სცემდა უფროს ქალიშვილს, თუ წელში წითელქაშარწაქერილი, თავშალმობხვეული მუთაქაც, კალთაში რომ უსვამდნენ, ვერა შევლოდა საქმეს. მაშინ კი... გადაფითრდა: ის, სავარძელში, სველი პირი ნელა მოკუმბა და მერე ნელა დაეღრიჯა სახე. ტირილი დააპირა. ისევ დაალო პირი, უზროდ, უბოროტოდ მიშტერებოდა „ბერიკებს“ და უგრძნობლად გაიხსნა, სათითაოდ, რაღაცნაირი ქაეკტის ღილეზი... თეთრი, მზედაუკრავი ხორცი გამოჩნდა... და ველარაფერს ხედავდნენ ამ ხორცის ვარდა: ფანჯრის რაფას მიდნობილები. ველარც დუნე პირს, ვერც დონდლო ლოყებს... ჩანდა მხოლოდ თეთრი ხორცის ნაწილი პერანგსა და ყელს შორის... და მტანჯველად დაძვარულები სისხლის დენამდე უჭერდნენ ფრჩხილებს თუნუქის რაფას... იქ კი — ქალის გროვამ მძიმე ხელებით ჩაიწია ცისფერი, სუფთა პერანგი, ზონრებიც გადაიწია მხრებიდან და მთლიანად გამოჩნდა:

მკერდი — სავსე, მძიმე და თეთრი, და აღარაფერი ჩანდა მის ვარდა, არც დუნედ დაყრილი სქელი მუხლები, არც დაღრეცილად დაწყობილი, ფლოსტებიდან ამობურცული ტერფები, არც უფორმო, სულ სველი ტუჩები და არც უაზროდ მომლოდინე, დიდი თვალები. იყო მხოლოდ ის — ფერმკრთალ-ვარდისფერ, განიერკეტიბიანი, ნამდვილი, ცოცხალი, ხელშეუხებელი და ჯუბა ყველაზე უფროსი უკვე ოთახში იყო და მას, როგორც გველის უწამფამო, მრგვალი თვალები ისე ნუსხავდა, აჭადოებდა, მბრძანებლურად ეწეოდა ხორცის ორი თეთრი, თბილი მტევანი, ეძახდა: ცეცხლი, ღამე და სიკვდილი, მარადიული სატანჯველი და მიძიმობელი. და ხელი გაიწოდა კიდევ წინ და იმ სითეთრეში ოდნავ ჩაიფლნენ გამხდარი თითები... და ორი სხვიდასტვა ხელიც იმავე სჩადიოდა წამების შემდეგ... და უცებ შედგნენ და გაიყინნენ: რალაც, თითქოს ყმულიმა თავზარი დასცათ. გამტანარებული, უაზრო სახე აშლილიყო, აჭრილიყო, ცახცახებდნენ სველი ტუჩები... და სიციხეამდგარი, დამრეცი თვალები ანთებულიყვნენ და აჭამდე დუნე, უგრძნობელი გროვა ხორცისა ატოკდა, აწყმუტუნდა-აყმუვლდა და რიტმულად დაირწა სავარძელში... და ამ ყმულიზე უკან-უკან იხევდნენ, უცხო აღმურში ნელა ჩაუდგათ ყინულის ზოდი, ხორკლიანი თოში. საითთაოდ გადახტნენ ფანჯრიდან და დაინახეს: დალიმ და გიორგიმ შეიბრინეს ეზოში, პურსა და ყველს ილუქმებოდნენ გზად-გზა, სახლში შევარდნენ. თვითონ ისევ აბტა კედელზე. სლუქუნი და წკმუტუნი ისევ ისმოდა. მალულად შეიჭყიტა ფანჯრიდან: დალი შევიდა დის ოთახში: და გაჭავდა. ცხრა წლის კუმტი, გაცნაქული გოგო, „რა მოგივიდა“: ამოთქვა, მერე დის ვადადელილ, აფორიაქებულ, დაწითლებულ მკერდს მიმტერებულმა: — „რა მოგივიდა?“ — დაიხურჩულა და მიუახლოვდა. სავარძელი ისევ დაირწა და მან წკმუტუნით დაიკურა ხელი ტანზე: „მოიყვანე ბერაიები“. აკან-

კალებული ბავშვი ნელა მიუახლოვდა. მთელი ძალით მოიჭინა და დასწია გააწა. მოისმა შეყმუტუნება და მამამალალი ზლუქუნი: „რატომ მცემ, დალი-კო, მე მტკივა აქ... აი, აქ მტკიოდა...“ დალი მერე ოთახში გავარდა, და მერე ფანჯრისკენ გაცოცდა თვითონაც. სკამზე დააწყდა და მაგიდაზე დაემხო, დალი, ხელები თავზე გადაიფარა: ტირიოდა, უკანკალბედა გამხდარი მხრები, „რა მოგივიდა?“ — ლულულეებდა თავზარდაცემული გიო და სხვას ვერაფერს ვერა ბედავდა და მერე უილაჯოდ დალი მაგიდაზე ყველი და პური.

„ნამდვილად მოიყვანს“, — გაიფიქრა და უკვე შეეგუა მათ ცოლქმრობას. გიორგი ჩიუტი იყო. როგორც ყველა ამ ოჯახში, და:

— რატომ მოგყავს? — ჩუმად იკითხა დედამ, თავაულებლად.

— იმიტომ... რომ ვუყვარვარ, — დაიბნა გიორგი, — თვითონ მითხრა... დღეს, ამ საღამოს... 8 საათზე.

„ეს 8 საათი რაღა ოზრობაა“, — გაიფიქრა და ისევ დასცხო ჩაქუჩი ლურსმანს.

გიორგის ეტყობოდა, თავისი აზრით, ყოვლის ამხსნელი და ყველა შემდგომი შეკითხვის გამაუქმებელი მიზეზი რომ დაასახელა.

დედამ ხელები კისერზე მოიქცია, ცოტა ეწვალა და მოიხსნა ჭაჭვი, იქვე პატარა მაგიდაზე დაუშვა. შემდეგ სავარძლის ზურგს მიენდო, მთლიანად, და სადღაც იკითხა, ჰაერში:

— თვითონ უნდა?

— რა? — დაიბნა გიორგი.

— შენი ცოლობა.

წახდა გიო. ენდი ისევ გაჩერდა, ქეჩებზე. თვითონ ძირს დაუშვა ჩაქუჩი.

— ...არ მიკითხავს...

— აბა, რა კითხე! — დოინჯი შემოიყარა ენდომ, — ძალიან საინტერესოა!

— რა უნდა მეკითხა... რა უნდა მეკითხა... აღამიანმა მითხრა, მიყვარხარო დალი, ხო იცი, ტყუილს ხო არ იტყვის... და რაღა უნდა მეკითხა!

— დარწმუნებულნი ხარ, რომ ცოლო-

ბა უნდა შენი? — ამოიხრა დედა.

— თუ ვუყვარვარ, აბა რა უნდა უნდოდეს, გამაგიყვებს ეს ხალხი!

— სიყვარული, — ვერცხლის ქალღმრთლის ჩიტი გასრიალდა მთვარიან ღამეში: ხმა იყო ისეთი. დედამ ხელი გადასწია და ვერცხლის ჯაჭვი პეშეში ჩამალა.

— მეც ხომ მიყვარს. რანაირად შეიძლება დალი არ გიყვარდეს...

— ეგრე ხომ ენდიც გიყვარს, — ჯაჭვი რგოლებად დაეხვა.

— ენდი! როგორ არა, ვგიყვები პირდაპირ! მიყვარს, კი ეს რა საყვარელია! — აბუზღუნდა და სავარძელში თავგზააბნეული აწრიალდა.

— არა, შენა ხარ საყვარელი! ძალიან არ შედარდება, თუ არ გიყვარვარ! ვინც გინდა, ის მოიყვანე! ყველა მიხვდება, რა გენიოსიც ბრძანდება! — თავისაზე გამწარდა უცბად უღანაშუალოდ შუაში გამოჰყვებოდა ენდი.

— გენიოსა მოგცემ, თუ ავდექი! დედა ჩუმდაა. თავდახრილი. თითქოს არ ესმის, ირგვლივ რა ხდება.

— ჰკითხე, გიორგი, — ამბობს ხმადაბლა, მერე.

— ყოველშემთხვევაში ქორწილის დღე მაინც შეატყობინე, მომზადება ხომ უნდა! — განგებ ჩაიქირქილა ენდომ, განგებ ღვარძლიანად და დედისკენ დაიხია.

— ენდი, წადი, ჩაი გამორთე! — წამოწგა დედა.

გიორგის ხმა დაეწიათ.

— დედი! გაჩერდა.

— დედი, შენ რომ კაცი გიყვარდეს და იმან ხელი გთხოვოს, არ გაყვებოდი?

— თუ არ ვეყვარებოდი... არ გავეყვებოდი... მე არ ვეყვებოდი.

გიორგის ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა იმ ხანებში. ერთი კვირის დამთავრებული ჰქონდა სკოლა. თბილისის ჩემპიონი იყო ძიუ-დოში. მერე ჰიდაობას თავი დაანება და კარატეს შესწავლას შეუდგა.

„შენ არ შეიძლება კარატე იყოდე“, — უთხრა ერთხელ. „მე? რატომ?“ —

გაუკვირდა გიორგი. „აუცილებლად გამოიყენებენ!“ გიორგი წაფიქრდა. ისე, კაცმა რომ თქვას, აბა რისთვის არსებობს? — იკითხა მერე, უფრო თავისთვის. „შენ ადვილად გამოიყენებ, და თავს დაიღუპავ“ — „ნუ გეშინია, მე კარატეს გარეშეც იოლას გავდიოდი ყოველთვის“. იოლას გადიოდა. ასე იყო. გამორჩეულად ძლიერი იზრდებოდა. ჯერ კიდევ მეცხრე კლასელი, ატრაქციონის რკინის ვერძს ისე ლალად და ლონივრად გასტყორცნიდა ხოლმე, რომ იჭაურობა ზანზარებდა ძლიერი მიხეტქებისაგან. მაშინ კი, მაშინ. თორმეტი წლისა იქნებოდა, უმცროსი ძმა, პო, თორმეტის... რადგან თვითონ სკოლას ამთავრებდა... და სკოლიდან მოდიოდა... თავიანთ ქუჩას მიუყვება. ქუჩაში ბავშვები არიან. ენდი: დღეს პირველად გამოვიდა გარეთ, ნაავადარი. შებორკილი, ოღნავ დუნე მოძრაობები აქვს, ერთიორი დღე კიდევ სჭირდება, ვიდრე ფრთებს გაშლიდეს და ქარბორბალას ვით დატრიალდებოდეს. ამხანაგებთან დგას. შევიღირვან წლის გოგოები დგანან და იფიქრებენ: „ანა ბანა წიცა, რუსების ბალნიცა, ეი, გედევანო, ნაშე კაპიტანო, ბალნიჩო.“ მერე მიწაზე თეთრი ცარცით ხაზგანს: „კლასს“ და თავთავიანთ საგანძურს იღებენ. ჯიბიდან: ფრიალა „სალკეშს“. უცბად დიდთავა გოჩა ენდისთან მირბის და ხელიდან „სალკას“ გლეჯს... გოგოები გამოეკიდნენ... ენდი დაეწია, დაეჭაჯურა, ამხანაგებიც ეხმარებიან, მსუქანი დოდო მუშტს ურტყამს ზურგში დიდთავა გოჩას... იმან კი ენდი წააქცია... და მუხლით მუცელზე შეადგა... ცდილობს მუჭი გაუხსნას და „სალკა“ წაართვას. გული გაეყინა. ამის დამნახავს. მივარდა, ქეჩოში დასტაცა ხელი და გვერდზე მიადგო: დიდთავა, მძიმე, ენდი წამოიღგა, გაფითრებული, ტუჩები გალურჯებია, ძმას არ უყურებს: მიდის. მხრები უტოკავს. გოჩა ღრიალით გარბის სახლისკენ და ცოტა ხანში გამოდიან: უკან მოსდევს მამამისს, თვალს მუშტით ისრესს. მოდის, მუცელს მოჰყვება: გოჩას მამა,



წაზრდილი ნეკა ფრჩხილით კბილს იჩინქნის. გული აუშვებდა. ცდილობს იმათკენ არ გაიხედოს... ჩანთას კრავს. აი, გიორგი გამოჩნდა, ძმაცაცთან ერთად. მოპარულ აგურებს მოათრევენ. ახლა კარს მოაწყობენ ქუჩაში... მსუქან დოდოს ეხვეწება, ყელს უწვევს ორი თითით, მეკარედ დაუდგეს. ისიც, გიო უყვარს, ჯერ გაიდრიცა, და მერე აბაჯბაჯდა ბატივით, დრუნცა, ჩადგა აგურებს შორის, დაიხარა, მსუქანი მუხლი მოიფხანა, მერე ჩუმად ავიწროებს კარს... ის კი მოდის, უახლოვდება, ნეკზე ფრჩხილწაზრდილი... ამხანაგები კაბას უწმენდენ ენდის, „ღებილი, ღეგენერატი“ — იძახიან, გოჩას ამკობენ, გიორგი ენდის უყურებს, მერე მიდის: „რა მოგივიდა!“ ენდი ზურგს აქცევს, და: „ხო არ გინდა, შუაზე აგხიო, შე ნაბიჭვარო?“ — უკვე აქ არის: სხვისი მამა, და ფორმის საყელოში ეჯაჭვურება, ანჯორევს, ანჯორევს და ხელსა კრავს... წამიერად შეიგრძნო: კისრის მალეობი ატყინა გოჩას მამის მოხრილმა ფალანგებმა. ჩანთა უვარდება და: „ხო არ გინდა შუაზე აგხიო? ჰა?“ — და ხელსა ჰკრავს ისევ, ჩანთისკენ დაბრარის და ძირს აგდებს და წამოდგომას რომ აპირებს, ისევ სახეზე აფარებს გაჩაჩხულ ხელისგულს, კუს თათს რომ აგონებს. „შე მათხოვარო, შე ნაბიჭვარო!“ — არყის ოხშივართან ერთად ისერის სიტყვებს, გოჩას მამა და იმის გაჩაჩხულ ფალანგებს შორის ცა მოჩანს... და უცბად მისი შეშუპებული, ზარმაცად გავეშებული სახე შეიშალა. „ვაიმე, მოჭკლეს!“: ყვითელ, ძირებჩაშავებულ კბილებშორიდან ღრიალი ამოსკდა და სისხლმა იფეთქა დატალღული პრიალა თმიდან... და „გიოო!“ გაისმა ენდის კვილი და თვალი მოჰკრა დის მუდართით გამოწვდილ ხელებს... და გიორგის ჰოკეის თუ რალაციის ჭოხი აღუმართავს და მხრებში მოხრილს ცეცხლი სცეცია თვალებიდან. ერთმანეთზე უზომოდ დაჰკერილმა კბილებმა ლამის კანი ამოახეთქინონ გამხდარ ყვრიმალებს და ახლა გატყორცნილ ჭეკასავით შეუქცევე-

ლი, სიბნელეში გასროლილი მთელი მისი არსება ერთადერთ სიტყვას უცხერის: „მოკლავ!“ და ბოღმისკენ შეუწრს ცხეთფისა და შურისძიების მძინეწარე ხანძარში ცახცახებს: პატარა, გონდაკარგული... ვილაყეები მორბიან, უფროსები, და გაზეთილი თავიდან სისხლი მოთქრიალებს, და შავად დაფჩენილ პირში ჩადის და იქ ხორხიდან ამოხეთქილი ღრიალი აბუებუყებს და სადღაც ყანყალებს დიდი, ახლადგაპარსული, ბუნებრივკოპებიანი თავი და მახინჯი გოჩა ყვირის: „ვაიმე, მამიო!“

რამდენიმე დღე თვალს არიდებენ ერთმანეთს, შინ, და-ძმანი, განსაკუთრებით თვითონ — უმცროს ძმას, და სირცხვილის ხელიკი უსხმარტალებს გულმუცელში და ბუნდოვანი ზიზღისა და სირცხვილის აბანოში იგუდება და საბანს რომ თავზე წაიფარებს, როცა ღამდება, ეს ურჩევნია, სულ სუყველაფერს... და დრო რომ გავიდა, ახლაც, დღემდე, ყველაზე მეტად ისეთი ეცოდებოდა უმცროსი ძმა, მაშინდელი, იმდღევანდელი: გასრესილმა სიამაყემ და სისხლის ტკივილმა შურისძიების ბნელ, ცოდვიან, ნეტარებამდე მისულ ხანძარში რომ ისროლა. „მოკლავდა“ — და ამოსახეთქად ამობურცული ყვრიმალეები უდგებოდა თვალწინ, „მოკლავდა, იმიტომ, რომ მამა არა გვეყავს“.

ქუჩაში გასვლა ტანჯვად გადაეჭკა, დიდთავა გოჩას დანახევაზე აერყოლებდა... ველარ იშორებდა გონებიდან იმ წუთს, მიწაზე განრთხმული, ამოდ რომ ცდილობდა წამოწევას... და ზემოდან, ცის მხრიდან რომ მოიწევდა გაფარჩხული, წითელი ხელისგული — გიგანტური კუს თათი, რათა დაესრისა, მიწაზე დაეჭყულიტა, ცხვირ-პირით მიწაში ჩაეზილა... და დასჩემდა გაუთავებელი დიალოგები იმ ნეკზე ფრჩხილწაზრდილ ნახევარცხოველთან, გაუთავებელი დიალოგები, სადაც ოსტატურად უგებდა სიტყვაში, ამხელდა როგორც ტლუს, რეგვენს, არარაობას, აცამტვერებდა. ანდა უარესი: უამრავ საქმეს აყეთებდა მის დასახნახად: რადგან ის აქ ეგდო, აქ ჩაუსახ-

ლდა, ამ ოთახში. უცბად დგებოდა, საკმიანად ატრიალებდა გლობუსს, წერდა, რალაქს ეძებდა წიგნებში, იყვანდა ურთულეს ამოცანებს, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე, რათა დაენახა — თმატალლოვან ცხოველს, რა მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა ის ადამიანი, რა უსასრულოდ მალა იდგა. სურდა გაესრისა თავისი მნიშვნელოვნებით! უნდა შეეგნო ზეთიან გომბეშოს — ვისზე აღმართა ხელი! ანდა არაფრად აგდებდა, აჲ, ამ ოთახში ჩასახლებულს — სტვენა-სტვენით ივარცხნიდა თმას, ლილინით ხაზავდა, რთავდა მუსიკას — ფეხი ფეხზე გადადებული, უსმენდა დიდხანს: — თავისთვის იყო! და სურდა ათასი დეტალით გაემტკიცებინა ეს თავისთვის ყოფნა, დამაჯერებელი გაეხდა. რადგან უკვე ეგრძნო: თავისთვის მოფუსფუსე ადამიანს, რომელიც შენ ვერ გამჩნევს, ვერა გხედავს — რალაც მომუხსველი ძალა აქვს. ეგებ იმიტომ, რომ ძალიან ბუნებრივია და მართლა არის, რადგან ვერავის ვერ ამჩნევს ირგვლივ... შენ კი მასზე ხარ მიჩერებული, არა ხარ დამოუკიდებელი და თავისთავადი და იმიტომაც სუსტად გრძნობ თავს... და ასე თავისთვის ცდილობდა ყოფნას — რადგან ის აჲ იყო, ოთახში იყო — გოჩას მამა.

იტანჯებოდა! წვალბოდა! სამუდამოდ სიძულვილშეყრილს ცის მზრიდან დაშვებული კუს თათი უღვივებდა შმაგ სურვილს, ამაღლებულიყო ამ მახინჯებზე, უბადრუკებზე, ყველაზე — ჩვეულებრივებზე! გაზრდილიყო, ზემოთ წასულიყო, ცისკენ, გასცილებოდა გაფარჩხულ ფალანგს და ზემოდან დაეფურთხებინა მეჩხერბალნიან ხელის ზურგზე... და არა მარტო ეს ხელი, სხვისი მამია... თავისი მამაც გადაჰქცეოდა უხილავ და მუნჯ მოკამათედ, დიდი ხანია ხედავდა მის ზურგს, დიხ ზურგს — არა, იიც, ისიც კი არა, პირველ რიგში, ის ის ზურგი უნდა შეცახცახებულიყო სინანულის მგესლავი ნესტრით: მას უნდა დაენახა — ვისგან წავიდა!

და გაოგნებული, განცვიფრებისაგან

3. „მანათობი“, № 8.

ელდნაყრავი შეჩერდა ერთ დღეს, /ქუჩაში: გიორგი შურდულუს უცხოვრებში... დიღთავა გოჩას და ტყეპნასტყეპნასს უკმაგებს ჰქუას:

— ჰოდა, შენი ბრალი იყო, რისთვის გამოიყვანე მამაშენი, რა, მათე მოგკლაოდა თუ რა, ერთი წაგარტყა, დიდი საქმე! მე კიდე მოგვლავდი, და უთხარი მამაშენს, რა, თუ რამეს დაუშავებს ან ჩემ ძმას ან ჩემ დას, მივეპარები და ქვას ჩაუშვებ თავში, ვერ დამეწევა და ვერაფერი, რას მიზამს!

— გენაცვალე სულში! — ამბობს დიღთავა გოჩა და ზეთიან მაჰკატს იტენის პირში — გამეხარდება!

— გაგეხარდებაო? — ნელა უკვირს გიორგის და ძაფს უჭერს შურდულზე. — ხო, — ილმურძლება, — ვირია და იმიტომ! დედაჩემს, იცი, როგორი ჩაარტყა ზურგში წუხელ? მე კიდე ტახტის ქვეშ შევძვიერი.

— დედაშენს არ მიეხმარე? — როგორ უნდა მიეხმარო, მეშინია... როცა ბრახდება, მეცა მცემს ხოლმე და თან დებილს შეძახის... რასა გავს ეს უპატრონო, ესე ამბობს ჩემზე, როცა მთვრალია. მართლა დებილი ვარ?

— ნწ. რამ გაგადებილია. დაშინებული ხარ. რო გიზრდები, მამაშენის აღარ შეგეშინდება. მანამდე კი, იცი, რა ქენი? ივარჯიშე. ცოტაც და, დიდი რა იქნები, მამაშენი ფეხებსაც ველარ მოგქამს, ველარც დედაშენს დააყარებს თითს. — მეორე რეზინიც დაამაგრა.

— გიო, ძალიან დიდი თავი მაქვს? — პირდაღებული შესცქერის, დიღთავა, ცხიმიანტუჩებიანი.

— მოგცლია! თავი ზოგს დიდი აქვს, ზოგს — პატარა, დიდი საქმე! ეხლა ტანი გაგეზრდება, თავი აღარ, და მერე, დიდი რა ვახდები, აღარ გამოგიჩნდება დიდი თავი. ივარჯიშე.

— მართლა? — ხო. მთავარია, ცოტა გაყოჩაღდე. გოგოებს რო ეჩხუბები, სირცხვილია, ქალაქუნას დაგიძახებენ.

— შეძახიან, — ჩაქბიჩა, მაჰკატი, —

— „გოგოების მარალკას“ შეძახიან. მა-

მაჩემი კიდე ხანა მცემს, ხან მეფერება, ხოდა მეც იმიტომ უთხარი მაშინ. მათემ მცემა-მეთქი, რო მომფერებოდა...

— აჰა, შურდული, ბავშვებს არ მო-  
არტყა...

როგორ შეეძლო ასე უმტროდ ელა-  
პარაკა იმ გონებასუსტ მახინჯთან, ვისი  
გულსთვისაც დატრიალდა ეს ყველაფე-  
რი, მაჭლაჭუნასავით რომ დაასკდა მათ  
დაა, იმ კაცზე, ამაზრზენ ურჩხულად  
რომ ჩაეჩაჩხა სულში! „გოგოებს ნუ  
ეჩხებები, სირცხვილია, ქალაჩუნას და-  
გიძახებენ“ — რა უბრალოა ყველაფე-  
რი, რა უბრალო და რა საშინელი... რა  
უბრალო და რა საშინელი, და უილაჯოდ  
შენატრა გიორგის, შენატრა თუ შეშუ-  
რდა..

უცებ ხალხმა დაიყვდა, საღლაც, გარეთ,  
ქუჩაში აყვდა, მეზობლის ძალი, ალ-  
ბათ, ან უპატრონო, მაწანწალა ძალი:  
არავისი. შეერთა. კარადას მოშორდა,  
ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გასწია.  
აქედან მაინც ვერ დაინახავა. ეს ფან-  
ჯრები ეზოში გადის. უცნაურად ყვფდა  
ცხოველი. თითქოს დარდი აყვებდა  
და მარტოობა, არავის ერჩოდა, თავის  
შფოთსა და წრიალს უყვფდა, თითქოს...  
ან მთვარეს შეპყვფდა მალა ღრუბ-  
ლებში: რალაცას გრძნობდა მისგან მო-  
მავალს, ყვითელი კენჭელიდან უცნაურ-  
ად ძირს ჩამოდენილს... შემამფოთებ-  
ელს... „ნუთუ მართლა ხედავენ სულებს?  
რატომ ყმუიან, ვინმე რომ კვდება?“  
ძალმა დაიყმუფელასავით, მერე საწყ-  
ლად, ობლურად აყმუტუნდა... შეაყრია-  
ლა, ფარდას ხელი შეუშვა და სავა-  
რძელში ჩაჭდა. „ნუთუ მართლა ხედავენ  
სულებს? რა ჯანდაბა აყმუფლებთ, აბა?  
პაპიღო მთვარისამ რომ უამბო, ერთხელ...  
მათ სოფელში კაცი მომკვდარიყო. იმ  
კაცის ძალს რომ მთელი დამე ეყ-  
მუფლა, როცა კაცი კვდება, ეგ არ-  
აფერი. მერე დამწყვდიათ ის ძალი.  
როცა კაცი დამარხეს და მეორე, მესამე  
დღეს საფლავზე მიდიოდნენ ჰირისუფ-  
ლები, ძალიც აყმვათ. შემდგარიყო  
ერთხანს ეზოში, სახლის წინ, ერთი შე-

ეყმუფლა სახლისათვის, მერე ჰირისუფ-  
ლებს გაჰყოლოდა, მერე მათთვის კავ-  
სწრო, ასულიყო სასაფლაოზე, იქ სამი  
ახალი საფლავი ყოფილიყო, ერთ დღეს  
გაჰრილი, ერთ დღეს დაეკრძალათ სა-  
მივე: ორი კაცი და ერთი ხნეერი ქალი...  
თანაც ერთმანეთის მახლობლად. ჰირი-  
სუფლებიც რომ ავიდნენ, ხედავენ: თა-  
ვისი პატრონის საფლავთან ზის ძალი  
და წმუტუნებს საცოდავად. თან მისი  
პატრონის საფლავი იმ ორის შემდეგ  
იყო, რალაც ნამდვილად იციან. ზუსტად.  
შეუმიცდარად. იბადებიან ამ ცოდნით,  
არა წვალბენ. თანდაყოლილი საჩუ-  
ქარია. მადლი. მარტო კაცი იბადება  
არაფრის მცოდნე, არაფრის მაქნისი. ტა-  
ნჯვით და წვალებით აყოწიწებს რალაც  
ცოდნას, გამოცდილებას. ნამცეც-ნამ-  
ცეც აგროვებს. ისიც სწორსა თუ  
მცდარს,, ეშმაკმა უწყის. ძალით გლეჯს  
ბუნებას ყველაფერს, თავისი თავიდან  
ძალით და გარჯით ამოაქვს ნიჭი, უნა-  
რი, ჯახირობა, შრომობა. მათ კი უწყა-  
ლებლად იციან: რალაც მთავარი. შიგნ-  
ით არიან. ბუნების გულში. სამყაროს  
შვილები არიან. ხედავენ, გრძნობენ,  
გუმანი აქვთ. გერი კი სახლის გარეთაა  
და ცდილობს ძალით შეიჭრას შინ. თა-  
ვგზაბანეულია: ტყუილი და მართალი  
ვერ გაურჩევი, ერთმანეთში გადასდის.  
მთელი ცოდნა შესამოწმებელია. რასაც  
აგროვებს, რასაც შეიძენს. არ უნდა გა-  
მრავლებულიყო წესით, მოდგმად არ  
უნდა ქვეულიყო, უნდა ეგოგმანათ იმ  
ძვირფას წალკოტში დედალ-მამალი ხო-  
ბებივიით: ერთადერთ ქალსა და ერთ-  
ადერთ კაცს. მათი ნაყოფი არ ყოფილა  
ჩაფიქრებული. მხოლოდ ცხოველის,  
მხოლოდ მცენარის ნაყოფს შეჭხაროდა  
დამბადებელი. ვერ შეიშნოვეთ სახლი  
და ჩერო? მიბრძანდით გარეთ! იყიალ-  
ეთ უპატრონოდ და უმისამართოდ. ეგ-  
რე. მას შემდეგ კარზე უკაკუნებს სამ-  
ყაროს: გამიღე კარი! მაგრამ პაროლი  
არ იცის: სეზამ გაიღე! და ითოშება გა-  
რეთ, კარწინ ატუზული: ეგრე. ზედმე-  
ტი, უსახლკარო, უადგილო, ობოლი,  
გერი და ბუში — სამყაროსი. მაგრამ

უადგილობაა სწორედ მისი შემაშინებელი სიდიადის სიმპტომი. ცხოველი განხორციელებული იბადება. მცენარეც. თავიდანვეა ის, რაც არის. თავიდანვე თავის ადგილზეა. შემდგარია: ზუსტად განხორციელებული კოდით, მეტი არაფერი: თავისთავს ემთხვევა, თავისთავშია: პირთამდე გალიცლიცებული ფინჯანი. ადამიანი ჭერ არ შემდგარა. ის შესაძლებლობაა, განვითარებადი, ელასტიური არსია: ჭერ გზაშია თავისთავისკენ, სახლისკენ. შორსაა. წინა აქვს თავისი თავი, როგორც ფინიში, როგორც სამიზნე. სულ სხვა რამ შეიძლება გახდეს, ვიდრე არის. ის არის: რაც უკვეა და რაც ჭერ არ არის. თავისთავზე მეტია. არსი მეტია და გამოვლენა ნაკლები! ფინჯნიდან წყალი გადმოდის. ან პირიქით: წყალი ნახევარ ფინჯანს აესებს. გააჩნია, წყლად რას მიიჩნევ. და კაცს შეიძლება ფრთები გამოებას, შეიძლება ეშვებ-ბრქყალეები. ხომ შუაშია? ცხოველსა და ანგელოზს შუაა ჭერჭერობით გაჩხერილი. ჰოდა, საით წავა, ლმერთმა უწყის. შეიძლება ლმერთმაც არ უწყის. ყოველ შემთხვევაში, ძალას ნამდვილად არავინ ატანს. არა. მაგას ვერ წაართმევ მამას და გამაჩენს. თავისუფალია. გერი თავისუფალია. ჰოდა, როგორც მოიქცევა, ისეთი გახდება. თუ კარგად მოიქცევა, დედა ჩაიხუტებს. თუ არადა... ტარტაროზი. შეიძლება აყმუვლდეს, ალაველავდეს და ოთხზე დაიწყოს ხტუნვა, შეიძლება... ნათელში გაბრწყინდეს და ჩიტვით აფრინდეს, ასეროს ლაყვარდები. ყველაფერი წინა აქვს. ცხოველი ადამიანს წინ უცდის, უკან კი არ ჰყავს მოტოვებული. მოკლედ, ისევე დასაბადებელია. ისევე ფეხმძიმედაა სამყარო: ადამიანზე, რამდენსაუქუნოვანი ორსულობა სჭირს. რით ველარ გააჩინა საბოლოო ადამი!"

ძალმა ისევე წაიტირასავით და გაჩუმიდა. „ყველაფერი ტირის. ავადაა. სტკივა. სამყარო კი არა ლაზარეთია. სამყარო — გატანჯული მელოგინე, საბოლოო მშობიარობისათვის ემზადება. ყველა-

ფერი ტირის. კენესის მეტი არაფერი ისმის. კენესა და ოზერა...  
 ზიზღის მითხრობა

ვივარითმის გრძელ სარდაფში შევიდა... გალიებს მიუახლოვდა.

— ავადა ხარ, მალხო? — გალიასთან ჩაცუცქულმა, ყელშეხვეულმა ბიჭმა გისოსებში შეყოფილი ხელი ლამაზ, ყავისფერ ძაღლს გადაუსვა და ადგა. გალიაში ხუთი ძაღლი დაწრიალებდა...

— ყელი სტკივა, — ელისაბედმა მძიმედ გააცურა ჯოხზე. წამოცმული სველი ტილო წითელ ლინოლეუმზე და ლურჯძარღვებამობერილი დაკოყრილი ფეხებიც მძიმედ მიჰყენენ სველ კვალს, — ანგინა აქვს. სკოლაში ვერ დადის... ერთი კვირაა აქ დამყავს და... ამ ძაღლს გადაეკიდა — რალაცნაირად შეხედა, შემმოწმებელი მზერით...

„ამბობენ, აყვანილი ჰყავსო. ასეთმა ხნიერმა რომ აიყვანა, რასა ფიქრობდა... ძლივს დადის. ეს კი კარგი ბიჭი უნდა იყოს, მალხაზი. თუმცა, უხასიათო ჩანს ცოტა.“

— რაო, მალხო. მოგწონს ეგ ძაღლი? ბიჭმა თავი დაუქნია და იმანაც დედამისივით შეხედა: მომსინჯავად.

— სახელი დაარქვა. — სველი ტილო გისოსების ძირში მიჰყლიტა, ელისაბედმა.

— რა დაარქვი?

— რინგო.

ძაღლმა ყურები ცქვიტა, გაფაციცდა, კუდი გადაიქნია და ჭერ ბიჭს შეხედა, მერე მას.

— მაგისი შიშით ველარ გავჯავრებივარ, წელან ყური ავუწიე და ისე გამომლრინა და ისეთი ყუფა ამიტება, გააყრუა აქაურობა... როდის გაიყვანო? — ისევე ისე შეხედა.

— ერთ კვირაზე ადრე ვერ გავიყვანო. კანცეროგენი გაგვითავდა... ისე, რომ ცოტა ხანს კიდევ მოგიწევთ ამათი მოვლა, ხომ ნორმალურად არიან?

მალხო მკლავს უკან აეყუდა, დედას, და რალაც წასჩურჩულა.

— ჩაიწყვიტე ხმა! შე ვინა მკითხავს, — ხმამალა გალიზიანდა ელისაბედი,

მიბრუნდა და მხარზე უჩქმიტა რაღაცის ჩუმად მახვეწარ ბიჭს.

ძალი გისოსებს მოაწყდა, გააფთრებული.

— რა უნდა? რატომ უწყრებით?

— ძალი მაჩუქონო, ერთი ძალით რა დააკლდებათო, — ამოისროლა გაწვალებული სათქმელი.

— რინგო გინდა, მალხო? — ძალღმა ისევ ცქიტიტა სახელზე ყურები, დაძაბული მიაშტერდა სამივეს, კული ვადაიქნია.

— იცი რა, ვკითხვებ ამბროსის, ცხოველებს ის იწერს... უშუალოდ.

— მზადა გაქვთ კანცეროგენი? — ლაბორატორიის კარი შეაღო, სამი-ოთხი დღის შემდეგ.

— მზად არის, — მიეგება ამბროსი, ხელებს იწმენდა თეთრ ტილოზე. ხუთილა არ დარჩა?

— ჰო. ხუთი. ბატონო ამბროსი, ერთ ძალს ხომ ვერ დამითმობთ? ელისაბედის ბიჭისთვის მინდა.

— აბა ელისაბედი? ა, ჩვენი ელისაბედი? რა არის, იცი? ზუსტად ხუთსაი თავდება მაგ ბოლო ხუთით... ზუსტად გამოგზავნეს... სხვა დროს ხან გვაჯლდება, ხან ზედმეტია და რა ვიცი, — დაახველა, — ერთი ძალისთვის არ ღირს სადგურის შეწუხება...

— ეგებ ჰყავდეთ, სადმე, ზედმეტი...

— კარგი, დავურეკავ, ვნახოთ.

დარეკა. თავი იქნია ცოტა ხანს. „აბა, აბა“ — იძახა და „დიან-დიან“-ის შემდეგ „გასაგებია“-თი დაამთავრა. ყურმილი დადო და ხელები გაშალა:

— რეიდები თბილისში და მის გარეუბნებში უკვე დამთავრდაო, თქვენი გულისთვის გარდაბანიც და წყნეთიც კი შემოვიარეთო, ორ-სამ თვეს აღარაფერი იქნებაო. რა ვუყოთ, აბა, მე და შენ ხომ ვერ გამოვუდგებით ძალლებს ქუჩაში, ის რომ ამას მიცვეთ, სამი თვის შემდეგ ავურჩიოთ ერთი კობტა ნავაზი და ვაჩუქოთ.

— იმას ის ძალი უნდა, რინგო.

— რა რინგო!

— სახელი დაარქვა და შეიწვია.

— რინგო? რა ვქნათ... არ გამოდის, არ გამოდის! მისძინე. დღეს მოსკოველ ბიოკიმიკოსთა ჯგუფი გვყავს სტუმრად. ძალიან უნდათ შენთან საუბარი... მე აქ ვიქნები...

ორი დღის შემდეგ „პალმას“ სთხოვა ძალღების შემოყვანა. „მარტო ვერ შევძლებ!“ — უპასუხა ნაწყენმა. ერთად წავიდნენ. ყაზარმასავით ვრცელ სარდაფს ყეფა, ღრენა და ელისაბედის ყვირილი აყრუებდა.

ქალი დაუნდობლად ურტყამდა ბიჭს. ძალი გალიას ანგრევდა, გააფთრებული ყეფდა, მალხო ხელებს იფარებდა თავპირზე.

ბიჭი ხელიდან გამოგლიჯა ავადმყოფ, გააფთრებულ ქალს.

— გაპარება უნდოდა! გალიაა ხსნიდა! — შექქოშინა ჭალარა-თმააწეწილმა, — შენი ჭირიმე, მათე, — „პალმას“ გადახედა, — ამბროსიმ არაფერი გაიგოს, ხედავ, რა ამბავშია? — გალიასაკენ გაიშვირა ხელი. მერე ხმას დაუწია, — დილიდან საღამომდე ეჩურჩულებოდა, ლაბორატორიის კარს ანახებდა, იქ რომ ხორცს მოგვემენ, არ შეჭამო, ხორცის ნაჭერს აჩვენებდა, რაღაცებს უჩიჩინებდა... საკმელიც უქმევი. შშიერი არ არის. ამბროსიმ არაფერი გაიგოს, შენი ჭირიმე.

„პალმა“ გალიას მიაწვა და გააგორა. თვალი გააყოლა: „მარტო ვერ შევძლებ!“ გააჯავრა გულში, — „დურაკი!“

— რინგო! — დაიყვირა ბიჭმა.

ძალი გისოსებს მოაწყდა. ელისაბედმა მალხოს თავპირი დონდლო, სქელ მკლავებში მოიქცია, ჩაჩურთა და პირზე ხელი დააფარა.

ლაბორატორიის კარი მიხურეს.

„ამბროსიით“ გაუღენთილი ახალი ხორცის წითელი ნაჭრები გისოსებში შეფრინდნენ: „ვარდებს ისერიან გისოსებიან მანეთზე“. ძალღები ხარბად დაემგერნენ ხორცს. რინგოს არ შეუხებდავს, ნერვიულად წრიალებდა...

— ის რატომ არ ჭამს? — მაშინვე შენიშნა ამბროსიმ.

— რა მოგახსენოთ!

„პალმამ“ ჩაიცინა.

— ბატონო ამბროსი, მე აქ საჭირო აღარა ვარ, საქმე მაქვს, ზემოთ... თუ რაიმე დაგჭირდეთ, დამირეკეთ.

რინგოსთვის რის ვაი-ვაგლახით, ზონდით ჩაეხსათ წყალში განზავებული „ამბროზია“. „პალმასთვის“ ფეხში ეკბინა. იმას ეჩქმიტა გაცოფებულს, „რა გაიკეთებთ ორმოც წემსს მუცელშიო“, — ლამის ატირებულყო მერე.

წესით, ყველაზე ადრე რინგო უნდა დაავადებულყო. მეორე დღეს ძალი თვითონვე ჰამდა ზორცს: დუნედ, უხალისოდ...

თავი გააქნია. აღარ სიამოვნებდა ფიქრი ლაბორატორიაზე, ვივარიუმზე, ცხოველებზე. ადგა, ისევ ღია კარადასთან მივიდა, და რაღაც მოლურჯო კენჭი აიღო... ლურჯი კენჭი ყველაზე იშვიათია. რადგან ბუნებაში ძალზე მცივრება: ლურჯი. ასეთ კენჭს ბედნიერება მოაქვსო. კენჭს ფრინველის გულის ფორმა და ოღრო-ჩოღრო ზედაპირი ჰქონდა, მაგრამ პრიალა. თვითონ ვერასდროა იპოვა, ზღვაზე. დედას კი უპოვია, ან ეგება აჩუქებს? რომელიღაც მცენარის ფერი აქვს... იის? არა, ია მუჭია. სოსნის? არც სოსნის. ლურჯი ზამბახის, თითქოს, მაგრამ... თან მთლად არა. გლიცინიის! ზუსტად იმფერია. გლიცინიის ხეივანი პარკშია, პარკში, რომელსაც გულივით უძგერს შუა გულში შადრევნიანი მრგვალი აუზი...

პარკში მიდიან, ის და გიორგი. მიუყვებიან ვაზივით დაგრებილი გლიცინიის ხეივანს, ლილისფერი მტევნებით რომ დაბუნძლულა. „აკაციის მტევნებსა ჰგავს, ოღონდ ლურჯია“. დილაა, ჯერ ცარიელია პარკი. გიორგი გრძელყურიან ჩანთას მოაქანავებს, ვარჯიშზე შეუარა, ხალისიანად მიაბიჯებენ, ხმამალა ლაპარაკობენ, იცინიან... აუზის პირზე ჩამოსხდნენ: „აუზი — წყალი მარმარილოს ფინჯანში“. ჯიბეები ამოტირიალეს. გიორგი წყლისკენ იხრება, საკუთარ სახეს დასჩერებია, მერე ათკაპიკიანებს ისერის წყალში... ნელა ჩაეშვნენ. მერე

უცებ გვერდზე იხედება და პირი ღია რჩება: გლიცინიის ლურჯი მტევნიდან პატარა, თეთრი პუდელი გამოცურებულა, გრძელი თოკი კი... საშუალო სიმაღლის, გრძელ შავ კაბაში გამოწყობილ ქალს უჭირავს... თეთრი ხელთათმანები იდაყვებამდე სწვდება, იდაყვებზე მაქმანიანი მანეტები ეფინება... შვენის მაღალი „ლიპები“ და წვრილად ჩალიანდაგებული გულისპირი, გადაზრდილი ყელს აყოლილ, ნიკაპამდე მიწვდენილ საყელოში. შუაში მსხვილი, მოყვითალო-რძისფერი კამეა რომ აბნევიდა... მოდის ქალი, მოირჩევა, უჟალიანი შლაპითა და არშიამოვლებული, ვარდისფერი ქოლგით, ნელა, მელანქოლიურად გამოდის ხეივიდან... მოაბიჯებს. ნიკა აფრიალებს მსუბუქი ქოლგის თხელ, ნაზ არშიას: წინა საუკუნე შემოცურდა, აბრეშუმვიით, შემოდგომის ფერგაცრეცილ ფოთოლივით შემოფარფატდა. გამოთაყვანებული ძმები ერთად დაეშვნენ აუზის კიდეზე: „Дана с собакой!“ — აღმოხდა გიორგის. ქალს თვალს ვერ აშორებენ. „ალბათ კინოს იღებენ“ — გამოერკვა თვითონ, უფროსი, და მიიხედ-მოიხედა. არავინ ჩანდა. მხოლოდ ქალი — მარტოობისა და სინაზის განსახიერება — მოირჩეოდა. ალიკამ შორიდანვე დაიწყო ხელის ქნევა, პირდაპირ მათკენ მოდის, ქალს ვერ ხედავს. იპოდრომის ბილეტებს აფრიალებს. მივიდა, ძმების გამოტყინებულ მზერას გააყოლა თვალი და მათ გვერდით ჩაიკლა. ქალმა ქოლგა თოკიან ხელში გადაიტანა და ნარნარად დაიხარა: ყვავილი აიღო მიწიდან, პარკის რომელიღაცა, ახლადგაშლილი, უაზროდ განწირული ყვავილი... მრავლისმეტყველი სევდით დასჩერებია, მერე ოხრავს და გვერდზე იბნევს, მათკენ ერთხელაც არ გაუხედავს.

— ქალბატონო! — ისმის ალიკას მოკრძალებით აღვსილი ხმა... ქალისკენ მიდის მონუსხული, — ქალბატონო, მამატივით, — და აქ ძმებმა დაინახეს, რომ ალიკასაც დღემდე უცნობი, რაღაც საოცრად დახვეწილი მოძრაობა წასცდა:

თითქოს ისიც ფრავნი ყოფილიყო გამოწყობილი, — მამატივთ ზომ არ შემოძლია, გვესახუროთ?

ქალი პირბადიან-შლაპიან თავს ნელა აბრუნებს, მჭრქალ-აფურისფერი პომადა გაკრთა პირბადის მიღმა. დუმს, მერე ნელა ტრიალდება და მიდის... გლიციინის-ლურჯმტევენებიან ხეივანისაკენ; თოკს ფეხი წამოსდო, ძალღიკ დაითრია, ოდნავ, მაგრამ მალევე გასწორდა, გრაციოზულად და ლილისფერ-მწვანე ხეივანში გაუჩინარდა.

— რა ხდება? — გონს მოეგო გიორგი.

— გეცია, — დაასკვნა თვითონ, უფროსმა.

— არაფერი მესმის, — ეფფას იქექავს ალიკა.

— გეცი? რატო? ეგებ, ეგებ... ვილაცია, — ამბობს, გიორგი: შეპყრობილი.

— ვინ ვილაცია!

მიდიან იპოდრომზე. და შუა დოღის დროს, გაჰქნებულ ცხენებს რომ შესცქერაინ, გიორგი იდაყვს ჰკრავს, — არა, მაინც ვინ იყო, როგორ გგონია? ჰა?

სალამოს შინ არავინ დახვდათ. გიორგიმ იმ დღეს ნაყიდი თევზების საჭმელი პატარა პარკით შეიტანა ენდის ოთახში... და გონდაკარგულმა ვუალიანი შლაპა და ვარდისფერი ქოლგა გამოიტანა. ხელში ატრიალა ერთხანს და „ენდი!“ — აღმოხდა ორივეს. წაშით სახეში შეაშტერდნენ ერთმანეთს და... უცებ გიორგიმ ფერდებზე იტაცა ხელი და იქვე, სავარძელში ჩაენარცხა. თვითონ ქოლგა გაშალა, შლაპა თავზე ჩამოიცივა და გააჯაგრა, და კედელს მიაწყდა მერე... „ვაიმე, დედა, აღარ შემოძლია“ იხრჩობოდნენ, იგუდებოდნენ სიცილით და ბოლოს ორივენი ძირს გორაობდნენ: „შენ, შენ, როგორ აიღო ის ყვავილი, რა სევდიანად! მთელი შემოდგომის ნაღველი ჩაიღვარა. ვაი, აღარ შემოძლია“. „ალიკას როგორ შეხედა, გახსოვს? როგორც, როგორც არარაობას... ვაი, ვაი!“ „შენ, შენ ფეხი რომ წამოსდო თოკს და კინალამ ძირს გაიშხ-

ლართა... ვაიმე, დედა, ძალღიკ კინალამ მოახრჩო. აღარ შემოძლია...“ „შლაპა, ბიჭო, დიდთავა გოჩას ეთხოვე, შლაპათ, გეუბნები, იმისი როზა იყო, დედი, მიშველეთ!“ „დაუსტვინა, გეუბნები! გუშინ ზო ვუთხარი, შენ რაღაც ლეტნადა ხარ-მეთქი“. „ვაი, ვაი. გაჩერდი. მოვეკვდი, დედი“.

მერე, დაოსებულებმა ისევ შეიტანეს ქოლგა და შლაპა და თევზების საჭმელი გამოიტანეს.

გვიან მოვიდნენ დედა და ენდი, და ენდომ უცნაურად შეხედა ძმებს, მერე თავისი ოთახის კარს; და საეჭვო რომ ვერაფერი ინიშნა, მალე შევიდა დასაძინებლად.

გაგუდღული, ჩახშობილი ხორბოკით სამზარეულოში უამბეს დედას... ისიც იციანოდა... რბილად და თან რაღაცნაირად: თითქოს სინდისის ქენჭნით. მერე ტუჩებზე მიიფარა თითი: „თუ თვითონ არ მოგვიყვება, თქვენ არაფერი წამოგცდეთ, არაფერი აგრძნობინოთ“, და მერე სევდიანად დაუმატა: „დიდი გოგოა უკვე, რაღაც სხვა უნდა. უცხო, უცნაური, დიდებული. თქვენ კიდევ სულ კნაქსა და კაპარჩხანას ეძახით...“ მერე ღია ფანჯარასთან მივიდა, ხელები აკიშა, აქეთ-იქით მიაყრდნო ხის ჩარჩოს და ღრმად ჩაისუნთქა ლამის ლბილი, ათასგვარად ამაფორიაქებელი, მცენარეული სურნელით სავსე ჰაერი — „და თან გაზაფხულია“...

მოგონების მიერ გავლებული უნებური ღიმილი შეიგრძნო ტუჩებზე ღიმილის მდგომარეობაში აღმოჩინა საკუთარი ტუჩები, უცებ, და მწარედ გაუკვირდა: ნუთუ კიდევ შესაძლებელი იქნება გაღივება? ალბათ სიხარულის ყველა მიზეზი წარსულში ჩარჩა, გუშინდელიდან სხვა ზონა დაიწყო: გადამწვარი ღიმილის, გადამუგული სიხარულის მძიმე, მწარე, მახინჯი ზონა. გულისმომწყველები ტრამალი. თავი გააქნია: ისევ დაიბრუნა ნათელი სურათი: „და თან გაზაფხულია“. მაშინ კი შემოდგომა იყო, იმავე პარკში... ეს ერთადერთი სურათი ახსოვს: სადაც ყველანი, ყველანი

ერთად არიან: ხსოვნის მიერ ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული ნეტარი, წმინდა, ნათელი სურათი, რომლის ფასსაც მუდამ მხოლოდ გვიან იგებენ, ძალიან გვიან: სხივოსანი კლასიკა: დედა, მამა, ენდი და ნანი, გიორგი და თევითონ... ხვეულთმიანი ტყუპები გამხმარი ფოთლების შვავში მიეფლობიან... წელამდე იძირებიან. ნანი ხელებს მაღლა სწევს და „ელთი, ოლიი!“ — იძახის გიორგი ველოსიპედს დააქროლებს აუზის გარშემო, რომლის შუაგულშიც აღარ ჩუხჩუხებს შადრევანი. იმანაც დაიძინა, შემოდგომის ძილს მიაცა თავი, და წყალი დგას მხოლოდ, უძრავი, მშვიდი, ყვითელი ფოთლებითა და ღრუბლის თეთრი ბატებით საცხე... თვითონ წყალში იყურება, მისი სახე ლიცლიცებს ფოთლებსა და ღრუბლებს შორის, მერე იხედება, იმათენ: დედა და მამა სკამზე სხედან, ოღნავ ამოძრავებენ ტუჩებს. მამა ხელი გაუშლია დედის ზურგს უკან, სკამის საზურგეზე და დედასთან სულ ახლოს აქვს სახე, სულ ახლოს. დედას საკუთარ მუხლზე შემოუხვევია ხელები ოღნავ ირწევია... და მამა ლოყაზე ჩამოშვებულ თმის ქავლს ყურს უკან უწევს...

ამჯერად მხოლოდ თვლებში წაასწრო ღიმილს. ღიმილის ნათელ კვალს... და შეიგრძნო თუ არა, გაქრა, აშრა, წავიდა. „ნანი“. პატარა დის სახე წარსულის ფსკერზე ესვენა, თალხი ჰის ფსკერზე, უკვე გაცრცილი, ნაკეთებწაშლილი. აღარ ახსოვდა, როგორი იყო, აღარც ეცოდებოდა, აღარც სტიკოდა. დროს აელოკა, გაეგღუვებინა ტანჯვის წახნაგები: სევდის წყალში იყო ჩაძირული დის სახე, შეჩვეული, არამძაფრი სევდის ვარაყში ესვენა, ყვითელი ფოთლივით. ნანის რომ დიდხანს ეცოცხლა, უფრო გვიან რომ მომკვდარიყო, ყველაზე მეტად ენდის გაუჭირდებოდა... ენდი. ენდის უფრო ცუდად იცნობს, ვიდრე გიორგის. თუმცა გიორგის კი იცნობს? ვის იცნობს საერთოდ. ამ ბოლო დროს მიხვდა: ენდი ყველაზე უფრო გულჩათხრობილია ოჯახში. დე-

და? დედას თუ შეეკითხები ყველაფერზე დაუფარავად გიპასუხებს, შეგეცამ, აბა, მიდი, ჰკითხე. ზოგ რასმე სწორედ მართალი პასუხის შიშით ვერ ჰკითხავ. გიორგის შეგიძლია ყველაფერი დააფქვევინო, ოღონდ თავისი, სხვისი არა. ენდი? ენდი არაფერზე არ გიპასუხებს. ენდისას ვერაფერს გაიგებ. უცნაური სახე აქვს. ანდროგენული. თუ შარვალს ჩაიცმევს: ლამაზი ბიჭი გეგონებ, თუ კაბა აცვია — ლამაზი გოგო. თმაც ისე აქვს აკრეპილი: გოგოსაც რომ შეიძლება ჰქონდეს და ბიჭსაც. დაფარული ხასიათი აქვს, თან ღბილი და თან ძალიან მძიმე, ოღონდ ეს კია: თავისი სიძნელით არ შეგაწუხებს, ურთიერთობაში უბრალოა, თავისთვის, შიგნით არის ძნელი და იმდენად გულჩათხრობილია, გულჩათხრობილობასაც კი მალავს...

— ენდი! გელოდებით, ველარ დაამთავრე? — სამზარეულოს კარიდან გასძახა გიორგიმ.

— რასა წერს ამდენს?

— ქართულის დავალებას, — დედამ ხელსაწმენდები ჩამოაჩივა.

— მოვრი! — შემოიზმორა ენდი, კენესით დაუშვა აჭიმული ხელები მაგიდაზე და სხეული სკამზე.

— რა გამოაცხვე? რა შემოიმოქმედე? — გიო.

— რა და... უნდა აგველო რომელიმე ანდაზა და იმაზე მოთხრობა ან ზღაპარი შეგვეთხზა, — ტარხუნის ცალი ულვაში თანდათან მოკლდება ტუჩის კუთხეში.

— შენ რა ანდაზა აიღე? — პური გატეხა დედამ.

— იმდენი ვიფიქრე, იმდენიი. რა ვიცი, ყველა მომწონს, ზოგი ისეთი სასაცილოა, მოკვდები სიცილით, აი, მაგალითად: „ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს. მერცხალი იქნებოდაო“. არ გეცნებათ? ოღონდ რა არის, იცი? — ბოლოკი ახრამუნდა, — ისა, ანდაზა კი არ უნდა დაწერო, პირდაპირ მოთხრობა უნდა შეთხზა და კლასში რომ წავიკითხავთ, სხვებმა უნდა გამოიციონ, რა



ანდაზაზეა დაწერილი, — ოხრახუშის გაფურჩქვინილი მსუბუქი უღვაში გაჩნდა მეორე კუთხეში...

— შენ, რომ ვისადილებთ, წაგვიციოთხე რა... — დედა მარტოში აწობს რეჰანის ფოთოლს, — აბა, თუ გამოვიცნობთ...

— კარგი.

სასტუმრო ოთახში გავიდნენ. ენდომ წაიკითხა, სამფურცლიანი ზღაპარ-მოთხრობა:

— აბა, რომელ ანდაზაზეა?

— გიცი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა! — გაიცინა გიორგიმ, — უჰ! როგორ მეცილება ამ ანდაზაზე! — ველარ ჩერდება, იცინის, — ვაი, ხო აზრზე ხარ. გიცი რა აიკრავს გულა-ნაბადს, მოეშაადება, ჩაეა ქალაქში, ადგება და ისევ წამოეა დიდის ამბით, და ისევ ჩაეა, ხო აზრზე ხარ, ვაი, ვაი, აღარ შემიძლია. — კინალამ სკამიდან გადაეარდა, გიო, ყველას გადაედო, იცინიან. ენდიც უნებურად აჰყვა. ბრაზნარევად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ იცინის.

— რა, არ შეეფერება? — სული მოითქვა გიორგიმ, — გენიალურია, არა?

— ერთ ნაწილს შეეფერება მარტო. მაგაზე არ დამიწერია, რას იხრჩობით, მორჩით ეხლა! შენ, შენ, მათე, შენ რას იტყვი?

— ააფრინე ალალიო, რაც არ არი არარით!

— რა შუაშია? არა, გეკითხები, რა შუაშია! სისულელეები მოგდით, რა, მარტო თავში!

— გეხუმრებით, რა იყო!

— მეხუმრებით! მეხუმრებით! აბა, მარტლა მითხარით!

ჩაფიქრდნენ, ორივენი.

— დედა, შენა?

— ენდი... სხვათა შორის, ძალიან დამაფიქრა შენმა მოთხრობამ. არ ვიცი შენ რა ანდაზა ჩაიფიქრე. მაგრამ მე ერთი კაცის სიტყვები გამახსენდა: „არის საგანი, რომელიც თუ არ ნახე, ვერ ირწმუნებ, და არის საგანი, რომელიც თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ“. არ ვიცი,

ზუსტად ეგრება თუ არა, მაგრამ აზრი ეს არის...

— ეისი სიტყვებია?

— ილიასი, არ გაგივია?

— არა. ძალიან უცნაურია, — ჩაფიქრდა, ენდი. — შენა გიო? გაგონდება რამე?

— რა ვიცი, აბა! — კეფა მოიქექა გიორგიმ და ტურჩის კუთხით თმას აუბერა, — ეე, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, მე მგონი, უდგება...

— კი, კი, უდგება, მაგრამ მე ეგ არ ჩამიფიქრებია... შენა, მათე?

— მე? ვერიდებოდი ლოლოსა, დამინებდა სოფლის ბოლოსა!

— იტყვის ხოლმე რა! ვერ ვხვდები, შეეფერება თუ არა!

— ის რა კარგად გაქვს, მნათე ციყვს რომ იშინაურებს, — ამბობს დედა.

— თქვი ეხლა, რა ჩაიფიქრე? რომელ ანდაზაზე დაწერე?

— მე? იცი რა? მოდი, არ გეტყვიო! ისე კი, რა კარგი ყოფილა ანდაზების წიგნი. გაგოდეებით! აი, პატარა მწვანე წიგნი რომ! ზოგი ისეთი სასაცილოა! შენ ყველა ანდაზას ეთანხმები, დე?

— არაა. ზოგი არ მიყვარს.

— რომელი, მაგალითად?

— მაგალითად: „ენდე, მაგრამ შეამოწმე“, იმიტომ, რომ ეგ ნდობა აღარ არის.

— მართლა, ხო იცი, — ამბობს გიორგი, — რალაც მაზალაო, მართლა...

— ჰო, რალაც ვერ გამოდის დალაგებული! — ვაშლი ჩაკბინა ენდომ.

— რატოა მაზალაო? — კითხულობს თვითონ, — ეგებ ადამიანს ძალიან უნდა, რომ ენდოს ვინმეს, გესმით? ძალა-ან უნდა, მაგრამ ეჭვი გულს უღრღნის... თუ შეამოწმებს და საეჭვო არაფერი იქნება, მაშინ ენდობა და მოისვენებს...

— ეჭვიანი ყოველთვის ეჭვობს, — ჰალს ახედა დედამ.

— აბა, რა, ბრმად უნდა ენდო და მოტყუდე?

— სჯობს, ასჯერ მოტყუდე, ვიდრე ერთხელ მაინც არ ენდო სანდოს... გუ-



ლი გეტყვის, ვის უნდა ენდო, ისე არ ვიცი, ვინ არის სანდო...

— არა, არა. ეგრე შორს ვერ წახვალ. ახლა არავინ არ არის სანდო!

— არც სიყვარულის ღირსია ვინმე? — დედა.

— რა ვიცი.

— ეპ, ადამიანს მოთხოვნილება აქვს, ვილაყ უყვარდეს და ენდოს, სხვას, მეორესაც. თუ არავინ შეიყვარა, არავის ენდო და სიფრთხილესა და ეჭვებში დაიხარჯა, თავისთავა გაძარცვავს, დაასახიჩრებს... ისე, რომ თვითონ უფრო დაზარალებული გამოვა... ბოლოს... — ამბობს, დედა.

— არა. არა. რატომ უნდა გაგაბრიყვონ. გაავასულელონ! მერე მთელი ცხოვრება ნაჭრილობევით იარო. არავისაც არ უნდა ენდო, შენი თავის გარდა... შენთვის უნდა იყო. მარტო. მარტო. მარტო.

— ადამიანს არ შეუძლია მარტო, — ფიქრში წაივია დედა.

— ადამიანს სხვასთან არ შეუძლია, მეორეკთან!

— არც სხვასთან შეუძლია, არც მარტო. მაგრამ მაინც სხვასთან უნდა, მეორესთან, — დედამ საფერფლე გააცურა ხავერდის სუფრაზე — და ეგებ შეძლოს ვინმემ სხვასთან ერთად ყოფნა როდემდე.

„ეგებ შეძლოს როდესმე სხვასთან ერთად ყოფნა: ადამიანმა“. ვერაფერსაც ვერ შეძლებს. სხვასთან ერთად ყოფნას სწორედ რომ ვერ შეძლებს. შეუძლია აკუთარი მარტოობიდან, საკუთარი მარტოობის დასაძლევად რაღაც შექმნას, გამოიგონოს, აღმოაჩინოს, დაანგრის, გააცამტვეროს, მაგრამ ყოფნას ვერ შეძლებს, ვერც ადამიანთან, ვერც ცხოველთან, ვერც მცენარესთან. თვითონ, როდის იყო, მაგალითად? მაიას რომ უვლიდა? მაშინ, პირველად რომ შეხვდნენ გარეთ? როცა შეერთდნენ? როდის იყო არსებობა ისეთი სავსე და სრულყოფილი, რომ ეთქვა „ვარ“ ანდა „ვიყავი“? უწყვეტ, შეუჩერებელ ნაკადად მიდიოდა დრო, ნაკადში იღვწენ, მიჰყვებოდ-

ნენ, თან ატანდნენ ჩამოწყვეტილ ამბებს და სიტყვებს, ცხოვრების ფიქრებს, და რა რჩებოდა? მხოლოდ სევდა. სირცხვილი და სინანული, ბოლოვით რომ ასდიოდა მთელ წარსულს, ამოებობს ნაცარტუტას.. მართლა ასე ფიქრობს? ესეც არ იცის. ახლა ასე ფიქრობს. სხვა დროს ეგებ სხვაგვარად აფიქრდეს. მერე რა გამოვა საბოლოოდ? ჯამი? წყალნი წავლენ და წამოვლენ, წავლენ და წამოვლენ...

ლურჯი კენჭი თავის ადგილას დანდო. პატარა, შევტარიანი დანა აიღო: „ეს თქვენ სუყველას სასთუმალქვეშ გედოთო“, უთქვამს დედას. ნანის და ენდის? მაშინ ხომ ორი დანა დასკირდებოდათ. ვინ იცის, სწორედ ნანის არ ედო. დედა დანის ტარებას უკმალოვდა: ბიჭებს. „დანა თუ ჯიბეში გექნებათ, კიდევ მოიხმართო“. სათავისო საქმეს იზიდავს: ყველა საგანი. ფათერაკს — საფათერაკო. პატარაობიას კი პირიქით. სასთუმალქვეშ იდო და განიზიდავდა, აქარწყლებდა: ავს. ფიზიკის თვალსაზრისით სწორეა. უფროს ადამიანთა მიერ გარედან შემოტანილ ელემენტომუხტებს, რაც პატარასთვის მომაკვდინებელი შეიძლება აღმოჩნდეს, განმუხტავდა. მაგრამ ელემენტოველი, დასწყევლის ღმერთმა, ვანა მთლიანად მატერიალური ველია? ეშმაკმა უწყის. თუ ჩაულრმავდები, დაბეჯითებით ვერავინ ვერაფერს იტყვის. დანა. გიშერი. ჭარვა. დანა...

— მისმინეთ, ნუთუ არ გესმით. რას გეუბნებით? — დედა თვალეში უყურებს, მოსამართლეს, რომელსაც მარჯვენა ქუთუთოზე მეჭეჭი აზის და ის ქუთუთო უფრო მძიმედ აღი-ჩადის. — სამ წელიწადში არ არის საქმე... მაგრამ ადამიანმა უნდა იცოდეს, ზუსტად იცოდეს, რისთვის ისება... დასაჯეთ ჩემი შეილი იმისათვის, რომ მან სცემა ორ ბიჭს, რომ ერთმა მოიტეხა ხელი და მეორეს დაემართა ტვინის შერყევა, თუ მართლა დაემართა, არაფერი აღარ მესმის, მითხრეს, ტყუილად დააწვინეს საავადმყოფოში... დასაჯეთ ამისთვის, მაგრამ

რატომ სწამებთ ცილს... რატომ იჭერებთ ცილისწამებას, თითქოს მას დანა ჰქონდა და დანის ჩარტყმა უნდოდა, ხოლო ისინი თავს იცავდნენ? ის სამნი? გესმით, გიორგი დანას არ ატარებდა... დანა მას არ სჭირდებოდა... რატომ არ გინდათ სიმართლის დანახვა? დანა იმ ბიჭს ჰჭონდა, იმ ბიჭის დანაა... და გიორგისთვის სურდა დაერტყა...

— ქალბატონო, — მეჭექეი აფოფრილ წარბს მიახტა, — თქვენ თქვენი შვილის გჯერათ, ან თავს ისე იჭერთ, რომ გჯერათ. ჩვენ კი მივერძობებას ვერ გამოვიჩინეთ, გამოვიძიეთ და ეს სურათი მივიღეთ, რაც იცით. — მეჭექეი ძირს დაეშვა...

სიჩუმე.

— საზიზღრობაა, — ხმადაბლა იწყებებს, დედა, — რატომ გატყუებთ? მე თქვენ გატყუებთ!

მეჭექეი წარბში შევარდა.

— თავს ისე ვიჭერ, თითქოს მჭეროდეს, რომ სიმართლის დადგენა გინდათ. მაგრამ სინამდვილეში, მე ხომ უაღრესად დაბალი აზრისა ვარ თქვენზე... და მაინც მოვდივარ თქვენთან და თავს ისე ვიჭერ, თითქოს თქვენ სიმართლეში გარკვევა გასურდეთ და მე გეხმარებით. საზიზღრობაა. წყლან კი სწორედ ბრძანეთ. მე მჭერა ჩემი შვილის.

— ქალბატონო! თქვენი მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ ის ბიჭები საცემები იყვნენ და თქვენი შვილი უდანაშაულოა! — ხმა გაიმკაცრა.

— მე არ ვიცი, მე არ ვიცი... ვინმე საცემია თუ არა. მაგრამ გიორგის აღვიღას შეიძლებოდა ყველას ეცემა: თქვენ, მეც, თუ ფიზიკურად მოახერხებდა. ისე, არ ვიცი, საცემი იყო თუ არა.

— უცნაურად მსჯელობთ! — მოყავისფრო მეჭექეი ახტა-დახტა, — ღმერთმანი!

— საცემი იყო! — გამოსკრა თვითონ.

— რატომ, ახალგაზრდავ? — მოსამართლე მიუბრუნდა, ყალბი ყურადღებით.

— ...გიორგის დედა შეაგინა. — ზი-

ზლისა და სირცხვილის მღელღამ გადასრილდა გულის კოვზებზე.

— ჰე! მასე, ბატონო! — ბრძანებდა დას შეგვაგინებს, იმდენი თუ მივასიკვდილეთ, სად წავალთ. შე კაცო... სიჩუმე.

— ასე რომ, — ამბობს, გამომწვევად, — ტყუილად ვკარგავთ დროს. თქვენა შვილს სამი წლის პატიმრობა არ ასცდება, სხვას რაღა მნიშვნელობა აქვს.

დედა დგება:

— მე სამართალში ფულს ვერ გადავიხდი, — გადის.

თვითონაც მიჰყვება, მაგრამ ზღურბლთან მოტრიალდება, კარს ხურავს დედის ზურგს უკან, და მოსამართლისკენ ამბობს:

— მე კი, პირობას ვაძლევთ, რომ თუ დედას შემაგინებს ვინმე, კატასავით მივახრჩობ! და... თუ ჩემს ძმას, ჩემს ძმას რაიმე დაემართა პატიმრობაში ეჭვი თვის შემდეგ, დაიმხასოვრეთ, ეჭვი თვის შემდეგ, რადგან მხოლოდ ეჭვი თვით ეკუთვნოდა თავისუფლების აღკვეთა, თუ რაიმე დაემართა, — კანკალებს, — სადაც არ უნდა იყოთ, სადაც არ უნდა იყოთ, მოგძებნით, გიპოვით და: ღორივით დაგკლავთ! — და მარჯვენა ხელმა პაერს უნებურად დაუსვა შეჩვეული, აწ წარმოსახული ლანცეტი. მთელმა მისმა სხეულმა იგრძნო აუტანელი წყურვილი ხელისგულებით, კბილებით, მუხლებით: დაეხრჩო, დაეგლიჯა ეს კაცი. ბნელად თრთოდნენ თითები იმის წარმოდგენისას, როგორ შემოეხვეოდნენ ამ კაცის ყელს. მოუტყარდნენ, დაუნდობლად, ბოლომდე, ვიდრე ხორბს ლაწა-ლუწი არ აუტყდებოდა, და კბილები ერთმანეთს ეკირებოდნენ, ყვრიმალეები ამოებურცა და მთელი ტანი აუცახცახდა ბანჯგვლიანი, მახინჯი ნეტარებით...

გარეთ რომ გამოვიდა, გაქრა ეს განცდა, შავნელი რეტი, და გულსა გრძნობდა. მძიმეს, გასიებულს, სხეულზე დიდს — გასკდომამდე მისულს.

მერე:

გიორგის ეშვილობებიან. მხოლოდ

ამას მიაღწიეს. დაირბა ნაცნობ-მეგობართა უზარმაზარი ლაშქარი, შეიძრა, და ახლა აქ არიან. გიორგის ფერი შესცვლია. გაყვირებულა, უბეები ჩალრმავებია.

ოთახში ერთადერთი ტაბურეტი დგას. ზედამხედველი ყურს იჩიჩქნის გრძელი, შავი გასაღებით.

— აბა, შენ იცი, ბიჭო, ღონით ვერავენ მოგერევა და სხვას არაფერს მოგაკლებთ. — მხარზე დაარტყა ხელი, თვითონ, უფროსმა ძმამ, მოგონილი სიმხნევით.

— არაფერი არ მინდა. ენდი სად არიან?

— გარეთ... არ შემოვიდა.

— გიორგი, — ამბობს დედა, გაფითრებული, გატანჯულად მშვიდი. „ნეტავ რას ეტყვის?“

— გიორგი, სამი წელი მალე გავა... გავა... ყველგან აღამიანები არიან... აღამიანები.

— შენ ნუ დარდობ, დე, ხო გჯერო, რომ მე არ დამიწყია? ჩემთვის ვიყავი... უყურებენ დედას.

დედა თავზე ხელს უსვამს, თითქოს ეხუმრება.

— დედი, მისმინე, იქ ჩამოსული არ დაგინახოთ. არავენ. შენ და ენდის რომ იქ მოგკრათ თვალი, იცოდე, საშინელებას ჩავიდენ...

— არ ჩამოვალთ. — დედამ მხრებზე დააწყო ხელები. — აბა, შენ იცი, — მერე დაიხარა და რალაც ჩასჩურჩულა.

ზედამხედველმა ჩაახველა და გასაღები, რითაც ყურს იჩიჩქნიდა, ფორმაზე გაისვა.

გიორგის თვალები გაუნათდა და თქვა, სერიოზულად:

— ვიცი:

რომ გადიოდნენ დაადევნათ:

— შემოვიდეს ენდი.

ენდი კედელზე იყო აკრული, კართან. შევიდა. ორ წუთში გამობრუნდა, მათთვის არ შეუხედავს და მანქანაში

რომ ჩასხდნენ, მაღლა იყურებოდა ცისკენ, მთელი გზა, თვალებში ჩამდგარი ცრემლი ლოყაზე რომ არ დაჰგორებოდა. შინ უხმოდ შევიდა თავის ოთახში და აღარ გამოსულა.

დედა კი მაგიდასთან იჯდა, შუა ოთახში. ვერცხლის ჭაჭვს კლავნიდა ხავერდის სუფრაზე, იქ, სადაც ჭაჭვი მისრიალებდა, ფერს იცვლიდა ლურჯი ხავერდი, მუქდებოდა, ნაკლებ ბზინავდა.

თვითონ უსაგნოდ იწრიალა აქეთ-იქით, საათის ქანქარას მიაშტერდა, მერე ფოთლებდალუღდებული ბეგონიის ძარღვებს დაადგა თვალი..., და მერე უცებ:

— თავის ღონეში როა დარწმუნებული, იმიტომ ემართება ეგ ყველაფერი!

— არა, — თქვა დედამ, თავაუღებლად: მშრალი ფოთოლი გაშრიალდა მშრალ მიწაზე.

— ყოველ შემთხვევაში, ოცდაოთხი საათი კარატეზე, კრიკსა და ჭიდაობაზე რომ იყო გადასული, შეგეძლო რაიმე გეთქვა, რომ სპორტით გამოთავანებულთა რიგებში არ ჩარიცხულიყო და ცოტა სხვა რამეზეც ეფიქრა!

მწარე ღიმილი გაიკლაკნა ტუჩის კუთხიდან და სადაც ყვრიშალთან მიწყდა. მუქი, ნაცრისფერი კაბა აცვია, ნიკაამდე ღილებშეკრული. რგოლებად დაეხვია ვერცხლის გველი.

— არასოდეს არიგებდი ჰქუას, არაფერს ეტყოდი!

— შენ გარიგებდი? — ჩაჰკითხა ხავერდის ხაოში დახვეულ ჭაჭვს, — ხომ გამოხვედი კარგი?

გაშრა.

— ჰო, რა თქმა უნდა. მე ყველაზე უარესი ვარ. ეგ ვიცი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სპორტით არ გავგოქმებულვარ და კუნთებზე არ ვიყურებოდი, ცოტა სხვა რამეც მაინტერესებდა

— ანუ თავიდანვე კარგი იყავი და

დარიგება არც გპირდებოდა, არა? — უღვარძლოდ განმარტა, სერიოზულად. თითქოს რაღაც დაიზუსტა. ვერცხლის გველი თავისივე რგოლებიდან ყალბზე შემდგარა და დედის პეშვეში უჭრება თავი. და მერე: — აქამდე არ იცი, მიუხედავად შენი სიღრმისა, რომ შენ უფრო სპორტული ხარ, ვიდრე გიორგი?

ხმაშალა განცვიფრდა.

— არასდროს გიგრძენია, რომ გიორგის სპორტი სულაც არ უყვარს, პირიქით, თითქმის ეჭავრება? ეჭავრება ის, რაზეც ბავშვობიდან დადიოდა. ჭიდაობა, კრივი, კარატე? არ შეგიმჩნევია? გიორგის უყვარს ცურვა, კლდე-ლრეში ზეტიალი, მთაში სიარული, მანქანის ტარება... ცხოვრება უყვარს... მაგრამ ჭირივით სძულს შეჯიბრი: ვასწრება, ჯობნა. ჯობნა ეჭავრება... შენგან განსხვავებით...

— მე შეჯიბრი მიყვარს?

— რა, არ იცოდი? მე მეგონა, იცოდი. ბავშვობიდანვე ყველას ეჭიბრებოდნენ, საბავშვო ბაღში, სკოლაში, უმაღლესში. შური არ არის ის სიტყვა... შენ უზომოდ იტანჯებოდი სხვისი უპირატესობით და ამის პატიება არ შეგეძლო არც სხვისთვის, არც შენი თავისთვის, ჯობნით კი მართლაც ვერაფერს გჯობდა. — ხმა: შრაშშ... ჭევიშა მისრიალებს მშრალ კლდეზე, გამხმარ ფოთლებში ცვივა, — იმდენად უსწრებელი შენს ტოლებს, შედარებას აზრი არ ჰქონდა... შენც ხომ იცი... ახლა იმიტომ გეუბნები, გამოსული მგონიხარ იმ ასაკიდან...

— მაგიტომ ვარ სპორტული?

— თუნდაც. ხასიათიც ხომ არსებობს სპორტული. და ისედაც, შენ სპორტი გიყვარს: ტელევიზორში საათობით უყურებ ხოლმე კრივს, ჭიდაობას, რეგბის და ისეთი აზარტით! გიორგი მაგ დროს გადის და წიგნს კითხულობს... ან, — მჭრქალმა ლიმილმა გადაურბინა, — სახეს მიაღებს აკვარიუმის კედელს და თევზებს უყურებს. შეჯიბრებაზეც, გახსოვს. ყოველთვის გეიკრძალავდა მის-

ვლას — და ხმის დაუწყო, თითქოს აღარაღივს არ მიმართავდა. შენ სპორტი ძალიან გიყვარს და არასდროს გივლია, იმას ეჭავრება და ბავშვობიდან დადის...

— მაშ რატომ იკლავდა თავს?

სიჩუმე.

— ეშინია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... ახლაგაზრდა დედა ჰყავს, და ჰყავს... და საერთოდ, იმიტომ, რომ კაცია.

— გიორგი და ამდენი ფიქრი?

ნელა აიწვივინა ქუთუთოები, წარბების მაღალ თალებში გაქვავდნენ და უმბროდ, უღვარძლოდ შეელეგარა მწვანე თვალები.

და მერე, ღამე: სადღაც შავ ეკალბარდებში გადაიკარგა ძილი. დაიძინა. ნუთუ გიორგიც იტანჯებოდა? ნუთუ ისიც ეჭვიანობდა მხოლოდ ცხოვრებაზე კი არა, სიცოცხლეზეც. ნუთუ პატარა ბიჭობიდან მოკიდებული იმასაც არ აძინებდა დედის სხეულზე აცურებულ-ჩაცურებული მზერები, ნუთუ ისიც არასდროს იფიქვებდა იმ კაცს, ვისი მზერაც დედის მკერდსა თუ წვივზე დაეჭირა? ნუთუ და ნუთუ და ნუთუ... და რა იქნება ახლა, როგორ იქნება გიორგი იქ, სადღაც. სამი წელი იმისი ხასიათის პატრონისათვის! სამი წელი... სასწაული უნდა მოხდეს, რომ იქიდან უფათერაკოდ გამოვიდეს, მშვიდობიანად გამოეტიოს...

სასაგამშრალი წამოდგა საწოლიდან შუალამისას, წყლის დასაღევად, დერეფანში გავიდა და სამზარეულოს კართან გაშეშდა: ხმადაბალი, მტკიცენულად დაოკებული ტირილ-ჩურჩული გამოისმოდა:

— ოღონდ გიორგის არა, ოღონდ გიორგის არ დამართნოდა... შენ ხომ გესმის? შენ მაინც ხომ გესმის? ვისაც გინდა, ოღონდ გიორგის არა.

— გაჩუმდი! შენი რა ბრალია! შენს თავს გაუფრთხილდი, შეილები მაინც არაფერს დაგიფასებენ, ოხრებია ყველა... შენი რა ბრალია, შენ არაფერი

დაგიკლია... შენ თავს გაუფრთხილდი. იმას არაფერი მოუვა, ჭკუას ისწავლის ცოტას! — სოფიკო ამბობდა ნერვებაშლილი.

„ოღონდ გიორგის არა. ოღონდ გიორგის არა“. ხომ ამას გრძნობდა მთელი ცხოვრება. ხომ იცოდა. ხომ გაიგო! — ბავშვივით მოიკუნტა საწოლში „უცხო. სხვა. სხვისი. სხვისი ვარ. ამისი არა ვარ. ნიკაბი სულ სხვანაირი მაქვს. გიო ზედგამოჭრილი დედაა. ენდი — დედა და მამა. მე სულ ცალკე ვარ“. პატარაობის მთელი, ენით გამოუთქმელი მარტოობა აღიღდა ახლა, დიდობაში, და შიგ იხრჩობოდა — მიუსაფრობის, უცხოობის ნეტარებამდე მტანჯველ წუხილს ველარ გაუძლო და უილაჯოდ ატარდა... ტყუილი უთხრა მამინ: ჩემი, ჩვენი შვილი ხარო. კარგი, ბავშვი იყო. ასე სჭირდებოდა საქმეს... მერე, ჩვიდმეტი წლისა ხომ შეევედრა ერთხელ, მართალი მითხარი, მინდა ვიცოდე, ვინა ვარო, ამით არაფერი არ შეიცვლება, ასე მჭირდება, ასე სჭირდება ჩემს სულს, ჩემს ხასიათს... დაფარული ცუდის მეტს არაფერს მოიტანსო, ცუდ დროს გამჟღავნდებაო და კვლავაც იგივე გაუმეორა: „მათე, რატომ არ შეგიძლია გვეროდეს? დამიკერე... და აღარასოდეს აღარ მკითხო“. ასეთ შეკითხვაზე ასეთი ტყუილი უწმინდურება იყო, სისულელე და სხვა არაფერი. რა, ძუძუსთავზე კბილები ხომ არ უნდა მოეჭირა, რომ საიდუმლო ეთქმევივნებინა, როგორც ის ოტროველა მუტრუკები იქცეოდნენ იმ რეგველ ზღაპრებში?

და მერე მიჰყვა ერთმანეთს გასენილი, მძიმე დღეები: ჩაპირქვავედა მთელი სახლი. უგიორგობა უხმოდ კვნესოდა ყოველ წუთს, ყველაფერში... დედა ხშირად შედიოდა შუათანა შვილის ოთახში... გიორგით სავსე დუმილი იდგა... და როცა სოფიკო მოდიოდა, გიორგით გამოწვეული სიტყვები ისმოდა, თუმცა მას არც ერთი არ ეხებოდა. და ჭურჭლის ზედმეტი ხმაური

და საგნების ზედმეტად ხმაურიანი გადაადგილება...

— აბა, მოდიო ჩქარა! — სოფიკო სუფრას შლის, კუშტი სახით, — აბა მოდიო, ჩქარა! — იძახის. ისე, რომ სულ სხვაზე ფიქრობს. — ჩქარა, გაცივდა ყველაფერი! — და რადგან სულ სხვაზე ფიქრობს, ასყერ იტყვის ერთსა და იმავეს, თუ დროზე არ მივიღნენ: — ყველაფერი გაცივდა! საერთოდ ცივდება ყველაფერი!

სხდებიან. სოფიკო დედას უდგამს მაწვნის შეკამანდს, მერე მას და ენდის. უკვე ორი თვეა, რაც გიორგის ადგილი ცარიელია. ორთქლი ადის ლურჯი კობალტის მათლაფებიდან... კამისა და ქინძის კუწუწებიანი ფოთლები ნაზად დაცურავენ რძისფერ, მოყვითალო წვნიანში. ენდი კოვზს ურევს, ფიქრში წასული...

სალათის დაკმუქნულ ფოთლებზე კოშკივით აღმართულა წითელი ვინეგრეტი... შემწვარი კარტოფილიც გაჩნდა მოგრო ლანგრით.

— რატომ არა ჰამ? — სათვალეებს ზემოდან უყურებს დედას, დეიდა სოფო. — აღარ გიყვარს მაწვნის შეკამანდი?

— არა, რალაც არ მინდა.

— არც ეს, ნამდვილი ვინეგრეტი? ზეთით! ლობიოთი! ის კი არა, აჯაფსანდალივით რომ ატიტყნიან ხოლმე მაიონეზში! — ცხვირი აიბზუა — ნამდვილი ვინეგრეტი! — ახლა ნამდვილად იმაზე ფიქრობს, რასაც კითხულობს.

— რალაც არ მინდა, ყველსა და პურს შევჭამ, ჩაის დავაყოლებ. — ჩუმად ამბობს დედა, თვალგაშტერებული: ლურჯ გრაფინს მისჩერებია, მაგრამ, ეტყობა, ვერ ხედავს.

— პური და ყველი რას გიზამს? პური და ყველი რა, მწყემსი ხომ არა ხარ? პურითა და ყველით სადილი არ გამიგია მე! — სოფიკომ მტრული მზერა ესროლა და-მამას. თუ დედა უგუნებოდაა, შვილებს ატეხს რისხვას და ჭოქოლას.

დღეა წყლისთვის ადგა. სოფიკო თვალს აყოლებს. წყალს უშვერს გამჭვირვალე ტიქას. ერთხანს უყურებს, ტიქიდან წყალი რომ ამოჩქეფს შადრევანივით.

ენდომ ნიდაყვი წაჰკრა. უფროს ძმას. გადაუტრთრთლა:

— რაც გიორგის უყვარს, არაფერს აღარ ჰკამს... — და კოვზის ტრიალი გააგრძელა ორთქლდაკლებულ წვნიანში.

როგორ უყვარდა პატარაობისას წვნიანში ცქერა. კარტოფილი კუნძულივით ამოჩრდილყო. სტაფილოს მრგვალი ნაჭრები იღუმალად დატივტივებდნენ ოხრაზეშის ფოთლებს შორის... და ცხიმის ლამაზ, მზზინავ წრეებს კოვზით ვერ დაშლიდი, ოვალეზად თუ გადააქცევდი. ენდი კი გამოუტყდა ერთხელ, შეიდიოდ წლისა, რომ ყველაზე მეტად სოფიკოს დამზადებული რალაც მოვარდისფრო სუპი უყვარდა... და მერე მთავარი საიდუმლოც წამოცდა: რადგან ეს „სუპი“ დედის ერთ კაბას აგონებდა. ახსოვს: შიფონის კაბა იყო ასეთი: წვრილი ფოთლებით მთავარდისფრო მჭრქალ წრეებს შორის...

— სტელა! სტელა! მარია-სტელა! ძვირფასო, დღეს ბოლო დღეა! ბოლო დღე! დამთავრდა ცხოველები! 2000 ცხოველის სისხლი. გაიხსენე ჩვენი 2 წელი: 500 თაგვი! 500 ზღვის გოჭი! 500 კურდღელი! 500 ძაღლი! — ხელები აჭიმა, — მოოვრჩით. დმერთო დიდებულო, მოვრჩით! — დილიდან კარგ გუნებაზეა, ხუმრობს, მღერის.

სტელას ხუთსინჯარაინი შტატივი უჭირავს ხელში და იცინის. სინჯარებში ბოლო ხუთი ძაღლის სისხლია.

— მართლა, სტელა, თეთრი ვარდები მომჭონდა შენთვის, მოხუცი ქალი ყოდიდა ქუჩაში და ამხანაგის მანქანაში დამრჩა, გაჰყვა იმ ოხერს, ვინ იცის, ვის მიართმევს.

— ძალიან კარგი. მე არ მიყვარს ყვავილები, — თქვა ჩემად და თვალეზი დახარა.

— ყვავილები არ გიყვარს? — შტატივი გამოართვა.

— არა. არც ხეები. ყვავილები ტირილს მანდომებენ, ხეების კი მეშინია. ამიტომ არ ვუყურებ. ჩვენს ქუჩაზე ორი აკაცია დგას. უკანასკნელად ექვსი წლის წინ შევხედე. ყვავილებს კი უკანასკნელად დედაჩემის პანაშვილზე ვუყურებდი, ათი წლის წინ.

— ვარსკვლავები?

— ვარსკვლავები? აღარც კი მახსოვს. ისე, იმათ უფრო არა უშავთ. ესენი ყველაფერს მირჩენია, — ხელი გაიშვირა ტურქლებში გამომწყვდეულ ფერადოვანი ფხვნილ-კრისტალებისაკენ, — განა ყვავილს არა სჯობია? — ნაზად უყურებდა წითელ ბიჭრომატს.

— რას ამბობთ, ფროილიან, — უყვავილებოდ როგორ იქნება. მართლა, რა ლამაზი კაბა გაცვია. ახალია?

მჭვირვალე, თალხ ქსოვილზე მოყვითალო ვარდები იყო მიმოფანტული.

— არა, ძალიან ძველი, — მოიწყინა, — თუმცა დღეს პირველად მაცვია.

— როგორ? ძალიან ძველია და დღეს პირველად გაცვია?

— კი. დედაჩემის კაბაა. შენახული გქმონდა. დედა რომ მომიცვდა, მისი კაბები სულ გავაჩუქეთ, ასეთი წესიანო, მზოლოდ ეს დავტოვე, ძალიან მიყვარდა და აი, ისევ დაბრუნდა შიფონის მონა.

— ჰოო. დედაჩემზეც მახსოვს ძველებური კაბები. რალაცნაირები. ძველ ფოტოებზეც ეგეთი კაბები აცვიათ ქალებს, „ლიპებიანი“, არა? აბა, შევიკეტე ჩემს სენაკში, ჩემს აკლდამაში, ჩემს სარკოფაგში! ძვირფასო, — ხელზე ეამბორა, — რა მოსაწყენია, როცა რალაც ამსოლუტურად ნაღდია, არა? — ყალბ თეატრალურ მეტყველებას ბაძავს და სტელა იცინის.

ორი საათის შემდეგ კი:

— სტელა! — გაოგნებული დგას კარში — № 500-ს კიბო არა აქვს! „ირიბირიუსი“ სიმსიენეს არ აჩვენებს! სამჭერ ვსინჯე.

— რას ამბობთ! — თვალეზი და

ტუჩები უმრგვალდება სტელას, — ამბროსი გაგიყდება!

— კი, ნამდვილად. ჩვენს თვალწინ მოხდება ეგ ამბავი! თან გვარშიც რომ აქვთ სიგიჟე!

— მართლა, იცით, რომ მისი დის-შვილი მაიმუნებთან ჩაჯდა? გალიაში? თქვენ რომ მივლინებაში იყავით. მეც მაჰამეთ აზბესტი, ეს მე მაშშვიდებს, როცა ვიცი, რისთვის, რატომ და როდის მოკვდებიო. ამბროსიმ, ჭერ: იჯდეს, რას აშავებსო, და ვითომ მართლა აჰამეა კანცეროგენი და ორი კვირა იჯდა იქ, ბებიაშის მოჰქონდა საჰქმელი... მერე კი ყვირილი დაუწყია: ვინ დახატავს ჩემს თვალებსო, და ბიბამისმა ფსიქიატრიულში გააგზავნა.

— რა უბედურებაა. დაურეკე ამბროსის, ქვემოთ ჩამოვიდეს, ენახოთ რომელია № 500.

კიბეები ჩაირბინა, მაიმუნების გალიას წინ ჩაუქროლა. ერთმა პატარა მაკაკამ აანთის ცარიელი კოლოფი ესროლა. ჰაერში დაიჭირა. „ვინ იღიოტმა შეუგდო!“ გატყავებულ კოლოფს დახედა: „13, 1, 2, 3, კორ“ — ეწერა მეორე მხარეს. მოისროლა. გაირბინა თეთრი თავგები, ზღვის გოჭები, კურდღლები, გავიდა გრძელ კორიდორში და ლაბორატორიაში შევარდა.

ბოლო ხუთი ძაღლი. ერთ გალიაში — სამი, მეორეში — ორი. უხალისოდ მიყრილ ძაღლებს შორის ერთი ფეხზე იდგა, მირბი-მობობდა, ნერვიული რალაც წუხილით: ძლიერად.

სულ დაავიწყდა: რინგო! რა თქმა უნდა, ის!

— როგორ, ვიმტყუნათ „ირიბირი-უშმა?“ — შემოქანდა პროფესორი.

— რა მოგახსენოთ. აი, № 500! ხედავთ? არც გარეგნულად ეტყობა რაიმე!

— დაეტყობა! წინ კიდევ 4 თვეა. შეუძლებელია არ აღმოაჩნდეს! მოიცაო, ეს ის არ არის, ზონდით რომ ჩაეასხით? ჰა-ჰა, რას ამბობთ! ამას წყალში გახსნილი კანცეროგენია აქვს მიღე-

ბული და ხორცთან შერეულიც! არ არ-სე-ბობს ვარიან-ტი... ამ-ბობენ ახალგაზრდები. დიახ, სასწაულები არ არსებობს. ერთი თვის შემდეგ განმეორებით ავულებთ სისხლს! — ხალი ჩამოიფხანა.

„იმდენს იფხანს. თვითონ გაუჩნდება რაიმე“.

— მათე, ძვირფასო, ნურსად იტყვი, ზომ იცი, რამდენი მტერი ჰყავს ჩემს ლაბორატორიას.

ერთი თვის შემდეგაც „ირიბირიუსი“ ჩიუტად აჩვენებდა ჭანმრთელი სისხლის სურათს.

— „ირიბირიუსიც“ არ არის ასპროცენტიათი, ზოგჯერ ცდებაო, ლაპარაკობენ ჩუმჩუმად — ნაწყენი სახით შეაეცობინა, სტელამ.

— აა, ამბროსიმ უკვე იზრუნა „ამბროზიას“ პრესტიჟიათვის? — გაიცინა.

— კი. უკვე იზრუნა. „პალმას“ უთქვამს მორფოლოგებისათვის. უკვე ყველანი ლაპარაკობენ. — ტუჩები წყენით დაუმრგვალდა.

— ნუ ნერვიულობ. ილაპარაკონ აღდგომა და ზეაღეო! ორ თვეში გავკეთავთ. მანამდე კი, რაც უფრო ნაკლები ხალხი შეგეაწუხებს სისხლის ანალიზისათვის, მით უკეთესი, ჭერ ჩვენ ექსპერიმენტის რაოდენობა გვჭირდება მხოლოდ...

— თქვენ... თქვენ დარწმუნებული ხართ? — გაუბედა.

— აბსოლუტურად!  
და ქალის მრგვალ თვლებში ისევ აინთო თაყვანისცემა.

— მაშ წელს შიფონის სეზონია? დაბრუნდა მოდა?

შიფონის ღრმად ამოჭრილი სარაფანი აცვია გამჟვირგალე, წითელ ქსოვილზე მწესუმწირებია მიმოხატული.

— შიფონის კი. მოგწონს?

— მე ის უფრო მომწონს, რასაც ფარავს.

— აა. — ფანჯარასთან მივიდა: კაბა მუხლის სახსარსაც არ უფარავს. შეტ-



რიალდა და კობტად შესკუპდა რაფა-ზე. მზემოკიდებული, სწორი, თხელი წვივები ლამაზად ჩამოეშენენ, აქანავდნენ.

— რა კარგი ოთახია. მარტო შენია?

— ჩემია. „რა ლამაზი ფეხები აქვს“.

...ზღვაზე, პირალმა იწევა, მზით მოდუნებული, მოთენთილი, ზარმაცად სურვილაშლილი. ხელის მტევანი პირსაწმენდს გარეთ გაფიცებულ კენჭებზე ეღო... შიშველი ტერფი მიაღგამის ნებს, ვარდისფერლაქიან-ფრჩხილებიანი, თვალი აყოლა წვივებს, უფრო ზემოთ მიიწვიეს მისი მზერა... ახედა: ღიმილით დასჩერებია, სულ ახალგაზრდა, ქერათმიანი, ოდნავ შემოსილი. ბადმინტონის ჩოგანზე ანიშნებს: „ეს თქვენია?“ „არა, მაგრამ თქვენი იყოს“, — გაუცინა...

— ეზოც თქვენია? — ეზოში იხედება ახლა.

— ეზოც.

— ხეებზე არ აღიხარ?

— ავდიოდი ზოლმე — საათზე დაიხედა: „ხუთია. რვისთვის ლაბორატორიაში უნდა დავბრუნდე. აქ გვიანობამდე არაეინ მოვა“.

— მეც დავებრებოდი ხეებზე, პატარაობისას, ჩვენთან, სოჩაში...

მივიდა. მუხლზე დაადო ხელი... ნელა ააყურა.

ნატაშამ მუხლებზე დაიხედა.

— მოგწონს? — ხმა შეეცვალა.

— ძალიან, — და ხელისგულებით მუხლები დაუფარა. მერე წელზე მოხვია ხელები, ჩამოახტუნა, მოეხვია... ზურგზე დაუსვა ხელი და ოდნავ შეზნექილ წელზე შეაჩერა. კაბა მხრიდან გადაუწია, მხარზე აყოცა. — შენ უკაბოდ უნდა იარო, გიხდება სიშიშველე.

საწოლთან მივიდნენ. დაეშენენ. ყელზე კოცნიდა.

ტელეფონის ხმა მოისმა შუა ოთახიდან. შეკრთნენ. მერე განაგრძეს ალერსი, მაგრამ სანახევროდ, ნახევრად ტელეფონთან იყვნენ, ელოდებოდნენ, როდის შეწყვეტდა რეკავს. აღარ გა-

ჩერდა. ადგა, პერანგმოჩაჩული, გავიდა. ტელეფონს დასწვდა... მერე შორეულმა, წყვეტილმა ზარმა ჩაუნის-კარტა. ერთ წამს უსმენდა. მერე დაადგო, ყურმილთ, გაღიზიანდა. ნატაშაც გამოვიდა. ფეხშიშველი, ქვედა საცვლის ამარა. გაუხვია. „ხომ უთხრა, კაბა არ გინდაო. აი, გამგონე“. მზემოკიდებულ ტანზე მხოლოდ ძუძუსთავეებს შემოვლებოდა არახუსტი, თეთრი წრები. უღიმის. უახლოვდება. — ერთი წუთით, მგონი, კარი დამჩა ჩასაკეტი! — გავიდა დერეფანში, ჯაჭვით ჩაკეტა კარი. შემობრუნდა და შუა ოთახის ზღურბლზე გაშეშდა:

— ხომ მიხდება? — იცინის, დედის კარის ორმაგი ფარდიდან, — რა საუცხოოა, არა? — ტანზე შემოეხვია, მხრებზე ტალღებად დაქუჩებიანა ყაისნალით ნაქსოვი ბადე: თითქოს აქაფებულიყო მის მხრებზე და ცალი ძუძუთათოდა ხავერდისა და აბლაბუდის ნაკეციებიდან...

— რა მოგივიდა! რა მოხდა! — შემცბარმა ჩაუშვა ხელები, — რა ბოროტად მიყურებ!

— გაუშვი ხელი!

— რას?

— ფარდას.

ნელა გამოვიდა, მოსცილდა: გაოგნებული. ფარდა აღელდა მის ზურგს უკან.

— რა მოხდა?

— არაფერი. აიძენძება.

გუნებააწმხდარი, მოწამლული ჩაეშვა იქვე, საჯარძელში. ფრთხილად მიუახლოვდა ნატაშა, და კალთაში ჩაუჭდა, ხელი მოხვია კისერზე.

ტუჩებზე მიაკრო შიშველი მკერდი.

დაუნდობლად, უხეშად დაეწაფა. მანქანის ხმა შემოესმა. მანქანა შემოვიდა, გაჩერდა. ეზოში.

— დედა მოვიდა.

— რა მოხდა მერე! რა ფერი დაკარგე! — ნატაშა წამოდგა: მოშლილი, აჭრილი, მტკივნეულად ამღვრეული. მისი ოთახისკენ წავიდა. შეჰყვა. კაბა გადაიკცა, თმაზე გადაიკრა ხელი, პატარა მაგიდასთან მივიდა, ჩრდილო

პოლუსის თეთრ, მოარშიებულ ლაქას პეშვი დაფარა და ნერვიულად დაატრიალა იველი გლობუსი.

„რამ ჩამოიყვანა. ამ დილით წავიდა, რა მოუვიდა?“ — ფიქრობდა შიშით და ბრაზით.

— მათე! შინა ხარ?

გაეგება: შუა ოთახში.

— პო. რა მოხდა? ხომ მშვიდობაა?

— პო. გადავიფიქრე წასვლა. გზაში გამახსენდა, რომ რალაც საქმე მაქვს მოსაგვარებელი. მარტო ხარ?

— არა. სტუმარი მყავს.

— კარგი. მიხედუ. მე დავისვენებ.

კვერცხის ფორმის, ზომისა და ფერის ქვა აიღო მინის თაროდან. ესეც ზღვის ქვაა. წყლის ხელობა. წყლის ნაკეთობა... ალბათ საუკუნეთა მანძილზე გასარკულ-გაგლუვებულთ. კვერცხის ქანდაკება. ზუსტი ქანდაკება. უზილავე კავშირები ისევე უყვარს, როგორც გარეგნული მსგავსებანი: ბუნებას. კვერცხი, ბოლი და ბავშვი. გიორგი ამბობდა. ასე, ცამეტი წლის იყო მაშინ. რვეულს ჩასჩერებოდა და იმეორებდა: „არ დამავიწყდეს, კვერცხი, ბოლი და ბავშვი“. საინტერესოა: მთელი სამყარო სამ საგანში. ყველაფერი — უძირითადესი. ყველა გამოცანაში ნაყოფი მონაწილეობდა.

— დედი, დედი, ოღონდ სამი გამოცანა დამაწერინე და, რაც გინდა, მთხოვე, — ყელს უწევს გიორგი.

— გამოცანები არ იცი, ბიჭო? — თავს იქნევს დედა.

— მე რაც ვიცი, ის ყველამ იცის, ცოტა ისეთი მინდა, რა, ძნელი, აი, უცნობი.

— მე დავაწერინებ, — აცხადებს ენდი, — დავაბამ მიდის, ავუშვებ — დგას, რა არის?

— თვითმფრინავი!

— რა თქვა! რა თქვა! — აკაკანდა ენდი, — ფეხსაცმელია, ბიჭო. კიდევე გეტყვი. ვაშრე, ვაშრე, ვერ დავაშრე, რა არის?

— ეე, ეე, — თავს იქეპავს გიორგი,

ერთობა, — ეე, მელანი! ვარკვენილი — ვაი, ვაი, არაფერი ზაზაყინი ფეხსა ბიჭო, ჩემმა კლასელებმა სუყველამ იციან! კეცე, კეცე, ვერ დავკეცე, რა არის?

— ენდის ენა!

— გზაა, გზა. შე საწყალო, ენა ხომ წედან იყო! — ჩაკაკანდა.

— ჩავაწერინებ, ოღონდ პასუხებს არ გეტყვი, კარგი? — ამბობს დედა — პირველი. იცოდე, ვერც ერთს ვერ გამოიცნობთ ვერც ერთი. პირველი: „მა-მა არ გაჩენილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა“.

— ეიმე, — პირი ღია რჩება ენდის.

— ეე, აზრზე არა ვარ, ხო იცი, — გიორგიმ თმას აუბერა.

— ხომ გითხარი! მეორე:

უსულო ვნახე ორსული სულიერისა მშობელი.

შვილსა შობს, დედა მოკვდება

ვინ არის გამომცნობელი?

სიჩუმე.

— ეე, შენ რა ძნელები გკოდნია!

— ეგ არის, ეგ არის, — დაძაბულობისაგან გაფითრდა ენდი, — თოჯინის მუცელში... გიო რო იჯდეს და მერე გაჩნდეს.

— უყურე შენ ამას! — ცალწარბაძგიბული დააჩერდა გიორგი დას, — რეებს ამბობს! თან რალა გიო, მაგალითად?

— მათე, არც შენ იცი? — მოკავშირეობას სთხოვს გაწბილებული ენდი. სახედალრეჯილმა გადააქნია თავი:

— ნწ.

— იცით, მაშიდა მთვარისა მეუბნებოდა ხოლმე, და სხვათა შორის, ვერც მე ვხედებოდი. და ახლა მესამე, საშინლად ძნელი და საშინლად საყვარელი:

ერთი სტუმარი მესტუმრა

მისდღემში უსტუმრებელი,

იმას საჭმელი მივართვი

სუფრაზე დაუდებელი.

— ეეუჰ! სულ გამოვშტერდი! — ხელი შუბლზე შემოიღო, გიომ.

— მე სულაც არ მესმის, რას ამბობთ და არ მამახსოვრდება, — გაღიზიანდა ენდი.

— ეგ მესამე სიკვდილია, — თქვა თვითონ.

— სიკვდილი? — უკვირს დედას. — როგორ გამოდის, მათე?

— როგორ და... სიკვდილი ერთხელ მოდის, მაშასადამე, უსტუმრებელია და შენი თავი უნდა მიართვა, შენ კი სუფრაზე დაუდებელი ხარ...

— არა! არა! — ზელს ასავსავებს დედა, — რას ამბობ! სულ სხვაა! მაგაზე გეტყობდი, ძალიან საყვარელია-მეთქი?! საიდან მოიტანე!

— გვითხარი რა, დეე? — ცნობის-

მოყვარეობისაგან ლამეც <sup>ჩიტირის</sup> ენდომ.

ზინზლინიშენა

— დედი, მითხარი რა, ეგ რაღა გამოვიდა, გეხვეწები, რა, კლასში რომ მკითხავენ, თუ მე თვითონ არ მეცოდინება პასუხი, რაღა გამოვა გეხვეწები, რა!

— არა. დღეს იფიქრე და ხვალ გეტყვი.

— ჰო. კარგი. კარგი, — შეიკუნტრუშა გიომ და სათამაშოდ გაეარდა.

მთელი ის საღამო იფიქრა, თვითონ, ლამეც — ვერ გამოიცნო. „ორსული უსულო“. „მამის გაჩენამდე ქალაქს წასული შვილი“. „უსტუმრებელი... მისდღემში, მისდღემში უსტუმრებელი...“

## ე ვ ო ლ უ ც ი ა

1. სიმწვანე ირგვლივ!  
მოხასხასე სიმწვანე — ლურჯი!  
მწვანე სილურჯე!  
მეწამული სიყვითლე მკვეთრი!  
გაზავებულა ერთმანეთში  
უბილავ ფუნჯით  
მზე —  
ვერცხლისფერი, ოქროსფერი,  
შავი და თეთრი...  
  
ყოველივეში — დგას მზის ფერი!  
ფერი ათასი!  
და, ამავე დროს — ერთი ფერი,  
ქმნილი ათასად...  
ნაირნაირი მზე იღვრება  
მიწის კალთაში,  
ნაირნაირი მზის ფერი აქვს  
მიწის კალთასაც...  
  
დიდი სამყარო —  
უამრავი ფერებით სავსე,  
აზრი და არსი  
მიწიერი ყველა ბინადრის —  
ქვეყნიერებას —  
გარინდული დაჰყურებს თავზე  
და ამოძრავებს ყოველივეს  
ფერის სინათლით...  
  
ფერის სინათლით —  
ფერთ გაერკობით, ფერთა განფენით,  
რამეთუ ყოველს  
ფერები და ფერები წყვეტენ,  
რაც კი რამ ზდება:  
ყველაფერი და არაფერი!

რაც კი მოხდება,  
ანდა, რაც არ მომხდარა დღემდე!

დიდი სიჩქარით —  
არნახულით, არგაგონილით, —  
ყოველი მხრიდან —  
უბილავი, ბაცი და მკვეთრი —  
მოჰქრის მიწისკენ  
უამრავი მეტეორივით  
მწვანე სინათლე —  
ნაცრისფერი, ლურჯი და თეთრი..

ყველა არსება —  
სულ მუდამ რომ მოდის და მიდის,  
სხვადასხვა ფორმად მოვლენილი  
მზის ათინათით, —  
ზე, კაცი, დაბლა — ჭიანჭველა  
და მაღლა — ჩიტი —  
სხეულებშია მარტოოდენ  
ფერთა სინათლის.

და ყველაფერში დგას მზის ფერი,  
ფერი ათასი..  
და ერთი ფერი —  
ქმნილი ათასად.  
ნაირნაირი მზე იღვრება  
მიწის კალთაში,  
ნაირნაირი მზის ფერი აქვს  
მიწის კალთასაც...

2. გაყოფილია ქვეყანა ორად:  
ბალახისმჟამელდებად  
და ხორცისმჟამელდებად..

სპილოს ბალახი არ ყოფნის ტონა,  
ხოცი აირჩიეს მგლებმა და მელებმა.

ვეფხვებმა, ლომებმა, ტურებმა —  
ხოცი! —

ერთიერთმანეთის გლეჯვით და  
ხოცივით.

ირემმა, ბიზონმა, კამეჩმა, ძროხამ —  
ბალახის ძოვა  
და ცოხნა...

3. ეჭვი არაა, ადამიანი  
თავდაპირველად ბალახს მიირთმევდა,  
ბალახს და ფოთოლს...

და, საერთოდ, ყველა ცხოველი —  
ვეფხვისნაირი,  
მგლისნაირი,  
აფთრისნაირი —  
ბალახს და ფოთოლს მიირთმევდა  
თავდაპირველად...

4. ყველა ცხოველი,  
ვინაც ხორცის დაიწყო ჭამა,  
გახდა ნადირი,  
და ნადირად დარჩა ბოლომდე,  
რადგან, რა ერთხელ იგემა სისხლი,  
საერთოდ აღარ გაკჳარებია  
ბალახს...

და სისხლმა  
აღი შეუნთო, მთელ სხეულზე  
შემოახურა, —  
აღუღდა სისხლი სისხლის შერევით,  
მთლად გახელდა და გამძვინვარდა,  
და თვალეში წამოაწვა  
მუგუზალივით...

და არცერთ ნადირს აღარ ახსოვს  
ბალახის გემო,  
და, უფრო მეტიც, —  
თუ არსებობს თვითონ ბალახი,  
თუმცა ნადირი, როგორც ცხოველი,  
ბალახს და ფოთოლს მიირთმევდა  
თავდაპირველად...

5. ყველა ცხოველი,  
ვინც ბალახისმჭამელად დარჩა,  
დარჩა ცხოველად — თვინიერი  
და უწყინარი,

მშვიდი და წყნარი, გარეშემოს  
ვეფხვებმდე  
ბედის მორჩილი, უღრტფინველემან  
და უხმაურო...  
ზუსტად ისეთი, როგორც იყო  
თავდაპირველად...

6. სიმწვანე ირგვლივ  
საოცარი მშვიდი სიმწვანე...  
მხოლოდ შრიალი ჩუმი,  
ჩუმი ფოთლების ტაში;  
ხოლო ხეები კეკლუცობენ  
და თმებს იწნავენ  
ჩაკიდულები თავდაყირა კამკამა  
ტბაში.

მიდის მდინარე,  
მილივლივებს მშვიდად და წყნარად,  
და მდელსაპირებს  
მწვანე ქოჩორს ულოკავს ენით,  
და მდინარეში ყირაზე დგანან,  
და ყირა-ყირა ცეკვავენ ხენი...

სუყველაფერი, რაც თვალს უნახავს —  
ტყე, მთა, მინდორი,  
მზე და მთვარე მარადიული, —  
ქვეყნიერება —  
ჩაწოლილა ტბაში გულადმა  
მუქ სიმწვანეში, ვით ემბაზში,  
და ტანს იურვებს...

სიმშვიდე!  
ირგვლივ საოცარი სიმშვიდის  
სიტკბო —  
პირველყოფილი სიმწვანე მძაფრი...  
თქორავს და მზეა... და მიწა თითქო  
კას უერთდება  
ვერცხლისფერი უამრავ ძაფით.

და წევს კლდისპირას —  
მდინარესთან, ჩეროში, კაცი...  
და ასდის მიწის,  
ბალახის და ყვავილის სუნი...  
და კაცს, ვითარცა ბუნების ნაწილს,  
დაუფლებია სიმშვიდე სრული.

და არხეინად, —  
არ არსებობს თითქოს არავინ. —  
წევს ჩეროშივე გარეშემო



ირმების ჯოგი: —  
ერთი და ორი.  
ათი, ოცი, უუთვალავი...  
და იცობნიან ნეტარებას  
სიმშვიდით მოგვრილს...

7. და იწვა კაცი... ეძინა მშვიდად...  
არც არავისი ეშინოდა,  
რადგან თვითონაც  
არვის ერჩოდა...  
და, საერთოდ, არც იცოდა, რა  
იყო შიში.

არც ის იცოდა,  
თუ რა მწვანე იყო ბალახი,  
და ყვავილები — რა ჭრელ-  
ჭრელები!

მისთვის ბალახი,  
და ფოთოლი, და ყვავილები —  
იყო საჭმელი...

ერთადერთი, რასაც კი გრძნობდა,  
შემშვილი იყო,  
და ამ შემშვილით გაიგო ქვეყნად  
ნელა-ნელა  
ავი და კარგი...

იყო ტყე-ველი —  
მობიბინე რბილი ბალახით  
და უამრავი ყვავილით სავსე...  
და მობდლოლავდა ხოლმე ბალახს,  
ანდა ყვავილებს,  
და პირს ივსებდა...  
კვლავ მობდლოლავდა, გაღეჭავდა,  
კვლავ მობდლოლავდა...  
კიდევ და კიდევ —  
სანამ კუჭს არ ამოივსებდა  
ყვავილების და ბალახის წვენით...

და რა იცოდა, თუ ამ ყვავილებს  
მილიონი წლების მერე გაჰყიდდა  
ფულზე,  
ანდა საფლავზე დაუდებდა თავით  
მეგობარს...

მაშინ ან ფული რა იცოდა,  
ან მეგობარი!  
ფული გაიგო, როცა სხვისი დაკარგა  
ნდობა,  
და მეგობარი — როცა უკვე გაუჩნდა  
მტერი...

8. შავმა ყვავილმა —  
მწარე იყო, — ცრემლი ავლიდა  
შფოთიანად ეძინა ღამე.  
და თუ ეღვიძა, — გამოქვაბულთან  
მოწყვნილი იჯდა და თვლემდა...  
თან შიგადაშიგ —  
ისევ ცრემლი ეძალებოდა...

თეთრმა ყვავილმა —  
სიბრალულით აუვსო გული  
თავისიანის დანახვაზე...  
შეუტყნობელი თანაგრძნობისმაგვარ  
ზმულით  
გაუძღვებოდა ხოლმე ტუნტულით  
დაბლა — ჭალისკენ, ან —  
ტყისპირისკენ,  
რათა იმასაც ამოევსო მშიერი კუჭი  
თეთრი ყვავილით,  
თუ არადა, სხვა ყვავილებით,  
ან საერთოდ — ბალახბულახით...

მოლურჯო, ცისფერყვავილებნაქამს  
ბედნიერი ძილით ეძინა.  
ძილში ხედავდა — ვიღაც ტკბილად  
ეფერებოდა

გაჯაგრულ წვერზე...  
ნეტარებისგან —  
გატრუნული იწვა ჭიჭივით,  
თვალის გაბელა არ უნდოდა,  
რადგან იცოდა,  
რომ ის ვიღაცა —  
გაჭრებოდა თვალდაბელშეა.  
წამოდგებოდა  
და ეძებდა გაოგნებული  
გამოქვაბულის კუნჭულებში და  
ნაპრალეებში,

ყველგან,  
სადაც კი დამალული ეგულებოდა...  
ვერ პოულობდა,  
მაგრამ გულიც არა სწყდებოდა,  
რადგან სუყველგან  
თვალწინ ედგა უცნობის სახე,  
ცხადლივ და ცოცხლად...  
და.. უცნობიც არ იყო თითქოს, —  
სადაც ენახა,  
სად — ვერაფრით ვერ იგონებდა...  
ლოყაზე  
მისი ხელის სიღბო უფათურებდა

და სხეულში კი  
ედგა მისი სხეულის სითბო...  
და მოუთმენლად  
დაძინებას ელოდებოდა...

ყვითელ-ყვითელმა ყვავილებმა —  
გონი წაართვა...  
იწვა მდელიში გაუნძრევლად,  
და არაფერი აღარ ახსოვდა;  
არც ის — ამქვეყნად იყო თუ არა.  
და თვლემდა ასე —  
უმახსოვრობის სევდის ბურანში...

წითელ-წითელმა ყვავილებმა —  
სულ გადარია, —  
თვალეები ბნელით აუმღვრია,  
ხოლო სხეულში —  
ცეცხლი შეუნთო, და სახეზე  
წამოახურა...  
მიშვანგ-მოშვანგა ტყისპირი  
და ჭალის ბუჩქები,  
როგორც შეეძლო — ტყესაც  
გადასწვდა  
და ამოავსო  
დამტვრეული მწვანე ტოტებით,  
მოშვალული თოთო ფოთლებით...

ამის მერე კი — პიტალო კლდიდან  
ვეება ქვეები დაუგორა  
ირმის ჭოგს, დაბლა —  
კლდისძირას, ჩრდილში,  
ნაკადულთან რომ ნებიერობდნენ...

9. (მას აქეთია,  
რომ ირმები მის დანახვაზე  
შლივინ-შლივინით გარბიან ხოლმე...)

10. მეორე დღეს კი ნახა ურიცხვი,  
უამრავი თეთრი ყვავილი —  
შელებილი ირმების სისხლით...  
სისხლი რა იყო, არ იცოდა,  
მაგრამ ყვავილებს  
ირმების სუნი ასდიოდა,  
თან ყვავილების სურნელს  
აფრქვევდა...  
მობდლოლა მუჭით,  
ამოივსო პირი, გაღეჭა...  
კიდევ მობდლოლა. კიდევ გაღეჭა...

კიდევ და კიდევ...  
სანამ კუჭი არ ამოივსო  
თეთრი ყვავილით და ირმის  
სისხლით.

იგრძნო. რალაცა შეიცვალა,  
რალაცა მოხდა,  
ცხოველმა ეინმა აიტანა და გაახელა  
და გამოუდგა გადახვეწილ  
ირმებს ჭალაში, —  
რომ სათითაოდ გამოეწოვა  
მათთვის ცხელი ყვავილის წვენი,  
თეთრი ყვავილის წითელი წვენი...

11. ...გავიდა ხანი...  
მილიარდი გავიდა წელი —  
ააგო სახლი, დაოჯახდა,  
დაშვილიანდა,  
მოხნა, მოთესა,  
მოამრავლა ხარი და ძროხა,  
მდინარეებზე ხიდი გასდო,  
ზღვაში შეცურა,  
ცაში აფრინდა,  
უამრავი შექმნა მანქანა,  
დაუმორჩილა თავის ნებას  
ტყვე და მინდორიც,  
მთაცა და ბარიც, ცაცა და მიწაც...

მაგრამ სიზმარში ნანახივით  
დაამახსოვრდა  
ყვავილის გემო —  
მილიარდი წლის წინანდელი...  
უფრო სწორად, შემორჩა სადღაც  
გონების ჩამქრალ კუნტულებში  
იმისი ხსოვნა,  
როს ამ ყვავილებს მიირთმევდა...  
კაცმა რომა თქვას, გემო არც ახსოვს...  
ქვეშეცნეულად,  
მილიარდი წლების იქიდან  
შემოინახა მეხსიერებამ,  
რომ: მწვანე ფერი — სიმშვიდეს  
ნიშნავს,  
თეთრი (ყვავილი) — ბედნიერებას,  
ყვითელი — ლალატს და განშორებას,  
შავი კი — ცრემლსა და მწუხარებას,  
ხოლო ცისფერი კიდევ —  
სიყვარულს...



12. თეთრი მიხაკი,  
 წითელი, შავი,  
 — ე, ბიჭო, აქეთ! აიღე! მომე! —  
 წუთისოფელი დაიწყო დავით  
 და არჩევანით — რომელი რომელს!..

ო, ყვავილებით სავსე მაჭვს დახლი! —  
 წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი...  
 და მასევია ბუზივით ხალხი,  
 ხალხი, რომელიც ცხოვრობდა უწინ.

მიკირავს მუჭით იეზის ფუნჯი,  
 სულ ერთი შეკვრა ორი დღის ია,  
 წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი, —  
 დახლთან ყვავილის დგას რია-რია..

ყვიდი სიყვარულს — ნაღდა და  
 ალაღს,  
 ვით ძვირფას წიგნებს — შოუს და  
 ჯოისს, —  
 მილიონი წლია წინანდელ დალატს,  
 ბედნიერებას უხსოვარ დროის.

ვღგავარ ბაზარში... და ყვიდი  
 ურცხვად  
 ნატვრებს, იმედებს გარდასულ დღეთა,  
 მილიონ წლების წინანდელ კურცხალს  
 და გუშინდელ ცრემლს — არეულს  
 ერთად.

ყველამ თქვენ-თქვენი აიღეთ თავნი,  
 ნუ შეიშლებით, მართლა და  
 მართლა! —  
 სიყვარულს მაინც გაუვა ყავლი,  
 ნატვრა ყოველთვის დარჩება  
 ნატვრად...

ო, არ მინდოდა ამის გამხელა,  
 ო, თუ ყიდვია, იყიდეთ ნატვრა, —  
 ყველას გეყოფათ თავზესაყრელად,  
 თუნდ ერთი რამე ინატროთ ათმა.

ო, თქვენთვის მხოლოდ სიკეთე  
 მნებავს  
 და ვასაჩუქრებ წითელი ვარდით,  
 ვისაც უნდოდა, ეყიდა შევბა  
 და უნებლიეთ მივეყიდე დარდი.

და მახვევია ბუზივით ხალხი,  
 რომელიც თურმე ცხოვრობდა უწინ...  
 და ყვავილებით — სავსე მაჭვს  
 დახლი —  
 წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი..

მიხაკი თეთრი, მიხაკი შავი!  
 — ე, ბიჭო, აქეთ! აიღე! მომე! —  
 წუთისოფელი სავსეა დავით  
 და არჩევანით — რომელი რომელს..

13. თავდაპირველად იყო:  
 მიწა, წყალი და ცეცხლი...  
 და ადამიანებს ეშინოდათ...  
 ძალიან ეშინოდათ  
 მიწისაც, წყლისაც და ცეცხლისაც;  
 კვირტის გაშლისაც კი...  
 რადგან აოცებდათ ყველაფერი:  
 ბორცვიც, მდინარეც და მთვარეც...  
 და ერთმანეთიც კი...

და... რადგან ეშინოდათ მეხის და  
 მერების, —  
 როგორც წესია და როგორც რიგია, —  
 შექმნეს ღმერთები:  
 ჯერ — თიხის, მერე — ქვის,  
 მერე — ლითონის, — გაჩნდა  
 რელიგია...

იჩენდნენ მტრებს და კლავდნენ  
 მეგობრებს,  
 ერთად ებრძოდნენ შიშს და  
 ერთმანეთს.

ხან ეცემოდნენ, ხან მაღლდებოდნენ  
 ისევ მათ მიერ შექმნილ ღმერთამდე  
 რა გაჩნდა კერპი, გაჩნდა იმედიც;  
 ადამიანებმა ირწმუნეს,  
 რომ შექმნეს უფრო ძლიერი,  
 ვიდრე — მერეცხი წამლევაკი,  
 ვიდრე — ცეცხლი მბუგავი.  
 და ლოცვიდნენ უფლისა მიმართ,  
 რამეთუ შიში ჰქონდათ გაუნებლებელი  
 მართოდ დარჩენის,  
 ერთად ყოფნისაც კი...



და აი, გაიგეს ადამიანებმა,  
რაც გამოიგონეს, — თურმე სულ  
ქორია.

და ყველამ ნელა თავი მიანება  
ღმერთების ფერებას და ლოლიავს.  
ისწავლეს უფრო დიდი  
ცეცხლის დანთებაც  
საკუთარ კერპებზე ძლიერებმა.  
სამოღვაწეოდ აირჩიეს  
სხვა თემა — მეცნიერება...

და მოურიდებლად  
(კი არა — გაბედულად)  
დაადგეს ფეხი საკუთარ კერპებს,  
მთვარესაც კი...  
ალარ ეშინიათ მეხის და მერეხის,  
და როგორც წესია, და როგორც  
რიგია, —  
დაიმსხვრენ ღმერთები:  
ჭერ — თიხის, მერე — ქვის,  
მერე — ლითონის... —  
ფაფუ რელიგია!..

14. გაყოფილია ქვეყანა ორად:  
ბალახისმჭამელებად  
და ხორცისმჭამელებად...  
სპილოს ბალახი არ ყოფნის ტონა,  
ხორცი აირჩიეს მგლებმა და მელებმა;  
ვეფხვებმაც, ლომებმაც, ტურებმაც —  
ხორცი,  
ერთიერთმანეთის გლეჯვით და  
ხოცვით...  
ირემმა, ბიზონმა, კამეჩმა, ძროხამ —  
ბალახის ძოვა  
და ცოხნა...

15. ერთადერთია ადამიანი,  
სიამოვნებით რომ მიირთმევს  
ხორცსაც, ბალახსაც...  
ოღონდ ორივეს გულდაგულ რეცხავს,  
ხარშავს, აზავებს სანელებლებით,  
რათა როგორმე დაუკარგოს —  
სისხლის სუნი და სისხლის გემო,  
რადგანაც — სუნი გემოს ახსენებს,  
ხოლო გემო კი —  
სუნს იმ თეთრი ყვავილებისას,

წითლად რომ იყენენ შეღებულნი  
ირმების სისხლით...  
ქარქინეული  
ზიზღილით...

16. მეოცე საუკუნე...  
(ახალი წელთაღრიცხვით).  
ალარც კი ახსოვს ადამიანს  
თავისი ასაკი —  
მილიარდი თუ ტრილიონი —  
აი, წლები სავარაუდო...  
და აი, რას წერს დღეს  
„ექიპი“ — ფრანგული პრესა:  
„ამან და ამან (გვარი, სახელი.),  
ამდენი და ამდენი ხნისამ  
(ორმოდებახუთის თუ ცოტა მეტის-),  
გუშინ საღამოს დაამთავრა თავისი  
საქმე,  
რომელიც რვა წლის წინ  
წამოიწყო, —  
შეჭამა მთელი ავტომობილი  
(რკინა — ორი თუ სამი ტონა.),  
თავისი ძრავით და წინახილ-  
უკანახილით“...

ასე დაიწყო ახალი ერა  
კაცობრიობის ისტორიაში!...

ამ ცნობის მერე  
არაფრად არ მოგეჩვენებათ,  
ამას წინათ რომ ერთ შუა ხნის კაცს  
ოპერაციის დროს  
კუჭიდან ამოულაგეს  
გადაყლაპული  
ექვსი კოვზი  
და ოცდაორი დანა-ჩანგალი...

კიდევ კარგი, რომ... არ დაღეჭა  
და ეს ჩვენი დანა-ჩანგალი  
(არაფერს ვამბობ  
რალაც ექვს კოვზზე)  
დანა-ჩანგლებად არ გვეზარალა...

17. ბრუნავს დედამიწა,  
ტრიალებს პლანეტა,  
სამყაროს ირგვლივ  
ლივლივით ევლება, —  
დანაწილებული

გრაფსად, განედად,  
მერიდიანებად  
და პარალელებად...  
ტორტმანებს, ირწევა,  
ვით ზღვაში მოლუსკი,  
წონით — უთვალავი მეგატონის;  
ჩრდილო-სამხრეთით —  
ორი პოლუსით,  
შუა გაყოფილი ეკვატორით.

ტრიალებს, პლანეტა,  
ბრუნავს და ირწევა,  
ედება კორომებს,  
სცილდება, ედება... —  
დანაწილებული წყლებად და  
მიწებად,  
ოკეანეებად და კონტინენტებად.

ასდის ოზშივარი... და ხვითჭი გასდის  
გაყრულ-გათანგულს ჭრელი  
ხვიარებით —  
პარალელების ათასი სალტით,  
ათასი ლვედით — მერიდიანების..

გადასასერავი — გადაუსერია,  
გადასატოპავი — გადატოპა,  
და შაინც:  
ყოველ წუთს მოსალოდნელია  
კატასტროფა!  
მიჰქრის,

გზას იკვლევს ბიჯიდან ბიჯამდე,  
იქნევს მწვერვალებს, ვით ათას  
მაჩეტეს;  
ძვირფასო დედაო, მე ტანს ავიმჩატებ,  
მე ტანს ავიმჩატებ.  
ოლონდ არ გაჩერდე!...

ოლონდ არ გაჩერდე!..  
...ბრუნავს პლანეტა,  
წონით — უთვალავი მეგატონის,  
დანაწილებული  
გრაფსად, განედად,  
წელზე — ქამარივით ეკვატორით.

ფრთხილად!  
ორბიტაზე დედამიწა!  
გზა გრძელზე გრძელია

და ძნელზე ძნელი!  
ყველა ჩვენგანის  
სიციცხლეს ვფიცავარ —  
უჭირს! — შეაშველეთ ხელი!  
ათასი ყური უნდა, ათასი თვალი,  
ვით გემი, ტალღებზე არბის და  
ჩარბის..

სმენა! —  
ავიშჩატოთ ტანი!  
სმენა! —  
გადავყაროთ  
ზედმეტი ბარგი!..

...სალამი ლურჯი ცის სიციავეს,  
ვარსკვლავებს —  
ლილებივით მიბმულებს!  
იბრუნე, დედამიწა!- იტრიალე!  
იბრუნე! არ გაჩერდე!  
იბრუნე!...

18. და ყვავილებით სავსე მაქვს დახლი!  
დიდი, პატარა,  
ქალი და კაცი —  
ბუზივით მადევს ამდენი ხალხი,  
ხალხი, რომელიც იცხოვრებს აწი.  
მივირავს მუჭით იების ფუნჯი,  
სულ ერთი შეგვრა ორი დღის ია, —  
წითელი, თეთრი,  
ყვითელი, ლურჯი, —  
დახლთან ყვავილის დგას რია-რია..

და ყვავილებში დგას მზის ფერი,  
ფერი ათასი,  
და ერთი ფერი ქმნილი ათასად!  
ნაირნაირი მზე იღვრება  
მიწის კალთაში,  
ნაირნაირი ფერი ადევს  
მიწის კალთასაც...

და ზესიჩქარით, —  
არნახულოთ, არგაგონილოთ,  
ყოველი მხრიდან — უხილავი,  
ბაცი და მკვეთრი, —  
მოჰქრის მიწისცენ  
უამრავი მეტეოროვით  
მწვანე სინათლე,  
ნაცირისფერი, ლურჯი და თეთრი...

ირინე ტალიაშვილი

## ევას სიკვდილი

მოთხრობა

სიკვდილი დილით ადრე ესტუმრა დედაბერს. ჯერ გათენებულიც არ იყო. ისევ ბინდბუნდი ეფინა სოფელს. აღმოსავლეთი ალისფრად იშუშმნებოდა და ფერზე ეტყობოდა, მცხუნვარე დღეს ჰპირდებოდა ჭვეყანას. გორაზე შეფენილი ტყიდან ფრინველების თივილხივილი ისმოდა, ხევში ღვარი მიჩხრიალებდა და გარემოს აფხიზლებდა.

დედაბერს მთელი ღამე არ ეძინა. უკვე ერთი კვირა მაინც იქნებოდა, რაც სიკვდილა ელოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ნამდვილად იხილა იგი, ცოტა არ იყოს გაუეკირდა, რა მალე მოვიდაო. ისე, გუმანით იგრძნო მისი მოსვლა, თორემ თვალის გახელის თავიც აღარ ჰქონდა. სხეული უჩინო და ჰეროვანი გაუხდა. კიდურები მოუდუნდა. ნახევრად გალურჯებულ-გაშავებულ ძარღვებში, ამომშრალი არხებივით რომ დაეწროებულყოვნენ, სისხლი მდორედ, უსიცოცხლოდ მიედინებოდა, გამუდმებული წნევის წამლის სმისაგან თვალის უპეები ამოღამებოდა.

სახლი, სადაც დედაბერი ცხოვრობდა, ორსართულიანი იყო. ზედა სართული ვაეიშვილმა ძველს დააშენა. თვითონ ცოლშვილიანად ახალში შებარგდა, დედაბერი თავისივე სურვილით ძველში დატოვა.

ქვედა სართული მიწურს ჰგავდა. დედათილ-მამათილის აშენებულ იყო და მორთულობაც მაშინდელი შე-

ენარჩუნებინა. ერთმანეთზე მიდგმული რამდენიმე ტახტი ღამით სარეცელის მოვალეობას ასრულებდა, დღისით საოჯახო სამზადისიასა. ზედვე იდგა ზამთრიდან შემორჩენილი, ნაცრით სავესე თუნუქის ლუმელი. ცხელოდა, მაგრამ დედაბერს გამოფიტული ძვლები ზაფხულშიც ეყინებოდა და ჩამქრალი ლუმელი თითქოს უხილავ სითბოს რომ გამოსცემდა, შინაურებს არ გაატანინა. ლოგინიც მის გვერდით გააშლევინა. ახლა, როდესაც წამოდგომის თავი აღარც ჰქონდა, ლოგინიდან ცალ ხელს გამოჰყოფდა ზოლმე და ლუმელის ცივ გვერდს უფიცებდა.

სიკვდილი რომ ესტუმრა, მაშინაც ლუმელის ფეხს ეჭიდებოდა. ღრმად, ხშირად სუნთქავდა, ცოცხალ-მკვდარი თევზივით ყბებსლა ამოძრავებდა.

სიკვდილი ტახტის ბოლოს, დედაბრის ფეხებთან გაჩერდა.

— ევავ, — დაუძახა თბილი, სანდომიანი ხმით და პირჯვარი გადაწერა. ევას ცრემლი მოერიო, მაგრამ თვალი მაინც ვერ გაახილა, ქუთუთო შეუთრთოლდა მხოლოდ.

— მოხვედი? — ჰკითხა და ღრმად ამოიოხრა.

— ჰო, — დამნაშავესავით ძლივს გაამხილა სტუმარმა. — მე ვარ, სიკვდილი.

დედაბერმა ისევ ამოიოხრა. შეეცა-



და დამძიმებული ქუთუთოები აეწია, მაგრამ გაუძნელდა.

— ვერ გხედავ, — ჩაიჩურჩულა სასოწარკვეთით და ხელები გაასაესავე. მერე თითქოს ყურთან მტრედის ფრთა ამოვიდა, უკუნეთში სხივმა იელვა და ევამ ნამდვილი სიკვდილი დაინახა, თუმცა დანახვა რად უნდოდა? ბურბუშელის სტრენელი იცნო. სტუმარს ფილიმონას სახე ჰქონდა, მაგრამ მოხუცებულის კი არა, ჰბატუი ფილიმონასი, იმ ახალგაზრდა დურგლისა, პირველად რომ ეახლა ყმაწვილ საცოლეს ხელის სათხოვნელად. ჩაცმითაც ისე ეცვა, ლურჯი, გვერდზე საციმდეჩახსნილი სატინის ბლუზა, ზედ შემოართყმული ვერცხლისბლათიანი ქაშკაშით. იღგა და დიდრონი, თაფლისფერი თვალებით სინანულით მისჩერებოდა მომაკვდავს.

ევამ უხმოდ, საცოდავად გააცმა-ცუნა ტუჩები.

— სიკვდილი კი არა, შენ ფილიმონა ხარ, — ულონოდ მოათვათურა თითები საბნის კიდეზე. სტუმარმა ნალვლიანდ გაიღიმა.

— ჰო, მაგრამ მაინც სიკვდილი მქვია... ნუ შეშინდები. — თქვა შშვიდად და ოთახში მიიხედ-მოიხედა. — რატომ ბნელა აქა?

დედაბერმა თავის მართლება სცადა. — ფიფიანთ მიხამ ძალზე შეგვაწუხა. ჯარიმა ჯარიმაზე გამოწერა. ადგა ბიჭი და სინათლის ხაზი გადაჭრა. მე მაინც ველარაფერს ვხედავ, რად მინდოდა?

სიკვდილი მოიღუშა და ახლა კედლები შეათვალიერა. ზედ ისევ ეტყობოდა აბოლებული ჭრაქის ჰვარტლი და ნავლი. ბალინჯოების ნაკვალევი, წერილი შავ-შავი წერტილები ჯგუფად ეყარა კედლის ნაჩერეტების გარშემო.

— ეს საბლიც დაფუტუროებულია, — ნაწყენივით ჩაილაპარაკა სტუმარმა.

— ეჰ, ფილიმონ, — ამოიოხრა დედაბერმა. მაგისტრის ვის სცალია? ოჯახში ათასი რამეა საჭირო... ბიჭი წელზე ფეხს იდგამს. პატარძალიც მუ-

ყათი ქალია, მაგრამ წელს გოგო/გაუთხოვდა. ჩვენი ნინუცკა [ქუთუთო] ვახსოვს? შენ რომ დავამსაფრთხველქამ დლით გაჩნდა. უცებ გაიზარდა. სკოლა დაამთავრა და დაიყინა, სამედიცინო-ზე უნდა ჩავებააროოო... ჩააბარებინეს, მაგრამ ვერ ისწავლა. გამორიცხეს, გაჯავრებულმა დაჭრა ფეხი და ვილაცა ზესტაფონელ ბიჭს გაპყვა... ხელმოკლე მაჯოვრებელი გამოდგა. პატარძალი ყოველ შაბათს დაიტვირთება ხოლმე და სასაბაღნე ხარივით გზას დაადგება, ხარჯს უზიდავს. გოგო ცოდვია. მოსალოგინებელი ყოფილა. დღე დღეზე უნდა იშშობიაროს...

უმცროსი ბიჭი, ბებია მოუყვდეს, წელს ჯარში გაიწვიეს. აბა, შენ მოესწარი იმის დაბადებას, მინდოდა ფილიმონა დამერქმია, მაგრამ თანამედროვე სახელი არ არისო... ნეტავი მოვესწრებოდე ნახვას, ჯავრმა გადამიყოლა, ხომ იცი, არეულია ქვეყანა...

დედაბერს ნიკაპი აუჯანყალდა და ლოყაზე კურცხალი გადმოუგორდა. სტუმარმა სანუგეშებელი ვერაფერი მოახერხა, ნირწამხდარმა მზრუნველობით გაუსწორა საბანი და ძლივს ამოლერლა. — რა ვიცი, აბა, მაშ, არ წამოხვალ?

მომაკვდავი უცებ გამოცოცხლდა.

— ჩემს ნებაზეა, რო?

სიკვდილმა პირი მოარიდა.

— არაა, მზის ამოსვლამდე უნდა წავიდეთ...

დედაბერმა საბანი გადაიძრო მკერდიდან. სიფიცხე მოემატა, თვალები აენთო.

— გადაწყვეტილი გქონია, ფილო და მე რალს შეკითხები?

სიკვდილმა კვლავ დამნაშავეს სახე მიიღო.

— გეჩვენება, ფილო არა ვარ.

— ხარ, ხარ, — დედაბერს ხმა აუჯანყალდა. სტუმარმა თავი დახარა.

— კარგი, ოლონდ ახლა აჩქარდი, მოემზადე...

ევამ მწარედ ჩაიციინა.

— რა დიდი სამზადისი მე მჭირდება, მაგრამ რომ ვერ ავმდგარვარ?

ფილიმონამ ხელი გამოუწოდა და დედაბერს ისევ ეცა ბურბუშელას ნაცნობი, სასიამოვნო სურნელი. მან ხარბად შეისუნთქა ჰაერი. მერე გამოწვილ ხელს ულონოდ ჩაეჭიდა და თავისდაგასაოცრად უცებ მხნედ, მსუბუქად წამოიწია. ახლალა გაახსენდა, რომ ძველმანები ეცვა, ქმარს მორცხვად შეხედა და თავისთვის ჩაიბუტბუტა.

— გვერდზე შებრუნდი. ახლები უნდა ჩაეიცვა და თმაც დაევიარცხნო.

სტუმარმა აღერსიანად გაიღიმა.

— მე შენთვის საჩუქარი მაქვს... აი, ეს კაბა, შენ რომ მოგწონდა ხოლმე, — მან ხელი დაიქნია და როგორც ჭადოქრის მუჭოდან, ისე ამოფრიალდა გრძელი, ქათქათა, ნოჰეებიანი კაბა... ევამ გაოცებით ჭყიტა თვალები.

— უიშე, სწორედ ისეთია, ხატებზე გამოსახულ წმინდანებს რომ აცვიათ. მართლა ძალიან მინდოდა... მეც შევიკერე ჩუმად სუდარისთვის გამზადებული მიტკლიდან, მაგრამ ვიცი, არ ჩამაცემვენ... გმადლობ, ფილო, რომ მომიტანე, ესლა ხომ ველარაფერს იტყვიან?

ევამ სწრაფად გადაიკვა კაბა და თითქოს ფრთები გამჩრეხაო, ტატიოდან გადმოფრინდა. სიკვდილმა აღტაცებით შეათვალიერა გაახალგაზრდავებული ქალი.

— როგორ გალამაზებულხარ, ევაე, რაც არ მინახავხარ.

ევა პატარა გოგოსავით გაინახა.

— კარგი ერთი და... — მერე კამოდთან მივიდა, სავარცხელი მოძებნა და აბურდულ თმას ჩამოსუსვა. სავარცხელი ძველი იყო, ხისა, ფილიმონას საქორწინო საჩუქარი. ორმხრივ კბილები მიუყვებოდა, შუაში გველემპათან მებრძოლი წმინდა გიორგი ეხატა.

სიკვდილმა ფიქრიანი თვალები დაამტერა იმ ადგილს.

— მაგის წამოღება არ დაგავიწყდეს, სტუ...  
ევამ წყრომით შეხედა.

— რა დამავიწყებს? — სტუ... არ დამაქვს? — მერე ვარცხნი... დამავიწყდა, მხრებზე ჩამოშლილი თმა კეფაზე სავარცხლით დაიმავრა და ფილიმონას მიუბრუნდა. — კიდევ რა წამოვილო?

სიკვდილმა დაღლილივით გადაისვა შუბლზე ხელი. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში დილის შუქი შემოიჭრა და არ ესიამოვნა. ფრინველებმა უფრო უმატეს ქვივლ-ხვივლს. აღმოსავლეთს თანდათან მღვრიე ვერცხლი შეეპარა. მზე თითქოს ახლა იზადებოდა სადაფივით მოვლვარე ღრუბლის ტალღებში.

ევამ შიშით შეხედა ფანჯარას.

— ბარემ ერთზე კიდევ მოვესწრო მზის ამოსვლას.

სიკვდილს მკრთალი, ყვითელი ფერი დაედო.

— აჩქარდი, აჩქარდი, ევაე!

ევა ჩაფიქრდა, მერე კამოდის უჯრა გამოაწვია და გაცრეცილყდიანი, ძაფით აკინძული წიგნი ამოიღო. ფურცლები აქა-იქ დაბეული და ბავშვის ხელით ჰქონდა დაჯღაბნილი.

— ესეც შენი ნაჩუქარია. — ალერსიანად მიეფერა წიგნს. — გახსოვს, საჩინეთის მეფის ასულის ზღაპარი?

ფილიმონა ჩაფიქრდა, წიგნი გამოართვა და ფურცელ-ფურცელ გადაშალა.

— მახსოვს, — სინანულით გადაუსვა ხელი ყდაზე, — მაგრამ ყველაზე მეტად ერთი ცოლ-ქმარის ამბავი მიყვარდა... ჩემსავით ფილიმონა ერქვა, იმ კაცსაც. ღმერთმა დაუწესა, ერთად უნდა მოკვდეთო.

ევას გული აუძგერდა.

— მერე მოკვდნენ?

სიკვდილმა უხალისოდ დაუბრუნა წიგნი.

— მაგდენი აღარ მახსოვს... აბა, ამ ქვეყნად უკვდავი ვინ არის?

ევას აღაზაფერო უთქვამს, მორჩილად ჩამოართვა წიგნი და ისევ კამოდს მიუბრუნდა. კამოდის თავზე ომში დაღუპული უფროსი ვაჟის გადიდებული ფოტოსურათი იდგა.

— წამოვილო? — ყოყმანით შეხედა ფილიმონას.

— რად გინდა? იქ არ დაგზვდება?

— მაშინ უმცროსისა...

სიკვდილი მოილუშა.

— არა, ევა, ცოცხლისა არ ვარგა.

ევამ თავი დაუქნია. ახლა გარდაცვლილი აბლობლების ფოტოებს მისწვდა... სიკვდილი ცნობისმოყვარედ დაამტერდა ერთ მათგანს. ზედ ჩიხტაკობიანი მანდილოსანი იყო აღბეჭდილი და მხიარული ღიმილით შესცქეროდა.

— ეს ქალი რაღაცა მეცნობა, — ჩაიღუღუნა სტუმარმა.

— გეცნობა, მა რა? შენი ძმის ცოლია, ნატო...

სიკვდილი გაოგნდა.

— რას ამბობ, ქალო, როდის მოკვდა?

— გუშინ გადაუხადეს წლისთავი...

— ევამ გამომცდელად შეხედა, — ისიც შენ წაიყვანე?

სიკვდილმა ამოიხზრა.

— სკვის მკვდართან რა ხელი მაქვს?

ევამ გაოცებით შეხედა ფილიმონას. უცებ სუნთქვა შეეკრა. გული თავქვე, საღდაც უფსკრულში დაეშვა. ევამ ისე მოიჭირა ხელი, თითქოს მისი შეჩერება უნდაო.

— რას ამბობ, ფილო? აბა, სიკვდილი ერთადერთი და მარტოდმარტოაო? კაცმა ხელები გაასაგსავსა.

— არა, არა ევა, ეგეთ რამეებს ნუ შეკითხები. ყველას თავისი იღბალი აქვს, თავისი ბედისმწერალი ჰყავს. ყველანი მარტონი არა ვართ? მე რა ვიცი? მე შენთან მოვედი.

ევამ მუნათით შეხედა ქმარს.

— და იმ ბედისმწერალმა სწორედ მაშინ ჩამოუარა ნატოს, როცა კალთაში მჭდომარე შვილიშვილს ეფერებოდა? ისეთი რა დააშავა, რომ დაკვნე-აებაც არ დააყალა? მითხარი, ფილო, რა დააშავა?

ფილიმონამ უკან-უკან დაიხია. ღორების ჭყვიტინმა და ეზოში ნაადრევად გამოშლილი ქათმების კრიახმა დააფრთხო. შარაგზაზე ურემი აჭრიალდა, ორლობეში ძროხა აბლავლდა.

— ევა! — სასოწარკვეთით დაიძახა სტუმარმა. — თუ მზემ მჩონჩჟო, დავილუბები, დღეს უკანასკნელად დავბრუნდი დედამიწაზე და რომ ვერ წაგიყვანო, სამუდამოდ გავეკრები; იცოდე, ვერასოდეს ველარ მნახავ.

— არა, არა, — აფორიაქდა ქალი, — წამოვალ, წამოვალ, მაშ, აქაურობას ხომ ვერ გამოვვეკრები? ესენიც შევწაფუხე... პატარაალი კოლექტივში დადის. გოდო ისედაც ვერ იცლის. ვგდივარ მთელი დღე უპატრონოდ გამოკეტილი. ვიღრე იმ ბიუს ჯარში წაიყვანდნენ, ბებია ენაცვალოს, წყალი მაინც შემოჰქონდა. საკმელს ძალით მაჭმევდა. მივლიდა. თმასაც კი მვარცხნიდა. სათნო და კეთილგულიანი შენაგავს, ფილიმონ!

უწინ არა უშავს, პატარაალიც მწყალობდა, მაგრამ, მერე, რაც საფლავზე მარმარილოს ქვა დაგადგი, შემომწყურა: ისედაც გვიჭირს, ფული თუ გქონდა, ჩვენთვის მოგებმარებიანა, არ სჭობდომ? რა ვქნა, აბა? ხალხისა მრცხვენოდა, სახელოვანი კაცი იყავი... ოქროსმარჯვენისანს გეძახდნენ, ერთი წესიერი საფლავი არ გეუთვნოდა? აბა, ახლა მეც ვკვდები და ესენიც დაისვენებენ...

ევას თვალეში ცრემლმა გამოეონა, მაგრამ გამაგრდა. კამოდის გადასაფარებლის ქვეშ ამოდებული ფული გამოიღო და ზემოდან დადო.

— ჩემი პენსიაა, შვილიშვილს ეუბროვებდი, რომ ჩამოვა, ჩასაცემელ-დასახური ექნება, ცოტა ხანს მაინც იმყოფინებს.

გარეთ უფრო აფორიაქდა მიდამო. ზემოდან პატარძლის ხამბალი ლაპარაკი მოისმა. დილაადრიან რაღაცაზე ეჩხუბებოდა ქმარს. ევამ სმენა დაძაბა, მერე გახევებულ კაცს მიუტრიალდა და ჩუმად აუხსნა.

— ყოველდღე ეგრე გაუთავებელი ომი აქვთ... ამ დილით გოგოსთან მიდიან. ხარჯი მიაქვთ, რაღა ახლა დამადექი თავზე, ჩემი სიკვდილი შეაფერხებთ.

სიკვდილმა ალერსიანად მოუთათუნა მაჭაზე ხელი.

— დამშვიდდი, ევაჲ, ყველაფერი მოგვარდება.

ევამ მწუხარებით დახარა თავი, მერე უხმოდ მიუტრიალდა ღუმელს, კარი გამოაღო, საჩხრეკელი მოძებნა და ერთი მუჭა ნაცარი გამოფხიკა.

— ნაცარი რად გინდა? — შეშფოთდა სიკვდილი.

— მიყვარს კვამლის სუნი.

— რას ამბობ, ევაჲ? სითბო თან რომ წამოიღო, ხომ კერა გაცივდება? აქ დამარჩენებს რა ეშველებათ?.. არაფერიც არ გინდა. ერთი მუჭა ხორბალი და სანთელი წამოიღე მხოლოდ, მორჩა!

ევამ ჩუმად გაიმზადა ხორბალიც და სანთელიც. მერე ერთხელ კიდევ მოათვალიერა იჭურობა, ამოიოხრა, გულხელი დაიკრიფა და სიკვდილს თვინიერად მიუბრუნდა.

— მზადა ვარ!

ფილიმონა სულ ახლოს იდგა და სიყვარულით სავსე თვალებით ზედ აღნებოდა. ევას რომ შეეხო, თითები აუკანკალდა. ქალს გააქრეოლა და სხეული დაძაბა.

— ძნელია, ფილიმონ? — დაიჩურჩულა უმწეოდ.

— არა, ევაჲ, ნუ გეშინია, გენაცვალე!.. აბა, კიდევ ერთხელ შემომხედე როგორი ხარ?

ევამ გაიცინა და წელში გაიმართა. ჭიტონის გრძელი ნაოჭები ტალღებოვით ჩამოიღვარა ქალის სხეულზე. მოულოდნელად აღმოსავლეთიდან სინათლემაც იფეთქა ფანჯრის მინაში არეკლილი სხივი აიჭრა და შარავანდედი დაადგა თავზე. სიკვდილმა თავისკენ მიიზიდა ევა.

— როგორ მომენტარე, ევაჲ, როგორ მომენტარე? — აჩურჩულდა უთავბოლოდ და ხელებზე ეამბორა. — უქანასკნელად გაკოცებ და მორჩა!..

ევას ტუჩები შეუთრთოლდა. თითქოს ფეხები შეებოროკა, ნაბიჯი კელარ გადადგა. იგრძნო კიბეზე ვიღაც ჩამოდიოდა.

— სირცხვილია, ფილო, პატარძალი შემოვა, — წაიბუტბუტა თავდახრილმა, მაგრამ წინააღმდეგობა ველარ გაუწვია.

სიკვდილმა ბაგე რომ მიუახლოვა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს. ახლალა მიხვდა, რომ მართლა კვდებოდა. უცებ გამოფხიზლდა. თვალები გაუფართოვდა, გაეყინა და საშინლად დაიკვილა კიდევ. ფილიმონა კი არა, ნამდვილად სიკვდილი, მიხრწნილი, ბრუციანი მაჭლაჭუნა ჩაჰფრენოდა მკერდში.

— ოჰ, შე ბებერო მატყუარავ, ვერ გასძეულ, არა, უჩემოდ? მარტო? — ჩაიჩიფჩიფა და ზავილი ამოაყოლა. მერე ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, გაიწვია, მაგრამ ძალა აღარ ეყო.

— მაპატიე, ფილო, სული ტკბილი ყოფილა, — თქვა და დანებდა.

პატარძალმა კარი რომ შეაღო, საიქიოდ გამზადებულე, გულზელდაკრეფილი დედაბერი უკვე ნათლით მოსილი სახით ესვენა ლოგინში.

— ვაი, შე საცოდაო?! — ამოიკენესა ქალმა მის დანახვაზე, — რალა ექნა ახლა? ეს მინდოდა? — წამოიძახა გულისტკივლით, მაგრამ მერე დაფიქრდა, თავისი მდგომარეობა აწონდაწონა. წარმოიდგინა ლოგინში თვალებამოღამებული მუცელგამობერილი ქალიშვილი და სასწრაფოდ წააფარა საბანი მიცვალბულს.

— ღმერთო, მაპატიე!

— ქალო, აღარ მოდიხარ? — მოისმა ეზოდან ქმრის გულარენილი ხმა.

— მოვდივარ, მოვდივარ, სძინავს! — გაეპასუხა ქალი და სწრაფად გატუსტუსდა გარეთ.

უკვე კარგად გათენებულიყო. ცბელი დღე იწყებოდა.

## გულო, იქნებ დაისვენო...

თვალებს ეფერება მზერა,  
გულო, ვხედავ მაინც კრთები.  
ზეცა ელვით დაისერა  
გაანათა მკერდი მთების.  
ვზივარ, უხმოდ მენატრება,  
ის კი სიტყვებს აცლის საფარს.  
გარეთ გაზაფხული თვრება,  
ქმებს ფერს და თავშესაფარს.

სანამ ცრემლების გადასწევ ფარდას,  
და სიხარული გეწვევა სანამ.  
სანამ გეყოფა ცხოვრების დარდად,  
კრწანისს ან დიდგორს უხმოდ რომ  
წვანან.  
სანამ საყდრისფრად შეღებულ გორებს  
განწმენდება ხსოვნა, გული ან თვალი

ალარ ნებდება სტრიჟონი კალამს,  
ამ მოლოდინში აბა, რა ყრია...  
ვერ გავიხსენებ — მიყვარდი? თანაც  
ოდესმე ლექსი თუ მიჩხაპნია.  
ვერ გავაგონე სიმღერა ქალაქს,  
ერთხელ სურვილით ვერ გავხალისდი,  
ისე მაჩეჩებს სიბერეს, მშალავს,  
მერე საფლავის ლოდთან დამიცდის.

გარეთ გაზაფხული თვრება,  
ლოყა — ბოლო ცრემლით სველი,  
მიაქვს ოცნებების წყება,  
თან ღიმილიც მიაქვს შენი.  
თვალებს ვეფერები მზერით,  
გულო, ვხედავ მაინც კრთები.  
გულო, იქნებ დავისვენოთ,  
იქნებ ჩამოგვეცოთ ფრთები.

და სიყვარულიც სანამ გაგონებს,  
რომ ტკბილზე უფრო დღე არის  
მწარე —  
ნუ შეშინდები. ხედავ ფერებით,  
როგორ ირთვება მიწის ნაპირი...  
მაღე წვიმები კვლავ იმღერებენ,  
მაღე ცხოვრებას შენც დააპირებ.

და ჩავეშვები მიწაში ჩუმაღ,  
ქვა-ლორლით ნეკნებს ჩამილეწავენ.  
ამომივსებენ სილით სასთუმალს,  
დამხედავენ და უკანვე წაელენ.  
მე კი დავრჩები... ღმერთო, რამდენი  
დაიმარხება ფიქრი და ვნება...  
დაუხარჯავი წლები — ღამდება,  
დაუხარჯავი სიცოცხლე — ქრება.



## შეგუება



ვადამინახავს ტყვილი ცალკე,  
 თვითონ კი ივლის აღმა და დაღმა  
 და როცა მზერით დაღლილი სარკე  
 ჩამაცქერდება, რას მეტყვის ახალს.  
 რას მეტყვის.. ანდა რამდენს იტანდა  
 თვალების ჭრილთან ნაოჭის სხივი,  
 თან გაზაფხული როგორ იდარდა,  
 როცა ზამთარი კვდებოდა ცივი.  
 მერე ტყვილი მომძებნის, რადგან  
 ჩვენ ვმეგობრობდით ძალიან დიდხანს.  
 ახლაც აქ არის, ჩემს გვერდით დადგა  
 და ელოდება, რაიმე მითხრას.

...და აჩნდებოდა სიტყვები სუფრას  
 ვარსკვლავებით, წვიმის წვეთებით.  
 მაინც მგონია, მადლობა უფალს,  
 იმათგან აღარ გახსოვთ წერტილიც.

ისე ვივსები ამ მოგონებით,  
 თითქოს ზღვა ვიყო ღელვით დაღლილი...  
 ზვალ ისაუბრეთ, როგორც გენებოთ,  
 ზვალ მე მოგისმენთ ერთგულ ძალლივით.

## ჩემო საქართველო!

ჩემი ყურთასმენა  
შენს შვერდს მიმიღვია,  
შენი გულისცემა  
ჩემი სიმღიდრეა!

თუ ვინ პატარაა,  
ანდა ვინ დილია,  
ამის ზომა-წონა  
ღვთისთვის მიმინდვია!

შენ ის მიკარნახე,  
ჩემო საქართველოვ,  
ზოგჯერ გულის ბზარი  
როგორ გავამთელო?

კვლავაც მიკარნახე  
სიბრძნე სახვალისო,  
ზოგჯერ მოწყენილი  
როგორ გახალისო!

როცა რამე გიჭირს,  
ცეცხლი მიკიღია,  
შენი კარგად ყოფნა  
ჩემი სიმღიდრეა!

შენი წარსული და  
შენი ისტორია —  
ჩვენი ფესვებია,  
ჩვენი მზის ტოლია!

შენი სიმცირეც კი  
ჩვენი სიღიღეა,  
შენთვის თავგანწირვა  
ჩემი სიმღიდრეა!

თუ რამ გამაჩნია,  
შენთვის მიმინდვია,  
ჩემი სიღარიბე  
ჩემი სიმღიდრეა!

## ყველაფერი მეორდება...

შეახალე  
ზეცას ფრთები  
და იფრინე  
შენებურად...  
თორემ, თორემ  
ყველაფერი  
მეორდება  
ძველებურად...

ვინც კი რწმენას  
გადაუდგა,  
სიძულვილი  
ელოდება...  
მაგრამ ესეც,  
რა თქმა უნდა,  
ძველებურად  
მეორდება...



არ ხერხდება  
დაფარულად,  
ზოგ რეგვენს რომ  
ძეგლებს ვუდგამთ...  
და ესეც კი,  
რა თქმა უნდა,  
მეორდება  
ძველებურად...

ზოგჯერ იმას  
ვემართლებით,  
ვინც კაცუნებს  
ეომება...  
ესე იგი,  
ყველაფერი  
ძველებურად  
მეორდება...

ტყუილი თუ  
გახმაურდა,  
იცოცხლე-თქვა  
მერე ბრუნავს...  
და ტყუილიც,  
რა თქმა უნდა,  
მეორდება  
ძველებურად...

კაი ყმასაც  
დევნა-დევნით  
შევიკლავთ და  
მერე ვზრუნავთ...  
ყველაფერი,  
ყველაფერი,  
მეორდება  
ძველებურად...

## ისე როგორ დავბერდები...

ისე როგორ გავეთერთდები,  
ისე როგორ დავბერდები,  
ერთხელ თუ არ ავფეთქდები, —  
არავგეს თუ არ დავედრები!

ღმერთო! კალთა დაიბერტყე:  
წუთისოფელს შემარჩინე,  
ერთბაშიად ნუ გამიმეტებ,  
სიკვდილს ნელა შემარჩიე!

ეს სანთლები საერთგულოდ  
მამულისთვის მანთებინე,  
საერო და სამამულო  
სეფელექსი მათქმევიწინე!

მერე სიკვდილს დამაზმანე,  
თუკი დიდხანს დავაყოვნო,

ოლონდ უბნის ღამაზმანებს  
ერთხელ თვალი გავაყოლო!

ლოგინად ნუ გამათეთრებ,  
ლოგინად ნუ დამაბერებ,  
მწვევარივით დამაფეთე  
და მგლის კვალზე დამადევნე!

მაგრამ ვიდრე დავბერდები,  
მაგრამ ვიდრე გავეთერთდები,  
მომეც ძალა ამღერების,  
რომ დამისკდეს საფეთქლები!

ეთერთდები და, ვგავარ თეთრ ღოღს,  
ვბერდები და, ვგავარ ბერ ღოღს,  
ღმერთმა მართლა გამათეთროს!  
ღმერთმა მართლა დამაბეროს!

## სიბერის კუნძული

ძილისწინ ვამბობ:  
გზა მშვიდობისა!  
და მე მგონია, აღარ ავდგები,  
როგორც კუნძული წყალდიდობისას,  
თანდათან ისე ვპატარავდები...

მგონია: ველარ  
ვასწრებ ცხოვნებას,  
სიზრდებით სავეს მოკლე ღამეში,  
და იძირება ჩემი ცხოვრება,  
როგორც კუნძული ოკეანეში...

პუხრისპირული დიალოგები



— ცოცხალი ხარ? მადლობა ღმერთს, ამომყარე მტრის ჯავრი! —  
 მამაჩემმა სამი თითოთ გადოწერა პირჯვარი.  
 დედაჩემი, რა თქმა უნდა, როგორც ყველა დედები,  
 სამი სიტყვით შემეგება: — რა ექნათ, შვილო, ვბერდებით!  
 — მართალი ხარო, აბა, არა? მტყუანი ვარ ნამდვილად,  
 (ვხუმრობ) თქვენი ბრალიც არის, რომ გამზარდეთ ნადირად!  
 რას მაგდებდით, ვყოფილიყავ აგერ, ამ ჩემს სოფელში,  
 ახლა თავი დამანებეთ, თუ ხალხი ხარო, მომეშვით!  
 — ისწავლე-თქვა და გაგიშვი, ცუდი რამე გირჩიე?  
 — ვერც ვისწავლე, მამაჩემო, და ვერც თავი ვიჩინე!  
 — შეტი ტვინი თუ არ გქონდა, რაისთვისლა წახვედი?  
 — აღარ გახსოვს, რო გამიშვი მეზობლების წახედვით?  
 ახლა რაღა დაგიმალო, ვერ მიხსენებთ თოხის ტარს,  
 არაფერსაც არ ვთაკილობ, რაც ცხოვრებას მომიტანს.  
 თქვენც რო იყოთ ჩემ ადგილზე, აქეთ რაღა დარჩებით,  
 პურიცა მაქვს, ქაღიცა მაქვს, ლვინოცა მაქვს საჩრევნი!  
 — ღმერთმა მოგცეს! — დედაჩემმა საუბარი განმუხტა,  
 მაგრამ მამას რომ შეხედა, უცბათ ნირი წაუხდა.  
 — გადი, ბოშო, ერთი წუთით, მასაუბრე ჩემ შვილთან! —  
 კბილში გასკრა მამაჩემმა... დედა მართლა შეშინდა.  
 — შენი თუა, ჩემიცა ქეა! — მოინდომა ხუმრობა,  
 ჩხუბში ნუ მატარებინებ შევილის ნახვა-სტუმრობას!  
 — გამშორდი-თქვა! — მამაჩემმა გადმოკარკლა თვალები  
 და დედამაც წელისთრევით გაიხტრა კარები...  
 მამაჩემი მომიბრუნდა: — რა ვუშველოთ ამ მიწას,  
 გავიწყდება, რომ ქალაქი სოფლებიდან დაიარა?  
 ა, ქე ხედავ, უკაცობათ ვენახებიც გაფუჭდა,  
 დროზე უნდა გადაყელვა, შეწამვლა და გაფურჩენა.  
 ეგერ სიმინდს რომ უყურებ, ზუთჯერ უნდა გამარგვლა,  
 კორკიმელი ხეზე ლპება. საარყოდაც არ ვარგა.  
 ფუტკარივით გვასევია ინდაური, ქათამი,  
 ველარაფერს ველარ ვყოფნი, კაცმა რო თქვას მართალი...



მეორე დღეს გავაგრძელეთ საუბარი იგივე,  
 წუთისაოფლის სიმუხტლზე სულ ცალ-ცალკე ვიგინეთ...  
 — მართალია? ქალაქელებს მოგცეს მიწის ნაკვეთი?  
 ესღა გვაქლდა სოფლებიდან ფეხის ამოსაკვეთი.  
 რაცბა მებალეობაო, რაცბა ამხანაგობა,  
 მიწის ჩიჩქნა დაგიწყია, შენება და გალობვა-  
 ვისაც სოფლად სახლი არ აქვს, მისთვის არის მისწრება  
 მაგრამ შენ რით დაგაბრმავა ქვიშიანმა მიწებმა?  
 აქეთ ეინღა დაგიშალა გალობვა და შენება,  
 ვინმე კარის მეზობელმა, სხვისანმა თუ შენებმა?



რას უპირებ, შე უღმერთო, მამაკაპურ ალაგეს? —  
 და ჩემს ლანძღვას მამაჩემი სართულ-სართულ ალაგებს. სართულ-სართულ  
 — მე რო წავალ, ვის უტოვებ ამ დალოცვილ სამოთხეს? სამოთხე  
 — კარგი ახლა, მე კვირაშიც ჩამოგიბენ სამ-ოთხ დღეს!  
 — სამი-ოთხი დღე ეყოფა ამ სახლ-კარს და ამ ეზოს? —  
 და მამაჩემს მოთმინების ფიალები აივსო...  
 მისთვის მართლა სამოთხეა — უსიტყვოდ და უთქმელად,  
 მე სამოთხე მესახება ზემელად და რუსთველად...  
 კვლავ მიკითხავს ნოტაციებს, თან იმოწმებს ეზოებს,  
 ვეტყვი: — ორნი ცოდონი ვართ, გადაძახე მეზობლებს.  
 ერთი ტკბილად წაუღმღეროთ, თითო „რუმკაც“ გადავკრათ!  
 — ნუ ქირქილობ, ბიჭო, გლახად! — სახრესავეთ გადამკრა.  
 შაყირს ხედება მამაჩემი, თავიც თვითონ გამოყავს:  
 — ვის გაეძახო, აღარ შეგვრჩა კაცი გაღმა-გამოღმა...



• • •

აღმოვჩნდი, ერთხელ, ჩამონგრეულ,  
უცნობ ნაპირთან,  
რომლის გასწვრივაც ტივტივებდა  
ნაფოტთა გროვა,  
და მომეჩვენა, რომ სიცოცხლე  
სადღაც გაფრინდა,  
რომ. თითქოს. შეწყდა უცნაური  
ამბავის თბრობა.

მზე უღიმღამოდ ვხებოდა  
ჩემს მახინჯ სახეს,  
რომელზეც ჩანდა სიჭიუტე  
და კვალი შფოთვის,  
გადავყურებდი მიტოვებულ,  
უბადრუკ მხარეს  
და ვლიღინებდი რომელიღაც  
სიმღერის მოტივს.

• • •

მთელი სამყარო  
თვალის ოვალზე  
გდია, ვით რუკის  
მცირე ნაგლეჯი,  
და გზა ყველაზე შორს მიმავალი  
განისაზღვრება  
ჩემი ნაბიჯით.

• • •

ვიკითხე და  
პასუხებით  
ყველაფერი აირია:  
რად ხდება, რომ  
მგელი მგელს ჰგავს,  
ძალი — ათასნაირია!

თენგიზ ბოგოლახი

## სატიოსუბნელი ფალავანი

დრამატურგი ვოთხრობა

ახალ მოქიდავებებში  
ერთი გამოცემა,  
ფალავანების მამქარში,  
კიტყვი, გვირავ სწერია...

ილირა ბურჯი

ქილაობა ჩვენთვის მარტო სპორტი არ იყო. იგი ერთ-ერთი კომპონენტია ერის სულიერი ურთის ჩამოყალიბებისათვის. ქართული კულაობა ისეთივე ერთენული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ზღოროთმოძღვრება და სხვა...

ნიკო კაცხოვილი.

ნაშუალამევი კაცის ლანდშავერის სასაფლაო გადაიარა და სატიოსუბნის ფერდობისაკენ გავიდა, სადაც ერთმანეთზე მიზონილილი ქობზახები მტკერის ხეობას გადააყურებდნენ.

ვერის უბნის ამ ნაწილში სასაფლაოს კარგა მოზრდილი ადგილი ეპირა, იქ, სადაც ახლა კიროვის სახელობის ბაღია გაშენებული. აქ მოხვედრილ კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს საბჭოთა ბინადრებმა სააქაოს მყოფნი შვაიწროვეს. ცოცხალი სამოსახლოდ ფერდობზეა ძლიერ იყოლებდნენ ფეხს. ქობზები, ბაღები, ბოსტნები ტრასებზე გაფენილიყვნენ. ეს იყო შრომელი, ხელისანი ხალხის დიწი, დარბაისელი ქართველების ერთი პატარა უბანი, რომლის მკვიდრთ თბილისში სხვა უღამაზესი ადგილი არც ეგულებოდათ.

მთვარე დააყურებდა თბილისს. მისის დამლევის თბილ ღამეში გასუსულიყო ვერის უბანი. მტკერის ჩხრიალს მდინარე ვერეს ხმა ერთეოდა, აქ, სატიოსუბნის კიდეში უერთდებოდა დედო მდინარეს და მერმე ერთად მიჩუჩხუბებდნენ მადათოვის კენძელისაკენ, ორთაქალის ბაღებით დაბურული სანაპიროებისაკენ...

ისეთი ბადრი და შექიანი მთვარე იყო, კვიპაროსთა ჩრდილებიდან გამოსული კაცის ლანდი გამოაქვეთა. შორიახლოდან უკვე იცნობდა დურგალ დიმიტრი კახნიაშვილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე.

ალექსანდრემ მიმამაჟერ სახლს ქვემოდან დაუარა, ბაღში ჩავიდა და კარს შიადგა.

გახაფხულ-ხაფხულობით შთელი ოქახი იმ ფართო იაენზე იძინებდა ბოლშე, რომელიც მტკერის ხეობას, ვერის უბნის ბალ-ბოსტნეებით გაღამაზებულ ერთერთ ნაწილს — სატიოსუბანს გადააყურებდა.

ფიზიკური ძილი იცოდა დიმიტრი კახნიაშვილმა. ეზოდან ფარეხი შემოესმა თუ არა, ტანტიც აპირილა. სანამ ალექსანდრე კიბესთან გაჩნდებოდა, საცქვლებს ამარა დიმიტრი აენის ხარობას შიადგა. ის იყო, უნდა შეხშიანებოდა, რომელი ხარო, მთვარეში კარგად დაინახა თავისი შვილი. მისი მოულოდნელი გამოჩენით ელდა ეცა. აენის კართან მიეგება.

— გამოიქეც, ბიჭო?

— არა, იქ გაუეჩერდებოდი!

მამა და შვილი ერთმანეთს რომ მოეხევი-



ნენ, სხვებმაც გაიღვიძეს. საწოლებიდან წამოცვიდნენ დედა და ძმები, წილოვნებით ერთმანეთის მომდევნო ვარა, თამარი, გიორგი, ირაკლი.

უწინ დედა ჩაეკრა გულში.

— მოგიკვდეს დედა, შვილო!

მერმე დაძმებიც მოხევივნენ.

— გამოვიქეცი, შავათი დედაც ვატირე! — დაიბუხუნა ალექსანდრემ. მაღალი, მზარბეკვანიერი, კუნთმაგარი ვეჯაკი იყო, უღვაშდამშვენიებული და ჭილათვალემა.

დედამ ლამა აანთო და შვილი შეათვალინერა.

— შენ მოგიკვდეს დედა!

შესაბრალოსობა კი არაფრისა ეტყობოდა ვეჯაკს.

დაძმებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და ეს იმ ღამესაც გამოჰმეღაენდა. გადასახლებიდან გამოქცეულ ძმას არ შორდებოდნენ და ათას კითხვას აფრიდნენ, სად იყო, როგორ იყო, როგორ გამოიქცა...

ნინოს თვალი არ უშრებოდა, ცრემლი უშლიდა, ხეირიანად შეეხება შვილისათვის, რომელიც გადასახლებაში აღზათ ძლიერ გაიტანა, ველარ გაუძლო და იმიტომაც გამოიქცა. ასა სასიკეთო აღვილი რომ ყოფილიყო, დასასჯელად იქ გაისტუმრებდა მეფის ოხრანაში!

ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, თავისი უმცროსი ძმებით, ჭიდაობის დიდი ტრფილი იყო, ღვინის ღუქანი ჰქონდა ჩერქეზოვზე. რევოლუციონერებმა მასთან საიმედო ბინა დაიდგეს, ალექსანდრეც ჩაება მათ საქმეში და აი, ჩაეარდა. ტვინოვანი გადასახლეს. მას აქეთ ერთი წელი ვადა და 1912 წლის მაისის დამლევს, იმ შთვარიან ღამეს ვერაზე, მამაპაპურ სახლში თავისიანებთან იჭდა და თავს ისე არხეინად გრძნობდა, გამოქცეულისა არაფერი ეტყობოდა. ოქდასამი წლის ჰაბუცს ცაქელად არ მიანდა და დედამიწა ქალამანდ ქელაქში უყვე საქმარ სახელი ჰქონდა. შაშოდ წოდებული ალექსანდრე კახიაშვილი თანატოლების „რისხვა“ იყო.

ვერის სასაფლაოს წრეზე — ვერელების თავსუყვარ საკვიდო მოედანზე, ხშირად იმართებოდა ჭიდაობა. ფაღვანთა ფაღვანი შაშო ვერელი სათავეში ედგა სატიოსუნულ და ვერის ეგუნულ ბიჭებს. აქ ხშირად ჭიდაობდნენ ჯადო სატიოსუნული, რომლის ნამდვილი სახელი ვინო გიუნაშვილი იყო; ნიკა ვერელი, მისი ნამდვილი გვიარი კუჭუბიძე ვახლდათ; ჯაფარა ვერელი, მზარბეკს გვიარი მეტასულს რომ მიუჩქმელა; ლადო კავსაძე — ამ კაცს აღზათ მეტახელი ვერ მოუქმებნენ თუ არ მოუქმებნენ; ლადო ცნობილი მომღერალი ვახლდათ და მელაის ძალასაც სცილდა. კილა ლალიაშვილს რატომღაც ავირა კოლას ეძახდნენ...

პატარა გიორგი და ირაკლი კახიაშვილები თანატოლებზე გამოდიოდნენ საუბრაოზე და

შომავალ ფალავნებად იზრდებოდნენ. უფროსი ძმა წვრთნიდა და აყავებდა. მან ჩიქოს — მჭებს, ჩამდევს, ზამთრის ყინვით — დღეს ვეღუჭერიათ სატიოსუნანი, ჩასულან მტყვარზე და იქიდან უინელით დაეწრულ-დასისხლიანებულნი ამოსულან შინ...

გიორგის უზომოდ უყვარდა თავისი უფროსი ძმა. მისი კერპი და სათაყვანებელი იყო. როცა მის მოხდენილ ჭიდაობას უყურებდა, სულ ერთიანად ძაგბეგებდა, გული საველს არ უნერდებოდა.

შაშო რომ დაიჭირეს და ტვინოვანში უქრეს თავი, ვამწიელი ამას ძლიერ განიცდიდა, რამდენჯერ სიმწრის ცრემლი მორგვია... ახლა ძლიერ ვიზარა, თავის სათაყვანებელ ძმას არ ეშვეებოდა. შაშომ ღონიერი ხელები დაავლო ძმას.

— ვამაგრდი, ძველო! — შეუძახა რიხიანად გიორგი იმ დროს თექვსმეტი წლის იყო, მკერივად შევრული და ძლიერი. ძმას ისეთ ძალას აგრძნობინებდა, ვევი არ იყო, კახიაშვილებსა მეროვ ძლიერი მოჭიდავე იზრდებოდა.

დიმიტრი ამავობდა თავისი ვაჟებით. ის რომ „კრეგზე“ გამოვიდოდა ჭიდაობის საცქერალად, თავის დაუმარცხებელ შვილებს ისე შეჰყურებდა — უყუთისი ბედნიერება და სიმდიდრე არაა უნდოდა.

იმ ღამესაც დააზანზარეს კახიაშვილების სახლის იატაკი. მავრამ შაშოს გიორგი არ წაუტყუია. უმცროს ძმას ამას არ აჯადრებდა, თავის მოწაფესთან ამით არსოდეს მოუწონებია თავი, ისწავლიდა კი მოწინაშეებითა და აზარტით. სჭეროდა თავისი ძმისა.

დაძმებმა ალექსანდრესთან აღურსით იყვრეს გული. ნინო, ვარა და თამარი გვიან ვაზმით ვაუმასპინძლდნენ.

— ეხლა რას იზამ, შვილო? ისევე რომ მოვაღვანე, ზო უარისია? — შიშით დაქანკალვებდა დედა.

— ეხლა რას ვიზამ და იმას ვიზამ, რომა... ზვალ ჩიხლაძიანთ ცირკში ერთს ხოშიანად ვიჭიდავებ, — ვაიენა შაშომ და დედას შეზღუვე აყვლა, — ნუ გეშინია, დედაც. ქიჭობა კი მართლა მიმეხატა... ოპ, რას ეჭიდავებ!

გიორგი თაველეში შეჰყურებდა თავის ძმას, მადიანად რომ ილუქებოდა და თვალები მგზნებარედ ანთებოდა.

მეროვ დღე კვირა იყო. კვირაობით კი ჩიხლაძის ცირკში ქართველ ფალავანთა პაქტრობა იმართებოდა. ჭიდაობას საზეიმო ელფერი ელო. დღესასწაულის ტოლფასად მიანდათ სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ. ეს თითქმის მთელ ქალაქს ეტყობოდა. საკვიდო არენაზე დედამიწი ხალხი იყრიდა თავს. მოდიოდნენ ფეხებით, დროგებით, ცხენებით, ეტლებით. სასამარტოვლ ცნობილ ფალავანთან ერთად უცნობნიც გამოდიოდნენ. ჩაწერიდა და სურვი-



ლით. გამარჯვებულებს დარდიმანდი თავად-ზნაურები საკვიფოდ ეპატრებოდნენ, ეტლში ჩაისვამდნენ და ქალაქგარეთ რომელიმე ღუქანში განათიანებდნენ დიდი ღირებობა იმართებოდა. მოქვიფთ ემაყვებოდნენ იმდღევანდელ გამარჯვებულთან პერის ჭამა, გულდა მასპინძლობას უწყევდნენ ღუქანის მესვეურები. განათიანის დღე-გომის ყარვა შეზარბოშებულნი ეგებებოდნენ.

ფალანგებს იმ დროს მთელ ქალაქში დიდი სახელი ჰქონდათ და თითოთი საჩვენებელ ვაჟაკებზედ ითვლებოდნენ, რადგან მთ ყველდღიურ საქციელში, ცხოვრების წესსა და რიგში რაინდული სული ტრიალებდა. ისინი ჰქვამარიტად ზრდილ და წესიერ კაცებად ითვლებოდნენ. ამიტომ იყო, ქალებიც რომ ეტანებოდნენ საჭილად არენას და ტყებოდნენ ვაჟაკების პაქრობით.

ყვრა დღეს ეტლები დიდიდანვე დაიძრნენ ქალაქის შუაგულიდან. საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი დიდუბისაკენ მიეშერებოდა.

კახიაშვილებიც მოემზადნენ წასასვლელად. რიგარეგ მშები ჩვეულებისამებრ წამოცვიდნენ, დაღმართის ბილიც დაუყვენენ და მტკვარზე ჩაიყვინდნენ.

ცა მოსარეული იყო. თანდათან მტრედისფერდებოდა. მშობლიურ ვარჯის მონატრებული შაშო ხარბი თვალით უყურებდა სატიოსების ატეხილ ბაღებს, ვერის ხეობას, მომხრობილე მტკვარს, რომლის ბაღალი მდინარე მთელ ქვეყანაზე არსად ეგულებოდა.

სამივე მხა საბანათოდ მოემზადა. ვინ იყის, ვერისუბნელებს რამდენჯერ შეუღწრიათ თავი სხვა დროს, მტკვრის ზვირთში რომ გდაეფშვებოდნენ მოხდენილი აღწვამობის ბიჭები. მაგრამ ახლა სისხამი დილა იყო, სატიოსებანს ისევე ეძინა. მშები მდინარეს შევირინენ.

ემა შაშოს მტკვრის ცივი წყალი. სულ სხვა ყოფილა მონატრებელი.

ყარვად რომ იყვრეს გული, გამხნევენდნენ და გაყავდნენ — მშები მდინარიდან ამოტყავდნენ. ქვასაყით სხეულზე წყალი წურწურით ჩამოსდიოდნენ. შაშო მალალი იყო, გიორგი დაბალი, ირავლი ბოკვერით...

— რა ყარგი რამ იყო! — დაძახა შაშომ, მერმე მშები ხელი მოხვია და აღმართი ერთი სულის მოთქმით აირბინეს.

საგარეო თუ რამ ჰქონდათ, ლამაზად მოირგეს. შაშომ თავისი საჭილად მოკლე ჩოხა, შარვალი, წინდები და ფეხსაცმელი მოიშადა.

— მაშ შენსას არ იშლი? — ჰკითხა დიმიტრიმ შელს.

— ხელები შექავება, მამო, — გაიღიმა შაშომ და გიორგის ხელი გადახვია.

— ნამგზავარი ხარ, უძინარი...

— თავს ისე ევრძნობ, მთას წამოგაჩოკებ... აბა, წაევიდო, ბიჭებო!

— შელო, გამოპარულსა არა აგეტეხონ რა — დედას თავისი დარდი ჰქონდა.

შაშო კი აღერდილი და დაუოკებელი იყო. ასე მზიარულად, ვგონებ, სხვა დროს არ ყოფილა. საკვიფოდ ისე ემზადებოდა, ისეთი განწყობილებით მიეშერებოდა; თითქმის უღიჯის დიდი ხნის ეინი სკირის და ახლა უნდა იძიოს შერი.

გიორგის შაშოს ბეგრ გამარჯვებასთან, დამარცხებანიც ახსოვს. იყო ზოლმე, ვანა არა ამას რა დაეიწყებდა! მაგრამ ამ დამარცხებებს შაშოსთვის ჩრდილი რ მიუყენებია. მუდამ თავდაპირილი და დიდსულოვანი ვაჟაკი და მარცხების არასოდეს შეუშინებია, მისთვის გულე არ გაუტეხია, მარცხი მოთმინებით აუტანია, თითქმის არად შეუმჩნევეია შემთხვევითი თუ ძალით მიყენებული ტყვილი.

ამ ირითვე წლის წინ იყო: თბილისში ირანელი ფალანგი ახვი სლუეიმანი ჩამოვიდა. დიდუბეში, გრიშუას ბაღს უკან, სადაც გიორგი კახიაშვილს თავის თანატოლებთან არაერთხელ უქვიდა, სულემანმა ჭიდაობით მთელი სერია გამართა. დაევიდა მხა ქერხულს და ბეჭებზე დასცა. ვეიდაცა გიორგი ოდიშელის და ისიც მიწაზე გაყარა. უკანასკნელი იმდელ შაშო იყო. ირანელს თუ ვინმე სძლედა, ისევე შაშო. გაანაბა, გაისუსა მთელი ცირკი, ხის უზარმაზარ ფარდულს რომ წარმოადგენდა. დასცეს დოლს, ზურნა საკვიდაოს გაკიოდა. ერთმანეთს ეკვეთნენ ქართული და ირანული. გიორგი და ირავლი თავს წამითაც არ ამორებდნენ თავიანთ მოხდენილ მშას, ზურნისა და დოლის ტაქტს კოტად რომ აწყოლოდა, თითქმის მარტო მოწინააღმდეგის დამარცხებას კი არა ედღიოდნენ, ხალხს ლამაზადაც უნდა სჩვენებოდა, ჭიდაობის მთელი მოხდენილობა უნდა დაეხატა მაყურებლისათვის, რომლის თვალში განსაუთრებულ კვალს სტოვებდა ვაჟაკური ცეცხლი, იღეთების სერია, შერკინების მთელი ეშხით დემონსტრირება. შაშო ახერხებდა ყოველივე ეს წარმოედგინა, ხალხს ლამაზად და ძალიანად სჩვენებოდა.

იმ დღეს ბეღმა უმუხთლა. ირანელმა აქოდა. ამ ამბავმა გული მოუკლა გიორგის, მშის მარცხს ვერა და ვერ შეჰგუებოდა, თუცა ამას შაშო სრულებითაც არ იმხნევედა მშებს ზშირად არიგებდა ზოლმე: „ნამდვილმა ვაჟაკმა დამარცხებაც ვაჯაკური, ღირსეული უნდა იყოღეს“. და ამ შეგონებას თვითონ მართლაც ღირსეულად ასრულებდა.

შაშან მთელი თბილისი შეიძრა, ირანელი დემარცხებულად როგორ უნდა გაეისტუმროთო. არჩევანი ქერხულის, ოდიშელისა და კახიაშვილის მოწიფეზე, კახელ ირავლი ეჩინათზე მიდგა. სთხოვეს, მთელი იმედები შენზე გვაქვს დამყარებელი, შენ უნდა სძლიო სულემანსო. ირავლიმ დაიმორცხვა, ცოტა არ იყოს, უკან დაიხია, ახვიმ ჩემი მასწავლებლები წააქცია და მე რა ხეირს დამყარის, მე როგორ მოვერევიო.

ბოლოს, მიიწვია დიოთანხმეს და იმავე ცირკში, გროშოს ბალთან, ცინცაქების არენაზე, ერთ-მანეთის პირისპირ დადგნენ სულეშიანი და ვაჩანაძე.

მათი ბრძოლა არ დაავიწყდება გიორგის, ბრძოლა კი არა, რაღაც წამიერი გავლენა იყო, ახლაც თვალწინ უდგას ქართველი ფალანის სიჩაქვე. ყველაფერი კი თვალის დახამხამებაში მოხდა. ბრძოლის დაწყებისთანავე ვაჩანაძემ აჩაყვრილი ფეხით წამოიღო ვეებრთვალა ცაი და ბეჭებზე დასცა.

ეს იყო განუყოფელი წუთი, თითქოს მიწა დახანზარდა. გამარჯვების სიხარული ქალაქის ქუჩებში გაიჭრა, მთელ თბილისს მოედო, დიდ-პატარა ზეიმობდა. იმ დღეს ჭიდაობის საპატიო მსაჯებად ეწოდებოდა, ქალაქში ცნობილი ვეელი შალვა მესხიშვილი და პოეტი ბეჩარა იყვნენ. ეს დღე ყველასთვის დაუვიწყარი იყო. მას აქვთ გიორგი ირაკლი ვაჩანაძეს ისეთივე სიამაყით შეჰყურებდა, როგორც თავის ძმას. გამარჯვება გამარჯვებად, მაგრამ ამას შურისგების ეტეხლი რომ უერთდებოდა, გამარჯვებას უფრო მეტი ეშხი ედებოდა. როგორ ჩაუწყდით ხმა სულეშიანის მომხრეებს, თავიანთი ფალანხი ბეჭებზე გაყრდნით რომ დაინახეს! მანამდე ირაკლი ვაჩანაძე სასაცილოდ აიგდებდა, ამ ბაღშია როგორ უნდა სძლიოს ზვენი ფალანხი! ხმა ჩაუწყდათ, გაფითრდნენ და დაიბოლდნენ...

დაუმარტებელი არაყინ არის, მაგრამ შაშოს მარცხს გიორგი ვერ ურიგებოდა.

უძვროსი ძმები ეტლში კოფოს უყან, ვიწრო, პატარა სკამზე მოთავსებულნიყვნენ. შაშო კი მარტო გამოკვირდნენ რბილ სავარძელში. არ იქნა და ვერც ერთი ძმა ვერ დაიყოლია, გვერდით მოესვდა. ირაკლიმ და გიორგიმ მის პატარაძირ ქოლმა არჩიეს, ასე უფრო კარგად გიყურებოდა.

— მოგვენატრეთ, ვანა!

— ძალიან მოგვენატრე, შაშო, — გამოუტყდა გიორგი, — შენი ჭიდაობაც მოგვენატრა.

— მოგვენატრე, მამ არ მოგვენატრე! — ხმა შეუთრთოლდა ირაკლის, ახლა ძმის ჭიდაობის მოლოდინში მოთმენლად რომ ცმუჟავდა.

როცა დიდების ეკლესიასთან მივიდნენ, ზემოთ, ჩხილაძის ცირკთან უამრავი ეტლი და დიდძალი ხალხი შენიშნეს. შაშომ ეტლი შორი-ახლო გააჩრებინა, გადმოვიდა, ძმებიც გადმოჰყვნენ. სამივენი ცირკისკენ გაემართნენ.

ნეტავი თქვენს დედასაო, შენატრებდით, ისეთი მოხდენილები, ისეთი მოსაარულენი და ისეთი მშობრივ ვაყები იყვნენ.

იმ დღეს სხვა მოკვიდავებთან ერთად საპაექროდ გამოდიოდნენ ლუკა დადიანიძე და იბოდიონ ქიზიყული. ამას ქალაქში გაქრული აფიშები იუწყებოდა. ამ მოკვიდავებს კარგი სახელი ჰქონდათ, მკურნებელს იზიდავდნენ და

მათთან დაკიდება დიდ პატივად ითვლებოდა.

შაშოს დიდის ამბით შეტყობნენ ქალაქში გიორგის, ვაუკირდათ, გადასახლებულნი კაცის ასე გაბედულად როგორ მოდიხარ ცირკშიო. შაშოს ჩაეთინა და ჭიდაობის ორგანიზატორებს თავისი გვირიც ჩააწერინა.

ჭერი «წერილფეხობა» ავიდავეს. დოლის ბრავენსა და ზურნის ჭყვიტის ბოლო არ უჩანდა. ხალხი გაერთო.

— არის, არის! — გუგუნებდა მთავარი მსაქი ხალხი, როცა რომელიმე ფალანხს ბეჭებზე გაქრულს დაინახავდნენ.

— არ არის, არ არის! — გრგვინავდა იგივე ხმა, როცა მარცხს საეჭვოდ მიიჩნევდნენ. ისევე ხერხდებოდა დოლი, ზურნა ხმას აუწყებდა. ფალანხები ერთმანეთზე წაიწყდნენ ჭყვიტითა, ღონითა და გამარჯვების წყურვილით.

ქართული ჭიდაობა ხომ უშეშართა სპორტია. რას მიქვია შიში მეტოქისა!

«წერილფეხობის» შემდეგ დაიწყო ნამდვილი და სიანტირესო...

გიორგი გაიტრუნა, როცა არენაზე ლუკა დადიანიძე გამოვიდა. მერმე შაშო გამოჩნდა. წამოვლო მხრების რბევით, ღმილით. როგორც ქეშმარიტი ფალანხი, გამართული მოდიოდა მოწინააღმდეგისაკენ.

დოლი გაფიცდა. მთელი თავისი მუსიკალური ძალები დაძაბა მეზურნეთა დასტამ.

ორი ფალანხი ერთმანეთს დაეჭიკადა.

გიორგისათვის სხვა აღარაფერი არსებობდა: ქვეყანაზე, გარდა ამ ორი, ერთმანეთზე მკლავებით გადაკედობილი მოკვიდავისა. ასე ეგონა ამ შერკინებებს ძალიან ბევრი რამ უნდა ვადაეწყვიტა შაშოს სამომავლოდ.

თავიდანვე შეტევა, რომ შაშოს მართლ მოსძალეობდა ჭიდაობის ტინი და წურტილი. პირველსავე წუთებში დაჭაბნა ლუკა დადიანიძე, მოგვერდით წამოიღო და ბეჭებზე დასცა; ხალხს ერთბაშად აღმოხდა:

— არის! არის!

გიორგი წამოხტა, ასე ეგონა, ხალხის ხმა კი არ გრგვინავდა, მარტო ის ვაიძახოდა მთელი ქვეყნის გასაგონად:

— არის! არის!

„ნამდვილმა ვაჟაკმა დამარცხებაც ვაჟაკური, ღირსეული უნდა იყოღეს!“

წამოვლო დადიანიძე, ჩოხა გაისწორა, თავზე ხელი გადაისვია და გამარჯვებულ შაშოს მძვრად მოგვხვია. არც შაშომ დააკლო აღერსი

„გამარჯვების შემთხვევაში მეტოქეს უდიდრად არ უნდა მოჰქცე!“ ეს შეგონებაც მუდამ ახსოვდათ ქართველ ფალანხებს და ჭიდაობის

სილამაზეს შემდგომ გვირგვინად ადგა გამარჯვებულისა და დამარცხებულის ურთიერსა ვაჟაკური მოფერება და აღერსი.

გიორგი სიხარულით ცმუჟავდა. არანაკლებ გახარებული იყო ირაკლი. ძმებს ერთი სულ

ქონდათ, შაშო როდის დაეკიდებოდა იროდიონ ქიზიყელს. გამარჯვებული ფალავანი ცოტა ხანს შეასვენეს. შანამ, სანამ ქიზიყელს დაეკიდებოდა, სხვებმა იჭიდვეს. დღეადა ცირაკი, დროდადრო ხალხი ერთსულვანად ქუხდა, ასევე უცებ ისუსებოდა, დარტყინავდა, შეფითავდა, დღეადა და არანაზე ჭიდაობის გახურებული ცეცხლი ბრწყინებდა.

დადგა ეპი, როცა შაშო ქიზიყელს უნდა დასკვიდებოდა. ჯერ შაშო გამოვიდა წრეში, შემდეგ იროდიონი.

მელოღმე ცეცხლი დაინთო ხელეშში. მგურნეთა დასტა დაიძაბა, დამკრელებს ლოყები ლამის დაასკდათ.

ფალავნები ერთმანეთს ეყვებოდნენ.

შაშოვერელი ხომ იყო და იყო. იროდიონ ქიზიყელის სახელიც საკმაოდ ქუხდა.

ფალავნების წარსული საქმეების, მათი გამარჯვებების გახსენება არავის სჭირდებოდა. თვალნათლავ ჩანდა ორი ტოლ-სწორის, ერთმანეთის ღირსი მოწინააღმდეგის სახე და საქმე.

გიორგი გაფაციცებით ელოდა, რომელ ფანდს გამოიყენებდა შაშო მეტოქის დასამარცხებლად. მტკიცედ სწამდა, რომ შაშოს ეს ერთი გამარჯვებაც უნდა ეტყვიამ. ახლა ყველაფერი მარჯვე, ერთ მხობრებულ და დროულ ფანდზე იყო დამოკიდებული. ვინ იცის, რა დროს უმარჯვებს შაშო, რა დროს გამოიყენებს მოულოდნელ ილეთს, თუკი წამის რაღაც ნაწილებში მაინც გამოითიშა ქიზიყელი... გამოითიშება კი? მოასწრებს კი შაშო? დროულად უმარჯვებს კი ილეთს? ცხადია, ასეთივე ფიქრით იყვნენ შეპყრობილი ქიზიყელის მომხრეებიც.

... და როცა ქიზიყელმა შაშო წამოიღო და ბექებზე უნდა დაეგდო, გიორგიმ მწარედ მოხუჭა თვალები... მაყურებელმა კი შეუბრალებლად და აღტაცებით იგრაბა:

— არის! არის!

გაფთხრებულ და ენაშავარდნილ გიორგის აღკრახვარი ეყურებოდა. არ დაუცადა მშის წამოღვივების. გაფაციცებულმა, სახეწამოგზნებულმა მიიზინა ჭიდაობის ორგანიზატორებთან და სული ძლივს მოითქვა.

— ჩამწერეთ! ქიზიყელს უნდა ეუბიდაო!

— შენა? შენ უნდა ეუბიდაო? — გაიცინეს კაცებმა. ერთმა ისიც კი აჟადრა, თავში ხუმრობით წაუთქა.

— ეგ შაშოს მამა, — შენიშნა მეორემ, — ვამწეილებში ჭიდაობს...

— წადი, მამო, შენს ტოლებში! ქიზიყელს ლეკვად არ ეყოფი!

— თუ არ ვეყოფი, გაჩვენებ!

— ერთი ამას უყურეთ, როგორ იქანდება! იმბლა მამა წაიჭიკა და შენ რას გახდები?!

— მაკიდაეთ!

— ეგ არ მოხდება! არა და არა!

ლამის პანდური ამოკრეცხა, გუნჯელები ბიკს. სიმწრის ცრემლი გუნჯელებს დაამოშინა. შაშო იღიშებოდა და თავზე ალერსით უსვამდა ხელს.

— მე რა მითქვამს, გამარჯვება და დამარცხება ძმები არიან-მეთქი... ერთმან, შენ თუ ასე გულთან მიიტანე დამარცხების სიმწარე, შენგან კარგი მოჭიდავე არ დადგება და ტყუილადლა მქონია შენი იმედი!

— ერთხელაც იქნება, დაფეციდები!

— აი, ეს უკვე სხვა საქმეა!

ვერას და სატიოსუბანს ბინდი დასწოლოდა, როცა ბიკები შინ დაბრუნდნენ.

მთელი დღე დარდობდნენ შინაურები — გადასახლებიდან გამოქცეული კაცი დღისით-შინით ცირკში საკვიდოდ რომ წავიდა, მთავრობის ხალხი რა სიყუთეს დააყრიდა ვინ იცის, უკვე გათოკეს კიდევ!

მთელი დღე ამ ტანჯვაში გაატარეს.

მაგრამ, როცა სამივენი გამოჩნდნენ, გულზე მოეშვათ. შაშო კარგ გუნებაზე იყო, დაბოლოვალ გიორგის შინაც წარბი არ გაუხსნია.

— პა, რა ჰქვინ, მოიხებ გული? — ჰკითხა შაშოს დიმიტრიმ.

— ერთი მოიგო და ერთიც წააგო, — თქვა ირაკლიმ.

— პირველი რომელი იყო, მოგება თუ წაგება?

— გამარჯვება, — თქვა შაშომ.

— პო, ეგ ცოტა მწარეა... მეორედ აღარ უნდა გასულიყავი. რაც არ უნდა იყოს, დიდი ხანია არ გიჭიდავია, მერმე ნამჯუზავრი, უძინარა... ზემო რა გესწავლება, სპორტს ჯანი უნდა, წესრიგი და ზომიერება ცხოვრების ყველა წესისა... ახლა პოლიციას უნდა ველოდოთ!

— ალბათ მოვლენ, — თქვა არხიანად შაშომ. მაინც ბედნიერი იყო, რომ თავისი გულის ჭია გაახარა, მხიარულ გუნებაზე იყო. იჭიდაჭა, თავისიანები მოინახულა, ახლაც ცხრა მთას იქით რომ უქრან თავი, არაფერს ინადვლებს!

დაწოლის წინ თავისიანები მაინც გააფრთხილა:

— უფოოდ მოვლენ ჩემს გასაცილებლად... აბა, თქვენ იციოთ, მაგრად იღვეით!

დღემ წამოიტრია.

— შევლი!

დებს თვალები აუწყლიანდათ. შაშო საბიკვს მოეფერა.

დილით უთენია წაიყვანეს. აიწეწა ოჯახი. შინაურები გარეთ გაცევიდნენ, ეანდარმებით გარშემორტყმულ შაშოს ქალები ცრემლით მოაცილებდნენ. დიმიტრი და ბიკები კი გახვევბული იღვნენ. შაშომ თავისიანებს ერთხელ კიდევ მოხუჯა.



აბა, იმ დღეს რა გუნებაზე იქნებოდა გიორგი სათაყვანებელი ძმა წაუტყვის, შერამე დაიჭირეს და ისევ გადასახლებაში უტრეს თავი. დამარბულმა გასწია ერევნის მოედნისაკენ. აქ თავისი კერძო მეურნეობა ჰქონდა ვინმე ებრაელ როტენბერგს. ეს დაწესებულება „წყალ-გაყვანილობის მექანიკურ სახელოსნოდ“ იწოდებოდა, მაგრამ აქაური ხელოსნები, გარდა სანტექნიკური საქმიანობისა, ქალაქში ბუხრებსაც აშენებდნენ. ეს სახელოსნო იმდროინდელი თბილისის საუკეთესო ოსტატებს აერთიანებდა და მთელ ქალაქს ემსახურებოდა.

გიორგი კახნიაშვილმა რვა კლასი რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელებას ხელობის შესწავლა არჩია, შეგირდად როტენბერგის ხელოსნებს დაუდგა და ბოლო დროს ძია კოტეს მარჯვენა ხელი გახდა. მოხუცი ოსტატი გვერდიდან არ იშორებდა ამ ჟანგაგარ და გონიერ ყმაწვილს და თავის მეწყვილედ გაიხიდა. ძია კოტეს ოქროს ხელი ჰქონდა, მის შივრ გამართულ აწარგაყვანილობას წუნი არ დაედებოდა. თურედა, რა გულმოდგინე კეთება იყო, აუჩქარებლად, სამხედროდ, კოხტად დააყენებდა ამაზნას, უნტაზს, ხელსაზანს, მილებს და ონიკანებს ისე ჩახრახნიდა, ალბათ საუკუნე გაძლებდა... გიორგის ამ კაცთან სამუშაოზე მუდამ მიუტხაროდა. ძია კოტე ბუხრის შესანიშნავი ოსტატიც იყო და თავის შეგირდს ეს ხელობაც ასწავლა, იშვიათი, მაგრამ გამოსადეგი ხელობა. ბუხრის დაყენება ყველას როდი შეეძლო, ამას განსაკუთრებული ნიჭი და ალღო სჭირდებოდა, ამასთან მხატვრული გემოვნებაც. ბუხარი ალა-ალაზე არ იდგმებოდა, ზოგიერთი შექმნილი მოზინადრე სხლვაჯგარეთიდან გამოწერილი ფილებით აკეთებინებდა. ოქრობელა კაცის ხელში ეს მასალა უფრო მერტლანათს იღებდა და ბუხარი ხელოვნების საგნად იქცეოდა.

ცალკრამ გიორგის დურგლობაც იტაცებდა. მამამისი ხომ მთელ ქალაქში განთქმული დურგალი იყო. მისმა ხელმა მოაჩუქურთმა სათავადანაურთო გიმნაზიის ბევრი კარ-ფანჯარა, იმ სათავადანაურთო გიმნაზიისა, სადაც 1918 წლიდან ბინა დაიდო ქართულმა უნივერსიტეტმა. ამ შენობაში დიმიტრი კახნიაშვილის ოფიცია დაედგინა.

ძია კოტემ იცოდა თავისი შეგირდის ჭიდაობით ვატყეობს ამბავი. ერთი-ორჯერ კიდევ დაესწრო მის პაექრობას დიდბუეში. თანატოლები ვერ უძლებდნენ ამ სხარტ, ღონიერ და მოქნილ ყმაწვილს. კისრულ მისი საყვარელი ილეთი იყო, უყვარდა ზემოდან რომ წამოიღებდა და ბეჭებზე დასციმდა მოწინააღმდეგეს. ასეა ილეთებიც მრავალდ იყო და გონიერულდაც იყენებდა, ვისთან რომელი დასჭირდებოდა. ძია კოტე მოხიბლული იყო თავისი ფა-

ლანით და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

— შენა, შეილო, საქართველდს ექსპედიციონი ფალაენი უნდა გახდე! — მხარზე მამამევილურად მოხვევდა ხელს.

იმ დღეს ძია კოტეს არ ევაშინია მისი დაღვრელობა, მაგრამ მაშინვე არ უკითხავს, რა დაგეგმართაო, ვაშაწვილი კაციო, იქნებ შინ რაზე შეუწყურნენ, იტყვის, იტყვის, არ იტყვის და საიდუმლო თავისთვის შეინახოსო. ასეთ დროს ძია კოტეს კაცის გალიზიანება არ უყვარდა.

- ეს კი უთხრა:
- შეუძლოდ თუ ხარ, შეილო... წადი შინ.
- არა, ძია კოტე.
- მაშ წავიდეთ სამუშაოდა?
- წავიდეთ, ძია კოტე.

წავიდნენ. ეინმე კინწურაშვილთან, რომელსაც შინ დიდი რემონტი წამოეწყო, სანტექნიკური სამუშაოები მოეთავებინათ და ახლა იტალიური ფილმით ბუხარს უკოხტავენდნენ. შიბმედამ ერთი გადაყრებული დედაბერი ხედებოდათ. კინწურაშვილი რომელიღაც დაწესებულებაში დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. დილოთ ცოლ-შვილიანად შინიდან რომ გადიოდა, გვიანობამდე არ ბრუნდებოდნენ. გადაყრებული დედაბერი კი ხელისნებს ჩამოვრდებოდა. მის ლამაზაკზე გიორგის მუდამ ელიშებოდა, მაგრამ დაკნინით კი არ დაუცინია, რადგან ებრალებოდა კოდეც. ქალი თავის ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს იხსენებდა და, რასაკვირველია, გვერდს არ უვლიდა თავის სსიყვარულთ ამბებს, რაც ალბათ ნეტარ მოგონებად ჩარჩენილია გულში.

ოსტატმა და შეგირდმა სამუშაოდ გასწიეს. გზას ფეხით გაუყენენ, რადგან სამუშაო სოლოლაქში ჰქონდათ. უბრად მიდიოდნენ. ძია კოტემ რამდენჯერმე გადახედა კუშტად მიმავალ გიორგის. ჰკითხოს? არ ჰკითხოს? უნდა ჰკითხოს, რა დაგეგმართაო? მაგრამ ასეც არ უნდა. შეშვობით, შეპარებით, რბილად რომ მოახერხოს, პირდაპირი შეკითხვით ყმაწვილის ისედაც მოწილი გუნება რომ არ ამდგრიოს არადა, უთქმელობაც აწუხებს. სხვის ტყვილის ისევე მწარედ განიცდიდა, როგორც თავისას. „ნამდვილად გუშინ იჭიდავა და დამარცხდა... ან, იქნებ...“ ფიქრობდა ძია კოტე.

იომინა, იომინა და მოთმინების ფილაც აევსო...

— გახსენ შებლი, ბიჭო!.. ნახე, რა დღეა და როგორ დანაყარდობენ მერცხლები!

— ეჰ, ძია კოტე! — როგორც იყო ამოიბხრა ბიჭმა.

- ძია კოტესაც ეს უნდოდა.
- რა იყო?
- ბიჭმა მუშტები დაძარღვა და ძია კოტემ შენიშა, როგორ დაიძარგა იგი.
- შაშო წავიციქია გუშინ ქიზიყელმა.

— როგორა, კაცო! — გაუვირდა ძია კოტეს, — შაშის აქ რა უნდაოდა. ავი გადასახლებაშიაო?! ვაათაისუფლუს?

— არა, გამოიპარა. გუშინწინ ღამე მოვიდა, გუშინ წვიდაცა. ერთი მოიგო... ლუკა დადიანიძე იჭიკცა... ქიზიყელა კი აქობა.

— როგორ გინდა, დალოცვილო... ნაიციბარი კაცი... არ უჭიკცავა, არ უფარჯიშია... თანაც, გამოიპარაო, ამბობ... გამოიპარული კაცი, იცი როგორ მგზავრობს?! ამეებს რატომ არ უფიქრდება, ამობილაო?! შაშო რომ ჰქვლებურად ყოფილიყო, იმ შენს ქიზიყელსაც ბეჭებზე დაეკავდა.

— ქიზიყელს მე დავკარგე ბეჭებზე!

ძია კოტემ ცერად შეხვდა წამოგზნებულ ბიქსს, რომელსაც თვალები შურისგების ცეცხლით უღვავდა.

— რატომაც არა... ხო ვითხარი, შენ საქართველოს დაუმარცხებელი ფალანგი უნდა იყო-მეთქი... ქიზიყელსაც წაქცევ და სხვებსაც ზედ მიაცილებ; ეხლა ასწი თავი და ამაყად გამოიარე, ეგრე დამარცხებული არავინ დაგინახოს, ფალანგი ვაჟკაცს თავაწიწული და ამაყად საიარული შევინა...

ის იყო და ის. მის გატაცებას უფრო დიდი აზრი გაუჩნდა, სამომავლო საფიქრალი, ქიზიყელის დამარცხება და საქართველოს დაუმარცხებელი ფალანგის სახელი. ზალდონის მოზღვაებას გრძნობდა, ქაბუჯური ოცნება იალქნებს შლიდა. ფიქრის გორანზე, ვერის „კრუგზე“, საჭიდაოდ მოსულ ბიჭებს ზედინზედ აწევინა, ცდილობდა სულ სხვადასხვა ზერბით ეჭიდებოდა. ერთს თუ კისრულით წამოიღებდა, მეორეს მოგვერდით სკანბიდა, ვარჯაურა, შუაყურა, ჩოქელა, სარმა, მოგვერდი, თეძო... მართალია, თავისი მწერტინელი და მასწავლებელი შაშო, ალბათ, კარგა ხნით გამოეცალა, მაგრამ ხარბი თვალით უცქეროდა უფროსთა ქილაობას და მათი მიბამებით ხვეწდა თავის საყვარელ ილეთებს. განსაკუთრებით კისრული და მოგვერდი უყვარდა. ტანდაბალი იყო, მაგრამ ვასოცარი ძალა ჰქონდა. ის რომ ქილაობას დაიწყებდა, საჭიდაო მოედანს დიდძალი მნახველი აწივდებოდა. დამარცხებულს თავად არასოდეს წამოაყენებდა, მოწინააღმდეგეს ამით არ ამცირებდა, აცლიდა, სანამ ჩოხას შოიწესრიგებდა, მერმე მთავალოდებოდა და სწორედ ისე მოეხვეოდა, როგორც შაშო ეპყროდა დამარცხებულ ფალანგებს.

აგვისტოს იმ დღეს თბილისში საშინელი სიციხე იყო. მტკვარსაც ველარ მოჰქონდა სიგრილე. ნაკვი არ იძებოდა. მტკვარი თავისი ღონიერი სხეულით როდი მოირწყოდა, დამრეტული დონდლოდ მოედინებოდა.

პაპანაძეებს სიციხეში მთელი დღე ნამუშევარი დამიტირი კახნაშვილი ხელისნებს დექანში

გაეყვა საეხმოდ. თითო ჭიქა ღვინო დალრეს. მოქიფეთა ერთმა ჩვეულება დექანში ახალი ამბავი მოიტანა: ვილაქლემ, შერტე, ნიკოლოზ მეორეს დაეცა და ომი აუტეხაო. ვილაქლემ იხუმრა, ორი მეორე კაცი ერთმანეთს შესტიდებია, ამა, ერთი ვნახთო, ჩვენს შორის ვინ იქნება პირველიო.

ვაი, რომ ამ შეჭიდებას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ქვეყანას ქვრივი, ობოლი და ხეიბარი მოუბრალდა.

გუნება მიეწამო დამიტირი კახნაშვილს. ომის დაწყების ამბავმა ხანჯალივით გაუარა გულში. შეუხარბოშებული და ფიქრარული წავიდა შინსკენ. ნიკოლოზის ზიზღი დიდი ხანია გულს უღრღინდა, მეფის ხელისუფლებას ვერ ურიგებდებოდა, უსამართლობა სუსხადად თავისუფლების მქადაგებლებს მუდამ გულსყურით უსმენდა. ამ მიემხრო და მიეტანა იგივე მათ. ამ რამდენიმე წლის წინ ორგანიზაციის დაეალებაც მიიღო — გორის ხელისნებში პროკლამაციები უნდა გაეცემებოდა. ვილაქლემ გასცა და დაამატებრეს. დაკითხვისას არ დაფიქრა:

„არ მიყვარს ნიკოლოზი და მისი მთავრობა... შე სხვა მთავრობა მინდა!“

„მაინც, როგორი, იქნებ მოგვახსენო...“

„აი, ეგ კი აღარ ვიცი“.

გუნათლებელი კაცი იყო, მაგრამ თავისი საქმის უბაღლო ოსტატი. ცხოვრება უტოროდა, მრავალრიცხოვან ოჯახს ძლიერობით არჩენდა... მერე კი წამოეშველნენ შვილები, მაგრამ დეხქირ ცხოვრებას მაინც ვერაფერი ეშველა.

უკვე დაღმებული იყო, როცა ვერის სასაფლაოსთან იმ ადგილს ჩაუარა, სადაც ერთ პატარა მოედანზე მისმა ბიჭებმა დაიწყეს ღლაბუცი. ამ შეუდგანერ ფალანგის კობის. მოედანს ნათელი დასდგომოდა მთვარისა. ეს ადგილი უპირველესად თავისი ბიჭების ასპარეზად მიიჩნდა დამიტირის, თუმცა სხვებზე ბევრნი ჭილაობდნენ, უბნის ბიჭები. რა ცეცხლს ანთებდნენ ამ პატარა სარბილზე! რატომღაც ეხლა მოეწევა გული — შაშო ჩამოშორდა, ვიორკის, ამ საქარად მოწიფულ ვაჟკაცს, ხვალ-ზებ ხელს წააეღებდნენ, თავს ომში უკრავდნენ...

ახლა ალბათ ვერის საჭიდაო დაიშლება — ჩანინა ბიჭები ომში სჭირდებათ... ომში!

„ღმერთო, შენი სახელის ქირიმე!“ — დამიტირმა პირქვარი გადმოწერა და საფლავებში ომის გაკვლელ ბილიც მიჰყვა.

წყნარი და ცხელი ღამე იყო. ნუთუ ჭრილობებებსა და ვასაკებსაც სულს უხეტავდა?! კრული რაღაც მძიმედ, უხალისოდ ვარსშოდა...

შინ მივიდა. ნინომ ქმარს სიმთვრალე შეატყუო. ასეთ დროს მოფერებით ეტყოდა დაღლილ-დაქანცულ კაცს, ახლა კი ლოგინს დაიგებ და მოისვენეო. ცოლის საყვედური არ ახსოვს. ვამგები და თბილი ქალი იყო. ასეთ ვარჯიშო



ში გაზრდილი შეილება ერთმანეთის მიმართ მოსიყვარულენი და აღტრანინები იყვნენ. ალბათ ეს ოჯახური სიტყბი იყო, დიმიტრის 104 წლამდე რომ გააძლიანა. წინაოც ღრმად მოხუცებული გამოქვეყნდება წუთისოფელს. ზაფხულის იმ დამეს კი ჟერ კიდევ პარამაგნი ისევ თავისთი ცხოვრებით ავტოს ავტრზე ადებდნენ. ოჯახის შენება როდერ დემთავრებინათ...

დიმიტრის შინ კარგი ამბავი არ მოიტანა. თურმე გიორგის სკოდნია და შინაურებს უმაღავდა. ემანდ დედაჩემს და ჩემს დებს ელდა არ ეკეთო.

— ოშია, ოში! — ამოიოხრა დიმიტრის, როცა ამბავი დაასრულა.

წინა გიორგია და ირაკლის ეხვეოდა, თავისთვის გამწარებული ლოცულობდა.

იმ დღეს ხელოსნები მთავრობის რომელიღაც დაწესებულებაში გამოიძახეს, ოწყანები მოშლიდათ. როტენბერგმა კოტე და გიორგი გაგზავნა. ამ შენობაში გიორგი პირველად იყო. ჩაბინებრებულ, ნავთი ამოტყენლ სარდაფში ძია კოტემ და მან ძლივს შიავნეს წყლის ჩამკეტ ოწყანება. ძია კოტეს გიორგისთან არასოდეს გინება არ დასცდენია, მაგრამ ახლა ჩაენგებულ-ჩაქვილი ოწყანს რომ გერაფერი მოუხერხა, პატრონის დედ-მამის სული ამოტრიალა. ამ დროს გიორგიმ სხვა ოწყანები ჩაკეტა და ძია კოტეს მიუბრუნდა.

— მოდი, გიორგი, ეგებ შენ მოუხერხო რამე... როგორ ჩაენგებულა ეს თბერი!

როცა გიორგიმ თავისი ღონის წყალობით ოწყანის ზრახის ღრქილი გააღებინა, ძია კოტემ შევბით ამოისუნთქა.

— ღმერთმა ჩანი მოგცეს!

მერმე ზემო საბრთლებში იმეშავეს. ჩამდენიმე ოწყანი გამოცვალეს. შეატყვეს, რომ რაღაც გამუდმებული ფსიფუსი იყო დაწესებულებაში, ჩინოვიციებს წრიალი შესდგომოდო, მხნე და გამოცოცხლებულ სახეზე სასახარულო ამბის საიდუმლო ესაბათ, გეგონებოდო ბალახისკარადის მოლოდინში არიანო. საქმე კი ის იყო, ახალი ამბავი, რომელიც პირველად იმ დღეს დაწესებულებაში შემოიჭრა — ომს ეხებოდა: რუსეთ-გერმანიის ფრონტს მიემატა კავკასიის ფრონტი თურქების წინააღმდეგ. ამ ამბავს როდის-როდის მოჰკრეს ყური ძია კოტემ და გიორგიმ.

— მერედა, ამ შობელმალღებს, რა ახარებთ?! — გაუკვირდა უფროს ოსტატს და გიორგის შეხვდა. ცხოვრებაში ჟერ კიდევ ღრმად ჩაუღებავ და გამოუცდელ გიორგის პასუხის გაცემა არ შეეძლო. აბა, რა ანალიზს გაუკეთებდა მთავრობის დაწესებულების მუშაეთა მოქმედებას! მათ ალბათ უკეთ იციან, რა ხდება ქვეყანაზე, რატომ გაიხსნა კავკასიის ფრონტი. რუსეთი ახლა დიდძალ ქარებს მთავრის მის-

დამი მტრულად განწყობილ თურქეთს, რომელში თურმე გერმანული სახელმძღვანელოები გამოატარა შეეზღავა. გიორგიმ კი რაიმე საქართველოს ისტორიდანაც იცოდა ირანისა და თურქეთის საქართველოსადმი საუკუნობრივი მტრობის ამბავი. ვინ იცის, რამდენჯერ აუოხრებოთ საქართველო. ეტუობა ძველი მტრობა ქართველების მიმართაც არ განელბოათ... საქმე ახლადგახსნილ ფრონტზე, ალბათ, კარგად ეწყობა, რახან მთავრობის ხალხი საშეჯლისოდ ემზადება.

ღგას გიორგი ჩემად, ფიქრში ჩაძირული და ძია კოტეს შეჰურებეს.

— აირია ქვეყანა... ბევრი სისხლი დაიდურება! — ამოიოხრა უფროსმა ოსტატმა.

— ძია კოტე, ისე უნდა იყოს, რომ... — წამოიწყო ფიქრიდან გამოსულმა გიორგიმ ცოტა ხნის შემდეგ. — ერთმანეთს დაევიდონ იმათი მეფე და ჩვენი მეფე. ვინც გამოარჩევს ქვეყანასა და ხალხიც იმისი იყოს... არც სისხლი დაიდურება და არც რა გაჭირვება იქნება.

ძია კოტეა გულთანად გაეცინა.

— ზინც, სად ავიღებდი, ვერის საქიდაოზე?

— ცინცაძეების ცირკი უკეთესია, ძია კოტე... ანდა ჩიხლაძისა...

— ეპ, — თითქოს გულიც თან ამოყოლა ოსტატმა და შეშობა ვანავრძო.

წოცმბრის ერთ დღეს თბილისში ხმა გაეარდა, ნიკოლოზი ჩამოდისო.

ქართველმა ბრეტყანებმა დიდებული შეხვედრა მოუწყვეს იმპერატორს. ის დღე უქმედ გამოაცხადეს. მთელი ქალაქი ქუჩებში გამოეფინა.

იმ დღესაც ერთად იყვნენ ძია კოტე და გიორგი.

— ერთი ფალავანი უკვე ჩამოვიდა, ბიჭო, ეგებ გერმანიაში ვილქელმსაც შეეატყობინოთ... ბარემ შენვე დასქიდე, — თვალები ეშმაკურად უტინოდა მოხუც ოსტატს. მერმე სახე მოუღუშა და გულთმისანივით დასძინა, — სასიყუთო პირი არ უჩანს მაგის ჩამობრძანებას.

მართალი იყო მოხუცი ოსტატი. ხალხს არა ჰქოთხეს რა, ქართველი ხალხის სახელით კი ბატონმა დავით რაზმამემ ერთსლოვანი დარაზმულობა შეჰფიცა იმპერატორს და აღუთქვა, რომ ქართველთა მიხობისე ქარებხ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ...

კახნიაშვილების ოჯახში შიში დასადგურდა. საჭარედ მომწიფებულ გიორგის დღე-დღეზე დაუძახებდნენ. ქარში გაწვევას გიორგიც ელოდა. იროდონ ქიზივილის ჩაგრი კი არ ასველებდა. ერთხელ რომ გულში ჩაუჭრა მასთან დაკიდების სურვილი, თავისი სათავანებელი მძის დამარცხებით გამოწვეული შერისგება არ

ასევე და, მოსახერხებელ დროს ელოდა, როდის გამოჩნდებოდა ასარეზზე იროდიონ ქიზიყელი.

მანამდე ბევრთან იკიდავა გიორგიმ, სახელიც საკმაოდ მოიხევეკა, ახლა მას ცინკარისა და ჩიხლასი ცირკში პატივით ხედებოდნენ. შაშის არღელი შუდამ თან სდევდა, თითქოს შორეულ ტაგანროგიდან ამხვევებდა იგი, რწმუნას და ღონეს შატებდა. თითქმის დაუმარცხებელი ვაბდა. ვერაზე ყველას ბღღვის ადენდა. წამოჩიტულ ირაკლის გვერდიდან არ იშორებდა და ატყობდა, იგივე თავის უფროს ძმებს სულ მალე ტოლს არ დაუდებდა.

როგორც შაშომ მიიჩვია, ძმები ყოველ დღე მტკვარში ჩადიოდნენ, სანამ ზამთრის ერთ ყინვიან ღამეს მთლიანად ყინულმა არ დაფარა მდინარე.

მეარცი ზამთარი დაიჭირა, ომს ბოლო არ უჩანდა.

გაზაფხულზე ხალხი უარესად დაიშმა.

შატარებლები ბორჯომისკენ, ალექსანდროპოლისკენ და ბათუმისკენ საღ-საღამათ ქარისკაცებს, ტყვია-წამლსა და იარაღს ეზიდებოდნენ, შეხვედრ მატარებლებს კი დაჭრილ-დასახიჩრებული მებრძობი მოჰყავდა. ხალხი ივლიტებოდა, საქმეს სკეტე არ ადგებოდა...

შეუხედავად გაჭირვებისა და ომით გამოწვეული აურზაურისა, კვლავ ხალხმრავლობა იყო ხოლმე თბილისის იმ რამდენიმე კერძო ცირკში, სადაც ტრადიციას არ ღალატობდნენ და საკვირაო პატირობანი ძველებურად იმართებოდა. ისევ ისმოდა დოლის ბავაბუფი, ზურნის გამყვიანი ხმა და საღამომობით დექნებში არღნისა და დუდუკის ღუღუნი.

ვისთვის ომი იყო, გაჭირვება და შიმშილი, სიტიტულ და ცრემლი, ვისთვის მადრისობა და უღარდლობა.

იმ დროს ციციშვილების ცირკში, დიდების ეკლესიის უკან, წარმატებით გამოდიოდნენ სახელგანთქმული ფალანგები იროდიონ ქიზიყელი, ტილა გლდანელი და იოსებ მეჭერისხეველი. მათ ჰიდაობის მთელი რიგი სერეები ჩაატარეს და თავიანთ სახელს მეტი დიდება შემატეს.

გიორგი კახიასვილის გულში კი შურისგების ცეცხლი ღვივებოდა და იმ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდა, როცა მის პირისპირ იროდიონ ქიზიყელი დადგებოდა.

ეს დღეც გათენდა. დიდიდანვე არაჩვეულებრივ სიმშხვევს გირობოდა გიორგი შიშის ნატამალი არ გაჰყარებია, რადგან ფიჭვი შთლიანად გამარჯვებისა ჰქონდა. მას აქვთ, რაც იროდიონმა ჩიხლასის ცირკში ბეჭებზე დასცა შაშო, აგერ, თითქმის სრული ორი წელი გაევიდა ამ ხნის განმავლობაში გიორგი ვერის ფორზე ბევრს ჰიდაობდა, მაგრამ ცირკში აღარ გამოსულა. ცირკში მხოლოდ მუყურებელთა შორის იჭდა და ფალანგების ჰიდაობას

ასე შეუყვარდა ეს გოგო. ასე ზაყარა სა-  
ფუძველი სარქისის სტრეილს, რომ გიორგი  
კახინაშვილი მისი სიძე გამხდარიყო.

ის წელიწადი მართლა ბედნიერი იქნებოდა  
გიორგისათვის, გორში ყოფნისას შამოსთან

ერთად რომ არ წაველოთ ხელი შენსვეციებს და ციხეში არ დამწყვედიანო.

„ცნობის ფურცელი“ აცხადებდა: მოქიდავე ვერლები, შაშო და გიორგი კახიანიშვილები ბოლშევიკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ გორის მახრის სოფელ ახალქალაქის აღებაში, რისთვისაც დამატირებულნი არიანო.

ამ დროს თურქეთის ამბები მიწყნარდა, გიორგი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ როგორც დაქირავებული მსახური, ზორჯომის სამხედრო გარეშეში ერთხანს მაინც შემოაბოძა, რადგან სოფელთან გაბმული სიყვარულის ძაფი შორს არ უშვეებდა. ამითი იყო ბედნიერი ის წელიწადი. საყვარელი გოგონასთან ერთად სეირნობდა ბორჯომის ბაღში. ახალგაზრდები საოცნებო კომპლექს ავებდნენ, სახლბარო მომავალი ესახებოდათ. ამ დროს გიორგი ბორჯომის სოფელში არცააბნე თავს იწონებდა. მთავარული მოქიდავეები არ გაახარა, ბორჯომელი, აწყურელი, ახალციხელი, ხაშურელი, სურამელი ბიჭები ზედღიზნულ დამამარცხებ.

ნიშნობის თამაშს მოატანა. საბატარძლოს სანახავად და საქმის ვასაცნობად კახიანიშვილებმა ბორჯომში თანად გამოგზავნეს. ამა, ეშვს ვინ აიღებდა, რაზე იყო ჩამოსული. დიდი ხნის უნახავ ძმას გარეშეში მოაკითხა. გიორგი მესხეთში იყო წასული, სარქისმა სასიძოც და რომ დაინახა, ხელი წაველო და შინ მიიყვანა. ქურდას რა უნდოდა და ბნელი ღამეო. თამარც სწორად ამას ევლოდა. დამახვისთანავე მოეწონა სოფიო. ძმას სარძლოს სახლში დაელოდა და როცა გიორგი გზიდან დაბრუნდა, გახარებულმა შელოცა.

შემდეგ მამა გამოემგზავრა თბილისიდან. ჯხად, გორში, თავის ძაძოს გამოუარა და ქალის დასანიშნად ბორჯომს მიადგინენ.

ამ დროს სოფიო და გიორგი ბორჯომ-მარკის საზაფხულო თეატრში ტასო აბაშიძის საღამოს ესწრებოდნენ.

ბიჭი აფრინეს თეატრში. ბიჭი ხალხში შექტა, მონახა სოფიო და გიორგი.

— მოვიდნენ, სოფიო... იქ არიან, თქვენსა. — მამაჩემი ჩამოვიდოდა, — თქვა გიორგიმ სიხარულით. ტასოს საღამო არ ეთმობოდა, მაგრამ არც ნაყლები სახეიმიო წუთები ევლოდა შინ. საღამოს მეორე ნაწილს აღარ ესწრებინა. შეყვარებულები შინ გაიქცენენ, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილი თავიანთი გვირგვინის საკითხი.

სოფიო დანიშნეს. გორელ ძალუას სარძლო ისე მოსწონებოდა, სულ შის აღერსში იყო. მომხდარი ამბით კმაყოფილი დამიტრია თავის შედლებულ ძმასალს ეუბნებოდა:

— ღმერთმა კენახს, ასე ტყბილად შეიბერდნენ ერთმანეთს!

განგებამ, ალბათ, ისმინა მისი ლოცვა, სწო-

რედ ასე წავიდა მათი ცხოვრება 1920 წლიდან, როცა სოფიომ და ზურაბგენე ქაშიძისში ჯვარი დაიწერეს და სატყუარსტანში წაქაშდნენ. სულ სახლში დასახლდნენ საკუთარი ოჯახის მოსაწყობად, საქვეყნო საქმის საკეთებლად, შეილების გასაინგნ-დასაზრდელად, მზისა და მთვარის, მიღრებულნი თუ უღრებულო ცის საცქირად, საოცნებოდ. საღებნად და სატანჯველად, ურომლისოდაც წუთისოფლის გზაზე ყოფნა არავის უწერია...

ის წელიწადი მართლა ბედნიერი იქნებოდა, გიორგის შამოსთან ერთად ციხეში რომ არ ამოვიყო თავი.

თუმცა შაშო ყოველთვის ემაყუებოდა ბოლშევიკებთან სამსახური, მართალი კაცი იყო და სიმართლისათვის თავსა სდებდა, მაგრამ ახალქალაქზე შეტევის ტამს არც ის და არც გიორგი ბოლშევიკებთან არ ყოფილან.

ცილისწამებას კი ძმები ვერ ურიგდებოდნენ, ანგარიშსწორების ასეთ ხერხს ვერ იტანდნენ, რაინდულ, ნაშუსიან ქოდილს მიჩვეულნი, ჭეჭვიან საქმეს ვერ ეგუებოდნენ.

გიორგის გარეული პარიკმახერების უსტაბაში ვასო ჩიხლამე გამოეგარჩა, რას ერჩით ამ კაცს, ბოლშევიკებმა რომ ახალქალაქზე გაილაშქრეს, ეს კაცი ჩვეთთან იყოო. გიორგი გამოუშვეს. შაშო კი პარლამენტის წევრმა, აღექსანდრე ფარნევემა დაიხსნა. თბილისის ავტოტრანსპორტის უფროსმა, ვისთანაც შაშო მოფრად მუშაობდა.

მენსევიკებზე გადაიღებულ შაშოს ბოლშევიკულმა აწეუბოდა. ძმები ციხიდან რომ ბრუნდებოდნენ, ერთხანს ჩემად მოდიოდნენ. ერთი თვის პატარობა საკუთნად ეჩვენებოდათ. თავისუფლება გულზე მალაზოდ დაელოთ და ბოლშით დატენილებს შეება მომგვარა. მალე შინაურებო და ძმაკაცები შემოგებნენ. აქ შაშო თავისი გულისწერომა არ დამალა:

- ღობე-ყოტეს ედებთან, მე ამითი...
- სუ, შაშო, ციხეში არ მიგაბრუნონ.
- მიმბრუნონ, თორც!.. ამით დიდი დღე არ უწერიაათ, ამ ცილისწამებულებსა და ქვეყნის გამყოფელებს!..

— სუ-შეთი, შვილო! — ემუდარა დამიტრი. — ახალქალაქში კი არა, წითელი დროსი თბილისში უნდა ვგაფრიალოთ!

გამარჯებულის იერით მოიზაზუნებოდა შაშო. გვერდში ამოსდგამოდა ასევე ამაცი გიორგი — პატარა ვერგო.

კიდევ ერთმა წელსა დიდ არეულობაში გაიარა და ისე მიიწურა, ქვეყნის საქმე ვერა და ვერ დალაგდა. და რადგან ქვეყნის საქმენი არეტული იყო, არეტულობა და ბედუქდმარობა თვითეთლ ოჯახზე, თვითეთლ დამამინებ ქუცმაღლებოდა.

1921 წლის თებერვალმა საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი საქართველოს ავბედობას.

მენშევიეებმა უკანასკნელი ძალები დაარსეს. ახლა ისინი ქვეყნის გადარჩენაზე იმდენს არ ფიქრობდნენ, რამდენსაც საყოთარ თავის გადარჩენაზე.

წითლების მეთერთმეტე არმია კი ძლევამოსილად მოიწვედა თბილისისაკენ.

ოცდსამ თებერვალს საღამოს გიორგი კახნაშვილი სივანელები დავალების შესასრულებლად გაიხშეს. იმხანად იგი თავისუფალი ღაპირალებით იმ ავტოსაფულში მსახურობდა შოფრად, რომელიც ვერაზე იდგა. ორტონანახევრანი „ბენცი“ დანიშნულებებისაგებ მიიყვინა. რისთვის და რატომ დაუძახეს ამ შეღამებისას, არაფერი იცოდა. ქალაქში რომ არეულობა იყო და მქონებლები სადაღა გარბოდნენ, ბოლო ორ დღეს თავისი თვალით ზედავდა. მათგან ავტოსაფულის მფლობელს მოსვენება არ ჰქონდათ.

თბილისის შორიანლო ზარბაზნები ქუბდნენ, ქალაქში ყრუდ შეშობილია ბრძოლის ხმა. მენშევიეური ავტაკითი მოწამლული ობივარტული აყოლოდა გამქვეყთა ფეხისხმას და იმ დროს რკინიგზის სადგურს უამრავი ხალხი აწყდებოდა.

გიორგიმ მანქანა სახელმწიფო ხაზინის შენობასთან დააყენა, როგორც უბრძანეს. მალე მეორე საბარგულიც გაჩერდა შორიანლო. გიორგიმ იცოდა გეარდელთა ვარაყის მძლოლი კობრებიც. კობრებიძეძე შეიცინო პატარა ვერტეა, მიესალმა და კითხვა:

— რაზე გამოგვიძახეს, გიორგი?

— რაზე იქნება წასაღები... ალბათ ზახინას დასცლიან. ეხლა სულ მიაქვთ და მიაქვთ.

ზახინის ღია კარბში რამდენიმე შეიარაღებული გეარდელი გამოჩნდა. უცებ დღეების წყრილით გამოვიარდა ოფიცერი. იგი მანქანებისკენ გამოვიარდა. მეტად აღგზნებული და დაბნეული ჩანდა, ჩქარობდა.

— დილაშე ზეწის განკარგულებიში იქნებით! ვისაგებია? — პასუხს არ დაელოდა, დაწმენებული იმამი, რომ ტრანსპორტის საკითხი მოგვარებული იყო, ისე შენობაში შევარდა. შეიარაღებული გეარდელები კი წყვილ-წყვილიად გაჩერდნენ ორივე მანქანის ძახასთან, რომელშიც სულ მალე უწყისრიგოდ ჩაყარეს მძიმედ დატენილი ტომრები და ყუ-თები. მერე ოფიცერის თანხლებით შედის შლიაძანმა, პალტოს საყულოაწვეულმა კაცმა ჩამოიარა, მანქანები შეამოწმა და ბრძანა ტერითი სადგურში მიეტანათ. გეარდელები მანქანაზე შეტყნენ და ღაიბრნენ.

მთელი ღამე ეზიდებოდნენ ტომრებსა და ყუთებს. ქალაქს მოჩვენებით ეძინა. ჩაბნელებული სახლები გაყურსულიყო, უკაცრიელ ქუჩებში ნაშქერი დანაყარდობდა. თებერვლის ცივი ქარი უბერავდა. ზამთრის ამ ღამეს აღმოსავლეთით ცა დროდადრო ისე ნათდებოდა, თითქოს იქ, სადაღა, ელვა კვეთდა კაბა-

დონს. თან ქუხილიც ერთვოდა. მაგრამ კუხური რადი — აქ ქვეშეხები უსწორდებოდნენ ერთმანეთს. ძალა აღაპარადა.

გიორგიმ მთელი ღამე თერთად გაათენა. დილით შინ მკვდარივით მიეღრო. ნაშუადღევს სოფიომ გააღვიძა, სასწრაფოდ გიხმობინო.

ავტოსაფულიდან თითქმის ყველანი გასულიყვნენ. ვარაყის ეზოში მწყობრიდან გამოსული რამდენიმე „ზორხი“ და „ფიატი“ ყვარა. ვრთადერთი ისლი მანქანა, გიორგის საბარგული იდგა.

ისევ ძილის ბურანში იყო გიორგი, საქვს რომ მიოქდა. სოლოლაკში დაიბარეს, რომელიღაც დიდი კაცის ბარგი უნდა გადაეზოდა სადგურში. სადარბაზოს კართან ეტლი იდგა. მეეტლე კი არ ჩანდა. ცხენები თვინიერად გაცხრებულყვნენ.

გიორგიმ მანქანა დააყენა და სწორედ ამ დროს სადარბაზო კარიდან გამოვიდა შუახინის მამაკაცი, შოფერს თავაზიანად მიესალმა და სთხოვა, შინ შეჰყოლოდა.

უცხოელი ოსტატების მიერ მდიდრულად მოწყობილ ასეთ სადარბაზოებში ხშირად შეუღლით კარი გიორგის და მის ოსტატ ძია კოტეს, როცა მდიდართა კვარტალში წყალავჯონილობის გასამართად და ბუხრების გასაწყობად დადიოდნენ. ეინ იცის, რა ნაირნაირად მიწყობილი ბინა არ უნახავს, რა ავეჯი, რა ღარნაყები და ქალები, საყარძლები, ტახტები, ხალიჩები, ჭურჭელი... დადიოდა კარდაკარ ძია კოტესთან ერთად და თვალწინ ედგა თავისი ღარიბი სტიოსტუბანი, პატროსანი, ჩუმა, ყველაფრის მომთმენი, ყველაფრის ამტანი აღამაზებთია და ღამაში ზუნებთი.

მდიდართა უბანში სულ სხვა ცხოვრებას ზედავდა, უზრუნველთა სამყაროს.

აი, ამ უბნიდან უნდა გადაეტანა ბარგი. იგი სახლის მეორე სართულზე აიყვანეს. ფართო და ნათელ დარბაზში მოხვდა, სადაც უწვლადეი ოთახდაყარა იყო დაიყენებულ. უამრავი ყუთი, ფრთა, ზემოდანი თუ კალათა დარბაზის შეავტულში დაეხვეცებინათ. ერთი ახალგაზრდა, საყმოდ ტანდი და ღამაზად ჩაცმული მამაკაცი ნერვიულად მიმოდოდა, ნიკას ისრეცა და რალაკის თავისთვის ლულუღებდა საყარბეში მოხუცი ქალი იჯდა. გოგუნებული იყო თუ ამ ცხოვრების ავ-ყარგიდან გამოითი. შული, კაცი ვერ გაიგებდა, ისე გარინდებულ და უაზროდ უყურებდა დარბაზის შეავტულში დახვეცებულ ბარგს. აქვე იყვნენ ახალგაზრდა ქალი და სამი გოგონა, ეტყობა, ამ ქალის შვილები. დედას არ შორდებოდნენ. თვალები საშვიეს ცრემლით აესებოდათ. ყველანი სასოწარკვეთილებას მოეცეა.

ახალგაზრდა მამაკაცი მძლოლი დინახა თუ არა, უცებ შეჩერდა და ხანდაზმულ მამაკაცს მიმართა, გიორგის რომ შეხვდა სადარბაზო კართან:



— სოსიო, ჩვენ ვერაფერს მოვასწრებთ, ვერაფერს. ამდენ ბარჯს მატარებელში ვერაფრით ვერ დაეტვირთავთ!..

— დამწივლი, მიხეილ... იქნებ დავითთან. მით მძლოლი და პირდაპირ ქუთაისში ჩავვატანიანს, მანქანას მე გავუვებო... პა, რას იტყვი? თქვენი სახელი? — მიტბრუნდა იგი მძლოლს.

— გიორგი მქვია... აბა, მე ნებართვა არც კი მაქვს, ქალაქარბთ გავიდე. — მბრბი აჩჩეჩა გიორგიმ.

— ვთხოვთ, გემუდარებით! — უცებ ნიკპი აუჯანყალდა მიხეილს. ეს აშკარად შეემჩნა. მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია გიორგიზე. იგი გულსთავად უუფრებდა ოქსში შექმნილ მდგომარეობას.

— გნებავთ, საღვთრამდე, როგორც ნაბრძანები მაქვს...

— არა, არა, შეჩერდი! ღმერთო ჩემო! ჩვენ ისევე დავბრუნდებით, სულ მალე, სულ მალე... ნუ ფიქრობ, რომ ეს ამბავი ასე ჩაივლის! მე უბრალო ჩინოვნიკი როდი ვარ... მე შემძლია... ეპ, ვაჭრობის დროა? გვიშველე, ჩავხილოთ ბარჯი და გავუდგეთ გზას... მზოლოდ ქუთაისისაკენ... პასუხისმგებლობას ვიღებ... ჩვენ ისევე დავბრუნდებით... და ახგარიშსწორებაც მაშინ იქნება!..

„აფერეს! ოპ, როგორ აფერეს!“ — გულში გაივლო გიორგიმ.

ახლაგზრდა ქალი ატარდა. ასლუქუნდნენ გოგობებიც, გიორგი ქალის ცრემლს ვერ იტანდა, შეტრიალდა და კარს მიიშურა. კებზე დაეშვა. ფეხდაფეხ სოსიო დაედგნა, ხოლო საოოწარკვეთილი მიხეილის ჰმა სადარბაზოს კართან მისწვდა.

— დააბრუნეთ! დააბრუნეთ! მე მაგას ეუჩვენებ!

გიორგი უცებ შეჩერდა, შეტრიალდა და ადევნებულ სოსიოს მიხალა:

— რასა ღრიილებს? ფეხებსაც ვერ მოშვამს, ძალიან გულთავი რომ მოინდომოს! თუ ავბრუნდი, ძვირად დაუქდება!..

ბოლშევიკებმა ძალა-უფლება ზელში აიღეს თუ არა, მენშევიკების არმა და გვარდია უმალე დაშალეს. ახალი დგარებები, ახალი კანონები პირფესვიანად ცვლიდა ცხოვრებას.

ადრე თუ კერძო პირთა ინიციატივით იქმნებოდა სპორტული საზოგადოებები და წრეები, ახლა სპორტის საქმეს მთავრობამ მოკიდა ზელი და საზხედრო ტაძრის უზარმაზარ შენობაში ბინა დაიდო სპორტულმა კომიტეტმა. კომიტეტის თავდაპირველი ნაბიჯები ისეთივე უსუსური იყო, როგორც ახლადგზა-აღგმული ბეშვისა, მაგრამ იმედის მომცემი იყო და საამისო პირი კიდევ უჩანდა.

ესიკოვის ცირკში კვლავ განახლდა ფილა-

ვანთა პაექრობა. კვლავ დღეობდა მუხარებელი მიიზიდა ჰიდაობამ.

პაექრობის შემდეგ ცირკის ზღმდნობა, რომელსაც ალექსანდრე ჩახვა განაგებდა, ხშირად ნახავდით იმ დროს უკვე საკმაოდ სახელო-მოხვეუილ აშულ იეთიმ გერჯს. მარტის სიტუაციებში ნაბლით დადიოდა, ცირკში არც ერთ პაექრობას არ აკლდებოდა. შაშო ვერელის, ელა ვლდანელის, სანდრო კანდელაის და სხვა ფილავანთა დიდი მძააკი იყო, ჰიდაობას ტრფილო. მოჭიდავეებთან მოლხენა მთელ ქვეყანას ერჩინა. ფალავნებიც ამაყობდნენ ასეთ მელვქსესთან, განთქმულ აშულთან მეგობრობით, პატივს სცემდნენ, ხელისგულზე ატარებდნენ. თითქმის ზებირად იცოდნენ მისი ლექსები. ბევრს მღეროდნენ კიდევ.

იმხანად გიორგი კახიანშვილი უკვე საკმაოდ პოპულარული იყო და აფიშებში დიდრონი ასოებით ეწერა: „პატარა ვერელი“. ჰიდაობდა კერძო ცირკებში და ღია არენაზე, ბალავანებში.

ერთ კვარა დღეს ესიკოვის ცირკში დიდი პაექრობა გაიმართა. ცირკს ხალხი მიიწყდა, იყო გაწევა-გამოწევა, ჰიდილი, წესრიგის დასაცავად მილიცია გამოიძახავს. ხალხი როგორც იყო დააშოშმინეს. ამ არეულობაში ბევრმა იხელთა და ცირკში უბილეთოდ შეჭრა გასტროლებზე ჩამოსლთყვენ შესანაშენი ფალავნები — რუსი ლორსი და უკრაინელი ლიტჩენკო. სხვებიც იყენენ, მაგრამ ამ ორი მოჭიდავის გვარი თითქმის მთელ აფიშაზე იყო გადაიქმული. სტუმრებს პატივი დასდეს. მასპინძელ-მოპაექრეთა გვარსახებლები კი ქვეშით მომკრობზე მიტეკდნენ. ამ სიაში პატარა ვერელიც იხსენიებოდა.

მსგავსი რამ ესიკოვის ცირკის არენაზე დიდი ხანია არ ყოფილა. ასეთი საზეიმო ელფერი და მნიშვნელობა მანამდე თითქოს არც ერთ პაექრობას არ ჰქონია. მაგრამ ჰიდაობის მორტიფალიტე ბევრი ასეთი სანუკეარი წუთები განუცდილათ ამავე ცირკში.

რამდენიმე წყვილმა რომ იკიდავა, ჯერი გიორგიზეც მიდგა. მას აქეთ, რაც ქვეყანად მოხზდარმა არეულ-დაარეულობამ, თურქეთთან გახალხებულმა ომმა გზა-კვალი გაუმრუდა, ესიკოვის ცირკის არენა, რომელიც იმ დროს თბილისში ერთერთ საუკეთესო ასპარაზად ითვლებოდა, არ ღირსებოდა პატარა ვერელს.

როგორც ყოველთვის, მღელვარება არ ეტყობოდა, არა იმიტომ, რომ წარმატებებით იყო გათამამებული და თავის უთუო გამარჯვებაში დარწმუნებული. არა, უბრალოდ, მას თავიდანვე ასე მოსდგამდა. დინჯი და დიაკუნული იყო, სანამ მოწინააღმდეგეს ზელს წაავლებდა-წაავლებდა, მოიგებდა და ისე იცვლებოდა, ისეთი აზარტით ჰიდაობდა, ისეთი მარდი იყო, ისეთი მომხიზვლელი მოძრაობა ჰქონდა სხეულისა, ამისი ნახვა ერთ რამედ

ღირდა, მაყურებელიც აღტაცებას ვერ ფარავდა ტრიბუნებიდან შექაზილები ისმობდა:

— მიდი, პატარა ვერელო!  
— მიდი, შენი ჭირიშვი!

გამიარყებდა და ისევ ღინჯი და მორჩილი ხდებოდა. შეტლზე წამოშვდარ ოფლს ისე მოიწმენდა, როგორც სათხარაში გასული გლეხი. ცირკი კი ამ დროს ტაშითა და შექაზილებით გრიალებდა.

ახლაც ასე იყო ლიტჩენკო რომ წააქცია, ხალხი ღიღხანს არ დამცხარა. ვასასვლელში სხვა მომლოცველებთან ერთად იგივემ ვერაქიც შეეგება და გიორგი მამაშვილურად გადაეცინა. იგივემ გული ასრუყებოდა და თვალმშობი ტრემით ეჩხნეოდა.

— შენ კი გენაცვალე, ბიჭო!

იმ დღეს ლორსკიც გააკრა ბეჭებზე.

ასპარუზობა რომ დამთავრა და ვასასვლელს მიამურა, ერთი სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხდენილი ახალგაზრდა კაცი ეწვია. წითელი არმიის მეთაურის ფორმა შეენოდა. გიორგისკენ ღიმილით გამოეშურა. არაფერი უთქვამს, ისე მოხეცია და გამარჯვება მიუღოცა.

გიორგიმ ასპარუზობით ისე იყო გაოგნებული, ტაშის გრაილით გამოყრებული, თავი ისე უმუხვებდა, მომღიმიარი კაცი, თუმცა უმაღლე უნდა ეცნო, ერთი დაკვირვებით შეხედვა კიდევ დასჭირდა, მერამე კი წამოიძახა:

— დიომინ, ვასილ სერგევეიჩ!

— აი, სად შეეხვდით ერთმანეთს!

— არზრუმიდან კი უცებ გაჭრით... დაგიჭირეს?

— დამიწირეს კომუნისტური იდეების ქადაგებისათვის... ახლაც არშის პარაგანდისტი ვარ... ვიკოლი, რომ დღეს შენ ჭიდაობდი...

— გახსოვდი?

— ასეთ პიროვნებას არ ივიწყებენ, როგორც შენა ხარ. გმადლობ, გიორგი დმიტრიევიჩ, დღევანდელი სიამოვნებისათვის. ჩვენ ხშირად შეეხვდებით ერთმანეთს, თუკი სადმე არ გადაიყვანეს. აქვე ვარ, საბურთალოს ყაზარაში. გამომიარე. ჩვენი არმია სულ სხვა არმიაა...

— მე უკვე ვცნობ ამ არმიას, ვასილ სერგევეიჩ. მძლოლად ვმუშაობ მეთაურთა ქართულ სამხედრო სკოლაში.

— ჩინებულია!

დიომინი ერთხელ კიდევ მოხეცია გიორგის, გამოეშვიდობა და წავიდა. გიორგიმ კარებთან დაადევნა:

— გინახულებ, უთუოდ გინახულებ, ვასილ სერგევეიჩ! თქვენ მე ძალიან გამახარეთ.

ვასილი შემოტრიალდა და გიორგის გაუღიმა.

მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლა.

გიორგი ვერ მომარტყებოდა წყვეტულტყვის მძლოლად მუშაობდა. 1922 წელს წყვეტულტყვის კი მსუბუქ მანქანაზე გადაიყვანეს და ამიერიდან სკოლის უფროსს ატარებდა.

ერთხელ, თებერვლის დამწვეს, გიორგი ბორის ძენლამის მოსაყვანად გაგზავნეს. ამ ეკის სახელს საქართველოში საცმალად გამოიარებულ იყო და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს უნახავდაც იცნობდა გიორგი.

ახლა იგი სამხედრო სკოლაში უნდა მოეყვანა.

მანქანა სადარბაზო კართან გაჩერდა და დაელოდა. შალე გამოჩნდა სუსტი ავებულების, ფერმართალი, სათვალეზიანი ახალგაზრდა კაცი. მას ავადმყოფური იეტი დასკრავდა, მაგრამ ენერგული და მკვირცხლი სიარული ამტკვლებდა შინაგან შემართებას და ძალს.

ხშირად ხდება ისე, როცა საბუღალავან ადამიანზე გარკვეული წარმოდგენა გვექმნება, მისი მოღვაწეობის შესაბამისად იზრდება წარმოდგენა მისი ფიზიკურ მონაცემებზე, შესაძლებლობაზე, აღნაგობაზე, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება პირიქით... ასევე დამართა გიორგის, როცა მანქანაში მის გვერდით მოთავსდა ეს გამხდარი, პალტოს საყვლოაწეული ახალგაზრდა და გულუღი ხელი გაუწოდა გიორგის.

— ბორის ძენლამე.

გიორგიმ ერთი კი ვაკვირვებით შეხედა და იმედგაცრუებულმა ამოიღულულა:

— კეთილი. მე გიორგი კახნიაშვილი ვარ.

— გიორგი კახნიაშვილი, — გაიმეორა ბორის ძენლამემ, — მე თქვენ შორიდან გიცნობთ. ცნობილი მოვიდავ, პატარა ვერელად ვოდებულა. — ამ სიტყვების შემდეგ ბორისმა გაიღიმა. მას კეთილი, ბავშვური ღიმილი ჰქონდა. შეტად ახალგაზრდა ჩანდა. გიორგის ვიარადით, ოცდაოარი წლისა თუ იქნებოდა. რა იცოდა გიორგიმ, როგორი უკურნებელი სენი უღრღინდა ფილტვებს დაპატრირებებით გატანჯულ მაგრამ მგზნებარე ქაბუკს, რომელიც ახლა მეთაურთა ქართულ სკოლაში პარტიის დავალებით პოლიტიკური საგნების მასწავლებლად მოდიოდა.

გიორგის გვერდით იქდა ახალგაზრდა კაცი, რომლის სახელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება კომკავშირის მატრიანში, ვიკოლის წლები და თბილისის მხლობლად აშენდება ამ კაცის სახელობის კომკავშირული ქალაქი, დედამიწის ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა მისი სახელი, მის სახელსავე ატარებს პიონერთა სასახლე, ამ კაცზე დაიწერება წიგნები მისი ცხოვრების სახელოვან გზაზე.

იმ დროს, როცა იგი გიორგის გვერდით ეტომობილაში მოთავსდა, მას ეს გზა თითქმის უკვე გავლილი ჰქონდა. რჩებოდა მცირე, ძა-

ლზე მცირე... ეს ახლა ვიცი, რომ ასე მოხდა, რომ იგი უკურნებელი სენით, კლექით, გარდაიცვალა 1923 წლის 5 ოქტომბერს.

იმ დღეს კი ახალი დეკლემით მეთაურთა სკოლაში მიემგზავრებოდა. ავადყოფი კაბუჯი პირზე ქანსენი იფარებდა. თებერვლის სუსხიანი ამინდი იდგა.

როცა გიორგი რამდენიმე დღის შემდეგ სკოლის მსწენელეთან ერთად მის გაკეთილს დაესწრო, გაოცებული დარჩა, სიდიან ჰქონდა ასეთი ღრმა განათლება, რაოდენ ღრმად სწედილობდა პოლიტიკურ მოვლენებს, რაგორ ცოცხლად, მკვნიშარედ ატარებდა გაკეთილს. მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

მისი გაკეთილები გიორგის სამუდამოდ დაამახსოვრდა.

გაზაფხულზე ბორის ძნელაძე მეთაურთა სკოლის პოლიტიკოსისრად დაინიშნა.

მისის დამლევს მეთაურთა სკოლა სურამის მახლობლად, ჩუმათელეთში დაბანაკდა. ამერიიდან, ყოველწლიურად, კურსანტები მეცადინეობას ზაფხულობით ველზე ჩაატარებდნენ.

სურამის ვარემო, მწვანეანი მთაგორაკები, წიწვინი ტყე, ცივი, მოჩუბჩუბე წყაროები, სუფთა ჰაერი, ზალისით აცხებდა მეთაურებსა და კურსანტებს.

ბორის ძნელაძემ ერთხანს ბანაკში დაჰყო, მაგრამ მის აქურთობა არ მოეხდა და გადაწყდა მისი აბასთუმანში გამგზავრება. მანქანით გიორგიმ წაიყვანა. მთელი გზა ბორისი უკუნებოდ იყო, ხშირად ახველებდა და ხმას არ იღებდა. ხმას არ იღებდა კაცო, რომლის თითოეულ სიტყვას ნეტარებით ისმენდა გიორგი. ახლა გული უკედებოდა და გრძობდა მოახლოებულ სათივლესას. კლექი მამინ უკურნებელ სენად ითვლებოდა.

გიორგიც ჩუმად იყო, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა. ბორისი აბასთუმანში დატოვა, მანქანით ახალიციისკენ გამოიარა. ვაიხსენა თურქებთან შეტაკებანი. ბორისზე ფიქრი კი არ ასვენებდა და წიწვინარში შეფარებულ ერთ პატარა სამკურნალო კოტეჯში მწოლიარე კაცი ღვიძლ მშაპაით ეცოდებოდა, ეცოდებოდა და სიკვდილისთვის არ ემეტებოდა, რადგან ეს კაცი ცოცხლებს ძალიან სჭირდებოდა, აღმათ, დიდი ხნითაც, რადგან ცხოვრება მოსაწყობო იყო, ბევრი რამ გასაკეთებელი, ბორის ძნელაძე კი ხედავდა ამ გზას...

ფანჯარა წიწვინარს გადაყურებს. ფანჯარასთან რკინის საწოლი დგას. საწოლში ბორისი წევს. როცა გიორგი ემშვიდობებოდა, მან უძლურად გუღღია. გზაში მოქანტულიყო. ექიმითაუბრე ადგა და გიორგის წასვლას ელოდა. გიორგის გული თერუდა, ეს ქვაგულა ფალავანი ლამის აშლილმა გრძობებმა დაამარცხეს. მოახტა მანქანას და გზას გაუტია.

ბორჯომში თავისიანებთან ჩამოიარა. ის ლა-

მე სიმამრის სახლში გაათია დილით კი სურამში შეაქროლა მანქანა. **გეორგიანული**  
**ხეზლინიონისა**

მეტად მძიმე და ხიფათიანი დრო იყო. კონტრარევოლუციონერები არ ისვენებდნენ, ამბოხებებსა და დივერსიებს აწყობდნენ. ამიტომ სურამში დაბანაკებულ სხვა ჯარის ნაწილებთან ერთად მეთაურთა სკოლის მსწენელებსაც უხდებოდათ ბრძოლა კონტრარევოლუციონერების წინააღმდეგ.

მაგრამ იყო ცხოვრების ნათელი დღეებიც, როცა ხალხი ტრადიციას არ ივიწყებდა და სურამის ბალანზე სახალხო სანახაობებს მართავდა.

სკოლის მახლობლად დაბანაკებულ სამხედრო ნაწილს სანიკიტე, ჩუბინიტე და ობოლიტე სარდლობდნენ. ნაწილას კომისარი, ობოლიტე, ბანაკად გასულ ჯარისკაცებს სურამის ბალანზე კვირაობით ვიდიობას უწყობდა. რასაკვირველია პაეტრობაში ახლომხლო სოფლებისა და თვით სურამელ ფალანგებსაც იწვევდნენ. სანახაობას ბევრი ხალხი ესწარებოდა.

გიორგის ერთი სული ჰქონდა არენაზე გასულიყო, მაგრამ რატომღაც ერიდებოდა სამხედრო ნაწილის მკაცრი მეთაურებისა, აბარას იფიქრებდნენ, ჩემით რომ მივიღე და ჯარისკაცები წავუქციოო.

მის მაგივრად ერთი გვერდისუბნელი გლეხი ლბაძე გამოჩნდა, რომელმაც ყველა მოჭიდავე წითელარმიელი წააქცია. ობოლიტე შეწუხდა.

— ნუთუ არაინ გამოჩნდება ამ კაცის წამქეციო! — ამბობდა კომისარი.

მართლაც, არაინ ზანდა ლბაძის მომრევი. ერთხელ, ეს იყო შაბათ დღეს, ნაწილის მეთაურის მოადგილეს, ჩუბინიტეს, ბაზარში ხილის საყიდლად გიველო. გლეხს საადრეო ვაშლი ააწონინა. ფული რომ ჩაუთვალა, სავაჭროს გადასწვრივ გიორგი კახინაშვილს შეასწრო თვალს. პატარა ვერელის პაეტრობა მას არაერთხელ უნახავს ესიკოვის ცირკში. უცებ გაახსენდა კომისარ ობოლიტის ვარაში. იმავე დღეს კომისარს აცნობა ეს ამბავი, თუკი ვინმე გვიხსნის სირცხვილისაგან, ისევე მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლის შოფერი, სახელოვანი და დუმარცხებელი ფალანგის გიორგი კახინაშვილი, პატარა ვერელო.

— მერედა, ამგვარეულელები ბრძანდებით, რომ ლბაძეს წააქეცეს? — ჰკითხა ობოლიტემ ნაწილის მეთაურის მოადგილეს.

— რა მოგახსენოთ! პაეტრობა რომ სიხეტრესო იქნება, იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული. შემთხვევით ბაზარში შევასწართვალო.

— შიკრიკი ვაგზანოთ, მოვიყვანოთ, მოველაპარაკოთ... მერედა, რატომ აქამდე არ გამოჩნდა?



რა იცოდა ობოლად, რა მიზეზით არ გამოჩნდა სურამის ბალაგანზე პატარა ვერელი, რატომ ერთხელ მაინც არ მიიღო მონაწილეობა როგორც გაუძლო გულმა, როცა ასპარეზზე გამოჩნდა დაუმარცხებელი კაცი.

ნაწილიდან სამხედრო სკოლაში შეირიკი აფრინეს. გიორგის სკოლის უფროსი სასროლეთზე მიუყვანა და ის იყო შტაბის სადგომთან მობრუნდა, შეირიკი ეახლა. წითელარმიელმა მოახსენა, ჩვენი ნაწილის კომისარი გთხოვთ, მობრძანდეთო.

გიორგის გაუკვირდა კომისარს ჩემთან რა ესაქმებაო. ნაწილში მიაკითხა. მორიგეში უთხრა, კომისარი საპარამხებროშია და წვერს იპარსავსო. გიორგიმ ქუჩას ჩაუარა, საპარამხებროს მიადგა ობოლად დალაქი დასტრიალებდა. დავულოდები, სინამ წვერს გაიპარსავსო, გიორგი კართან ატორილადა. სწორედ ამ დროს სადალაქოს კართან ჩუბინიძეც მოვიდა.

— გამარჯობათ, პატარა ვერელი! — მხიარულად მიესალმა იგი კახნიაშვილს და ხელი მხურვალედ ჩამოართვა.

— გამარჯობათ.

— მიტანი?

— როგორ არა, ვიცანით.

— კომისარს უნდოდა შენი ნახვა. შგონი, აქ უნდა იყოს.

— აქ ვახლავთ. ეელოდები. წვერს გაიპარსავს და გამოგეცხადები.

ამ საუბარს ეტყობა, ყური მოჰქრა ობოლად, მოსაუბრეთ ხმაშალა გაეხმაურა.

ჩუბინიძემ გიორგი კომისარს წარუდგინა. დალაქმა წვერის პარსვა შესწავიდა, რადგან ობოლად მკვთორად შებრუნდა სავარძელში. ცალი ლოყა ჩამოპარსული ჰქონდა, მეორე გასაშლელი.

გიორგი მიესალმა კომისარს. მან ხელი გამოეწოდა და მხურვალედ ჩამოართვა.

— პატარა ვერელი! — თქვა საზეიმოდ, აღტაცებით, — მინახობართ, ვანა არა, ესიკოვისა და ჩიხლასის ცირკში... მაგრამ აქ სულ სხვა კაცი გამოვიჩინა, შეგობარო... მთელი ნაწილის მოქიდავეები ბეჭებზე გავვიკრა. უნდა ვვიხსნა. იქნებ არ კადრულობ ჩვენს ბალაგანს? ჩვენს მოქიდავეებს? რა გული გიძლებს?

— რა ვიცი, მერიდებოდა.

— ნაწილის სახელით გთხოვთ... ერთი ის კაცი დაგვანახე ბეჭებზე!

— რა ვიცი... თუკი ასეა.

— ასეა, ასეა ესე იგი თანახმა ხარ, არა? მოშტო ხელი!

ობოლადემ ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი და მერმე სახელოვანი ფალაგნის თანხმობით გახარებული სავარძელში შესწორდა.

\*\*\*

პაექრობა კვირა დღეს გუმფრფრე ქუჩაში ბალაგანზე. ზღვა ხალხი მოაწყდნენ, თელარმიელები, მეთურები, ბაზრობაზე მოსული გლეხები, სურამელი მოქალაქეები, ვაჭრები, ხელოსნები. ბავშვთა ყვირას იჭარბობა აეკრა. ჭრ კიდევ კიდაობის დაწვებამდე ზურნამ ზეცა ლამის გაფხრჩია, დოლის ბრაგენი ჩუბათელეთში ადიოდა, ლიხის მთას ასკდებოდა, მთელ ქვეყანას ეფინებოდა.

ფალაგნთა შექიბრი სახალხო დღესასწაულად ექციათ. ყველას რაღაც განსაკუთრებული საზეიმო ელფერი გადაქრავდა სახეზე, თითქოს ყველანი საპაქროდ და არა საექვრლად ეშალებოდნენ. აღბათ, დოლისა და ზურნის აზარტული, ზეაქუელი ხმა იძლეოდა ასეთი აღფრთოვანების საბაბს.

გიორგი კახნიაშვილი ლაბაძეს არ იცნობდა. ამ კაცის სახელს თბილისში არ ჩამოუღწევია. შორიდან შეხვდა. ნაღდი ფალაგნთა იყო, ბეჭებში გაშლილი, ტანწერილი, ფეხმაგარი, მოლიმარი, მკერივად შეკრული, ჩახხმული.

ბეჭებმა სახრით ჩამოუტროლეს საკიდაო მოედანთან მკიდროდ მომდგარ ხალხს. წინ მდგარი ფეხებთან ბური აუყენეს, უკან დიხებით, განი-განიო. ნაწილი იხვედა, ნაწილი ვერა, უკანანი არ უშეებდნენ, ყველა მოედანს აწუდებოდა და ჭერი ისევ ცარიელს, ნახებ-მოფენილს არ ამორებდნენ თვალს.

ლაბაძე დღეში რამდენიმე კაცს აქცედა ხოლმე. ერთ გამარჯვებას არ სჯერებოდა. იმ დღესაც გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. სამი წითელარმიელი და ერთი სურამელი ხელოსანი რომ წააქცია, ისეთ ქანზე იყო, სურამის ციხეს მოიკიდებდა.

ერთი კი იფიქრა გიორგიმ, აბა, რა ვაჟაცობაში უნდა ჩამოთვალოს, რაც არ უნდა მხნედ იყურებოდეს, დაღლას არ იმჩნევდეს, არაქათი მაინც შესუსტებული ექნებო. იჭოქმანა, გასულიყო თუ არ გასულიყო, მაგრამ ობოლადისა და ჩუბინიძის თვალი რომ არ შორიდებოდა, ამასაც გრძნობდა.

გიორგი არინაზე გავიდა და ლაბაძე გამოიწვია.

— მაშ შენა ხარ პატარა ვერელი? — ჰკითხა ლაბაძემ, როცა ხელი ჩამოართვა.

— მე გასაღვართ. — მიუგო გიორგიმ და შენიშნა, რომ ლაბაძე ძალიან თამამდ იყო და მის სახეზე აშკარად ამოკითხებოდა: მე შენი წარსულისა არა ვიცი რა, არც შენი სახელი მიღირს რამედ!

ასეთი რწმენა? ასეთი სითამამე?

გაფიქრდა დოლი, ხმას უმატა ზურნამ და მოქიდავეები მკლავებით ერთმანეთს გადაუნასკენენ. ვაშალა და უმარცხებელ ფალაგნთა კიდილი. პირველი წუთი მოსიწყვისა იყო. აღბათ, ერთი და მეორეც თავის საყვარელ

ილეთს ირჩევდა. მაგრამ ილეთს ზომ მომარჯ-  
ვება უნდა, შესაფერი მომენტით...

ხალხი ღელავს, შფოთავს, ოხრავს, ისმის  
შეძახილები. შედოლეს ხელები, აღმათ, საყა-  
ტლები ბორცვით დაემგვავ, საბერველივით  
იესება და იცლება მებურნეთა ფილტვები. ფა-  
ლავანთა ფეხებს გააქვს და გამოაქვს ნახერ-  
ხი. მოჭარული ხალხის წრე ვიწროვდება, ლა-  
შის მოჭიდებებს შიამყდნენ. ბიჭები საბრეს  
უშენენ წინ წამოსვლით.

— განი, განი!

— უუ! — გვგუნებს ბრბო.

და არ, ის სანუჯარი წუთიც, როცა გიორ-  
გიმ მოგვერდით უცებ დასცა ლაბაქე და აქა-  
მდე დაუმარცხებელმა ნახერხზე გაგორებულ-  
მა ფალავანმა სურამის ზეცას მიაპყრო თვალი.

— არის! არის! — დაგვეგუნა ხალხმა და  
გიორგის ხელი სტაცეს, შეამბურათავეს. ობო-  
ლაქე და ზუბინიძეც გადაეხვივნენ.

გიორგი ასეთ რამეს ჩვეული არ იყო. მის  
არც კი აცალეს დამარცხებული ფალავანისა-  
თვის ხელი ჩამოერთმია, მეგობრულად მოჰ-  
ფერებოდა. რას იფიქრებს ლაბაქე?

მარცხვად მიიღო გარშემო მყოფთა შო-  
ლოკები და თვალი დამარცხებულ ვაჟაკის-  
საქენ გაექცა... წამომდგარიყო, თავდაბრილი  
ჩოხას ისწორებდა. მერმე გიორგისკენ გამოე-  
შართა და ხელი გამოთქოდა. გიორგიმ ჩამო-  
ართვა. ლაბაქე არ მოეშვა.

— კიდევ ზო დამეკიდებში?

— როცა გინდა.

— მაგარი უოფილხარ, ძმომ, პატარა ვერე-  
ლო... შენთან ჰიდაობას ახრი ჰქონია.

ამის შემდეგ ქუჩეხასა და შუკებში გამო-  
კრულ აფიშებზე დიდრონი ასოებით აწერდ-  
ნენ:

„ზიდაობს პატარა ვერელი ვინც მას წაა-  
ქცევს, შემოსავლის ნახევარი მისია!“

მაგრამ ზაფხული ისე მიიწურა, სურამის  
საქიდაოს მესვეურთ ეს თანხა არავისთვის გა-  
უტყიათ. ლაბაქე კიდევ ორჯერ დაეკიდა, მაგ-  
რამ გიორგისთან ვერაფერი გააწყო.

ამასობაში მეთაურთა სკოლის საზაფხულო  
ბანაკიც აიჭარა.

შემოდგომაზე თბილისს თურქი მოჭიდავე  
სარი სულეიმან-უმტაროსი ეწვია. ამ კაცს  
ფრანგულ ჰიდაობაში დიდი სახელი ჰქონდა  
გვიარდნილი. ერთი სიტყვივით დიდი რიზით  
ჩამოვიდა თბილისში... თბილისელებმა კი ხე-  
რითანად ვერც იხილეს მისი ჰიდაობა, პირ-  
ველსავე დღეს, სულ რაღაც ორიოდე წუთში  
პატარა ვერელმა ესაიკოვის ციხის არხანზე  
გაშხლართა იგი. აუწერელი იყო მყურებელთა  
თა ზეიმი. თვალტრემლანი იგიმ გურჯი დიდ-  
ხანს ეხვეოდა ქართულ ფალავანს. გვიან ლა-  
შით კი, როცა შინ მაგიდას მიუჯდა და ზელთ  
ქალამი აიღო, აი ეს სტრიქონები ჩამოქანა:

პატარა ვერელი — გიორგის

გარკინენული

ახალ მოჭიდავეებში ვერელები ვერელები  
ფალავანების მიმართ, ეტყვი, გიორგი  
სწერია,

ციცხლა, ნაპერწყალია, რას დააყლებს  
მეტრია,  
გიორგია ვერელი, მისთვის დამომღერია.  
სამნი ძმები არიან ფალავანები ვერაზე,  
შაშოს, ირაქლის ვაქებ, გიორგის კი

ყველაზე...

ტოლი ვერას დააყლებს, ვინღ მიხვიდე  
წყენაზე,  
დარწმუნდებით მაშინა, როცა ნახავთ  
სცენაზე.

პირველად რომ გამოდის, ზოგს არაფრად  
ჰგონია,

ემსაყერი ფანდი აქვს, არც აცლა ღონეა,  
ბევრი კი ბიჭები დასცა, დალონია,  
როცა ნახავთ თვალითა, იტყვი, მოსაწონია.  
მე ზემს მხრიდან შევაპკობ, ქება

მოუხდებათ,

ჭერ უმწველი კაცია. მოხდეს დეარდებო...  
ცოტა ხანი აცალეთ, უფრო მომარჯდებათ,  
ბოლოს იმის სახელი უველგან მოედებოთ,  
ჭერ დროებით მივართმევ ამ ხუხე ხანასო,  
იეთიმ გურჯის ფალავანს, ვერელ

გიორგისაო,

თუკი დაიმსახურებს ვაჟაკური გზასაო  
უფრო ახალს დაეწერე უეტყვისა სხვისაო.  
ტფილისი, 1922 წელი.

თარიღიც დაუსვა და ორიოდე დღის შემ-  
დეგ ზელნაწერი გიორგის მიართვა.

ეს ლექსი მოგვიანებით გამოქვეყნდა გაზეთ  
„ლელოს“ წინამორბედ „ფიზკულტურელში“  
1936 წლის 30 აგვისტოს.

ქორწინების შერაც წელს გიორგის და სო-  
ფიოს გოგონა შეეძინათ. რუსუდანი დაარქვეს  
ვაიხარა ოჯახმა. სურამის შეილიშვილმა ფრთე-  
ბი შეახხა დამიტრის და ნინოს, მაგრამ მალე,  
როცა გოგონამ ჰყლოინი დაიწყო, ძვალი გე-  
ლში შეთამაშებდა თამამად შეიძლებაო, ახალ-  
გაზრდა ოჯახი სურამში გადაბარგდა, სადაც  
გიორგიმ პატარა ელსადგურში შემანქანედ და-  
იწყო მუშაობა. მოუცლელობის გამო სატიოს-  
უბანს დიდხანს აღარ გაქარებია. და აი, ერთ  
დღეს ძმის ნახვას დანატრებულმა შაშომ სურ-  
ამისკენ გასწვია. მატარებელი ხაშურში კარ-  
გა ხანს გაჩერდა. შაშო ბაქანზე ჩაეიდა და  
ვაკონის გასწვრივ ბოლოა დასცა. ძმა მონატ-  
რებოდა და ევლარ ისვენებდა. თბილისიდან  
ზოზონით წამოსულმა მატარებელმა ხაშურის  
ძლიეს მოატანა და ახლა აქ ბეკას ქორივით  
დგას და არ იჭერის. ლამის ფეხით გაუტია  
გზას.

ზაფხულის დამდეგის საღამო იყო, მაგრამ

გრილოდნ. ტყით შექონილი ბორჯომის ხე-  
ობა ქართლის ვაყის სიგრილეს ჰყენდა.

დიდებულა, სანატრელი მთვარიანი საღამო  
დგებოდა.

ბაქანზე ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი გა-  
მოჩნდა. ერთობა, ნაქვიდრები იყვნენ, ისეთი  
ყოფით წამოვიდნენ მატარებლისაგან. ბახუსით  
გათამამებულთ სიმღერის უნი მორევადთ,  
ოღონდ შეწყობილად ვერ მტეროდნენ.

უცებ ერთი მათგანი შეჩერდა. ვაგონთან  
შაშო ვერული შენიშნა, ბლავილი შეწყვიტა და  
მისკენ ჩქიქრ წამოვიდა.

— ამას ვის ვხედავ! სიღან, შაშო, აქ რას  
უღვებარ, კაცო?!

შაშოსაც გაუხარდა ტერული ორჯონიკიძის,  
თავისი ძველი ძმაცის დანახვა, მოეხვია და  
გადაკოცნა.

ორჯონიკიძე თბილისის ხშირი სტუმარი იყო  
და შაშოს თაობის მოჭიდევებს დედაქალა-  
ქის სხვადასხვა ცირკში ემაქებებოდა, ყარგ  
მოჭიდავად ითვლებოდა, თბილისელთა პატრი-  
ვით ეპურობოდნენ, აფისებდნენ და მასთან  
ჭიდაობა ძალის სერაოზულ გამოცდად შიამ-  
ნდათ.

— მასთან მივიღვარ სურამში. — უთხრა  
შაშომ ორჯონიკიძეს.

— გორგისთან ხომ არა?

— ჰო, იმასთან.

— ისევ სამხედროებს ხომ არ ჩამოკეცა  
ბანაკად?

— არა. აქ მუშაობს ელსადგურში.

— რა ვიცი! გაცივო გვერდისუნენლი  
ლაბაზე წაქციევი! მე კი ვერ შევხვდი.  
ხეალ კერას, შაშო... ბალავანზე ხომ არ გა-  
მოხვიდოდი? შენი სახელის კაცი დიდძალ  
ხალხს მოიყვანს...

— მაგანე უარს როდის იყო რთ ვამბობდი!

— აგაშენა ღმერთმა! ერთი კარგი ცირკი  
გვიმართოთ. — მყერლზე შეგობრულად მი-  
კრა ხელი ორჯონიკიძეს.

შაშომ გააფიქრა: „შენ თუ იჭიდავე, შაში-  
ნეე დაგაგორებენ, ბახუსი იქ ველარ მოგეშე-  
ველებს!“

ნასეამ კაცთან შეკამათება არ უყვარდა შა-  
შოს. სპორტის მოყვარულებს სიფხობულში  
არაკვებდა: „თუკი იჭიდავებო, ღვინო კარგად  
გამოინელეთ, წვეთი არ ჩაგრჩეთ ძარღვებში,  
ღონე მოიკრიფეთ და არეანზე ისე გამოდით,  
თორემ ისეთ სირცხვილსა სკამთ, დანის და-  
რტყამ გერჩივთო!“

განა შაშოს არ უყვარდა ქვიფთ და დროს  
ტარება. კარგი მუშაკ-კრივიც იყოდა. ზომა-  
სა და წესის მიჩვეულ კაცს ესეც ზომიერი  
და წესიერი ჰქონდა, დარბაისლური და მო-  
ზომილი. თუ დალევდა, მერმე კარგა ხანს  
ვარჯიშობდა, რომ ბახუსით მოთენითლი კუ-  
ნთები გაემაგრებინა.

ის დღე შაბათი იყო, მეორე დღეს კვითა

ორჯონიკიძეს ცა ქვედად არ მიაჩნდა და დე-  
დაშიწა ქალაქიდა. ისეთ ჯანსაღს დასაქვი,  
მეორე დღეს ბალავანზე გვერდში დასველდა  
ბუქებზე, თვით თავის ძმაცის, განთქმულ  
ფალავან შაშო ვერულსაც მოერეოდა და სუ-  
რამელების თვალში ერთითად ამოდდებო-  
და.

ეს რომ ასე არ იქნებოდა, ამაში ღრმედ  
იყო დაწმუნებული შაშო, მაგრამ იმ საღა-  
მის მატარებელთან შეგობარს ისეთი სიტყვა  
არ უთხრა, მისთვის გუნება გაეფუტებინა.  
პირიქით, აღუთქვა, ცირკში უთუოდ შოვალ  
და ერთი ლახითიანი ჭიდაობაც გაემართათო.  
ამ დროს ორჯონიკიძის ძმაცეხიც მოვი-  
დნენ, შაშოს შემოეხვივნენ. სიმღერა შე-  
წყვიტეს და ქათინურები დაწყეს, ამას ვისა  
ვხედავთ და ეს ვინ მოსულაო. შაშოს ქება  
არ უყვარდა, ყოველთვის ბავშვივით წითლ-  
დებოდა. ახლაც იგრძნო ლოყების სიმხურვა-  
ლე. მერმე ყმაწვილკაცები გაიქაინენ, საქვი-  
ფოდ წაყვანა დაუპირეს, ემუდარნენ... სწო-  
რედ ამ დროს ზარსაც ჩამოკრეს. შაშომ დარ-  
ღიშანდულად ასწია ხელი:

— სხვა დროს, ბიჭებო, სხვა დროს!...

— პატრე დაგვდე, შაშო... ხელით ჩაგვი-  
ვანთ სურამში!..

— გორგისიც აქ ჩამოვიყვანო.

— არა, მებო... აბა, კარგად იყავით. გმა-  
დლობთ, თქვენი ჭირიშეთ!

ვაგონის კიბეზე შედგა ფეხი და ბაქანზე  
მყოფთ გადმოხედა.

— ხეალ, სურამის ბალავანზე, შაშო! —  
დაადევნა სიტყვა ორჯონიკიძემ.

მატარებელი მძიმედ გაშორდა ბაქანს და  
სურამისაგან გადაუხვია.

კვითა დღეს ორჯონიკიძე სურამში არ გა-  
მოჩენილა. შაშო და გორგგი ამოდ ელოდნენ  
ბალავანზე. შაშოს სიბრყვის გატეხა არ უშ-  
ვარდა, უპირო კაცს ვერ იტანდა.

იმ დღიდან კარგა ხანი გავიდა. ზაფხული  
მიიწურა. ერთხელ ელსადგურში ორნი შიად-  
გნენ ვიორგის. ერთი მათგანი ორჯონიკიძე  
იყო, მეორე ვერ შეიცნო.

საქმე ის იყო, რომ სურამის ჭიდაობის შე-  
სვერებში ადრე გამოკრული ფიშები განა-  
ხლეს და ისევე აწყვებდნენ ჭიდაობის მოყვ-  
რულთ, ვინც პატარა ვერულს წაქციეს, შე-  
მოსავლის ნახვეარი მისითო.

და აი, ორჯონიკიძემ მოლაპარაკება გამა-  
რთა ვიორგისთან. ისინი პატარა ელსადგურის  
ეზოში იდგნენ. უცნობი განზე გამდგარიყო  
შორიდან უსმენდა ფალავანებს. ახლა მთავარი  
იყო ორჯონიკიძეს დაეთანხმებინა ვიორგე,  
რომ მას დასჭიდებოდა. ვიორგე კი თავიდაბ-  
ვე უარზე დადგა შაშოს ძმაცის როგორ უნ-  
და დაეუქვოდო.

— ვაშ უარსა ხარ? — ჰკითხა ტერულმა  
ფალავანმა, — მიზეზს კი არ მელხნები... შე-

მოსავლის ნახევარს რომ წვაიღებ. ის ხომ არ გეფიქრება?

გიორგის წუმად ჩაეცინა.

— რა გაეცინება?! — სიფიცზე შემოენთო ორჯონიძის.

— რა ვიცი, ისე თქვი, თითქოს უკვე განადლებული გქონდეს.

— ხო არ შეგეშინდა, ბიჭო?

— მე?!

— ჰო, შენა... მართალია, შაშო ჩემი ძმაცაცია და შენც ძმაცაცად შერგები, მაგრამ მაინც უნდა დაგვეხილო.

— დამეხსენ, რა!

ორჯონიძის ჩამოხსნა კი ეგრე ადვილი არ იყო. ერთი რომ შეუჩნდა, კაცს ლამის ტინი ამოუღო. ბოლო დროს სისადილოში ცხენით მიიქრა და როგორც იყო დაითანხმა.

სექტემბრის ერთ კვირა დღეს მათი ჭიდილი შედგა. გიორგიმ მოჰკიდა თუ არა ხელი, იმავე წუთს იგრძნო, რომ ტერზელი ფალავანი დიდხანს ვერ გაუძლებდა. ასეც მოხდა. გიორგიმ მოგვერდი არ აკარა, კისრულით წაშოილო და სურამელებს ფერხითი დაუხეტია ტერზელი კაცი. როცა იგი წამოდგა, სახე აბრაზებული ჰქონდა, სიფიცზე შემოთეობდა და თვალეში სისხლი მოსწიროდა, ხალხს განაჩენს არ შერიგებოდა, გიორგის მიუქრა.

— კიდევ დამეკიდე, გიორგი!

— ჯერ ამისა ჩამოშართვი ხელი... წესია, ნუ ვუღალატებო.

ტერზელმა იკარა და ხელი ჩამოართვა.

— იქნებ დაგვეჩენა? — ურჩია გიორგიმ.

— მისხრად მივდებ?

— არც მიფიქრია. დასვენე, ღონეზე მოხვალ...

მოდოლეს დოღზე შეკუთვნილია ხელები, მუხურნეებს საკრავები დაეშვათ და ფალავანთა ნიშანი ელოდნენ.

გიორგი მეთრედაც ეკიდავა. ამჯერად მოგვერდი გამოიყენა და ტერზელი ფალავანი ისევე დააგორა ნახერხში. მაშინ კი (გასაოცარი იყო), ღამილით წამოდგა ორჯონიძემ, გიორგის მოეხვია და გადაკოცნა.

— ალალი იყოს შენზე!

მაგრამ იმ ღამილიში იმდენი ნაღველი იყო გამორეული, მსგავსი სევდა და სულიერი წუხილი არც ერთი ფალავნის სახეზე არ უნახავს გიორგის. გული ეტკინა და მთელი ღამე უძლიოდ გაატარა. აბა, რა ფასი ჰქონდა ასეთ გამარჯვებას!

...კვლავ ბრძოლასა და ჭიდილში გადიოდა წლები. ცხოვრება აურაცხელი მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მოვლენით იყო სავსე. იყო დაღბნივბა, იყო გაჭირვებაც.

კახიანთ ოჯახს კიდევ ორი პატარა შვიმატა, ჯერ გოგონა, შემდეგ ბიჭი — ვენერა და

ზურაბი. ახლა გიორგი სამი შვილს, მამა იყო, სურამიდან თბილისში რომ გადმოშობდა, ტრამვას პარკში მხოლოდ დაიწყო მუშაობა. ვატმანებს ჭიდაობაში ავიარებდა. ერთი პატარა წრე ჰყავდა და ბიჭებს ისეთი გულმოდგინებით წვრთნიდა, გვეგონებოდათ, მსოფლიო პირველობაზე უნდა ვიყუანოსო. წრის წევრებიც ასევე იყვნენ, იხალისეს.

გიორგის ჭიდაობის ვაგზე სიციხეზე წარმოუდგენლად მიაჩნდა. თავის მოწაფეებში ფალავნებს ეძებდა და ამ ძებნაში მიაგნო კიდეც.

ოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო, როცა მასთან ერთი გიორგიმინდელი უმაწელო მივიდა. ისეთი სახე, ისეთი აღნაგობა ჰქონდა, პატარა ვერკულს თვალში მოუვიდა. ვაზის არსენა ერქვა, გვიარად მეკოციშვილი. თავისი სოფლისა და საგარეგოს საჭიდაოზე პატარობიდან მოთვლილი სხეული ახლა ისეთი მოქნილი და შეკრები ჰქონდა, გიორგის გულს სიხარული მოეღო და გაიფიქრა: აი ვინ იქნება ქართული ჭიდაობის ვარსკვლავი.

მაგრამ როცა სულ მალე არსენა საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში, გიორგიმ უფრო შორს გახედა მის მომავალს. რაღაც უნდა მომხდარიყო, არსენას ვარსკვლავი სხვაგანაც უნდა გამბრწყინებულიყო. ეს ახარებდა გიორგის და მისთვის არაფერს იმუხრებდა.

სტიქიურად შექმნილმა სპორტულმა ჩვეულებმა, წლების განმავლობაში ბიჭების წვრთნად, გიორგის პედაგოგის შესანიშნავი თვისებებიც გამოიჩინეს. მას აქაც შერჩა სიღინძე, დარბაისლობა, მოთმინებისა და წინგახედულობის დიდი უნარი. მეთოდურად იყენებდა წლობით დაგროვებულ პირად პრაქტიკულ გამოცდილებას. თავის წრეში არ იღებდა უტულუტებსა და ქარაქუცას. ის, ვინც მოჭიდების რაინდულ სულსა და საჭიკლეს არ გამოამყვანებდა, მის მოწაფედ არ გამოდგებოდა. ამიტომ ყოველთვის ჭკვიანი ბოკვერა ბიჭები ჰყავდა.

ის უკვე ბევრისათვის „თბი გიორგი“ იყო. არსენ მეკოციშვილი კი უველასგან გამოარჩია, რადგან თვითონ არსენა გამოირჩა უველასგან.

გიორგის მეკადინეობაზე ისევე მიუხაროდა, როგორც ერთ დროს სიხარულით ვარზობდა ესიკოვს, ჭუთათელაძის, ჩიხლაძის, ცინკაძის, ციციშვილისა და ესებუას ცირკებში, ვერის, ნაძალადევის, გლდანის, ბორჯომის, სურამის, არზრუმის ბალავანებზე, სადაც ბღღვირს ადენდა სახელოვან და ჯერ კიდევ უსახელო ფალავნებს.

ახლა, არსენ მეკოციშვილის ჭიდაობას რომ უყურებდა, სულ თავისი ძმის, შაშოს, ჭიდაობა აგონდებოდა, იმ დროის ჭიდაობა, როცა შაშო სპორტული დიდებს ზენიტში იყო.

არსენა შედამ მოლიმარი მოდიოდა მეცადინეობაზე, რაღაც ბავშვური ხალისი მოჰქონდა. ასეთი პირნათელი დარჩა იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

1936 წელს დიდი შეჯიბრი ჩატარდა საქართველოს პირველობაზე ქართულ ჰილობომაში. ამჯერად ორმოცი წლის გიორგი კახიანი — პატარა ვერელი ასპარეზობის ერთერთ მსაჯად იყო მიწვეული. შეჯიბრში კი მისი სახელთვანი მოწიფე არსენ მეცადინეული უკვე საქართველოს ჩემპიონის ტიტულით გამოდიოდა. მან ეს წოდება ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოიპოვა.

შეჯიბრი სახელმწიფო ციარკში ჩატარდა. ეს ის ციარკი გახლდათ, ვერის ხიდის თავში რომ იდგა და გიორგისთვის ერთერთ სანუგეარ 'ასპარეზოს' წარმოადგენდა. ვინ იცის, აქ რამდენჯერ უხეიშია გამარჯვება. ყველა შერკონება ახსოვს, თვალწინ უდგანან მის მიერ დამარცხებული ფალანგები. და რაოდენ გულსატკენია, რომ ასე მალე უღმობილ გაფრინდნენ წლები, თან წაიღეს კაბუჯერი ფინი და შემართება. მოკლდავენ სტოვეზენ ასპარეზს, მიღანი სახელოვანი ფალანგები, ქართული ჰილობა კი თავისი აზარტით, ცეცხლოვანი ფანდებით და ზერზეებით მარად უკვდავი და ჭველია, ხან ვის წაეცილება, ხან ვის, ხან ვის გაუჭდება ჯანში და ხან ვის...

ასპარეზობის იმ დღეს ციარკი მთლიანად გაქვდილი იყო ხალხით.

მთავარი 'არბიტრის' გვერდით, მაგიდასთან, იქდა ფიხელტურის კომიტეტის თავმჯდომარე სიმონ მილშტეინი, ქართველ მოკლიდევთა მეგობარი და ჰილობის დიდი ტრფილი.

უწინ მოკლიდევები ერთმანეთის ვაჯაკობას სცილიდნენ, არ იყო ჩემპიონთა ტიტულები და არც ერთმანეთის წონას აქცევდნენ უზრადლებას. ასე იყო ათადან ბაბადან და მოყვარულთა შორის ასე დარჩა...

ციარკში კი იმ დღეს ჭაფუფებად დაქვეს ფალანგები წონის მიხედვით.

მძიმე წონაში ვინმე წილაურმა დაიჭირა პირველი ადგილი. მიუღოცეს. ის დღე იმით დამთარდა. მეორე დღეს სიმონ მილშტეინმა დაიბარა ძველი მოკლიდევები, მათ შორის შაშო და გიორგიც და გამოუცხადა, თქვენი ჰილობაჲ მინდა ენაბო. მილშტეინს ძმებზე უფრო რამ გაეგონა, გიორგის ჰილობას კი მოსწრებია, მაგრამ საქართველოს ერთერთი განთქმული ფალანგის — შაშო ვერელის ჰილობა კი არ ენახა. ახლა იგი ორმოკლდარეა წლისკაცი იყო, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, ტოლს არავის დაუდებდა. და მილშტეინმაჲ ვადაწყვიტა ასპარეზობაში ჩაება ეს ნაადრევად გადამდგარი 'გენერლები'.

შაშო წილაურს ეკრძაჲ. წილაურმა წააქცია ვერელი.

— ხო ეამბობდი, რაღა დრესკრეშე ჰილობაა-მეთქი! — აბურტუენდრე შაშო, რაჲსე ალაღად ილიმეზოდა, ამ დამარცხებას არად იმჩნევდა, რადგან თავიდანვე შეგუებული იყო. — გიორგი დამტრეიენი, — თვალი პატარა ვერელზე შეაზრა კომიტეტის თავმჯდომარე, — ამორჩიეთ თქვენი წონის ფალანგისი. თქვენი ჰილობაჲ მინდა ენაბო.

გიორგის ჩაეცინა, უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ გაიხსენა 1912 წელი, შაშოს მარცხი და ორი წლის შემდეგ თავისი შერკინება ქიზიყელთან, მის დამარცხება რომ არ შეარჩინა. ნუთუ ახლა გული გაიციდა? ნუთუ ის სისხლი აღარა ჩქეფს პატარა ვერელის ძარღვებში? ასე რამ მიიძინა ის აზარტი და შემართება? ნუთუ დაბერდი გიორგი? შენ ახლა ორმოცი წლისა ხარ. ორმოცი წელი რა სიზერეა, შეე კარგი კაცი! ვაი, წილაურს ეკრძაჲ და თუკი რამ ღონე შეგარჩენია, იღე შაშოს რევენი, როგორც შაშინ, მის მარცხს რომ ვერადრით ეგუებოდი. ახლაც ხომ ნახე შაშო ბეჭებზე!

— წილაურს დაეკიდეში! — ძველებური ცეცხლი ედება გიორგის.

— წილაურს? ის ხომ მძიმე წონაა?! — უჯიარს სიმონ მილშტეინს.

— მე არ ვიცი მძიმე და მსუბუქი... უწინ ამას არ უყურებდით... ჰილობა ჰილობაა. თუ დამარცხებებს, ალალი იყოს!

ამ სიტყვების გამგონე ვერელი ბიჭები გიორგის შემოეხევიდნენ, მათ შორის შაშო და ირაკლიც.

— არ გინდა, გიორგი... წააქცევს, ბიჭო! — აფრთხილებდნენ ისინი.

— წააქცევს და წააქციოს! ძმა წააქცია, მეც იმასთან! — არ დაიშალა თავისი ერთი რომ თქვა, უფრო გათამამდა.

გიორგის წაუქცეველი ფალანგის სახელმა ეტყობა შეაფიქრინა წილაურის მომზრებები. ნაძალადეველი წაბალაშეილი, არტაშა ნახალაოველი და სხვები წილაურს აფრთხილებდნენ:

— ძნელია მაგასთან ჰილობა, ფრთხილად იყავი.

წილაურისა და კახიანიშეილის შერკინებას მიღეთის ხალხი დაესწრო. ცალკე გიორგის გულშემატკიერები, ცალკე წილაურისა — ორივე მხარე ბლომად იყო. ისეთი გუგუნი იდგა ციარკში ამ თაღებს ჯერ რომ არ ახსოვდა ისმოდა დოლის ბრაგუნი, ზურნის ზუზუნი.

პირველად ახლა დაეკვდა თავის ძალაში გიორგი. არენაზე გასვლაზე ისევ ძველებური შემართებაჲ ჰქონდა, მაგრამ, როცა წილაურს ზელი ჩამოართვა, გულში ეჭვის ჰია აფათურდა. „რაც იქნება იქნება, ძმა წააქცია, მეც წააქციოს!“ თითქოს შეურიგდა ამ აზრს. მაგრამ თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, ეს რა მალე დაეოჲ ყველაფერი.



ქილაობა რომ დაიწყო, ხალხმა სული გატრუნა, რადგან მკლავებით გადაჭდობილი მოქიდავეები ჭერ ერთმანეთს სცდიდნენ, იღუტის ირჩევდნენ... კარგად ქილაობდა წიკლაური, პირველი ფალანხის სახელი შეენოდა. გიორგი ხომ არ იყო და არ იყო ჯაბანი.

სულგანაბელი ხალხი დროდადრო დაიგმიანებდა, დაიგუგუნებდა, გადაიარწიოდა, აზვირთდებოდა, როცა კახნიაშვილი, ან წიკლაური იღუტს წამოიწყებდა და წუთი წუთზე მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

ქილაობის მეორე წუთი იწურებოდა, როცა წიკლაურმა შეაჯერი უმარჯვა პატარა ვერცხლს. თითქოს გიორგისაც ეს უნდოდაო, ამის საწინააღმდეგო იღუტის წლობით ჰქონდა დამუშავებელი, წიკლაურის მოდებულ ფეხს ფეხი ღონივრად გამომკრა და ქილაობაც უმაღლე დასრულდა — წიკლაური ბეჭებზე იწევა.

ასეთი ოჯახი და გუგუნი არასოდეს ახსოვს გიორგის.

წიკლაური წამოდგა, ჩოხა გაისწორა, გიორგის მიუახლოვდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ და ხალხის გუგუნეც იმატა.

ეს იყო პატარა ვერცხლის ბოლო ქილაობა.

თბილისში სახე იცვალა, გაივსო და გაღამაზდა, სატიოსუნის იერიც შეიცვალა. ვეროს სასაფლაოს ადგილზე პარკი გაშენდა ქადრაკის სასახლათა და სპორტული დარბაზებით.

ფერი იცვალა მტკერის ნაპირშიც. შეტივეობა ისტორიას ზამარდა. ახლა აქ, მტკერის სანაპიროს ღამაზ ქუჩაზე, ნაირფერადი ლამუნიანი დასრიალებენ.

ფერდობს კი შერჩა რამდენიმე ძველი სახლი — სატიოსუნის ფუფუნაღაჯარი.

კახნიაანთ სახლს ახლა აივანი — ნაკვალავი შეშაბანდი აქვს. რას ვიზამთ, სახლიც დაბერდა და სათვალე გაიკეთა.

ესხედვართ ახლა ამ შეშაბანდის ღია ფანჯარასთან მე და ძია გიორგი. ოთხმოცდამეცხრეში გადადგა, მაგრამ ძველი რიბი ისევ შემორჩენია. ერთია — ცოტა, სიარული უჭირს. «შარბლებითა თუ რაღაც ეშმაკებით!» «ცხოვრება დიდი მოკიდავეა... წუთისოფელმა სარმა თუ არ გამოვდო, ისე როგორ იქნება!»

იღარ არიან დიმიტრი, ნინო, შაშო, ვარა, თამარი, ირაკლი, სოფიო...

კახნიაანთ ოჯახის ხეზე სულ ახალ-ახალი შტოებია ამოყრილი — სიძეები, რძლები, შვილიშვილები, შვილთაშვილები...

ესხედვართ მე და ძია გიორგი, სატიოსუნის გადაიყურებთ...

— ...ეს უველაფერი კარგი, წაუქცეველი ფალანხის სახელი გაქვთ... მაგრამ მამიც, ნუთუ არაიან წაუქცევია?

— როგორ არა. განა ამქვეყნად მჯობზე მჯობი დაილევია?

— ვინ იყო, გეხსოვება.

— რა დამევიწყებს! შენი წარმატება თუ გახსოვს, არც სხვას უნდა დაუვიწყო, ერთი იოსებ მუტუნიშვილი იყო. პირველ დღეს ვიქიდავეთ, ვერც მე ვაძლიე, ვერც იმან. დაეზავდით. მეორე დღეს კი წამაქცია. სწორედ ასევე მომიგო გიორგი დოთიაშვილმაც. ორივე მძიმე წონისები იყვნენ, ორივე კარგი ვაჟი იყო... ღმერთმა გაანათლოს მათი სული და უველა იმათი სული, ვინც ნამუსიანი ვაჟი იყოს სახელი პირნათლად დასტოვა ამქვეყნად!



ლადო მრეაშვილი

შირაქის ველზე მივლივარ...

ნარკვევი

აქ ბინადრობს მოღვაწე მთიელი, ფშავი, მოხვევ, მთიული, თუში...

ილო მონაშვილი („ბაზალეთის ტბა“)

ძველ ნახსენებრად

შარშან მირზაანი მოხვები ფიროსმანობაზე. მიღეთის ხაღბის გუგუნ-ზანზარს გამოცერაიდე, გაენაპარდი და დიდხანს ვუვლიდი ირგვლივ ამ უბედურ ნიკალას ნახსენებრად. მერე შორეული კიბით გამოა სვლიასგან დააფრაკებულ ფიცარის აივანზე ავედი, მის ნააკნარ-ნაარტახად ხინას მოვადედი თვალი. სიცარიელე, საოცარი სიცარიელე და შარტობის გაუსაძლისი ხიჩუმე სუფევდა შეგნით. მხოლოდ ერთ ადგილას გაუარსულაყო უბრალო სოფელად ღურგლისასგან შეერული ძველისძველი მაგიდა, ზედ ვიებერთელა სამოვარი თვლემდა სისუფთავესა და მუდროცხაში. და ეს სამოვარი ისე იდგა ირგვლივ შემოწყრივებულ ჩაის ჰაქების შარაქაში, როგორც თავად ნიკალა მანინდელ ხელოვანთა აქარში.

დიდხანს ვუსდიდი. ვუსტერდი და ვფუშდი შეც ამ ოთახში ჩასაფრებულ ხაჩუმესავით. და კვლავ ამტკივტა კაცობრიობის გარიჟრაჟიდან დღემდე მოხუდი პახუხგაუცემელი კითხვა: რატომ ხდება, რომ ზედი ზეხარად იმდენს აძლევს არაღირსებულს, რამდენიც მას არ ეკუთვნის წესით და რაგით, ხოლო ღირსებულნი ბევრ შემთხვევაში თანამედროვეთაგან გულგრილობის ნაშუღვედვეში ჩამარხულნი კერძობრიობის მაძიებელთა ნიჩბის დოღინში გახუდრულან.

გვიან დაეტოვე იჯარობა და ხაღბის ღიანჭ გავუედი რომელიც ამ „ხედდახეტკევილი“ შხატვრის ახლად აგებულ გალერეაში შედიოდა.

საკმაოდ ზაღალი და-საკმაო სიგარტ-საფარისი შენობა გვიც უანდარტლის გობედენებს გავესო.

აქ იყო თითქმის მთელი ფიროსმანი, რომელსაც უტუჟარი ზეკევიც ესვა უძილოდ ნატვრად ზეებისა და მალეშხროლი დღეებისა. ხოლო თავად შხატვარს ხაბის სიფითრესა და ხორცენაკლულობაზე ემჩნეოდა, რა შორილოვარე ნერვებისა და გულის სისხლის ნაწურის ფასად დასაქდომოდა აქ გამოფენილ გობედენებზე ფერადებით მოქსოვილი ქაღოქრობა. აქედან მოჩანდა თითქმის მთელი სრულყოფილებით გენიალობასთან წილნაყარი მირზაანელი ხელოვანი, — კაცი-ღვევიანი.

დამხარბული გამოვიედი გალერეიდან. ერთხანს ასე ვიდექე დაფიქრებული, მერე პარმალზე ატორტმანებულ გარეშემოს მოვავლე თვალი და თანდათან გაცნობიერდა ჩემში, რომ მთელი ეს ზღვა ხაღბი ამ თავიანთი მივიწყებული შევილის და თანამემაშულის წინაშე მუხლის მოსაღრკეად, თაყვანისსაცემად მოხულიყო. და ახლა ათასობით უცელს ამოწყდარი იმ ზედდავისილი შხატვრის სახელი ისე ლაპლაქებდა ირგვლივით, როგორც საუკუნოობით დაუანგებულ ქარქაშიდან ამოღებულა, დუმით გააოხილი ფრანგულა.

ის იყო პარმალიდან ძირს ჩამოვები და ხაღბში გავერიედი, რომ ზეიშიც დაიწყო. ეს იყო კერძობრიობა სახალხო ზეიში, რომელიც ამ უკანასკნელ ათეულ წელში დამკვიდრდა მთელ საქართველოში. საქართველოში, სადაც თითქმის ყოველი რაიონი სწორთა მემეტეე თავისი ღვეძილი შევილის გახახხენებლად და საპატრიცემოდ ღვდოდა ქართავს დღესასწაულს. სადაც საქაროდ უჩვენებენ რაიონის შხარამებელი თავიანთი და-



კორილი ხელების ნაყოფს ერთმანეთს და სტუმრად მოწვეულთ, ჩემს თვალწინ გაიარა მოწინავე

- ბრიგადირთა,
- ტრაქტორისტთა,
- ტიქნაოსთა,
- კომბაინერთა,
- მივენახეთა,
- მემონდერეთა,
- მწველავთა,
- მწვესთა და

მეფორინველთა მთელმა კოლონამ, რომელთაც მხაროდვე გადაგდებულ წითელ ბაზთებზე ვწერათ, ვინ რა მართლათი შეხვდა დღევანდელ „ფიროსმანობას“, რით შედეგლო დაიკვეთნა თავისი დიდი თანამემამულის წინაშე.

ხეფე-სიტყვა წარმოთქვა წითელი წყაროს რაკოების პირველმა მდივანმა გვი კარაქაშვილმა ილაპარაკეს:

- მხატვრებმა,
- მწერლებმა,
- მსახიობებმა,
- მანწაღლებლებმა,
- მოსწავლეებმა.

ფიროსმანის მუზეუმის დირექტორმა, მირზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, და წარჩინებულმა მწრომელებმა.

შემდეგ დაიწყო მოწინავეთა დასახელება, ვინ როგორ შეასრულა წლებიანდელ წიგნს მასზე დაკარგებული საქმე ხალხისა და სამშობლოს წინაშე. დაიწყო მათი დაქილადობა დიპლომებით, ქვების სიკვლეებითა და ფასიანა ხაზუქრებით. ბოლოს კი მთელი ეს ზეიმი ვრანდირიზულ ვარსკითხა-სისორტულ შექიბრებებში გადაიზარდა.

რაკოების მდივანმა დობენულზე ჩამომქდარი მომჩვენა და თან გაიყოლია.

— მოდი, ერთი, სტუმრებთან ერთად ამ ფაცხებნაც ჩამოვუაროთ, დევდლოცოთ მწრომელებს შემოდგომის ბარაქა და წლებიანდელი მოსავალი.

ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ღობის ვასწვრავ ცალ-ცალკე სახელდახელოდ აეშენებინა თხილის მანეთლით მოწნული ფაცხა. და ყოველი მათგანი იმოდენა იყო, ვინ იცის, საწყულ ნიკაღას სისმრადაც არ მოწმანებია თავის სადგურად და ღამის სათვად ასეთი ბინა.

თითოეულ ფაცხას სახურავის პირას ვაკრულ ფირფიცარზე თავისი სოფლისა და კოლმეურნეობის სახელი ეწერა. მისი ბოძები და კედლები ყვავილებით, ნოტიო ზავით, ფათალოთი და მწვეან შტოებით მოვრითო, შეგნით სახელდახელოდ მავიდები ვაფარითაო, ბოძების ვასწვრავ კი ვრძელი დახლები, დახლებზე ეწყო, რომელ კოლმეურნეობას რა მოსავალი მოჰყავდა, მათი ნიშნულები: ვეძება გოვრები, დიდრონი ჭარხლები, მწესუშირას ვანიერა კალათები, ხარე-

კორდო წონის კარტოფილი და ათაჯგარი/ბოსტნულ-ხაღრელო. ფაცხას ქვეშეშე მკვეშისული მტევნებით ახუნდალუქვებში/ჩხებზე და აკიდობს დაფარათ, ხოლო „ფირანუბას“ ვასწვრავ ახლადავადებული ჩურჩხელები კონწიალოზდენ ხარხებზე.

მაგიდებზე მოჩანდა ცხელ ორქულში ვახვეული ხინკლები, ახლად ამოყრილი შოთის პურები და გულის ყველი. ვაქმეული ტარიანისა, ენამთისა ზილიანს რქაწითლით სავსე ხელადები შუა მაგიდებზე ყელელაობდნენ.

ხარხობდნენ ამ ზღვა მოსავლის მოშვეან-პატრონნი. ერთერთის ბოტბაზე ყალბად თავშემაბობდნენ, ცუდად დაფარულია იპატუნებდნენ თავს ქების მოხვენისა და თავის მხრავ არც თითონ აკლებდნენ გუნდრუკის კმევას შიჩაქის მზეში დამწვარ თანამეინახებებს.

— როგორც მწერალი, პირველ რიგში ცხოვრებაში მონაწილეობით ჩამოყვალბილი, — შიბობა ნოდარ ვლადიმერის ძემ, — არ შეიძლება გულგრილად შევხედო რაიმეს: უნდა დავაყვარდე, შევიგრძნო, ვიმოქმედო. ერთხელ მანამდე ვერ „ავაწყვე“ სტრაქიონები, სადაც წისკვილის ხმაინობა უნდა აღმეწერა, ვიდრე მას ახლოდან არ მივაყურადე. არა და თითქმის ჩვეულებრივ ხმას გამოასცემს... ანალოგური რამ განსაკუთრებით აღამიანებზე, მათს ხასიათებზე მეტქმის... თუშეა აქ უკვე კლასიკოსებისგან უსწავლულად ფონს ვერ გახვალ, დიდი ქართველი განმანათლებელი, სულხან-საბა ორბელიანი სიტყუენების წინათ ცხოვრობდა, მაგრამ მისი „სიბრძნე სიტყუისა“ — მარად უდევდი წიგნა ასევე ახლობელია ჩვენითვის ილია ჭავჭავაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ვალაკტიონ ტაბიძის თუ სხვათა და სხვათა მრავალთა წიგნები. ახლა, ფირთანის ზელოვნება მე თითქმის სისხლით ნათესაობა ეგრძნობ მასთან: ჩემი მხატვრული ფესვები მისგან შობის. მარტო ისინი რომ დი გახლავთ ჩემი მასწავლებლები: გოგოლე და ჩეხოვი, ტოლსტოი და დოსტოევსკი — მათი დიდი შემოქმედარების გარეშე შექმნი რამეს დღეს? ქედს ვიხრი ბაქანის, მისი უზარმაზარი კულტურის წინაშე, ასე გამოწველილიეთ რომ ესმის ლიტერატურა. მიყვარს ოსტაპ ვიშნის იუმორი, ახალგაზრდობისას ვთარგმნიდი. საშო გზები მაკეთირებს ჩვენი მრავალგოიანი საბჭოთა ლიტერატურის ბევრ თანამედროვე მწერალთანაც.

— სხვა ქვეყნების მწერლობასთან?  
— ჩემთვის ძალზე ახლობელნი არიან ფრანგი რომანტიკოსები, რეალისტები და დიდი შექსპირი. ბავშვობაში გავროშს ებაქავდი, მოგვიანებით გან კრისტოფი შემიყვარდა... შექსპირი ლამის ზეპირად ვისწავლავ. ავტოგეტყუობ, დიხხანს იგი პაროზიკოსად მიმანდა, ახლა მივხვდი, რომ ბო გენიალური პოტიკიკრიტიკაში თითქმის სავალდებულო გახდა აღრეული ნოდარ დუმბაძის გმირები კოლა ბრუნინოს შეადარონ. მაგრამ, ჩვეულები-სამებრ, ამ შედარებას ჟერდებმინ ხოლმე, როცა საუთხი თავისთავად პარალელის ვალრძევაბას მოითხოვს. ჩანს, „კოლა ბრუნინი“, რ. როლანმა ტრაგიკული „გან კრისტოფის“ შემდეგ რომ შექმნა, მწერლის თავისებური „სულის მოთქმა“ იყო. ზელოვანის ტრაგედი-აზე (და განა მარტო ზელოვანის?) მრავალტომიანი ეპოპეის გასართულების შემდგომ, რო-

გორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, „ქმისქვის საპირო იყო რაღაც განმარტული მოქმედება და მაშინ თავისთავად მოვიდა „კოლა ბრუნინი“. იგი ოპტიმისტური თხზულებბაა, რომელშიც ხალხური მენტუქრობა, აღორძინების ეპოქაში ცხოვრების ცვალებადობის მიუხედავად, არ კარგავს მხნეობას, ენერგიას, ნათელი სამყაროსადმი ამოუწყველ სიყვარულს. შემთხვევითი არ იყო, „კოლა ბრუნინი“ ასე რომ უყვარდა გორკის.

ნოდარ დუმბაძე ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში ეძებს გმირს. თვითონ გარემოება უმხვეილებს მწერას და ასახავს ცხოვრების არა მარტო სასიხარულო, არამედ ტრაგიკულ მოვლენებსაც. ასე შეიქმნა ოპტიმისტური ტრაგედი-არომანი — „მარადისობის კანონი“.

შემოქმედებითი ზრდისას თანდათან შტიცილება მისი მხატვრული დამაქრებლობის ძალა თავგადაღებული რეალისტი მარტო საზოგადოებრივი ყოფიერებისას კი არა, თვით აღამიანის სულიერი სამყაროს დადებითი და უარყოფითი საწყისების ბრძოლას ასახავს და მასში წვდომის სიღრმე დუმბაძის შემოქმედების არსებითი ნიშანია.

„მარადისობის კანონს“, ლიტერატურულ მოვლენად რომ იქცა, მილიონობით საბჭოთა და უცხოელი შკითხველი კითხლობს. იგი ბევრმა თეატრმა გაასცენიერა. მარტო მოსკოვში — ორმა ერთდროულად. მწერლის სამშობლოში ენახე მისი რომანის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — თბილისში, ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე. დამდგმელი, საქართველოს სახალხო არტისტთა გ. გორდანიას ვახლავთ.

სპექტაკლი სეზონიდან სეზონამდე სცენას არ სცილდება. მაყურებლები მოდიან და შოდიან. რა აზრდავთ მათ? ანტიკაქტში ორ ახალგაზრდა წყვილს ევსაუბრე. გამოირკვა რომ წყვილები დიდი ხანია ერთმანეთს მეგობრობენ — სკოლის მეგობრად. კოლები — ინკონრები არიან, ქმრები კი — სხვადასხვა პროფესიისანი: ერთი — შემსლუბებელია, მეორე — ოფიცერი.

შემსლუბებელმა შიბობა:

— როგორ არ მოვსლუბავ, როცა რომანი ექვსჯერ მაქვს წაკითხული. იგი კაცს გაფიქრებს, გიბიძგებს განსაჯო ცხოვრებაც და შენა თავიც.

ოფიცერმა დინჯად დაიწყო:

— ეს-ეს არის შევებულებით ჩამოყვდი ჩემი სამსლუბრის ადგილიდან და მზადა ვარ ზელო მოვაწერო „მარადისობის კანონს“, დუმბაძის გმირმა, ბაჩანამ რომ აღმოაჩინა: „...ჩვენ, აღამიანები, ვიდრე ვციოცხლობთ, ვალდებულნი ვართ ერთმანეთს დავეზმაროთ“ დავეზმაროთ, კი არ დავამკიროთო ერთმანეთი. ახლა ამის შეგნება ძალზედ საპიროა ყველასათვის.

სიცოცხლისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მისმა მეუღლემ ფიქრთანად თქვა — ეტყობოდა ისევ ნანახი ედგა თვალწინ: „რა საინტერესონი არიან ადამიანები სცენაზე, როგორი რთული ბუნებისანი, წვრილმანებზე კი არა, დიდ რამებებზე კამათობენ.

ანტრატში ვისაუბრეთ, ხოლო მოქმედების განახლებისას, ისეთი სიჩუქე ჩამოვარდა, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ამ სამარისებურ სიჩუქეს არცთუ იშვიათად არღვევდა ხარხარი და აპლოდისმენტები; ჰთელი დარბაზი ერთბაშად იცხებოდა ბგერებით, მარტო ინფარქტის შემდეგაც დაუდგრომელი ხარხარის, აეთანადი გოგოლაშვილის ოხუნჯობებზე კი არა მოხუცი გიორგის დინჯად ნათქვამ სიტყვებზეც...

შემდეგ ისევ სიჩუქე დაისადგურებდა ხოლმე, თანდთან არა, ერთბაშად და მყუდრებელი უწინდებური გულისფრით ადევნებდა თავს მაჩანა რამიშვილის ბედის პერიპეტევებს...

— ერთხელ ჩვენთან ასეთი შემთხვევაც მოხდა, ბოქუნამ ბანდოტი მოკლა, — მიმბეღს „მარადისობის კანონის“ ავტორი.

და ეს ამბავი ძალზედ არსებითი გახლდათ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გასაგებად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებების უმრავლესობა ბიოგრაფიულია, იგი არ იფარგლება მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით — ავსებს და აფართოებს მას არა მარტო შემოქმედებითი წარმოსახვითა და მითებით, არამედ კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებითაც. ფაქტის უტყურობა, ტიპურის განზოგადება, ლირული აღგზნებულობა დამახასიათებელია დუმბაძე-მხატვროსათვის.

სპეტაკელს მონაწილეებს დღემდე ასოვთ, რა აღუვებელი გამოიყურებოდა იგი, როცა საკუთარი წარსულის შორეული და სულ ახლახან წარმოდგენილი სურათები იხილა. ევლარფრის თქმა ევლარ მოახერხა გარდა ამისა: — ჩემს თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაირობო. პრემიერის შემდეგ კი, ცოტახანი რომ გამოხდა, შითხრა:

— მინდობა მაშინ ვინმეს მოვხვედრი და გულში ჩამეკრა.

საიდუმლო არ არის, რომ მწერალ-კომუნისტის — მაჩანას პროტოტიპიუც ავტორი გახლავთ, თუმცა მარტო ის კი არა, — მისი ახლომელი ადამიანებაც სპეკტაკელში და მთელს ჩვენს ქვეყანაშიც, ახალი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედნი, პლანეტა დედამიწის მშვიდობისათვის მებრძოლნი.

— კომუნისტი მოღვაწე გახლავთ, — სყვარა ნოდარ დუმბაძეს.

ასეთივე მოღვაწეა „მარადისობის კანონის“ გმირიც. იგი თავისი ცხოვრების გმირობას —

პარტიისა და ხალხის სამსახურს, — სწავლამყოფოს პალატაშიც კი განუტოლბს ორმისდროინდელ სამშობაო ლიტერატურაში სხვა გმირბიუც ასახულან მძიმე სენით დაედღონი, მგავლითაღ, მყუდრო, რომელიც შობალოებულ სიყვდილზე კი არა, იმაზე ფიქრობს, რომ მისი არყოფნის შემდეგ ხალხს დარჩეს ყოველივე; ანდა, ფრონტიდან დაბრუნებული, ტუმბერკელოშით დაავადებული პოლკოვნიკი, მთელი არსებით რომ მიეცა პარტიულ სამუშაოს (პ. პაუენკოს რომანი „ბედნიერება“). ისინიც სწორედ რომ დროულად აღმოჩნდნენ სცენაზე, რადგან მათი სახეები ზრდიან როგორც მკითხველს, ასევე მყურებელსაც.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპეტაკელში ბახანას რაღის შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი ბ. კახინეცი აღფრთოვანებული გვეუბნება:

— ყველა მსახიობი ოცნებობს სცენაზე ჩვენი სისხლსავსე თანამედროვე წარმოსახოს. დიდი ბედნიერება მგება წილად — ბახანა მეთამაშა. იგი დღევანდლობის ნამდვილი გმირია, ის კი არ არის, ვისაც ყველაფერი იოლად ეხელწიფება. ანდა ერთი იშვიათად, გამოჩენილი ავტორი უხვად რომ მიმადლებს ხოლმე დადებით ნიშანდვისებებს, ხოლო უარყოფითებს — თითქმის სულ არა. მაჩანა გაცივთლი გმირი არაა, არც ციდან ჩამოფრენილი გახლავთ. აშაირს გაყვები უყან — ხაშისის კაცია. ნამუსი კი უფრო და უფრო ქველი და მომთხოვნი უხდება, როგორც თავის თავს, ასევე სხვების მიმართაც. მე არ მაფიქრებს ის, რომ ბახანა ზანდახან ცდება. შეცდომას რომ შეიგნებს, იგი მას არასოდეს მაიწერს გარემოებას. ასეთ რამეს ვერც სხვისგან ითმენს. მთელი თავისი შკაცრი შორალის მიუხედავად იგი კეთილია... როლზე მუშაობა დნული და ძალზედ საინტერესო იყო; საჭირო შეიქმნა ოქრომქველური გარჯა გვირის სულის ყველა მოძრაობის გადმოცემაღ...

ბახანა-კახინეცი სულ მოქმედებს. მაშინაც კი, როცა გაუნძრევლად დგას და დუმს. დიდი სიამოვნებით უსწებს ხარახ აეთანდილის ოხუნჯობებს, რომლებშიც ბევრი ხალხური სიმრძნეა ჩაწყობილი, ძალზედ ახარებს აეთანდილის ცოლის სტუმრობა და მასთან ერთად ვინიცდის მისი ქმრის — სიცოცხლემოყვარული, უზარალო ადამიანის სიყვდილს.

ავტორის ჩანაფიქრს სრულიად შეესაბამება ბახანა-კახინეცი, ყოვლად დაუნდობელი რომაა კარიერისტების, ცილისმწამებლებისა და სხვა ნაძირალების მიმართ.

მგონი, არა იმდენად ავტობიოგრაფიული დამთხვევები, არამედ, უპირველეს ყოვლისა გმირის ხასიათი გვაფიქრებინებს იმას, რომ ავტორი მისი ერთ-ერთი პროტოტიპია. ამის საფუძველს ეთნო მწერლის მოქალაქეობრივი

პოზიცია და საზოგადოებრივი აქტიურობა იძლევა.

ნოდარ დუმბაძემ მიიხრა!

— არიან შწერლები, თითქოსდა ზემოდან, სასხვათაშორისოდ რომ ავირდებიან ცხოვრებას, ჩემთვის აუცილებელია ემონაწილეობდე მასში. იმიტომ კი არა, რომ შემდეგ ჩემივე თავი ავსახო. ჩემი გმირი მე არ გაბლავართ. იგი ადამიანთა ხასიათების ყველაზე დასუსტული მხარეების ხორცშესხმული ერთიანობაა, ცხოვრებაში კარგიც ბევრია და ცუ-

დიც. კარგს ყოველთვის მხარს უნდა დაუჭიროთ, ხოლო ცუდს — ვერაფერს!

და დუმბაძეც მხარს უჭერს ამ მოსწონებელს არა მარტო მხატვრული შემოქმედებით ეხმარება პარტიას, არამედ მგზნებარე გამოსვლებითაც — წერილობით, ზეპირად. მისი გამოსვლები ყველაზე არსებით საკითხებს ეხება. მშვიდობისათვის ბრძოლას, ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობას, სიძლიერესა და სიღამაზეს დედა ენისას, რომელიც ჭეშმარიტად უნდა იცოდეს და გიჟვარდეს.

#### მინაწილი:

მარტო ხელი კი არა, გულიც მეურჩება ნოდარ დუმბაძეზე სამქიმილის სტრიქონები ჩავამატო სტატიას, მის საოცებლემში რომ დაიწერა.

მ-ს საოცებლემში?

ის ცოცხალია და ცოცხალი დარჩება ხალხისა და სამშობლოს ხსოვნაში თავისი კმნილებებით, საქმიითა და ფიქრებით.

ახლა, განსაკუთრებით, ერთი ჩანაფიქრიც მინდა მოვიგონო ნოდარ ვლადიმერის ძისა, მწერლის მიერ ბოლო საუბარში გამეღაენებულ:

— პირველად რომ ჩამოვედი კიევში, უბაღაზე უფრო მწვანეებში ბავშვებისათვის მოწყობილმა საგანგებო ატრაქციონებმა გამაიკვირვა. ჩვენ მაშინ ასეთი რამეები არ გვქონდა. მეტი არაფერი უთქვამს.

სხვებისაგან მე მაინც შევიტყვე, რომ ნოდარ დუმბაძის იდეით თბილისში ბავშვთა მშენებელი ქალაქი — მზიური დაარსდა.

და ახლა ნოდარ დუმბაძე საუკუნოდ დგას იქ, სადაც დღე დღეაანდელი ხეაღინდელს ხედება.

უკანონულიდან თარგმნა აპირან ახანძიძე.



კეთილშობილური ლოგოტიპი

## კვლავ „ლაშარის ჯვარის“ შესახებ

ფშაველთა სალოცავის „ლაშარის ჯვარის“ თაობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ფართო გავრცელება მოიპოვა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ გამოქმენილი მოსაზრებამ, რომ „ფშავესა შინა არს ცელესია მეთვის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჭუარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჳურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჭუარს, და აქუთ სასობება მას ჳედო ფრიად, რამეთუ ვერცა ფშავი, ვერცა ქვეზური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერაიად იქმარებენ თავისად, არამედ მიუძღუნის ლაშას ჭუარსა“.1 იქვე აშინავე მინაწერია გვამცნობა: „ფშავესა შინა მეთვის გიორგის ლაშასაგან აშენებულიცა ცელესიასთჳს“.

თავი ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს როგორც „ლაშას ჭუარს“, ნათელს ჰტენს ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისს ამ სალოცავის წარმოშობის შესახებ.

ამ მოსაზრების განმტკიცებას ერთგვარად ხელი იმანვე შეუწყო, რომ იქვე თამარის სალოცავი არსებობს.

თავის ადრეულ წერილში „ლაშარობის“ აღწერასთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველა წერდა: „...საზარეულად არის მიუღებელი ლაშარის ჯვარის დროშა. ამ ადგილას წინათ უყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ცელესია წმინდის გიორგის სახელზედ, რომლისთვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შეწირულა და შემწირველი გაუერთებია და კიდევ გაუღმერთებია. შეორც გორაზე არის აშენებული თამარ დედოფლის სალოცავი მშვენიერს ადგილზე; ამ დღეობას კიდევ „დედოფლისა“ ჰქვიათ. ორივე სალოცავს ერთად „მოდე-მომდე“-თ. იწოდებოდა. ლაშა გიორგი თამარის ძმა ჰგონია ხალხსა.“2

„ლაშარის ჯვარის“ წამოყენებული განმარტება მიუღებლად მიიჩნია ნ. ხუნანდაძემ. იგი სარწმუნოდ არ თვლის გადმოცემას ლაშას მიერ ფშავეში ცელესიის აგების თაობაზე და „ლაშარის ჯვარი“ ლაშქრობის სალოცავ ქვარად აქვს განმარტებული.<sup>3</sup>

თუმცა ტრადიციით დღემდე შემორჩა „ლაშარის ჯვარის“ გიორგი ლაშას სახელთან დაკავშირების ტენდენცია<sup>4</sup>, მაგრამ ეთნოგრაფიკისა და ფოლკლორისათა-საერთო აზრის მიხედვით იგი უთუოდ ლაშქრობის სალოცავია. ეს აზრია გატარებული, მაგალითად, მ. ჩიქოვანის<sup>5</sup>, თ. ოჩიაურის<sup>6</sup>, ამირან არაბულის<sup>7</sup> და სხვ. შრომებში.

იგი რომ თავისი შინაარსით და დანიშნულებით სალაშქრო სალოცავს გულისხმობს, სარწმუნოა ამ სალოცავის დაბასათებისა და სათანადო რეაღიების გათვალისწინების საფუძველზე.

ამასთანავე იგი გაცოლებით უფრო ძველი და საერთო სახალხო (შოისა და ბარის სხვადასხვა ტომების) სალოცავი ჩანს, ვინემ ლაშას ეპოქა და გადმოცემით მის სახელთან დაკავშირებული ფშავეში ცელესიის აგება. მასში შერწყმულია, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, წმინდა გიორგის სალოცავის რიტუალიც (რითაც აიხსნება სალოცავში თითოთი მოხილ მოდღესასწაულებითა მონაწილეობა).

ნ. ხუნანდაძის საგანგებო წერილის შემდეგ ვაჟა-ფშაველამაც უარყო „ლაშარის ჯვარის“ ლაშა გიორგის სახელთან დაკავშირების შესაძლებლობა და საგანგებო წერილში („გაზვიადებული საყოთნაი“, 1893 წ.) შეეცაშათა იგი „ლაშა“-ს ახსნის თაობაზე გ. წერეთელს, რომელსაც მას რუსულ სუჴ-თან აკავშირებდა და გაზეთ ივერიის“ შენიშვნას, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იგი აფსარული სიტყვაა.



მან, ერთგვარი მობოდიშებით „სალინგვისტო-საფილოლოგიო“ ძიების გამო, წამოაყენა ზოგი მოსაზრება ამ ფუძის ქართულ ნიადაგზე ახსენისა. ამ კონტექსტში მოიგონა ლაშქარის გვარის სახელი ლაშქარი, ლაშქარი.

ამის თაობაზე წამოყენებულ მის მსჯელობას მეცნიერული პრეტენზია რომ არ ჰქონდა, იმ დასკვნიდან ჩანს, რითაც ვაჟა-ფშაველამ თავის ეს წერილი დაამთავრა: „ეს იყო ჩემი სათქმელი. დანარჩენი სპეციალისტებისათვის მიმინდვია; იმთ ივარაუდონ: ლაშა რუსულია, აფხარული, თუ ნამდვილი ქართული, მნიშვნავს, — სახიერს, უსახიერს, უბედს თუ რას...“

დიდი ვაჟს ამ მოწოდების საბასუბოდ ქვემოთ შევეცდებით ზოგ მომენტს გავუხვავთ ხაზი. ვფიქრობთ, რომ თვით ვაჟა-ფშაველას მდიდარი პოეზია და მის მიერვე შეტარებული ფშაურის ფოლკლორისა და ყოფის ამსახველი უძვირავსესი მასალა შეიცავს საუტრადღებო ჩვენებებს საკითხის გადაწყვეტისათვის.

პირველი, რასაც ხაზი უნდა გავსვას, ის არის, რომ „ლაშარობა“ ლაშქარობის სადღო-ცავია.

ლაშქრობა, სალაშქროდ, საბრძოლველად შადუროფნა ქართული ტომებისათვის მუდმივი საკირბორტო საკითხი იყო. ყარაღდ არის ეს სახელი ერთ მიგრულ გამოთქმაში — „ლაშქარი მუში თის ქორე“ („ლაშქარი თავის სახლშია“). ამას ამბობენ მაშინ, როცა ვინმე ჩქარობს და მისი შეჩერება უნდათ. იგულისხმება ქარისკაცები, შეომრები (ლაშქარი) ამ მომენტში თავის სახლში არიან მშვიდად, საომრად არ იკრიბებიან, ე. ი. საომარი ვითარება არ არის და შენ რა გეჩქარებო.

სპეციალისტები — ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, ფშავის ყოფის მკვლევანი—მართებულად აღნიშნავენ, რომ „ლაშარშივე წუდებოდა ლაშქარობის და ზავის საკითხი“.

ფშავში ლაშარის გვარის არსებობა მის უტყუარი ნიშანია, რომ აქ ლაშქარის შესაყრებელი ადგილი იყო.

ვაჟა-ფშაველა ქუტუგას ნაამბობს ასე გადმოსცემს:

...მაღე კაცები გავგზავნეთ  
ფშავ-ხევსურეთის მხარესა,  
ვაშაღებთ ტყვია-წამალსა,  
ფიქრსა ეფიქრობდით შწარესა.  
მამიე ლაშქარი მოიდა,  
ლაშარის გორი ავსო...  
ჩვენს გულს ნანთები საყირე,  
ვხედავთ, რომ დაქრა, დაივსო.  
ასტყდა ქაღაგი, ჩვეულებრ,  
ხატსა ჰყოთავდა ჩჩვევას...<sup>10</sup>

ან კიდევ:

„...ლაშარის გორი სალაშქრო გორი იყო...“<sup>11</sup>  
ქისტეთს „ლაშარის ჯვრის სანადიროს ეძახ-

დნენ“ (იქვე). „ლაშარის ჯვარი, ლაშქარობის, ომის მოსიყვარულე ხატსა“<sup>12</sup> ფშაველი როდესაც სალაშქროდ მძღონს მისსა დევდნენ ლაშარის ჯვრის დროშას“ (იქვე).

ასე გადაქავეულია ერთმანეთს ლაშქარობა, წმინდა გიორგის ჯვრით გამარჯვება და ლაშარის ჯვარისა და მის დროშის წყალობით ომის მოგება ვაჟა-ფშაველას ლექსში: „გალაშქრება ლაშარის-ჯვრის დროშით“:

...სალაშქროდ გული აჭქროლდა,  
ვინ ვის აქობებს ცლაშია.  
თოფებს უპირეს ტალები,  
ყველამ გალესა ხმალია;  
თავს დაიხურეს ჩაჩქნებო,  
ტანზე ჩაიყვეს რვალია...  
გამაბამანეს დროშია,  
წმინდის გიორგის ჯვრითა;  
წინ ჩამოქდვენ ლაშქარსა,  
ჩამამწკრივეს ქარია...  
დამარცხდა ქისტის ლაშქარი,  
თან გაპყვა სისხლის ღვარია.  
ლაშარის გორზე შამოღვა  
ათანი ქისტის ცხვარია,  
ასი ყურეტი რქა-თეთრი,  
ორასი ნისლა ხარია...  
თან მამყვა დროშის ედვრითა  
გამარჯვებული ქარია.  
მთაზე დაუსკვეს დროშია,  
აღრილიბდა ქარია...  
მოღვა ლაშქარის საშწერლად  
უხვად ქალი და რძალია,  
ამ ზეფის ვეფხვების გუნდსა  
არ მაშორდება თელია.  
ერთნით ხო ცეცხლი დაენთო,  
სხვაგან კი მხუგავს ალია.  
ადიდეს ლაშარელია  
და თამარ მეფე წყნარია,  
ქარჯს უმათ საყარუმოს ასმევენ,  
მაისხენიეს მექდარია,  
პირ-ოფლიანნი ვინაც-კი  
ლაშქარს მოკლული არია,  
ხატ-თემის ნამუსისადა  
ვინც არ დაზოგა თავია...<sup>12</sup>

ამ ლექსში „პირ-ოფლიანნი“ ომში, ლაშქარობის ხსენს მოკლულია. საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ მოყვანილ „შესანდობარ“...თა ფორმულაში ამ გამოთქმის სანონიშა „ლაშარისჯვრის პაროფლიანნი“ (ლაშქარში დახოცილები).<sup>13</sup>

სათანადო გადმოცემებში ყველგან ვახაზულია ლაშარის ჯვრის ზემოთ დახაზიანებულ დანიშნულება.

ანტონ ებსკოპოსის ცნობით (რუმელბაც თ. ოჩაურა იმოწმებს), „...როდესაც ფშაველები... მუსლმანების წინააღმდეგ სალაშქროდ







ფშაველა ხაურადღები შენიშვნას ურთავს: „საუცხოვო ნიშანი აქვს ამ ქვარს: მარჯვენა ტრის ბოლო ვახვრეტელი აქვს და ზედ ვერცხლის 6 ვოქის სივ(რ)ძე მათრახი ჰქონდა“<sup>21</sup>.

ეს უღაო ატრიაბუტია მხედრისა, რომელიც ლაშარობის არსთან (ლაშქრობასთან) გამოდის დაკავშირებული.

რკი აგრე რიგად მქონდა „ლაშარობის“, „ლაშარის ქვარის“ ლაშქრობასთან კავშირი, ბუნებრივად შეეფხობს საკითხის ლინგვისტურ მხარეს.

ჩვენი აზრით, „ლაშარობა“, „ლაშარის ქვარი“ თავისი ფუძითაც დაკავშირებულია „ლაშქარ“ სიტყვასთან, რომელიც უკვე საკმაოდ ძველად შეგოსულა ფაღალურიდან ქართულში. ამ სიტყვით მოუთითებს ის ფაქტი, რომ იგი უკვე ძველ ქართულშია დამკვიდრებული და გვხვდება „ლაშარ“-ის ბოლოყიდურ რ-ს საკითხში.

„ლაშა“ ფუძესთან ლაშარის ქვარის კავშირი იმ რეალიების მიხედვით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, გამოირიცხება<sup>22</sup>. ამასთანავე, ამ კავშირის გამორიცხვას ისიც ახაბუთებს, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა ფუძის მიხედვითაც, რამდენადაც გაურკვეველი რჩება „ლაშარ“-ის ბოლოყიდურ რ-ს საკითხში.

მის ვარაუდი, რომ ეს რ ლაშარ-ში თამარის სალოცავის ანალოგიით გაჩნდაო (იხ. „უაღა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“) ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება.

აქედან ცხადია, რომ „ლაშარის ქვარის“ ფუძე რ თანხმობანზე დაბოლოებული იყო ისევე, როგორც ლაშქარ-სიტყვის ფუძე.

ლაშარ და ლაშქარ ფუძეთა შორისაც არის სხვაობა: „ლაშარ“-ში გვკვლია ქ. თანხ. მოვანი:

ცნობილია, რომ ქართულ ენაში შქ კომპლექსი არაა ბუნებრივი. ვ. თოფურბა ერთ „შქერ“ სიტყვაზე მოუთითებდა, როგორც იშვიათზე (და ისიც ვვლდა ქართულ დიალექტში არც გვხვდება). არსებითად ასეთივე დასკვნა გამოდის აღნიშნული კომპლექსის თაობაზე ქართულში თ. უთურგაძის ნაშრომის მიხედვითაც<sup>23</sup> სწორედ მის შემდეგ, რაც კომპლექსი „ლაშარის-ქვარა“ წარმოიქმნა (კომპლექსურ ფუძეებში ჩვეულებრივი მოვლენაა ფუძეთა გამარტივება), ერთი მხრივ. და მეორე მხრივ, რაც იგი სალოცავად გადაიქცა, გარკვეულად შემცირდა მისი კავშირი ამოსავალ ფუძესთან და სახეებით ბუნებრივი გახდა შქ კომპლექსის გამარტივებაც<sup>24</sup>.

ზემოთ თქმულის საფუძველზე სარწმუნოა უნდა იყოს, რომ სალოცავი „ლაშარობა“, „ლა-

შარის-ქვარი“ — სალაშქრო სალოცავია თავისი შინაარს-დანისწინებით და კერძოდ: „შინაუწებითაც ლაშქარ სიტყვების დაკავშირებული.

მისი ლაშქარ სიტყვასთან კავშირი უნდა იყოს იმის საფუძველი, რომ აქა-იქ თავს იჩენს მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ. „ლაშართ ქვარა“. იგი სწორედ ვაუა-ფშაველას შემქმედებაში გვხვდება: „საუთარი ზვრები აქვთ კახეთში ქართულ მეფეებისაგან შეწირული არა მარტო თამარ მეფის ხატს, არამედ სხვებსაც, როგორც, მაგ. ლაშართ ქვარს მთავარ ანგლოსს“<sup>25</sup>. ამდენადვე, ვფიქრობთ, „ლაშართ ქვარ“-ში „ო“-ს ბეჭდვის შესვლიდან მინერა და გასწორება<sup>26</sup> გაუპართლებელია<sup>27</sup>.

ამ ბოლო დროს დიდი აზრთა გაცვლა-გაშოცვლა იმართება ქვარ-ხატთა არხის შესახებ. ლაშარის ქვართან დაკავშირებით პოეტმა დ. შიქიდლურმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უფრო სარწმუნოა ლაშარის წარმოშობა მთვარის წარმართულ დეოთებას უკავშირდებოდესო. იგი წერს: „ლაშას სულხან-სახა ორბელიანი განმარტავს როგორც მნათობს, „ქვეყნისა მნათობელს“, თუმცა დღეს ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში აღარ გვხვდება. დღეს გარკვეულია, რომ მთვარე წარმართულ საქართველოში უპირველესი დეოთება იყო და როგორც ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა, შემდგომში მოხდა მისი შერწყმა წმინდა გიორგის კულტთან. სწორედ ამ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ლაშარის ქვარში, რომელიც შემდგომში მექანიკურად დაუკავშირდა მეფე ლაშა გიორგის სახელს“<sup>28</sup>.

ამის გამო უნდა ითქვას, რომ ძნელზე ძნელია ქართულში მთვარეხა და მის კულტთან ლაშა სიტყვის ფუძის დაკავშირება. რაც შეეხება სახას მიერ ამ სიტყვის ლექსიკონში შეტანას და მის განმარტებას, იგი სწორედ იმ გვიანდელი ისტორიული ტრადიციის გამოძახილია, რაც მეფე გიორგი ლაშას სახელთან დაკავშირებით ზემოთ განვიხილეთ. და შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ სახა არავითარ წყაროს არ უთითებს ამ სიტყვის არსებობისათვის ქართულში. ამათ კანონზომიერად განსაზღვრა ის ფაქტიც, რომ რეალობაში ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასახვა ვერ პოვა ამ ფუძემ.

სადეო არაა, რომ მსგავსი ფუძე ქართულში არ იცის და ამდენადვე მთვარის კულტთანაც მას არ შეიძლება ქონდეს კავშირი.<sup>29</sup>

ბიბლიოგრაფია:

ქართული  
ლიტერატურა

1 ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 533. იქვე გვ. 573, 6.

2 ვაჟა-ფშაველა, ტომი V, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1961, გვ. 49.

3 ნ. ხიზანაშვილი (ფრბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 წ., გვ. 102—106.

4 ასე, მაგალითად, ალ. კინჭარაულის მიერ შედგენილ „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ (1969 წ.) ვკითხულობთ: „**ლაშარის-ჯვარ-ი** ფშაველების მთავარი სალოცავი. მღვდარეობს უძანა ფშავეის არაგვის მარჯვენა მხარეს, თამარ მეფის სალოცავის მოპირდაპირედ. ლაშარის-ჯვარი წმინდა გიორგის სალოცავია, ზოლო სახელი გიორგი ლაშას უკავშირდება...“

5 ქართული ხალხური პოეზია, I, თბ., 1972, გვ. 52-58.

6 თ. ოზიური, ლაშარის ჯვარი, ქსე, ტ. 6, თბ. 1983.

7 ამირან არაბული, ჯვარ-ხატთა ფუნქციები ვაჟა-ფშაველასთან და ხალხურ შემოქმედებაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1983, I.

8 ვაჟა-ფშაველა წერს: „...არც ერთს სხვა ფშარს „ხატს“ ანუ სალოცავს იმდენი მლოცავი არა ჰყავს, რამდენიც ლაშარის ჯვარს. ფშაველების გარდათქვენ იქ ჰხდებოდა თუშებს, ქისტებს და ბარელ ქართველებს; ბარელნი თითქმის ორასს ვერსის მანძილიდან მოდიან ლაშარში სალოცავად თავიანთ ცოლ-შვილით უგზო გზით, მრავლის ტანჯვის მტკივრთვლინი. ამით რაღა ძალა ადგიათ, აუტყვიარს თავს რისთვის იტყვიებენო, — რატომ არ იკითხავეთ? იკითხავეთ, თუმცა ტუფილად, ვინაიდან ისინიც ლაშარის ჯვარს, როგორც ადგილობრივი ფშაველები, მამა-პაპის სალოცავად, თავის ხატად და ბატონპატრონად სათვლიან...“ (ვაჟა-ფშაველა, დსასხ. თხზულება, გვ. 199).

9 ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 138.

10 ვაჟა-ფშაველა, ტომი I, ლექსები, 1961, გვ. 188.

11 ვაჟა-ფშაველა, ტომი V, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1961, გვ. 471.

12 ვაჟა-ფშაველა, იქვე, ტ. I, გვ. 73.

13 ვაჟა-ფშაველა, ტ. V, გვ. 297.

14 მოგვეყავს თ. ოზიურის ნაშრომის მიხედვით (საქართველოა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, თბ., 1954, გვ. 79).

15 გიორგი თედორაძე, „ხუთი წელი ფშაველურეთში“, თბ., 1939, გვ. 72.

16 ალ. ოზიური, „ფშაველურული პოეზია“, თბ., 1970, გვ. 215.

17 იქვე გვ. 217.

18 ვაჟა-ფშაველა, ტ. I თბ., 1961, გვ. 80-81.

19 ქართულ ხალხური პოეზია, I, 1972, გვ. 114.

20 ვაჟა-ფშაველა, ტ. V, გვ. 50.

21 ვაჟა-ფშაველა, ტ. V, გვ. 322 მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა იქვე აფრთხილებდა უველას „ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა ჰქურს, მიბრძანდეს და ადგილობრივ ინახულობა“, ჯვარი დღეს არსად ჩანს. ამის თაობაზე საესეზო მართებულ გულისტყვილს გამოთქვამდა თავის წერილში („ლაშარის ჯვარის ლურჯასა...“) ჯარჯი ფხოველი იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1984, I იენისი, გვ. 147.

საქირთა უველაფერი ვიღონოთ ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლების მოსაპოვებლად და გადასარჩენად.

22 ამასთან დაკავშირებით გვინდა დამატებით შევნიშნოთ: თეთი „ლაშა“-ს აფსართა ენის უუფენილებად მიჩნევას; დამტკიცება ვფიქრობთ, არ ელოდება წინ. ცნობილია, რომ თამარის ძეს სახელიად ერქვა „გიორგი“. ლაშა დამატებითი წოდებაა მისი და არა პირუღონელი საქართველოს ერთიანობის მოთხოვნის იგი აფსართა (ე. ო. აფხაზთა) ენიდან აეღოთ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ლაშარობასთან დაკავშირებით, შეიძლება ვისმე გაუჩნდეს მოსაზრება მისი კავშირის შესახებ იმავე — ლაშა — (აფხაზურად: ლაშა) ფუძიდან ნაწარმოებ ალაშაარა (რაც „სინათლეს“ ნიშნავს) ფუძესთან, მაგრამ თავი რომ დავანებოთ იმას, რას მთელი ამ სალოცავის ძირითადი შინაარსსა და ფუნქციასთან დაკავშირებით ითქვა და რომელიც ამიტომ ვერ დაუკავშირდება ზგნოთ მოყვანილ ფუძეს (თანაც აფხაზებში ამგვარი სალოცავი არ არსებობს), მთავარ დამტკიცებად ისიც აღიმართება, რომ ქართული ლაშარ-ფუძე რ თანხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ, როცა ალაშაარაში ფუძე ა ხმოვანზეა დაბოლოებული. სრულიად გამართლებელი იქნებოდა მისი ქართულ ლაშარ ფუძეში მოკეცვა („ლაშარს მოვიდა თილისძე“).

23 იხ. მისი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბ. 1976, გვ. 96.

24 ამან ერთგვარად იმასაც შეუწყო ხელი რომ მომდევნო ა უფრო გამძლე გამომდგარიყო და ენაში ურედუქციო სახეობა შერჩენილიყო (ისიც საყუთარ სახელია ქვეული). მითუმეტეს, რომ ურედუქციო ფორმა ნათესა-

ობით ბრუნვაში არცთუ უჩვეულოა თვით „ლაშქარ“ სიტყვაში, შდრ. ზემოთ „მოდგა ლაშქარის სამზერლად“ (რაც შარცვალთა რაოდენობის დაუძლელობით არ შეიძლება იხსნას!). იშვიათად შეიძლება ნარედუქციალი სახეობა „ლაშარის ჯვარ“-შიც დავადასტუროთ. თილისძის ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „მაცალეთ ფშავლის შვილებო. მალოცვეთ ლაშარის ჯვარი“ („ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ II. თბ. 1964, გვ. 85—86).

<sup>25</sup> ვაჟა-ფშაველა. „თამარის ცხვარი ფშავში“, ტ. V. გვ. 192, 19.

<sup>26</sup> იხ. „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“.

<sup>27</sup> საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას თავის წერილში „ფიქრები ეფთხისტყაოსნის შესახებ“, რომლის ავტორგრაფიც დაცულია, ლა-

შარის“ ადგილას „ლაშქარის“ ვერც ნაშარი. იოანე ხელაშვილის „კალმასობიდან“ მოყვანილ ციტატებში ერთ გვერდზე სამჯერ უწერია „ლაშარის“ ნაცვლად „ლაშქარის“, რაც რედაქტორ-გამომცემლებს გაუსწორებიათ.

ამ „წაცდენაშიაჲ“ ხომ არ არის გამჟღავნებული აღნიშნული სალოცავის ამოსავალ ფუძესთან ჰვეცნობიერი კავშირი?

<sup>28</sup> დავით მჭედლური, ჩარჩოებს ნუ დავავიწროებთ, ქურონ. „ცისკარი“, 1985 წ. I, გვ. 118-119.

<sup>29</sup> რიც ხაკითხს, რაც ლაშარობის რიტუალს უკავშირდება (როგორცაა მუხის როლი ამ რიტუალში, ფერქიხისაის (ქორბეღელას) ხასიათი და შინაარსი) ჩვენ აქ არ შევხებივართ. ისინი, ეფიქრობთ, საგანგებო ძიებას მოითხოვენ.



**ჩვენალ სტაფნაძე**

**რუსულანი — თამარის და**

რუსულანი — თამარის და მხოლოდ ფართო მკითხველთათვის კი არა, ისტორიის დირაგში მომუშავეთათვისაც ნაკლებად ცნობილი პირია. ეს, ძირითადად, მის შესახებ არსებული წყაროების სიმცირით არის გამოწვეული.

მკვლევრებმა თამარის დის შესახებ დაბეჭოთებით ლაპარაკი მხოლოდ ჩვენი სუენუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყეს. მინამ ან საერთოდ არ იცნობდნენ, ან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ თამარის კარის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების აღმოჩენამ რუსულანის არსებობის შესახებ ყოველგვარი ეჭვი გააძინა. მისი პიროვნებისადმი სპეციალური სტატიების მიძღვნიც სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. ვ. დონდუას მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევები (ვ. დონდუა, თამარ მეფის და რუსულანი. „საისტორიო ძიებანი“, I, თბ. 1957. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან (ცდა აღდგენისა) აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ. 1941). მაგრამ, ეს კარგა ხნის წინათ იყო. თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ თავის ნაშრომში კ. კეკელიძე ძირითადად რუსულანის, როგორც ისტორიული პირის, ასებობის დამტკიცებას ცდილობდა. რაც შეეხება პროფ. ვ. დონდუას წერილს, უმთავრესი აქცენტი რუსულანთან დაკავშირებულ ფოტოგრაფის წარწერას მნიშვნელობაზე იყო გადატანილი.

ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარის მამას, გიორგი III-ს, კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა, რაც ძალიან აწუხებდა. მაგრამ „მერამე ინება ზეგარდმო მოწყალებამან ღმრთისმან, და იწყო მობერედ ნიავმან ამომან, და იშვა მათგან ქალი, ქმნილკეთილი, ყოვლითურთ უნაკულთ და შესატყსი. ამას დაარქვა საზელი თამარ“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959).

რუსულანი თამარზე უმცროსი ჩანს. ეს იქიდან ირკვევა, რომ იგი გაცილებით გვიან გაათხოვეს. ცნობილია, რომ პირველად თამარი 1185 წელს გათხოვდა, მეორედ — 1189 წელს. რაც შეეხება რუსულანს, იგი 1189 წელს გააყოლეს არზრუმის სულთანის შვილს.

პატარა რუსულანი იმავე წრეში აღიზარდა, რომელშიც თვითონ თამარი და მისი მშველლე დაეიით. იგი მამიდა რუსულანმა აღზარდა. ამაზე მეტყველებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ, როდესაც ხმა გაეარდა, თამარ დაფხმძიმდაო, მთელ ქვეყანაში ზეიმი დაიწყო. მაშინ „თუთ დედოფალმან რუსულან, და ვაზრდილმან მისმან მეფემან დაეით, და დამან თამარის ამან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ქელ-უვეს ძღუნებად და მინიჭებად“.

თამარისა და რუსულანის მამიდა, რომელსაც ასევე რუსულანი ეკრევა, იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი უგაველიანენი პირია. იგი ერთაყის სულთან მასუდზე იყო გათხოვილი, მაგრამ დავრჩეხებული საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის ცხოვრებაში. გიორგი III-ის ვარდაცვალების შემდეგ რუსულანი ბეგრატიონთა გვარის ყველაზე გავლენიანი პირი გახდა. მის ვარეშე არც ერთი საჭირობოროტო საკითხი არ წყდებოდა.

რუსულანის სახლი საქართველოს უმაღლესი საზოგადოების თავშეყრისა და აღზრდის ადგილად იქცა. როგორც ითქვა, ამ სახლში აღიზარდა თამარი, მისი მეორე მშველლე დავით სოსლანი და თამარის ნახევარდა რუსულანი. აღზათ, აქვე დაუფლონენ ცოდნისა და ცხოვრებისეულ წესებს საქართველოს სხვა წარჩინებულთა შვილებიც.

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობით, თამარის და რუსულანი „იყო ტყბილი და მოწყალე, ნუგეშინის მცემელი და შემუხუწელი დაპირებულთა“ (ვ. ი. გიორგეხულია



მგარეელი), და შერდელი ჩქლთა ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუხსნიდინან". მეშატაიანე რუსულდანი სხვა არგ თვისებასაც უსვამს ხაზს. მისი სიტყვით, „ქელთა მისთაგან საქმარის საყდართა და ველისათა იგზავნებოდა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბ. 1955). სხვათაშორის, ასეთ საქმიანობას თამარიც ეწეოდა.

თამარის მეორედ გათხოვება რომ დაიპირეს, რუსულანი უკვე დავალიშვილებული იყო. მას, როგორც ზელმწიფის ასულს, ბევრი ხელის მთხოვნელი ეყოლებოდა. მაგრამ, შექმნილი მდგომარეობის გამო, უმთავრეს საქმედ თამარისათვის ღირსეული საქმარის გამოძებნა მიიჩნდათ. რუსულდანი გათხოვება თითქოს შემთხვევით მოხდა.

1187-1188 წწ. თამარის პირველი ქმარი იური ბოგოლიბსკი რომ „სოდომურთა ცოდვისა და ქვეყნისათვის“ საქართველოდან გააძევეს, თამარს არაერთი ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა. მისი ისტორიკოსი ასახელებს იმპერატორ მანუელის ძეს, ანტიოქიის მფლობელს ვაქს, ვიზილ-არსლანის ძეს და მრავალ სხვას. ერთ-ერთმა, აქაოდა სხეგმთან შედარებით უპირატესობას მომანიშნებნო, მაჰმადიანობა უარყო, გაქრისტიანდა და ისე წარსდგა თამარის წინაშე. ამის შესახებ ისტორიკოსი წერს: „საღლდუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ... დამგდებელმან მუჰამედისამ, სყულისა ტბელისამან, რომელმან მიზიდეთა კაცთათა უმოძღურა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თქსსა, სურვილითა და სძენა სიტუდითა სახელთაგან ძლეული მოვიდა წინაშე“ თამარისა.

საქართველოს სამეფოს შესვეურებზე გავლენის მოხდენის მიზნით, მუტაფრადინმა დანაშაულები დიდებულები, ხოყები, საქურთხები, მხველები, თვალ-მარგალიტრ, ავაზები, ტაიქები და სხვა სიმდიდრე. სამეფო კარი სტუმარს დიდი პატივით შეხვდა. სხვათა შორის, იგი იმ სასახლეში დაიბინავეს, რომელშიც ოდესღაც საქართველების შიერ დატყვევებული მისი პაპა საღლდუხ-ზღინი ცხოვრობდა. ისტორიკოსის სიტყვით, თამარმა „ნელიად და წუნარად და მომყოვრებითერ უღარაზა, რომელმან ნახვსავე თანა რამინისებრი ატუნთა ცრემლითა ნაკად-მრავლობა. დესუა პატივითა ტაბტასა თანა ხელითა, და იქმანა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა“. შერე, როდესაც დაზამირდა, ქვემო ქართლში წაიყვანა და დრო ნადირობა-ქეიფში ატარებინა, გაზაფხულზე კი კახეთ-მერეთი მოატარა.

როგორც ითქვა, მუტაფრადინი, არზრუმის ამირან საღლდუხ-ზღინის შვილიშვილი იყო. საღლდუხი, ანუ სალთუკი, 1154 წელს თამარის პაპა დიმიტრი I-მა (1125-1156 წწ) ტყვედ ჩა-

იგდო და რამდენიმე ხანს თბილისში იმყოფებოდა. პატივზარად. ზედმეტად არ იყვნენ ჩაყრისხედი იცოდეს, თუ როგორ მოხდა ეს.

არაბი მეშატაინის აღ-ღაროის ცნობით, ანისის ამირა ფაზრ აღ-დინ შედადმა არზრუმის მფლობელ იხ აღ-დინ სალთუკს ქალიშვილის ხელი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მისი მოწონებული ქალი კი სხვას მიათხოვეს. ანისის ამირა განაწყენდა და გადაწყვიტა შერიცხა. „მან სალთუკს შეუთვალა: ჩემი ხელისუფლებად ანისში დასუტდა, მოდი და ქალაქს მოგყავი. მე ქართველებს ვეღარ ვეძლებ და მათი შეკავება აღარ შემძლია. შენი მორჩილი ვიქნები და პატივსაც გცემო. მაგრამ სალთუკი მოვიდა თუ არა, შედადმა (კაცი) გაგზავნა ქართველთა მეფე დიმიტრისთან, რომელიც იქვე აქოს, ანისიდან ერთი დღის სავალზე იყო და სალთუკის მოსვლა აეწყვა. დიმიტრი წაივდა ქართველთა ლაშქრით და დღილით ანისში იყო. იგი თავს დაესხა (სალთუკს) და შრაველი მისი ხალხი დახოცა. იხ აღ-დინ სალთუკი და მასთან ერთად მრავალი მაჰმადიანი ტყვედ ჩაიარდა, ურიცხვი მუსლიმიც დაატყვევეს. ეს მაჰმადიანთათვის დაუფიქრარი იყო. შემდეგ, დიარაბიას და სირიის მეფეებმა გაგზავნეს ელჩები ქართველთა მეფესთან საშუამავლოდ. იხ აღ-დინის გამოსასყიდ თანხად 100.000 დინარი დაადგინეს. იგი განთავისუფლებულ იქნა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში; დიდძალი ფული გავიდა მისი ქვეყნიდან სალთუკთან (ერთად) დატყვევებულთა დანახსნელად“ (პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1975).

აი, ამ სალთუკის შეიღობული იყო თამარის ხელის სათხოველად მოსული მუტაფრადინი. მაგრამ, მიგებული პატივის მიუხედავად, საქართველოს სამეფოს შესვეურებმა „დაზამეს ქედმაღლობა“ მუტაფრადინის ტრფილისა. რაში გამოიხატა ეს? თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „იყო ენიმე ერთი ხარჯთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა გიორგისა და დამასკუნელთა ქორწილისათა იგი შერთეს მუტაფრადინის და გარდაიკადეს ქორწილი სახელიანი. შემოსასათანა მრავალ-მრავალა უბოძეს ცენენი და ავაზმულობანი სუთათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და სართთა და წარგზავნეს თქსად საყოფლად არზრუმად, გარნა თუ ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გლოვითა, გამოუთქმელ არს კაცთა ენისაგან“.

ამრიგად, თამარის სათხოველად მოსული მუტაფრადინი გიორგი III-ის მეორე ქალიშვილზე — რუსულდანზე დააქორწინეს და სამშობლოში გაისტუმრეს. ამასთან დაკავშირებით თამარის ისტორიკოსი დამკინავად წერს: თუ ბიბლიურმა საულმა „მძებნელმან კაჩაულებისა მაჰმადიან პოვა მეფობა, ამან (ე. ი.

მეტაფორადნა) მიქნულმან მეფობისა და ზესთა მეფეთა მეფობისამან ჰოვა რომელი საულისა დანაჲარგთ კელა-ო. ე. ი. თუ სა- ულში მამის დავარგულ სახედართა ძებნისას მეფობას მიაღწია, მეფობისა და მეფედ-მეფო- ბაზე უფრო მეტი პარტიის მიქნულმა მეტა- ფორადნაჲ კი ჰოვა ის, რაც საულის დავარგო.

XII-XIII საუკუნეების მიჯნის ავტორი იმი- ტომ ამცირებს რუსუდანს, რომ იგი დედის მხრივ დაბალ წრეს ეკუთვნოდა — ხარკის ნაშობი იყო.

რუსუდანისა და მეტაფორადნის შეუღლება 1189 წელს მოხდა. იმავე წელს ხელშეორედ გათხოვდა თამარიც. როგორც ხოვობდა არ- ზურემი რუსუდანი? სანამ ამ კითხვაზე პა- სუსტა გავეცემოდ, ვინდა ერთ საკითხზე შე- ვაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

როგორც აღვნიშნეთ, აქად. კ. კეკელიძე ვრ- თო პირველთაგანი იყო რუსუდანის ენაობით რომ დაინტერესდა და ამასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო აზრით გამოქვეყნ. კ. კეკელიძის მტკიცებით, რუსუდანი ტრაპი- ზონის იმპერატორ მანოელ I-ზე (1238-1263) იყო გათხოვილი. მეუღლის გარდაცვალების (1263 წ. მარტი) შემდეგ 80 წელს მიღწეული ქალი მონაზვნად აღიკვეცა. მკვლევარს გამო- ინგარიშებული აქვს აგრეთვე რუსუდანის და- ბადების წელიც — ესაა 1182 წლის დამდეგი და 1183 წლის დამდეგი. იგი ფიქრობს, რომ „მართალია, ისტორიას არ შემოქნაზავს თა- რღი მისი დედის, ბურღუხან დედოფლის, გარდაცვალებისა, მაგრამ ამაზე ადრე ის არ უნდა გარდაცვლილიყო. იქნება ბურღუხანი რუსუდანის მშობარობასაც გადაჰყვა? ამის გვა- ფიქრებინებს ისტორიკოსის შენიშვნა, რომ ლაშა გიორგის დაბადებისას უსაზღვროდ შე- მხაროდნენ „პირველ დარჩომისა თამარისა“. გამოთქმა „დარჩომისა თამარისა“ შეიძლება ნაყარნახევი იყო ბურღუხანის ანალოგიურ შე- ნიშნევაში ტრაველით“.

კ. კეკელიძის აზრით, „შშობლების გარდაც- ვალების შემდეგ რუსუდანი ზელი დარჩენი- ლა“. ის „მესამე ცოლი იყო მანოელ იმპერა- ტორისა“... და „საქმალე გვიან უნდა იყოს გა- თხოვილი, არაუადრეს 1225-1228 წლებისა“.

აზრი რუსუდანის ტრაპიზონის იმპერატორ- ზე გათხოვების შესახებ სინამდვილეს არ შე- ენაბამება. არც ერთი წყარო ამ შეხედულე- ბას არ ადასტურებს, როგორც ითქვა, თამა- რის პირველი ისტორიკოსის დედული აქვს უტ- ყუარი ცნობა, რომლის მიხედვითაც რუსუდა- ნი არზრუმის სელონის საღღების შვილიშ- ვილს მეტაფორადნს გააყოლეს ცოლად. კ. კე- კელიძეს ზემოთ მოყვანილი აზრი რუსუდანზე გამოთქმული აქვს თამარის ამ ისტორიკოსის თხზულებას მისეული გამოცემის კომენტარე- ბში. ჩანს ეს ცნობა მხედველობიდან გამორჩა. ძნელი ვისაზიარებელია აგრეთვე აზრი რუ-

სუდანის 1182 წლის ბოლეს და 1183 წლის დამდეგს დაბადების შესახებ. როგორც თამა- რის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რუსუდანი 1189 წელს გაათხოვეს. ამ დროს 1182 წ. ბოლოს და 1183 წლის დამ- დეგს დაბადებული ბავშვი დაახლოებით ექვ- სი წლისა იქნებოდა, რაც მის გათხოვებას სა- ეკვოს ზღის.

ძნელი ვასაზიარებელია შეხედულება, თით- ქოს რუსუდანი გიორგი III-ის ბურღუხან დე- დოფლის ხელში შესქენდეს და მითუმეტეს იმის ფიქრი, რომ „იქნება ბურღუხანი რუსუ- დანის მშობიარობასაც გადაჰყვა“. სწორედ კ. კეკელიძის მეტ გამოცემული და კომენტა- რებული თამარის პირველი ისტორიკოსი გვა- უწყებს, რომ რუსუდანი „იყო ვინმე ერთი ხარჭათავისა ნაშობი, რცა სახელმდებელი შვილად შეფისა“. ამრიგად, რუსუდანი უშეიხა არა გიორგის კანონიერ მეუღლეს დედოფალ ბურღუხანს, არამედ შეფის ხარჭს.

აქლა კვლავ რუსუდანის არზრუმში ცხოვ- რების საკითხს მივუბრუნდეთ.

როგორც ითქვა, მეტაფორადნი არზრუმის ყოფილი ამირას საღღუხ-უზდნის შვილიშვი- ლი იყო. იგი იმ ნასრ ად-დინის ძე ჩანს, რომ- მელსაც თამარის პირველი ისტორიკოსი ქარ- თველთა ერთ-ერთ ლაშქრობასთან დაკავში- რებით ახსენებს. მისი ვადმოცემით, ლაშას და- ბადების შემდეგ ქართველებმა მოწინააღმდე- გეთა ქვეყნებზე ილაშქრეს. მათ ათხრეს ქა- ლაქი ბარადგი. „მუნით გამოშვავარებულთა არცა თუ თჳსა ერთისა გამოშენენებულთა მსწრაფლ წარსულთა ილაშქრეს არზრუმს ქა- რსა კანუ-ქალაქისასა“.

მეზატანის სიტყვით, არზრუმის დაცვას სწორედ საღღღების ძე ნასრ-ადდინი და მისი ორი ვაჟი ზელმძღვანელობდნენ. მკითხველი, ალბათ, იკითხავს: თუ მეტაფორადნი ამ ნასრ ად-დინის ვაჟია, რატომ ესხმინა ქართველები არზრუმს თავს, ეს ქალაქი ზომ მეტაფორადა- ნის მამას, ანუ თამარის ზამ — რუსუდანის მამამთილს ეკუთვნოდა? მეტაფორადნი მტრულ ურთიერთობაში იყო თავის მშობლებთან. ეს თამარის ისტორიკოსის ცნობიდანაც ჩანს. ლა- პარაკობს რა მეტაფორადნის საქართველოში მოსულაზე, იგი წერს: „მცნობელი მტარ ამისმან საღღღების ძის ძემან, სახელით მეტაფორადნი, აღარ დაჰმდებდნან შშობელთა არნუბობისამან და დამაჰმდებდნან შუბამედისამან, სჭულისა ტაბი- ლისამან, რომელმან მოზღღდეთა კაცთათა უმო- ძღურა კაცთა საწუთრო ესე ნებასა ზედა თჳსა, სურვილთა და სმენა-სიტურღეთთა სა- ხეთაგან ძღულელ მოქვდა წინაშე თვითმფ- ლობლისა... თამარისა“. ე. ი. მეტაფორადნი თამარის შერთვა რომ დაუპირებია, მამამდი- ანობა უარუყვია, გაქრისტიანებული და საქარ- თველოში მოსულა. მისი მშობლები ამის წი- ნალმდებე ყოფილან, მაგრამ მას არ უსმენია

მითვის (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ. 1948).

მისი შრომები არ ცდებოდნენ, როდესაც მურტაფადინს ქართველებთან დანათესავებას უშლიდნენ. ამდროინდელი საქართველო არზრუმის დაპყრობას აპირებდა და ახლა, გაქრისტიანებული და დანათესავებული მურტაფადინი მისი მიზნების განხორციელებას იარაღი შეიქნებოდა. ამ საბაბით ადვილი შესაძლებელი იყო მურტაფადინსა და მის შრომებს შორის განხეთქილების ჩამოვიარდნა. ამიტომ ზომ არ არის, რომ საქართველოს ლაშქრის არზრუმზე თავდასხმისას რუსუდანის მამამთილი და ორი მთავრი ქალაქს იცავდნენ, მურტაფადინი კი მათთან არ ჩანს. იგი ქართველთა მანკეში ზომ არ იყო?

აქვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც აღიქვას. კერძოდ: იმიტომ ზომ არ ილაშქრეს ქართველებმა არზრუმზე, რომ ქალაქის ამირად თავიანთი კაცი მურტაფადინი დავსვათ?

თამარის პირველ ისტორიკოსს აღწერილი აქვს არზრუმზე ლაშქრობის სურათი, დასახელებული ჰყავს აზრუმელთა მოკავშირენი (სურამანელი და კარელი ამირები), ქალაქის დაცვის ზღმძღვანელები (ნასარ ად-დინი და მისი ორი ვაჟი), მაგრამ მურტაფადინს ან მის მეუღლეს კი არასდ არ იხსენიებს. რატომ იქცევა ასე? წყაროების. უტონლობის გამო ამ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემა ჭირს, მაგრამ თუ მურტაფადინსა და მის მამას შორის არსებულ ურთიერთობას გავიხსენებთ, შეიძლება დავსკვნათ, რომ სამშობლოდან განდევნილი მურტაფადინი არზრუმს შემოწყობილი საქართველოს ლაშქარში იყო.

თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ საქართველოს ლაშქარს არზრუმში ძალიან შეუფერხობდია. მისი ჭარბ დუმარცხებია, მაგრამ ქალაქი ვერ აუღია. მისი სიტყვით, ქართველებმა „მისელასავე დასტეხეს სახეზე მებისტეხისა, ჰკრეს და მტრები დაფრებულნი თავის კატობასა შეიხეცნენეს ჯარითა აწყუფდელნი ერთმანეთისანი... და შემოქცეულნი შეფე დავით და ლაშქარნი მისნი მოვიდეს მხიარულნი ქუეყანადე თჳსად“.

მაგრამ რით დამთავრდა ეს ლაშქრობა, რა შედეგი მოუტანა მან საქართველოს სამეფო გვიარის სიძეს მურტაფადინს? სამწუხაროდ, ამის შესახებ წყაროები არაფერს არ გვატყობინებენ. საერთოდ, იმ ცნობის გარდა, რომელშიც მურტაფადინს თბილისში მოსვლასა და რუსულანზე დაქორწინებაზე ლაბარაჟი, მასზე სხვა არაფერი ვიცით. არადა, ძალზე საინტერესოა მისი შემდგომი ბედი. მთავარი ის არის, რომ ქართველების ამ ლაშქრობის შემდეგ არზრუმს კვლავ მურტაფადინის შამა ნასარ ად-დინი განაგებს. იგი ამირად 1201 წლამდე დარჩა. ამ წელს კი რუმის სულთანმა რქან ად-დინმა გადააყენა, ქალაქი კი თავის

ძმის შოლის ედ-დინ თოღრულ შამს გადასცა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979). თამარის მეორე ისტორიკოსს ამს შესახებ ცინიურად შენიშნავს: სულთანმა სალდუხის ძეს „ნაცვლად მსახურებისა მიუღო კარნაუ-ქალაქი და თჳსი შამა დასუა მუნ“.

ეს მოხდა ბასიანის ომის წინ.

ამრიგად, იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც მურტაფადინმა შრომლიერი რელიგია უარყო, გაქრისტიანდა და ქართველი მეფის ასულზე დაქორწინდა, მის არზრუმში სოფრება მტრისმეტად უნდა გასძნელებოდა. დასაშვებია, რომ იგი ან იმთავითვე არ შეუშვეს არზრუმის საზღვრებში, ანდა, რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაძევეს იქიდან. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას წყაროებიც იძლევა. მათი მემკვიდრეობით ვეგებულობ, რომ ახლად გათხოვილი რუსუდანი კვლავ საქართველოშია. ასე, მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, როდესაც თამარმა ლაშა-გიორგზე მოიწმობიარა (1192 წ.), საქართველოს მოსახლეობა „იხარებდეს, იშუებდეს, იმობიედეს საშობებსა შინა ამის საწუთოსასა, განმითავისუფლებულნი ტყუეთანი, შემწირველნი ეკლესიითანი, მწირებულნი მღვდელთანი და მიმცემლნი მონაზონთანი, მოწვალენი გლახათანი, ერთბაშად მიდიდებულნი ღმრთისანი, მწყობრნი ენისკომპოსთანი შუდასვე სამეფოსა სპასა თინა და თჳთ დედოფალშან რუსუდანი და გაზრდილშან მისშან შეფემან დავით, და დამან თამარისამან, და უოველოა კელ-ჟანს ძღუნებად და შინიებებად“.

თუ მოვიგონებთ, რომ ქართველებმა არზრუმზე სწორედ ლაშა-გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით ილაშქრეს, ცხადი ვახდებია, რომ რუსუდანის საქართველოში ჩამოსვლა შემთხვევით არ მომხდარა. ჩანს, რომ იგი კარგახანია სამშობლოშია, ხოლო არზრუმზე ლაშქრობის საბაბი ახლად არ არის წარმოშობალი.

რუსუდანი რომ გათხოვების შემდეგაც ქართულ გარემოში ტრიალებს და მამამაჟულ სარწმუნოებას ემსახურება კარგად ჩანს ფხოტრიების (სვანეთი) მაცხოვრის ხატის ჩარჩოს წარწერით, რომელიც შესრულებულია მისი მამოლის — რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ (წ. ამირანაშვილი, ბეჟა ოზიხარი, ტფ. 1937).

წარწერის მიხედვით, თამარის და რუსუდანი სთხოვეს ერთმანს შეიწიროს მისგან ნივთი, რომელიც მამიდაშისს გაუკეთებინებია, მაგრამ შეწირვა გარდაცვალების გამო ვეღარ მოსწირია. ახლა, მამიდაშისის წამოწყებული საქმე მას დაუგვირგვინებია და შხა ხატი ერთ-არსისათვის შეეწირაჲს. როდის უნდა მომხდარიყო ეს?

სამწუხაროდ, თამარის მამილის, რუსუდანი დემეტრეს ასულის, გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. თამარის ისტორიკოსების



თხზულებების თვალის გადავლება კი გვიჩვენებს, რომ შამქორის ომამდე, ე. ი. 1195 წლამდე, იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, თანაც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს.

უკანასკნელად მას აზერბაიჯანის ათაბაგ აბუბაქრის ძმის აზირ-მირზანისა და მისი სიმამრის შაჰან შაჰ აღსართანის სჯარათველოში მოსვლისას ვხვდებით. თამარმა და მისმა მეუღლე დავითმა სტუმრების მიღებისას „მოიწვიეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდანიო“ — აღნიშნავს თამარის პიკრელი ისტორიკოსი.

ამრიგად, თამარის და რუსუდანის მამიდა 1195 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია. მხოლოდ ამის შემდეგ ველარ ვხვდავთ მას თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში. ამ დროს ის უკვე ხანმოკლე ქალი იყო და შეიძლება კიდევ გარდაცვლილიყო. თუ ასეა ფეოტრიანის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს წარწერად დაახლოებით ამ ხანებში იქნება შესრულებული. მასში რუსუდან გიორგის ასული თავის მამიდას გარდაცვლილად თვლის! მაგრამ, როგორც იტყვივა: რუსუდანი დემეტრეს ასული გაცილებით გვიან გარდაცვლილა, რის გამოც თამარის დის წარწერის თარიღიც უკან გადაიწვეს. ახლა სწორედ ამაზე გვინდა ვილაპარაკოთ.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით გიორგი III რომ გარდაიკვლია, „იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო, უფროსა დასა თვისა რუსუდანი“. ამის შემდეგ იგი, მკითხველს უზღისს რა რუსუდანი ვინაობის, აღნიშნავს: „ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამჩამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარას-ნელთა ეფლებისა, რომელი სიჭურვიისათჳს თჳსადეგ მამულად მოყვანებელი დედოფლად დაჲლა ქართულთად, უფროსად დიდებულ სახლისა თჳსისად და ყოვლისა ამის სიმეფისა. ამას წინაშე იყო თამარ მამინ, ვითარცა თჳსსა მამიდასა თანა, დიდურთ თჳსით, რომელსა რუსუდანივე მოაქუნდა სიხელად, რომლისთვის აჲ დამაკლებს წინამდებარე ესე მოთხრობად. თუ რაოდენ შეენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვითადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწადისა დღეთაჲან შეიყუთა მტკიცედ ქალწულობა, სიწმინდე და სიკეთე დიდად სრულა. რას უნდა ნიშნავდეს „რომლისათჳს აჲ დამაკლებს წინამდებარე ესე მოთხრობად, თუ რაოდენ შეენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა?“

ამ ფრაზის სწორად გაგებაზე დიდად არის დამოკიდებული ოთხმოცი წლის ასაკში მონიშნულად აღკვეცილი პიროვნების ვინაობის დადგენა. თანამედროვე ქართული წყაროს ეს ადგილი ასე ელერს: „ამიტომ, ახლა, წინამდებარე მოთხრობა საშუალებას არ მაძლევს (ან: მიიძუ-

ლებს) ვილაპარაკო იმაზე, თუ რამდენი შემენიერება და უპირატესობა ჰქონდა მის წინამდებარე ყოფილ დედოფლებთან შედარებით“.

თამარის დაზე ასეთი სიტყვების თქმა ისტორიკოსს აშკარად გაუპირადებოდა. რუსუდანი არც მანამდე ქართველ დედოფლებზე დიდი იყო და თამარსაც ხომ ვერაფრით შეედრებოდა. ისიც კი საკითხავია, ოდესმე დედოფლად იყო თუ არა.

თამარის მამიდა რუსუდანი კი სხვაა. მისი თანამედროვე ისტორიკოსები დიდი მოკრძალებით იხსენიებენ მას. იგი კვიციან, გვილენიან ქალად მოიხსიან. რუსუდანს განსაკუთრებულ პატივს ის მამტებდა, რომ დიდი სულთნის ცოლყოფილი იყო. ასეთ ქალზე მართლაც შეიძლება ეთქვა ისტორიკოსს: ყველა მანამდე ქართველ დედოფლებთან შედარებით მშვენიერება და უპირატესობა გააჩნდა.

გვიდან ერთ საკითხსაც შევხებით. ცნობილია, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება თამარის გარდაცვალებისთანავე დაწერილი. მისმა ავტორმა შემდგომი ხანა არ იცის, ან მასზე არ წერს. იგი ლაშავიორის გამეფებაზეც კი არ ლაპარაკობს. მაშ, საიდან უნდა სცოდნოდა მას თამარის დის, რუსუდანის მონაზუნად აღკვეცის ამბავი? რუსუდანი ხომ XII ს. 70-იანი წლების დასაწყისში, დაახლოებით 1171-1175 წლებში ჩანს დაბადებული? 80 წლის ასაკს იგი მხოლოდ 1251-1255 წლებში მიაღწევდა. ასე რომ თამარის მეორე ისტორიკოსს არ შეეძლო განეცხადებინა თამარის და რუსუდანი ოთხმოცი წლის ასაკში „შეიყვანა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრულიო“.

თამარის მამიდა რუსუდანი კი 1147 წელს გათხოვდა. 1152 წელს დაქორციელებული სამშობლოში დაბრუნდა. თავისთავად ცხადია, რომ 1147 წელს გათხოვილი რუსუდანი დაახლოებით 1127-1130 წლებში ჰიანც უნდა დაბადებულიყო. იგი ოთხმოცი წლის ასაკს 1207-1210 წლებში მიაღწევდა.

როგორც ითქვა, შამქორის ომის დაწყების წინ, 1195 წელს, რუსუდანი ცოცხალი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ აღარაღ და ჩანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად გარდაცვლილია. წყაროებში მოუხსენიებლობა სიბერით და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მისი როლის რამდენადაც შეეცეცით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ დროს თამარი იმ ასაკში აღარ არის, მისი მეორეობა რომ სიბერეებთან. თანაც გვერდით საჭიროდ გამჭირავს მეუღლე დავით სოსლანი ჰყავს. ცხადია, რომ საშუალოდ წელს მიღწეული რუსუდანი თანდათან უნდა ჩამოსცილებოდა აქტიურ ცხოვრებას და, აქედან გამომდინარე, ისტორიკოსების უფრადლებასაც. მაგრამ, ჩანს, იგი ადვილად არ შეირდება ჩრდილში ყოფნას. ამ სიტუაციით საესე ქალს საამყვეყნო ცხოვრებაზე მხოლოდ

მამინ უთქვამს უარი, როდესაც მისგან უკუ-  
ლაფერი მოუქცია. ეს მხოლოდ ოთხმოცო წლის  
ასაკში ჩაუდგენია. ამრიგად, თამარის ნახევარ-  
დის რუსუდანის მიერ ფხოტრეარის მაცხოვრის  
ხატის ჩარჩოზე ამოყვეთილი წარწერა XIII  
საუკუნის პირველი ათეულის შემდეგ უნდა  
იყოს შესრულებული, როდესაც მონაზვნად  
აღკვეცილი მისი შამიდა ალბათ გარდაცვლილი  
იყო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თამარის  
ნახევარდა, რუსუდანი, მოგვიანებითაც საქა-  
რთველოში ცხოვრობდა.

ამრიგად, თამარის ნახევარდა რუსუდანი გათ-  
ხოვლი იყო არზრუმის სულთნის ვაჟზე მუ-

ტადრადინზე. მისი მუდლონი სამშენებლოში  
შექმნილი არასასურველი პოლიტიკური მდგო-  
მარეობის გამო იგი (შეიძლება ქმარიც) სა-  
ქართველოში დაბრუნდა და აქ ცხოვრობდა.  
აზრი ოთხმოცო წლის ასაკში მისი მონაზვნად  
აღკვეცის შესახებ არ მტკიცდება. ეკლესიის  
მსახური ის კი არა, მისი შამიდა შეიქმნა.

წყაროების უქონლობის გამო თამარის დის  
შესახებ სხვა მნიშვნელოვანი რამის თქმა ძნე-  
ლია. მასთან დაკავშირებული რაღაც საკითხი  
ჭერ კიდევ გადაუჭრელია და შემდგომ კვლევა-  
ძიებას მოითხოვს.





სარბი ღურმინიძე

## დაუპიწყარი ღლეპი

ნაწახები მეგობრებთან წიგნიღამ

1.

აქაი წერეთლის საფეხლოში მის მშობლიურ საჩხერეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხალხს უსაზღვროდ უხვარდა თავისი მგოსანი. აქ ყველას და ყველაფერს აქაის სული დასტრიალებდა; არ იყო ოჯახი, სადაც აქაის წიგნი და სტრათი არ ჰქონოდათ. ამოიღებოდა თუ არა ბავშვი ენას, პირველად აქაის ლექსს ასწავლიდნენ. მოხეტეები აქაის პოემების, ზეპირ ცოდნაში ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ. აქაის გამოჩენა საჩხერეში სახალხო ზეიშს ჰგავდა. თასი ლეგენდა დადიოდა მისი ცხოვრების შესახებ...

აქაის სიუვარული და თავიანთსემა ჩვენს ოჯახშიც იყო გამჭდარი, მამას ახლო ნათესავებს პირადი ურთიერთობა ჰქონდათ მგოსნის ოჯახთან. მამაჩემის დედა აბდუშელიშვილის ქალი იყო და პოეტის მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ენათესავებოდა. მამას ბიძაშვილი — დავით აბდუშელიშვილი (აბდუშელი) აქაის პირადი მსახური იყო. 1905 წელს შვილი-სადმი პარიზში გაგზავნილ წერილში მგოსანი წერს: აქ ისეთი არეულობაა, რომ „ჩემმა და-თიკომაკ ე მიმარტოვა“ (დავითი შემდეგში აქაის გაელენით და დახმარებით ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გახდა). ბიძია დათაკო ლამაზი, მოხდენილი ვაჟაკი იყო. მან ბევრი ლექსი და ზღაპარი იცოდა. მისი და ჩვენი ოჯახის სხვა წევრების ზეგავლენით აქაი წერეთლის სახე ჩემს მენსაიერებაში ადრეულად შემოიჭრა.

1915 წლის თებერვალში, როდესაც ხუთი წლის ვიყავი, ჩვენებისაგან გავიგე, აქაი ავად არისო. ყველა შეშუბებული იყო, ყველას ღმე-

რთის იმედი ჰქონდა. დედამ ხატის წინ სანთლები ანთო და ძილისწინა ლოცვისას („ღვეწვები დაშეძინება, პირჯვარი დაშეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავითთა დამსვენება...“) მოხოვა: ღმერთს ბიძია აქაის ცრვად ყოფნა შესთხოვეო. შენ ანგელოზი ხარ და გაგიგონებსო...

რამდენიმე დღის შემდეგ ატირდა ჩვენი ოჯახი, ჩვენი ვზო, ჩვენი ქუჩა, საჩხერე და, როგორც შემდეგ გავიგე, სრულიად საქართველოც: გარდაიცვალა ხალხის უსაფვარლესი მგოსანი — აქაი.

იმ დღეებში მამა გვიან მოდიოდა შინ. დედამ გვითხრა: ბევრი ხალხია ჩამოსული, აქაი თბილისში უნდა წასვენონო.

დადგა ბიძია აქაისთან გამოთხოვების დღეც. დედამ ჩვენი მეზობლის — დათა დევიძის სახლში წამიყვანა. მეორე სართულის აივანი ხალხით იყო სავსე. ყველანი ქუჩას გადაწყურებდნენ. დამიდგეს სკამი და შეე აივანს ვაღვივებო. რაც მაშინ დავიანებე, ახლაც თვალწინ მიდგას: ქუჩა ხალხით იყო სავსე, ქვაფენილი აღარც კი ჩანდა; ადამიანები მჭიდროდ მიჯრილიყვნენ ერთმანეთთან და ნელა მოუწყვებოდნენ ქუჩას. მათ შემოდან, ცაისა და მიწას შორის, მინის სახურავიან კუბოში მშვიდად ეძინა მამა-ღმერთს ბიძია აქაის...

სალაშის უცხო სტუმრები გვეწვიენენ. ხშირად ისმოდა სიტყვები: „არ მომკვდარა“, „ცოცხალია“... ღამით ჩემს ღიღ მეგობარს და მესაიდუმლეს ბაბუა ილარიონს ვკითხე: ღმერთს რომ ყველამ ერთად ვთხოვეთ, ბიძია აქაის არ გააცოცლებს-მეთქი? ბაბუამ დამიყვავა,



მომეფტა: ახლა დაიბნე, შოვა დრო და ყვე-  
ლაფერს გაივებო...

2

1917 წლის თებერვლის ბოლო დღეებში  
ბაბუა ილარიონმა მოგვანახა: მეფე ტახტიდან  
ჩამოაგდეს, საქართველოს ეშველებაო. იმ  
დღეს მასწავლებლებიც ერთმანეთს უღოცა-  
დნენ, კოცინდნენ, ზღეროდნენ.

პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები  
ჩუღებრივ ერთ საკლასო ოთახში ვისხედით.  
შემოვიდა სკოლის გამგე და დიდხანს გვესა-  
უბრა, ხშირად იმეორებდა სიტყვა რევოლუ-  
ციას. ბავშვებმა ბევრი ვერაფერი გაივით,  
მაგრამ მისი ნათქვამიდან ორი რამ კარგად  
დავიმსახურეთ: „ამერიკიდან მეფის სურათს  
ველარ ნახავთ და მღვდელი მასწავლებლად  
აღარასოდეს გვეყოლებათ“. ამ უკანასკნელმა  
ცნობამ დიდად გაგვახარა.

ჩვენი მამა ივლიანე, შემოვიდოდა თუ არა  
ოთახში, იმწამსვე მაგიდან მიუღვებოდა, გვე-  
რღზე თავის ასკილის ქოხს მოიღებდა და  
ლოცვების კოხვას შეუღვებოდა. ვისაც ლო-  
ცვა შეეშლებოდა ან გინც ამხანაგს გადაეღა-  
რაკებოდა, თავზე ქოხი არ ასუღებოდა. ყვე-  
ლას გვიკვირდა: სად მონახა მამა ივლიანემ  
ასეთი გრძელი ასკილის ქოხი, ოთახის ბო-  
ლომდე რომ სწებებოდა.

შესვენების დროს, როგორც უფროსი კლასის  
მოსწავლეებმა დაგვარიგეს, ყველა ერთხ-  
მად გავეყიროდით: ძირს შეფე, ძირს მამა იე-  
ლიანე, გაუმარჯოს ხალს!

მეორე გაცეთილზე ჩვენი საყვარელი მას-  
წავლებელი ვეტერიანი იოსელიანი შემოვი-  
და და დაგვარიგა: მამა ივლიანე თქვენი მას-  
წავლებელია და როგორ შეიძლება ყვიროდეთ  
„ძირს მამა ივლიანე“. თქვენ ახლა თავისუ-  
ფალი საშობლოს შეიღები ხართ და ღმერ-  
თის მსახურებს უფრო მეტი პატივი უხდა  
სკეთ. მამა ივლიანე მომავალშიც თქვენი მას-  
წავლებელი იქნებაო. ბიჭებმა ურჩები ჩამოე-  
ყარეთ. შესწავლებათ ერთმანეთს შეგნობდით:  
ამა, რა თავისუფლებაა, თუ მამა ივლიანემ! ასე  
თავში უნდა გვიკეთნოსო, მეფის სურათი, რო-  
მელიც სამასწავლებლოდან გამოიტანეს, ჩვენ  
არაფერს გვიშავებდა. ბოლოს და ბოლოს, სუ-  
რათის გადაგდება აღრეც შეიძლებოდა, ვინ  
რას გაივებდა?!

გაცეთილების დამთავრების შემდეგ, შინ  
რომ დავბრუნდი, ისეთი მხიარულება დამხედა,  
როგორიც აღდგომას, შობას ან ახალ წელს  
მინახავს ბოლმე. მეზობლები მამასთან მოსი-  
ლოყად მოსულყვენენ და დედას სუფრა გე-  
შაოა. დიდხანს იყენენ, ბევრს და ხმამაღლა

ლაპარაკობდნენ; ხშირად ეხვეოდნენ, სიბარბე-  
ლო“.

სალამოს თოვლი დადრ და ჩვენი უბოს  
მცველს ყურშას გზა გავუკეაო: შემოსასე-  
ლეილიდან ებოს ბოლომდე გაქომულ მათულ-  
ზე ქავეით მიბმული ყურშა დინჯად სეირ-  
ნობდა; ციოდა, მაგრამ თავის პატარა ქოხში  
მაინც არ შედიოდა. გვიან დამით ყურშა აყე-  
ფდა; ჩვენთან სტუმრად ურიადნიც ლევაბი  
მოვიდა. ის და მამა ერთხანს ხმადაბლა საუ-  
ბრობდნენ. შემდეგ მამამ სუფრასთან მიბა-  
ტიცა, არაყი და შავი ქლიავის ჩირი შესთა-  
ვახა. ურიადნიც ლევანს მეც ვიცნობდი. რა-  
ღესაც ბავშვებს ეკლესიაში ვაზიარებდნენ,  
ის ყოველთვის გვესწრებოდა. ჩოხა-ახალუხში  
გამოწყვბილი ლამაზი კაცი იყო. ვანსაკუთრე-  
ბით მომწონდა მისი ხის ბუდეში ჩასმული  
რევოლვერი. რამდენჯერ მინატრია: ნეტავი  
ამნაირი რევოლვერი მეც მომიცა-შეთქი. ური-  
ადნიცმა ლევანმა წასკლის წინ მამას რაღაც  
ფუთა გადასცა და დაეყოლა: — ვასიკო, ეს  
ნიეთები მომიბარებია, შეშინაწე. მე სიჩხერი-  
დან მივიღიარ და დიდხანს, აღბთ, ველარც  
გნახავო. ყურშა მოუღოდნელად გაავდა და  
სტუმარს ეზოდან აღარ უშვებდა. მე დიდხანს  
ებორგავდი ლევიანში, გვიან ჩამეძინა. ივლიანე  
მღვდელი და ურიადნიც ლევიანი სიზმარში  
ერთმანეთში მერყოლა...

მეორე დღეს ხალხს სიხარული კიდევ უფ-  
რო გაძლიერდა, გაიზარდა, ყველას დაეფულა.  
მთელი დაბა დღესასწაულობდა. ახალგაზრდა  
ყმაწვილები წითელი დროშებით ქუჩაში და-  
ბობდნენ, რაღაც სიტყვებს ყვიროდნენ და მღე-  
როდნენ. უფროსებმა ავეიხსნეს, ეს სიმღერა  
აქამდე აკრძალული იყოო. ჩემი და ჩემი ტო-  
ლების დიდი გაოცება გამოიწვია ამ ამბავმა.  
ვერ გავვებო, ვის და რატომ უნდა ავირძალოთ  
ადამიანებისათვის სიმღერა...

იმ დღეს სკოლას ვიღაც უცხო ქალები და  
კაცები ესტუმრნენ. მოსწავლეები ერთ ოთა-  
ხში შეგვიყვანენ. ყველანი ფეხზე ვიდგეთო.  
უცხო პირებმა სიტყვებით მოგვმართეს. რას  
გველაპარაკებოდნენ, კარგად აღარ მახსოვს.  
ერთი მადალი, გამხდარი ქალის სიტყვები კი  
მტკიცედ ჩამეკედა მეხსიერებაში: „ბავშვებო,  
გილოყავთ ტყვეობიდან ქართული ენის გან-  
თავისუფლებას. ამა, თქვენ იცით, რა კარგად  
ისწავლით მშობლიურ ენასო“.

რამდენიმე დღეში ზეიმი მიწყნარდა. მამა  
ივლიანე ისევ დაგვიბრუნდა სკოლაში. ასკი-  
ლის ქოხი ახლა უფრო მწარე და აუტანელი  
გახდა. ჩვენთვის თითქმის ყველ რეცა ძველე-  
ბურად დარჩა, მაგრამ მე და იეს მეგობარ  
ბიჭებს მაინც გავიჩინდა ახალი მიზანი: გვი-  
ნდოდა, რაც შეიძლება მალე გავვებო, როდის  
და როგორ დაატყვევენ ქართული ენა და ვინ  
იხსნა იგი.

3.

1918 წლის შემოდგომის ერთ ღამეს დედამ გაშალეხა: შვილო, შენი სკოლის მახლობლად ცეცხლი გაჩნდა. ადექო, მამა უკვე წავიდა ვინ იცის, რაში ექნებოდა საჭიროო. ყველა ენოში გამოვბოდა. ას ცეცხლი გავდა. მოდიხანებს კალთები. ცისფრად ეიფობოდა. საშინელი გუგუნე ისმოდა. ხალხის ყვირილი და ძიღლების ყვირილი ერთმანეთში არეულიყო. ყველა ხანძრის ადგილისაკენ გარბოდა, ჩვეც მათ მივყევით...

ცეცხლის ჩაქრობა არ ხერხდებოდა. დაბას არც წყალი გაჩნდა და არც ცეცხლის შერობელი რაში ჰყავდა. ხალხს მხოლოდ ერთი საზარტნავი დარჩენოდა: არაეინ დაღუპულიყო, ბავშვების გამოყვანა მოეწყრათ, ხანძართან პატარები არ მიეშვათ. ენით იუწერელი მდგომარეობა იყო შექმნილი: იღვა ხალხი უშეწოდ და მოთქვაშდა...

ცეცხლის აღში თურმე პირველად მერამ და ბართლომე კახანაძეების სახლი გავხვია. იმ ღამით ქარი ბობოქრობდა, რის გამოც ხანძარი ყველა მიმართულებით სწრაფად გავრცელდა. ერთ ღამეში საჩხერის ცენტრალური საეპქო უბანი მთლიანად გადაიწვია. დაიფერფლა თეთრუაშვილის, ქებაძის, დეშეაშვილის, კალოვის, კახანაძეების, ზოყაშვილის, მიროტაძის, ბაბელაშვილების, კახანიშვილის, კაკაბუშვილის, ბეგალოვის, კალმახელების, ანასაშვილის, კვიციანიების, ზეთისიაშვილის, ყაზართეების, გამყრტიძეების და სხვათა სახლ-ყარი. დაიწვა საჩხერის აფთიაქი და სამსართულიანი თეატრის შენობაც. მოისპო ერთი კოლომეტრის სიგრძის ქუჩის ორივე მხარე.

შემდეგში უფროსები იგონებდნენ: როგორ უტარდა, სულ რაღვინიშე საათში შეთანთქვა ამდენი სიმდიდრე, როგორ ერთბაშად გადატყდნენ გუშინდელი მილიონერები! როგორ ერთი კაცით ებრძოდა ამდენი ხალხი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა უბედურებას! ხანძარი, როგორც იქნა, დილით დააოკეს; რამდენიმე სახლი დიანგრიეს და ცეცხლის ენები შემდეგ მსხვერპლს ვეღარ გადასწვდა.

დაზარალებული ოჯახები შეზობლებმა; მგობრებმა, ნათესავემა შეიფარეს. გამამაც მოიყვანა სახლში ჩემი ტოლი ბავშვები. თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგავდა; ზმას არ იღებდნენ, დიდრონი თვალებით შემოგვეცქეროდნენ და აწყალბდნენ. ჩვენ ყველანი ეცდილობდით, რომ ის ბავშვები გაგვეთხო და დაგვეწუნარებინა.

მეორე ცეცხლამწვიარი ქუჩის ორივე მხარეს მხოლოდ ერთობის გარტყული, შიშველი კედლები და ზღლიყო, ნანგრევებში უხვად ეყარა კანონის წითელი ნამსხვრევები და ათასნობრივ ტარტლის ნამსხვრევები. დროდადრო ძლიერი აფეთქების ზმა ისმოდა და ხანგ-

რეები ხელახლა ინგროვდა; თურმე შეუღებ-ნებს დინამიტი და თოფის წიქრულე მუხრულე გასაყიდად შემონახული. ირგუნდა-მირგუნდა რუხი ფერფლით იყო დათოვლილი.

ხალხი გჯგუფ-გჯგუფად შეგროვილიყო და დამწუხრებელი საუბრობდა. ვილაცა თავგაბოძლებით ამტკიცებდა: ჩვენ ვანებაში ღმერთი არ ურევი, ხატებს რომ ძია ჰქონდეთ, თავის თავს მაინც მოველიდნენ, ისინი მაინც გადაურჩებოდნენ ხანძარსო.

სკოლაში სწავლა შეწყდა. უმცროსი კლასის მოსწავლეებმა განსაკუთრებით ყაზართვის საფუნეთში დაწვა განეცადეთ; ჩვენ ზომ ყოველ ცისმარდ დღეს ძია დარჩოს სტუმრები ეიყავით.

დიდხანს, ძალიან დიდხანს უბინაო ბავშვებთან ერთად გვეძინა, მათთან ეთამაშობდით და ესწავლობდით, ხელიხელადაბეველები ნასახარებში დავებებოდით. ბავშვური საერთო კავშინი და წმინდა ურთიერთგატანა მთელი სიცოცხლე გაგვევა. გადიოდა დრო. ვეაყავლებოდით და თვლიდან მაინც არ გეშორდებოდა ის ალისფერი, მგვრამ საოცრად ბნელი ღამე...

4.

ოციან წლებში ზემო იმერეთის ერთ-ერთ სავაქრო ცენტრს სახხერე წარმოადგენდა. აქ ჩამოდიოდნენ იმერეთის, რაჭის, ქართლისა და ზოგიერთი სხვა კუთხის მცხოვრებლები. ბაზრობა კვირაში ორჯერ იმართებოდა — კვირას და პარასკევს. კვირაობით ბაზარზე ყველაფერი იყიდებოდა, პარასკევობით უბირატესად პირტყვით, ფრინველითა და ღვინით ვაჭრობდნენ. სახელგანთქველი შევსახეები, მელნეები, მებბალები, მებბოსტნეები, მესაქონლეები ყიდდნენ თავიანთ პროდუქციას. აქ აღებ-მოცემობას, გარდა ეკონომიკური ურთიერთობისა, შრომისადმი პატივისცემის ელფერიც დაკრავდა; ახალგაზრდობას აინტერესებდა სახელმწიფოებრილი მერტნების გაცნობა.

ბაზრის ზმირ სტუმართა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი მევენახე და მუღინე ჩიხელი გლახუა — მაღალი, წელიწადი გომართული, ნაყრამფერჩიხიანი თეთრწვერა მოხუცი. მის მერე დამზადებული მინანოურის საფერავი ახლომისლო სოფლებში ზედამედ იყო მიჩნეული. ზმა გაეარდა, თითქოს ებიფანე მღვდელი ზიარებისათვის მხოლოდ გლახუას წითელ ღვინოს იყენებო.

ჩემი ბავშობისას ბძია გლახუა უკვე ღრმა მოხუცი იყო, თვიაში ძლიერ იხედებოდა და ბაზარზე შეილიშვილებს ჩამოყავდათ. მას ღვინო ჩვეულებრივ ერთი ან ორი სამალტრიაანი დოქით გამოჰქონდა. შვიდი კი-

ლომეტრი ფეხით უნდა გამოველო, რომ თა-  
ვისი ნახელავის მომხმარებელს პირისპირ შე-  
ხვედროდა. ზოგიერთს უკვირდა კიდევ: —  
რა გახდა, რას წვალობს ეს მოხუცი, ამ თა-  
ვის ღვინოს ერთიანად ვერ გაყიდისო?

გლახუა კი ღვინოს ობლის ლუკმასავეთ  
ანაწილებდა, ღვინის გასაღებას ახანგრძლივე-  
ბდა, ხალხთან ურთიერთობას საკუთარ სი-  
ცოცხლესავეთ უფრთხილდებოდა, მათთან კა-  
ვშირის დაკარგვა ეძნელებოდა. მისთვის დი-  
დი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იყო მისი  
ხელის დამცველი.

— ღვინო ისეთ კაცს უნდა დაუთმო (არ  
უყვარდა სიტყვა «გაყიდვა»), ვინც მისი ჯი-  
რი იყოს; საფასურს მნიშვნელობა არა აქვს,  
კაცი ფულს რა საშუალებით არ იშოვებს, მა-  
გრამ ეს ხომ არ არის მთავარიო, — იტყოდა  
ხოლმე ქართულ ვაზსა და ღვინოზე მლოცვე-  
ლი მოხუცი.

ჩიხულ გლახუს მამაჩემიც მიაკითხავდა  
ხოლმე.

— ვასიო, როგორ გამაზარე, რომ მოხვე-  
დი. ეიცო, შენ საკუთარი მამულის ღვინო არ  
გაყლია, მაგრამ მაინც ჩემი ღვინის პატივის-  
მცემელი ხარ; იცოდეს ყველამ: გლახმა და  
მისი საყვარელი საქმე ცოცხლობს, ქართული  
ვაზი და ქართული ღვინო ყოველთვის დაამ-  
შვენებს ჩვენს მოდგმასო, — მიმართავდა მამა-  
ჩემს გლახუა.

— რა უყუო, რომ ჩვენ ოჯახს ღვინო არ  
ესაჭიროებდა. მოხუცს რომ პირი შეუვბრუნოთ  
და მისი ღვინო აღარავინ შევიძინოთ, ის სა-  
კუთარი თავის რწმენას დაკარგავს, ცხოვრე-  
ბას მისთვის აზრი აღარ ექნება და სულ მალე  
დაიღუპება. სხეულთან ერთად ადამიანის  
სულსაც უნდა გაფრთხილებათ, — ვეხსნიდა  
ოჯახის წევრებს მამა.

5

სახვარის ძირითად მოსახლეობას ქართვე-  
ლები, სომხები და ებრაელები შეადგენდნენ.  
სამივე ეროვნების ხალხს ერთმანეთთან მშვი-  
დი, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა  
ჰქონდა. საავტოო ცენტრი უმეტესად სომხებსა  
და ებრაელებს ეკავათ. დაბის მცხოვრებმა  
უმრავლესობას ქართული გლეხები — სოფ-  
ლის მეურნენი და ხელოსნები შეადგენდნენ.  
მათ შორის მრავლად იყვნენ ქვის ხუროები,  
ღურგლები, ხაზახები, მეწაღეები, მეჭულღეები,  
თერძები, მჭედლები, დალაქები, ოქრომჭედ-  
ლები და სხვ.

სახვარის ქუჩებში ცხოვრება ჩქედდა: მათ  
არ აჯლდათ არც მყიდველი და არც გამყიდვე-  
ლი, არც შემგვეთი და შემსრულებელი. გა-  
მდრებით ისმოდა ურთისა და გრდემლის ცე-  
მის ხმა. დაბის ერთ-ერთი თავისებურება იყო

დამონილი, უსახლკარო ქუჩის ბუნდადანი.  
მათხოვრული ყოფის გამო მათუქვეყნებულ  
ხელი ხალხს კარგა ხანია დეფენსებელი  
და და ახლა მხოლოდ შერკმეული სახელებით  
იხსენიებდა მათ: ილიკო-სანსალა, ოტია-რაყენა,  
იორდანე-კერო, გარბოლა-ჩურჩა, არონა-  
ბარტყა, რვე-ამბარკუმა და სხვ. არავინ იცო-  
და, სად ჰქონდა ამ ხალხს ოჯახი. ზოგიერთ  
მათგანზე ხალხში არაკად დადიოდა, თუ რო-  
გორ უღალატა ცოლმა, როგორ დაეწვა სახლ-  
კარი, ან როგორ ჩაუძვრა «ავი სული» სხე-  
ულში...

ესენი მთელ დღეს ქუჩაში ატარებდნენ: მო-  
ქონდათ სისპული წყალი, ჰგვიდნენ ქუჩებს,  
ასუფთაებდნენ დუქნებს, უხიდებოდნენ  
ტიკოთს, ჭკვავდნენ სომინდს და ათას სხვა  
წვრილმან დავალებას ასრულებდნენ. მთელი  
დღის შრომის საფასურად მხოლოდ იმ დღის  
სამყოფ ლუკმასურს ძლივს შოულობდნენ.  
ზოგიერთი მათგანი დამტკებით შურისაც მო-  
პოვებდა, თუ თავის მოსარჩლეს როგორმე  
გაართობდა, გამაზიარებდა. ამისთვის თი-  
თოველ მათგანს საკუთარი «საესტრადო ნო-  
მერი» ჰქონდა დამუშავებული. ჩვენ, ბავშვები,  
ავედევნებოდით ხოლმე ამ მოხეტიალე მო-  
ქალაქეებს და დიდი ინტერესით ველოდით,  
თუ რა «სასწაულს» მოახდენდნენ ისინი. გან-  
საკუთრებით დამამახსოვრდა ილიკო-სანსალა:  
მალაღი, მზარბეჭიანი, ძონძებში გახვეული  
შუახნის გოლიანი, რომელიც ჭკვილით სავ-  
სე ტომარებს ილიაში ამოიჩრდიდა და ისე და-  
ქონდა. «დამატებითი შემოსავლისთვის» ეს  
უზარმაზარი კაცი მალა შეგტებოდა და უჩ-  
ველო შეძახილით ქოლგასავეთ გაშლილი  
ძონძებით ძირს დაეშვებოდა. «ნომერი» ორ  
შურად ფასობდა. ეს ილიტი, აღბათ, დიდ  
ენერჯიას მოითხოვდა, იმიტომ, რომ ილიკო  
მას დღეში მხოლოდ ერთხელ ასრულებდა.

ერთ დღეს ილიკომ წისკვილიდან შინ საფ-  
ქავი მოგვიტანა. დედამ სთხოვა ჩვენთან და-  
ესვენა და საშემლი გამოუტანა. მან ჯერ უარე  
თქვა, — არა მშვიო. მერე თვეფი სწრაფად  
მოასუფთავა და ვახუთის ქალღღმე გახვეუ-  
ლი წყო გააბოლა. მე დრო ვიხელთე და იქ-  
ვე მყოფ მამას ეთხოვე:

— მამა, ორი შურეი მომცე, ილიკო-სანსალას  
უნდა ეიარქო. ნახავ, რა სიმაღლეზე აბტე-  
ბამეთქო.

მამა ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ ჩიბი-  
დან ერთი მანეთი ამოიღო, მომცა და მითხრა:

— ეს ძია ილიკოს მიეცი და სთხოვე: ათი  
დღის განმავლობაში, ვინც არ უნდა შეეხე-  
წოს, სურვილი არ შესრუტლოს, სიმაღლეზე  
არ აბტეს; სხვედ მას ორ შურის ბტომაში  
აძლევენ, შენ კი იმაში გადაუხადე, რომ, რაც  
არ სურს, არ გააკეთოს, მშვიდად იშრომოს.

მე მამინ კარგად მაინც ვერ გავეგე, ერთი  
მანეთი ილიკოსათვის რატომ უნდა მიმიცა,

მაგრამ მამის დიდი ხათრი მქონდა და მონათქვამი უსიტყვოდ შევასრულე.

ილიკომ ჩვენი საუბარი მოისმინა, ფული გამომართა, მამის მადლობა გადაუხადა და ზღაპრით გაუყვა ქუჩას.

დედამ ჩემად გაგვიანდო, ილიკო-სანსალა სააღლა მთის სოფელში ექვს შვილს ზრდისო...

იმევე საღამოს სკოლის მეგობრებმა შემომაირეს, ყვირილაში ანკესები უნდა დაგვეგო... მე მათ ვეღვაფერი ევაშბე. ვადეფწყვიტეთ: ამიერიდან ილიკოს ქუჩაში აღარ აედევნებოდნო და აღარ გვეყვია: სანსალა, სანსალა, სანსალა...

## 6.

1921 წელს საბჭოების მოსახლეობას ტიფი დაერია. ამ სენს ვერც ჩვენი ოჯახი გადაურჩა; მამა 40 დღე ეზრძოდა სიკვდილს. როგორც იქნა, სიცოცხლემ გაიმარჯვა და შემოდგომის ერთ მზიან დღეს მამა ეზოში გამოიყვანეს; ჩვენი მამიკო იყო კიდევ და არც იყო; ასხმულ ზონჩს ჰგავდა, თვალები გადიდებოდა... დედამ გვთხოვა წესიერად მოვუძეულიყავით და მამა გაგვეართო; თვითონ სახლავაგის ჩანთით ზელში ეზოდან გავიდა. მამას ვეღლაზე მეტად ჩემი მისი ანდროს ტიტინი ართობდა და ისიც ათას მართალსა და შეთხზულ ამბავს უყვებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედა დაბრუნდა, მეზობლისაგან სიმინდის ფქვილი ესესხა. მამა დაინტერესდა, თუ ვის დაესესხა და რატომ; ნუთუ სიმინდი აღარა გვაქვსო ოჯახში?!

— რამდენიმე წამი ფქვილი „ვიგას მოწმისაგან“ ვისესხე, სიმინდი ევრავის დაეფქვეინე — აუსხნა დედამ. მამა შეეცა და დედას დაავალა: — პოლინა, მეცი პატრივი, მოყრიფე ძალა და „ვიგას მოწმეს“ ფქვილი დაეპზრუნე, თუ გინდა, ბოდნივი მოუხაღე; ჩემი მზღს გამოუგზავნია და აღარ გვიპირდებათო. დედამ არაფერი უბასუხა, ზელჩანთა უკანვე წაიღო. მე ამ დროს უკვე თერთმეტი წლისა ვიყავი და მამასთან ხშირად ესაუბრობდი ხოლმე. ახლაც ვაგებდე და ვეითხე, ნასესხები ფქვილი რატომ გაატანე-მეთქი დედას უკან. მამას საუბარი უპირდა, მაგრამ მაინც მიამბო:

— საწერეთლოში მიწის ყიდვა-გაყიდვა და მიწისთან დაკავშირებული დავა ხშირად ირჩეოდა სახამართლოში. ზოგიერთი სადავო საკითხის განხილვა განგებ წლობით კიანურდებოდა. ამ საქმიანობაში არც ისე იშვიათად ერა ერთი აზნური, სახელად ვივა. მას ხშირად ეხმარებოდა ცრუ მოწმე, სწორედ ის მე-ზობელი, ვისთანაც დღეს დედა იყო. მიწის ნაშვილი პატრონი იძულებული იყო ვიგასა და მისი მოწმისათვის გარკვეული რაოდენობის

ფული გადაეხადა, რომ მაძო თავიერთი საჩივარი სასამართლოდან გამოეჩინათ. მინიმუმდებ შემთხვევაში, მიწის ყიდვა-გაყიდვა ვერ ვაფორმდებოდა. ამის გამო ხალხმა ეს ჩვენი მეზობელი ათვალწუნა, საკუთარი სახელი დაუკარგა და „ვიგას მოწმე“ შეირქვა. ამ დროიდან მასთან ურთიერთობას ვველა ვრიდებოდა, თუმცა მათ ერთმანეთთან ამაზე არავითარი შეთანხმება არ ქქონიათ. დამნაშავე თუ სასამართლომ ვადურჩება, ხალხმა მაინც არ უნდა დატყვეოს დასწყელი. „ვიგას მოწმეს“ ჩვენიც ისე უნდა მოვუქცეთ, როგორც სხვები. მან უნდა ვიგოს თავისი დანაშაულის სიმამე და გონს მოეგოს, შვილები მაინც გაზარდოს წესიერადო, — დამთავრა მამამ.

იმ დღეს ბავშვები გვიან გვასადილეს... „ვიგას მოწმეზე“ საუბარი საღამოსაც ვაგრძელდარეხი მგლისათვის ჩვენს წიპურტს რა მნიშვნელობა აქვსო, ამბობდა დედა. მამას კი სჭარბდა: ვველს წიპურტი ერთოდ მგელსაც მოდრეკს და ვეფხესაცო.

## 7.

ზაფხულის ერთ საღამოს კითხურიდან ტუქნიკოსი იონა ბელიაშვილი\* გვესტუმრა. მას ახლანან რაღაც მძიმე დაავადება ვადეიტახა და მამასთან მადლობისათვის იყო მოსული:

— ბატონო ვასილ, მე საიქიოდან ახლად დაბრუნებული ვაკი ვარ. რა მეშველებოდა, თქვენ რომ საყინულე არ გქონოდით! ჩემი ოჯახის წევრებს თურმე მთელი თვის განმავლობაში უვევლდე მოქმედათ თქვენგან ყინული. ღმერთმა ვადეიხადათ სიცივისათვის. საოყარია, რამ ჩავაგონათ ასეთი ლეთისხიერი საქმეო. — მიმართა მამას ბატონმა იონამ.

დედამ ეზოში კაქლის ძირას სუფრა გაშალა და სტუმარი მიიწვია. მე კარგა დიდი ბიჭი ვიყავი და მშობლებმა ნება დამართეს სტუმართან დეარჩენილიყავი. ბოძია იონა მომეწონა: საშუალო ტანის, დინჯად მოსაუბრე, ლამაზად ჩაცმული, თხელი და მოძრავი კაცი იყო.

— იონა ბატონო, მთელი საწერეთლოს თივადაზნურობა თქვენ ვაალბაკეთ: რაც მიწები ქქონდათ, ვველა თქვენ აუზომეთ და ჩამოართეთ. მიკერს, ამდენ გენერალს და ჩინიან ხალხს როგორ ვადურჩით, — ვაგებუმა მამა.

საუბრისას ბევრი რამ ვაიხსენეს. ჩანდა, რომ ძველი ნაცნობ-მეგობრები იყვნენ.

ბატონმა იონამ სთხოვა, რომ საყინულე ერვენებინა და თუ შეიძლებოდა, მისი აშენე

\* მწერალ აკაკი ბელიაშვილის მამა.



ბის ისტორია მოეთხოვ. მაშამ ჭერ საყინულე დათვალიერებინა და შემდეგ უამბო:

— 1912 წელს მეორე ვატი შემეძინა, და-  
ვითი დაჯარკვით. ბავშვი სამი წლისა იყო,  
როდესაც ტენის ანთებით გავავიხდა ავად-  
ხსნის ერთადერთ საშუალებად უქიმებმა უი-  
ნელით შეტრნალობა მიიჩნიეს. თოვლი რაჟის  
მოიღან უნდა ჩამოგეტრანა, სხვა გამოსავალი  
არ იყო. აგვიტო იგვა და ავადმყოფის ყი-  
ნულით უბრუნველყოფა იოლი არ აღმოჩნ-  
და. მე ყოველთვის მორწმუნე კაცი ვიყავი და  
ჩვენს ყველაზე ცნობილ სილოცავზე — გო-  
რჯავაზე ფეხმოშველი ავედი, ხატის წინ და-  
ვმეხე და შევევედრე ჩემი დათო გადაერჩი-  
ნა; იქვე აღვუთქვი, რომ საყინულეს ავტი-  
ლებლად ავაშენებდი. ჩვენი მხარის ბავშვებს,  
თუკი ასეთი დაავადება შეხვდებოდათ, არა-  
სილდეს არ უნდა დასტყდომოდეთ თავს უბე-  
დურება უინელის უქონლობის გამო. რაჟიდან  
თოვლად ვერ ჩამოუწრო, ვატი დამელუბა.

— გავიდა რამდენიმე თვე, — განაგრძო მა-  
შამ, — და მე ჩემი დამარების შესრულებას  
მიინც შევედექი. მაშალმერთს იქნებ გვიან მი-  
ეშაროთ და ამტომაც იყო, რომ ვერ დამეხ-  
მარა! საყინულე კითათრაში მომუშავე ბერ-  
ქენმა ინეინერმა დაამაროქტა, მანვე აამენა  
ამ მიწისქვეშა ნაგებობას ორი წელი ვაშენე-  
ბდი. როგორც ნახეთ, სულ თლილი კეთათა  
ნაგები. მისი მოცულობა 80 კუბური მეტრია.  
ამ დროს საყუთარი საცხოვრებელი სახლი  
ჭერ კიდევ არ გამაჩნდა და, თუ რაიმე დანა-  
ზოგე მქონდა, მთლიანად მას მომხმარდა. ყი-  
ნელის შენახვის ტექნოლოგია საკმაოდ რთუ-  
ლი გამოდგა. „გოდაბრელოქების ტბიდან“  
და ყუიროლას ნაბარებოიდან მოგვერნდა ყინული.  
საყინულეში მას რკინიგზის ვალონების, ვადა-  
პთილი ბუფერებით შეპარავით ეფუენილთ.  
მოთლი დღის ნაგრავებზე დავშენილსა და დატ-  
კენილ ყინულს დამით წყალს ვასხამდი,  
რომ გაყინულიყო. ასე გრძელდებოდა ყო-  
ველ დღე-ღამე, ვიდრე სათავსო მთლიანად  
მრგვალი თალის დასაწყისამდე არ გათავსო-  
და და ერთ შეღას ყინულად არ გადაიქცე-  
ოდა. ზოგჯერ ეს პროცედურა მთელი თვე  
გრძელდებოდა. ბოლოს თალისქვეშა ნაწილი  
ნახერხით ამოიყვებოდა და მთელი შენობა  
პერმეტრულად იხურებოდა. საყინულიდან ყი-  
ნელის გამოსატანად წინასწარ მიწისქვეშა ორ  
ოთახში უნდა გავგველო, რომ ძირითად ნაწი-  
ლში ტემპერატურა ავდიოდ არ შეცვლილი-  
ყო. ტემპერატურა ყინული დილით იდრე ან ღა-  
მით გამოგვეკონდა. ყინულის ის ნაწილი, რო-  
მელიც შენობის კედლებს ესახლებოდა,  
ნაწილობრივ დნებოდა, მაგრამ წყალი ყინუ-  
ლი სათავარ მასას სპეციალურად მოწყობილი  
დარეხავით შორდებოდა. ყინულის შენახვა, მო-  
ვლა და გაყენა საკმაო რაოდენობის ხარჯებ-  
თან იყო დაკავშირებული, მაგრამ არც ის სუ-

ლიერი კმაყოფილება იყო მეორე, რასაც მე  
და ჩემს ოჯახს ხალხის უსასყიდესი გამოხატე-  
რებიცებდა; ყველა ავადმურავის მკურნალობა  
წელი, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ მიქონ-  
და. ახლა შეგვიძლია დარწმუნებით ვაღი-  
როთ, რომ ჩემი პატარა დათოს სახელზე ამე-  
ნებული საყინულე ხალხს გამოადგა. ოინა ბა-  
ტონო, თქვენც რომ დღეს ჩემი პატარა მი-  
ქის სტუმარი ბრძანდებთ..., — დაამთავრა  
მაშამ თხრობა.

მე ყოველთვის ვმონაწილეობდი ყინულის  
შენახვაში, მოვლასა და გაყენაში, მაგრამ სა-  
ყინულეს ისტორია ამ დღეს პირველად მოვი-  
სვინე.

გავიდა დრო. მაშა ცოცხლებში აღარ იყო,  
მაგრამ მისდამი მადლოერების გრძნობას ხალ-  
ხი დროდადრო გამოხატავდა (იხ. ს. კაპანაძე,  
„ქველმოქმედება“, საჩხერის რაიონული გა-  
ზეთი „ახალი ცხოვრება“, 1970 წ. 10 ნოემბერ-  
რი).

8.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სა-  
ჩხერეში მხოლოდ რვაწლიანი სკოლა იყო.  
მოწაფეები ოთხგანყოფილებიანი სასწავლებ-  
ლის დამთავრების შემდეგ სწავლას ოთხკლ-  
ასიანი სკოლაში აგრძელებდნენ. საჩხერის სკო-  
ლაში სწავლობდა როგორც დაბის, ისე მისი  
ახლომხალე სოფლების — დუთის, ბაჭთის,  
სხვიტორის, ჩიხის, ორდულის, სარკეის, კო-  
რკლის, საირხის, მოძვის, არგვეთის, შერაქ-  
ვის, ქორხეთის, კალჯაის, გორისის, ივანწინ-  
დის, სავანის, ჭალის ახალგაზრდობა. მოსწა-  
ვლები სკოლაში რვა-ათი კილომეტრის მან-  
ძილზე ყოველდღე ფეხით დადიოდნენ. მო-  
სახლეობა ამ პერიოდში დიდ გაქირავებას გა-  
ნიცდიდა. მდიდრად ის ოჯახი ითვლებოდა,  
ვისაც საქმარის სიმინდი და ლობიო ჰქონდა.  
ყველა მოსწავლეს შინაწესოვი ტანსაცმელი  
ეცვა.

დაწყებითი სკოლის გამგე ანტო იურკევი-  
ჩი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვა-  
წის, რუს-იმერლის ქალიშვილი იყო. იურკე-  
ვიჩებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაი  
წერეთელთან. მათი ოჯახი საქართველოს ე-  
თილდებობისათვის თავდადებულად იღვწოდა.  
მალალი, გამზადარი, დიხაქურად სუსტი ქალ-  
ბატონი ანტო უდიდესი სულიერი სიძლიერის  
პიროვნება იყო. მას უსაზღვრო გავლენა ჰქო-  
ნდა მოსწავლეებზე, სკოლის ხელმძღვანელს  
მხარს უმშენებდნენ ახალგაზრდა მოსწავლე-  
ები თამარ ქავთარიძე და თამარ ლოლთბე-  
რიძე. მოწაფეები შეყვარებული ვიყავით ჩვენს  
მოსწავლეებლებზე და მათთან ყოფნა და სწავ-  
ლა ნამდვილ დღესასწაულად მიგვაჩნდა. ჩვენი  
მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ  
სკოლის ცხოვრებაში. თავის მხრივ, მოსწავლე-



ბლებიც მუდამ თვალუერს ადევნებდნენ მოწაფეთა ცხოვრებას და სწავლას ოჯახებში. ჩვენ, ბავშვებმა, ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით, ერთად ებარობდით და ბლა-ბოსტნე-ბნოაც ერთად ვმომოხმობდით.

1920 წლის შემოდგომაზე მამაჩემი დაბრუნდა უცხოეთიდან და საბუნებრივ კ. სტამბოლის პანორამა და ტყეების ფესხაცმელები ჩამოიტანა. პანორამა მერე დღესვე სკოლაში გაეაქაბა. ყველა დიდი ინტერესით ათვალეირებდა. სხვა საბუნებრივ სკოლაში კრინტიც არ დამიბრახს. მინდობდა ფესხაცმელები სახალ-წლოდ გამოემჩინა.

დევებმის თვე მიილია ახალი წლის წინა დღეებში მამა სკოლაში ყოფილიყო და მშობელთა საბჭოს სხდომას დასწრებოდა. იქიდან დაბრუნებულმა დედას და ბაბუა ილარიონს (ასე ვეძახდით ბავშვები დედის ქმარს) თავისი მოსაზრება ვუთხარა:

— სკოლაში თითქმის ყველას ქალაქიანი აცვია, მხოლოდ ორიოდე მოწაფეს აქვს ტყეის ჩუსტი; რას ივარგებს, რომ სერგო ჩაცმულობით თავისი ამხანაგებისაგან გამოირჩეოდეს. იქნებ სახალწლოდ ქალაქიანი ამოვიხსნათ, უცხოურ ფესხაცმელს კი მერეც გამოვიყენებ სო.

ბულაფეყვებიც დედამ უცხოური ფირმის ფესხაცმელები სკოლაში ჩაეცა დიდი ხნით...

ბაბუა ილარიონი იმავე დღეს შეუდგა საქალაქნო ტყეის დაბობას. ახალწლის წინა ღამეს მე უკვე მქონდა ახალი, თუშურად ამოსხმული ქალაქიანი. სკოლაში ჩემმა მეგობრებმა ერთხმად აღიარა, რომ ქართლურ ქალაქიანზე უფრო ღამაზია თუშური, ვანსაყურებობი მაშინ, თუ მას შიგ თამი აქვს ჩაფენილი.

9.

1918 წლის ივნისში საჩხერის მხარის გლეხთა შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა. 28 ივნისს დღის 9 საათზე საჩხერის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის პირველი ბრძანება რევოლუციური წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდებდა ხალხს. საჩხერაში რამდენიმე დღე ბოლშევიკური ხელისუფლება იყო. აჯანყებულებს ვილკ ვიგინდარები მიეტმასნენ და ხალხს ძარცვადნენ. ბოლშევიკმა მეთაურებმა მოძრაობასთან მზაკერულად მიტმასნელი პირების გასამართლება მოაწყვეს.

ამის შემდეგ რაიონი მენშევიკების დამსჯელი არაზში შემოესია და ახლომხლო სოფლებში ცეცხლის ალი ავირდა — აჯანყების მოწაფილეთა სახლ-კარი იწვოდა... ეკლესიის სამკაულოდან ტყვიამტრქვევი კაენებდა, დამოშობითაც ხშირად ისმოდა სროლის ხმა.

მამას ბოლშევიკურ გამოსვლებში მონაწი-

ლეობა არ მიუღია, მაგრამ ერთ ღამეს ჩვენც აჯანყიოყეს, აჯანყირს დეკემბერ-მარტისკენ. კარგად მახსოვს, მამას ტყვედმე-ქვედმე... რამდენიმე წუთის შემდეგ ეზოში თოფმა იგრაილა და დედამ შეუკოვლა. ბავშვები კოდე უფრო ძლიერად დაეკარით ერთმანეთს...

დილით მამა დაბრუნდა, ყველა გაეხიარეთ. ის ორი შეიარაღებული კაცი, ვინც თავს დაგვესხა, თურმე მძარცველები ყოფილან და მამასთვის ყველაფერი წაერთმევათ, რაც თან ჰქონდა. მერეც დღეს ბიძაჩემი აღექსანდარე სკეებოდა.

— ყველა საევეო პირი რევოლუციურ კომიტეტში მიუყვანიათ. ესაც ხალხი ამოყენობს და დანაშაულს დაუმტკიცებს, გაასამართლებენ.

დამნაშავეების დასადგენად, სხვებთან ერთად, მამაჩემიც წაიყვანეს. ოჯახის წევრებს, მეზობლებს, ყველას ძალიან ეწყინა, რომ მამამ თავდამსხმელთაგან ვერცერთი ვერ შეიკნო.

გაციდა წლები. 1918 წლის აზებში თითქმის დავიწყებას მიეცა. ცხოვრება აეწყო, ბავშვები დავიზარდეთ; ზოგნი ემსახურობდით, ზოგნი უმალესნი ესწავლობდით. მამის თხოვნით, ჩვენი ოჯახის წევრები ყოველ ახალ წელს საჩხერაში ერთად ვხვდებოდით.

1935 წლის უკანასკნელი დღე იწურებოდა. ღამდებოდა. მიწას ზანტად მოფარტატე თოვნი ფანტლები ეფინებოდა... ეზოში რამდენიმე იმერული ანაჩა ურტში შემოჭრილდა. შენა მოიტანეს. მერეშეხებ ჩქარობდნენ, ახალ წელს ოჯახებში უნდა შევხვდეთო. მამამ ისინი თითო ჰიქა ღვინოზე მიიპატეცა. ერთმა თმამევერცხილიშა კაცმა, ეტუბოდა ის უნდა ყოფილიყო მერემეთა მეთაური, მამას მიმართა:

— ბიძა ვასკო, წელს 17 წელი შესრულდა რაც ჩემი ნათლია ბრძანდებით. თუ შეიძლება ჩემი ვაჟი თქვენს შეილებს გააცაბით. მამამ სამივე წარგადგინა და საბუნებრივით დიდი მადლობა გადაუხადა. სუფრასთან კოტა ხანს დარჩნენ, დავკოცეს და გულს გაუდგანენ. ჩვენ მივხვდით: მამა ამ სახალწლო ნობათს არ მოელოდა, ისიც ჩანდა, რომ მისთვის ძღვენი მატერიალურ ღირებულებაზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მამა შეგვიპირდა: თუ მოთმინებას გამოვიჩენდით, მომავალი წლის პირველსავე დღეს ყველაფერს გვიამბობდა. რამდენიმე საათის შემდეგ მართლაც შემოვუსხედით 1936 წლის 1 იანვრის სუფრას და მანაც დანამირები შეგვიტრდა.

— 1918 წლის მარტში, როდესაც მენშევიკების დამსჯელი გვარდის პირველი ყუშმარია ჩვენს ეზოში ჩამოვიარდა, შენ, სერგო, 8 წლის შესრულდი, ანდრო 3 წლისა იყო, კოტე, შეილო, შენ კი 10 დღისა იყავი. მაშინ ჩვენს



10.

საქართველო  
საზოგადოებრივი ცხოვრება

რაიონში რა ამბებიც დატრიალდა, ახლა თქვენ სამივემ კარგად იცით. და აი, იმ უჩვეულო კვირის ერთ დღეს გვარდიელების სახელით ორმა შეიარაღებულმა პირმა ჩვენს ოჯახს მოაკითხა დედა ისევე ლოკინად იყო სერგოს ასსოვს კიდევ, ალბათ, — განაგრძობ მამამ. — წამიყვანეს ყვირილის პირისკენ და გამძარცვეს; თან რაც მქონდა, ერთმა, ასაკით უფროსმა, წაიღო და წავიდა. დამის სიბნელეში მისი გარეგნობა ვერ გავარჩიე. მეორემ, რომელიც იარაღით ხელში თავს მიდგვა ბრავუნის სისტემის რევოლვერი მომთხოვე, საიდანაც გავგო, რომ მე მას ვატარებდი ზოლზე. დღიამდე მისი თხოვნის შესრულება არ შემიძლო, რადგან რევოლვერი სხეულზე მქონდა დამოკიდებული.

მეორე დღე უკანვე სახლში მომიყვანა და მე მას ბრატუნინგი ჩამოვუტანე. მისთან საუბარში დავრწმუნდი, რომ ეს უწვეკრულეაშო უბირი ჭაბუკი ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოებისათვის დაკავშირებული ვთხოვე, ეს რევოლვერი ჩემგან სასტუმროდ მიეღო. წასვლისას დამიბარდა: კლდე საქმისათვის არ გამოვიყენებო. ამ შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ შეინიშნულ დამანაშავეთა შორის რაზმელებს ისიც ჰყავდათ დაპატიმრებული. დილით აღრე, როცა ჩვენი ეზოდან გადიოდა რევოლვერით ხელში, მეზობლად დავინახე. მასთან რომ მიმეყვანეს, ყმაწვილი, რა თქმა უნდა, შეხვედრისთანავე ვიკანი, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. მაგრამ კომისიას მტკიცედ განუცხადა, ამ კაცს პირველად ვეხდებოდეთ. რადგანაც სხვა ბრალშემდეგი არაიქნა ჰყავდა, იგი გაანთავისუფლეს. მეორე მძარცველი არ იყო, ვინ ვერ ვიცანო, ვერ ვიტყვი. ერთი წლის განმავლობაში მისი ასაკულ-დასავალი არ გამიგია.

1919 წლის მისში ჭაბუკი გამოემცხადა და ბრატუნინგი მოშლინა. არ გამოვართვი, გვახსენენ, რომ მე რევოლვერი ვაჩუქე და დამანაშავედაც ამიტომ არ ჩავთვალე. 1920 წელს კვლავ მომიკითხა, ახალგაზრდა გოგონა მოიყვანა და ჩემი თავი გაეცნო — ჩემი ნათლიააო. ასე გამიჩინა ახალი ნათლული! კიდევ ერთი წელი გავიდა და ნებართვა მოხოვა — ვაგი შემიძინა და თუ შეიძლება ვასიკოს დავარქმევო. დღეს თქვენ ეს ვასიკოც ვაიცახებთ და მამამისიც. ელვისხარი შესანიშნავი კაცი დადგა. მიხარია, რომ მის აღზრდაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი. შეილებო, ვთხოვთ თქვენც იმეგობროთ მათთან, კარგი ხალხია. ახალი წლის წინა დღეს ზოგჯერ გამიხსენებს ზოლზე. დღეს ამ ამბავს თქვენც შეესწავლით — დამთავრა მამემ ეს დიდი ხნის ამბავი.

სუფრასთან შეილებსა და მამას შორის კამათი გაიშარო... სწორედ მოიქცა ეს მამა? სად არის იმის გარანტია, რომ დანაშაულის დაფარვა ყოველთვის დადებით შედეგს გამოიღებს?

1922 წლის ზაფხულზე მდინარე ვეჩორისა უჩვეულოდ ადიოდა. ყველა ქვიბრი გადალახა და ხალხს დიდი ზიანი მოიყენა. მოაღწია თუ არა წყალდიდობის ამბავმა ჩვენამდე, წადევრო, დედამ ველარ მოისვენა: ოჯახს უნდა მივხედო და საჩხერეში წავიდა, თან 3 წლის ვაჟი წაიყვანა. უფროსი შეილები მამასთან დავერჩით. დედას, როდესაც შორაპანში ჩავიდა საჩხერე-შორაპანის რკინიგზა მოშლილი დახვდა, მატარებლით მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. რას იზამდა, ბავშვით ხელში რამდენიმე ათეული კილომეტრი ფეხით უნდა გაველო. პატარა შოთა თურმე დიდტერიით იყო ავად და გზაში გარდაიცვალა... ოჯახის დანარჩენმა წევრებმა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოვახერხეთ შინ დაბრუნება. დედა მძიმე ავადმყოფი დაგვხვდა, რამდენიმე თვე გბრძოდა სიკვდილს. წლის ბოლოს, ზამთრის პირას, ცოტა მომიჯობინდა.

1923 წლის ზამთარიც უხეტოელიანი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეს გადაუღებლად ბარდნიდა და ყველაფერი თოვლმა დაფარა. მოდინახეს ტყიანი ფერდობებიდან გარეულმა ცხოველებმა დაბას მოაშურეს; კურდღელსა და მელას ქუჩებშიაც შეხვედებოდათ. ჩვენი სახლის ახლო გორაკების ბუჩქნარი ფრინველებით აივსო. ისინი დამშულნი იყვნენ და ფრენა აღარ შეეძლოთ. განსაკუთრებით ბევრი იყო ჩხიკვი. ბავშვები ფრინველებს კალათებში ეავროვებდით და გამოსაზამთრებლად ბინებში მიგვყავდა. ოცამდე ჩხიკვი შეეცოვოყვანა შინ. ფრთებდაამიმებულნი ის მოშულენ ჩხაკვები ისხდნენ ბუბრის წინ და ხორბალს ენკაყენდნენ. რამდენიმე დღეში ისინი მოშინაურდნენ და ახლა ერთთავად დედას ლოკინთან ბორალობდნენ. ოჯახის ახალი წევრებით დედამ უზომოდ გაიხარა, მათი მოვლით და მოფერებით ერთობოდა კიდევ.

თოვლი სკოლის ცხოვრებაშიც შემოიჭრა. მოწაფეები დაქვენებებზე, მეკადინეობის დამთავრების შემდეგ გაუთავებლად ევხუბდობდით, თოვლში ეკლიაობდით, თოვლის სახლებს დაშენებდით. ერთ დღეს ჩემი ნასროლი გუნდა ამხანაგებს ასცდა და სკოლიდან მოულოდნელად გამოსულ კატრეა მასწავლებელს თვალში მოხვდა. იგი დაუყოვნებლივ ექიმთან წაიყვანეს. ქალბატონი კატრეა (კვარტრინე) აბაშიძე ჩვენი უსაყვარესი მასწავლებელი იყო და მისი დაშვება მთელმა სკოლამ ძლიერ განიცადა. ჩემი მდგომარეობა მეტად მძიმე აღმოჩნდა. ჯერ სკოლის დირექტორმა ეანო წერეთელმა დამტყუა, შემდეგ გოგონები დამესივნენ და საყვედურებით ამავსეს. მე, როგორც შემდეგში მითხრეს, თურმე გულამოსკენით ვტიროდი. შინ კიდევ უარესი მდგომარეობა დამხვდა: ერთ ჩემს ამხანაგს

დედასათვის ამბავი შეტანა — სერგომ კატრეში მასწავლებელს თვალი მოთხარაო და დედას გრძნობა დაეკარგა. აღარ ეიცოდა, რა შექნა: აქეთ დედა, იქით მასწავლებელი.

რამდენიმე დღის შემდეგ სამასწავლებლოში დამიძახეს, უკვე გაერკვიათ, თუ როგორ უცაბედად მოხდა უველაფერი. ჩერ გამიწყრნენ, შემდეგ კი დამარტყნეს და გამამხნევეს: კატრეში მასწავლებელს თვალი უკეთ აქვს, მალე სკოლაშიც დაბრუნდებაო. ეს დროც დადგა. გაიღო კარები და თვალახვეული კატრეში მასწავლებელი ოთახში შემოვიდა. მთელი ჯგუფი სულხანებელი ეწოდა, თუ რა მოხდებოდა. ქალბატონი ვატირინე პირდაპირ ჩემთან მოვიდა თავზე ხელი გადამსხვა, გულში ჩამყრა და მოწაფეებს მიმართა: „ხომ დარწმუნდით, თუ რა შეიძლება მოხდეს თქვენს გაუთავებელ ცეკოებსა. აწი მინც მოიქეციო წესიერადო“. მე ოცნებით უკვე დედასთან ეიფავი, ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე გავეგო მას, რომ კატრეში მასწავლებელი უცნებელია და რომ მამატიო დანაშაული.

ამას წინათ ქალბატონმა ვატირინემ ჩემი დაბადების 75 წელთან დაკავშირებით ბიანაზე დამარტყა, მომიბოცა და შეამახსენა — „გახსოვს, სერგო, თვალი რომ კინაღმ ამომიგდებ, შენი გაოგნებული სახე ახლაც თვალწინ მიდგას; რა ვეცაკიო როგორ ტირიდიო“.

## 11.

ჩემი ბავშვობისას სახეგრეში ორი ტბა იყო, რის გამოც დაბაში ერთხანს მალარია გავრცელდა. დაიადებას ვერც მე ვაღვეურჩი და ორი წლის მანძილზე ციებ-ცხელება დროდადრო მესტუმრებოდა ხოლმე. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, როგორც იქნა, მალარიას თავი დაეღწიე, მაგრამ განმრთელობა შემერყვა, სიერთოდ სისუსტე დამჩნებდა. ჩვენი ოჯახის მეგობარი, ცნობილი ექიმი, სვეტიცხაძე ტოლოშვილი ყოველთვის მაიმედებდა, ნუ გევიტრება, გამოჯანსაღდები, მთავარი პერსონა უფროაო. თვალურს მდევრებად სკოლის ექიმი ანდრია გამრეველიც, ხშირად მარბებდა: ყველაფერი კვებაო.

1926 წლის თებერვლის პირველ დღეებში კიათურის სრული საშუალო სკოლის ყველა მოსწავლის განმრთელობა შეამოწმეს და შედეგები 7 თებერვალს გამოვეცხადეს. ყველაზე მაკარი განაჩენი წილად მე და სტეფანე ჭაპიჭანაშვილს გვერგო, სწავლას დროებით თავი უნდა დაანებოთ, თქვენს ფილტვებს ცოტა უჭირს, სკოლაში თქვენს სიარული არ არის სასურველი. სკოლის დირექტორი მოგვეფერა, დაგაჰმედა, მალე გამოკეთდებით და სწავლას კვლავ გააგრძელებით. ორივემ იმავე დღეს დაეტოვეთ სკოლა.

კიათურაში ამხანაგებთან ერთად უკრომ ბინაში ვცხოვრობდი. ერთ პატარა კარხანაში ვიყავით. სალამოს ჩვენსმდე მსახურებში მოვიდნენ და შეიქნა ბჭობა, როგორც უნდა მოქცეულიყავი. ჩემი სკოლიდან დათხოვნა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენი უჩვეულო ხმებზე სახლის პატრონი სეთი (გვიარი აღარ მახსოვს) გამოვიდა, საქმის ვითარებაში მალე გაერკვა და დასკენაც შეაფიოდ ჩამოაყალიბა:

— საევეო არაფერია, ბივს ქლექი ჭირს, ბინა ხეალეე უნდა დამოცალთ, ჩემს მდგომარეობაშიც შედით, პატარა ბავშვების პატრონი ვარ.

ჩემმა მეგობრებმა სახლის პატრონი დაამშვიდეს:

— სერგო დღეს დამის მატარებლით საჩხერეში მშობლებთან მიდის, ჩვენ კი ხეალეე მოეძებნით სხვა ბინას.

ბიძია სეთი დამყნარდა და „მომეფერა“: — ნუ შეშინდა, ახლა თებერვლის დასაწყისი, ქლექიანებს განსაუთრებით მარტის თვეში უჭირთ, მანამდე კიდე ბევრი დროა.

ამხანაგებმა ჩამსვეს მატარებელში და აღმოთქვეს, რომ ხშირად მომინახულებდნენ.

ყოველივე ელვისებური სისწრაფით მოხდა, ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვაწყარი. მამა შინ არ დამხვდა, დედას უველაფერი ეუამბეს. ის მისმენდა და ჩემად ტიროდა. მამაჩემი გვიან დაბრუნდა, დილით სამუშაოდ არ წაივალა და ჩემთან ერთად ისაუბრა, ყველაფერი გამოკითხა და მირჩია სალამოს ბიძია სვეტიცხაძესთან გადაესულიყავი, დაწერებლით შეამხნა, რაც იყო. მამამ წასვლის წინ ჩემი პატარა და ცუფა მუხლზე დამისხა და დამიძახა: ლექსები ასწავლე, ეთამაშე, მგერამ არ გაასტელოო. დედამ ბავშვები სკოლაში არ გაუშვა, ოთხივე მე შევეუოდა, არ იცოდნენ, რა მოხდა, რა უნდა გაეფიქრებინათ.

სალამოს ბატონ სვეტიცხაძეს მივაკითხე. ელვალადი. მის ზელში დავიბადე, როგორც იტყვიან, მან „ამოვიანა“ და საბოლოო ვახიჩენიც მას უნდა გამოეტანა. მომისმინა, დიდხანს მსწრა და მშვილედ დასკენა: — ახალი არაფერია. ამა, გაახსენე, რამდენჯერ გქონია ოცდაცხრამეტი-ორმოცი გზადესი სიყვ. რაც ახლა შენი ფილტვებიდან ისმის, ეს არც მოულოდნელია და არც საშიში. ექიმი ვარგველი სწირად მოიქცა, სიფრთხილეს თავი არ სტკიავ. დასტევენ, უვირილს პირას ხშირად იარე, დროზე და კარვად იყვებ, მალე მომეჭობინდები.

არ ვიცი, რა მომივიდა, მაგრამ ჩემთვის სათავანებელი იდამიანის სიტყვა ამყარად გულს არ მოჰკარებია, სადაღდ შორს ვიყავი წასული. მხოლოდ ერთი სიტყვა „სიკველი“ მიტრიალებდა თავში. ჩვენს ოჯახში სიკვედილს ორჯერ შევეცხარა, როდესაც სამი წლის მამა, მა-



ტარი შოთიყო დაეკარგეთ და რაცა ბაბუა ილარიონი ვარდაიკეა. მაშინ დიღხანს ეფო-ტრობდი, თუ რა არის სიკვილი, რა უნდა ჩვენგან, მაგრამ ვერაფრით დასკვნად ვერ მიუღდი. ახლა უფრო ვაგონებულ კაცს ვგა-ვლი; ზელში შეკავა ფანქარი და დაუსრულე-ბლად გამოშვებდა კითხვის ნიშნები.

ადამიანის სიცოცხლეზე ფიქრი ყოველთ-ვის მიეყარდა, მაგრამ სიკვილის არჩილი ასე მკაფიოდ და ახლოს ადრე არსოდეს შე-ბინიშავს.

სიკვილ-სიკვილის პრობლემას მე და ჩე-მი ამზანავები ძირითადად არჩილ ჯორჯაძის ნაწერებით ვიცნობდით, ზოგჯერ მის პოლე-მიკურ წერილებს ვკითხულობდით ხოლმე. ამ აფორიაქებულ მდგომარეობაში კვავ ჩვეუ-ჩვეი მის ნაწერებს, საოცრად მოერგო იმდ-როინდელ ჩემს სულიერ განწყობილებას არ-ჩილ ჯორჯაძის „წერილები იტრიის წისკვილი-დან“ („იმა ქვეყანათა ხელშეგება“).\* ავტო-რის აზრით, ადამიანის სიცოცხლე დღესაც ორი ბნელი უფსურულის წინაშე დგას; დასა-წყისიც და დასასრულიც წყევლით არის მოცული... და სწორედ ამ აზრით არის გაშ-პვალული სოლომონ მეფის საფლავის წარწე-რაც: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველი საფ-ლავსა ამაჲ შინა“.

თითქმის ორი კვირა გავატარე არჩილ ჯო-რჯაძის ფიქრთა სამყაროში. დავეწიფე მის სხვა წერილებსაც ლიტერატურაზე, რელიგია-ზე... შევეცადე გაეგო, თუ რატომ ეძებდა ლეე ტალატო თაიის ხანგრძლივი მოღვაწე-ობის მანძილზე სიცოცხლის აზრს; რა შეეძ-ლო მოეცა რელიგიას. ვერ გავერკვიე, გონე-ბა მუხტრუბებში მომექცა, სულიერი მარტო-ბის შემეშინდა, მოქმედება მომინდა.

მეგობრებს მივაშურე და მოულოდნელად თავი სკოლაში ამოვყავი. ბიჭები შემომხევიე-ნენ, მეფერებოდნენ, მეშეტრებოდნენ — სკო-ლიდან აღარ გავიშვებთო, ამოსუნთქვის საშუ-ალუბას არ მაძლევდნენ. რამდენიმე წუთში ჩემი დაეადება სულ გადაეფიქვდა, ჩემთვის უკვე სკოლა იყო ყველაფერი. როდესაც ქა-ლებს ჭკუფიც გარს შემომხევია, ჩემს სიბა-რულს საზღვარი არ ჰქონდა. უერად მათ შორის „ისიც“ შევიწინე. თავი ვერ შევიკავე და ხელეზავალილი გავქანდი; მისი გამოჩენის დროს მე ყოველთვის ეწითლდებოდი. გაწე-დილი ხელები პაერში დაშრჩა. გოგონამ ორი-ვე ხელი ზურგზე დაილაგა და დინჯად მომშა-რთა: — არ გეწყინოს, ხელს ვერ ჩამოგარ-თმევა შეშინა... — აღგიღებევა გაეშემდი,

\* თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მესამე. ნაბრევი. ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია, 1911, თბილისი.

გონება დაეზინდა და იმავე წუთში იქაურო-ბა დაეტოვე. საღამოს უკვე მინი ჩაქვითი... ქველურად ჩემს ოთახში ჩვეულებუ-ღიერი ღელვა ვერ დავიკე. მოგვიანებით ჩემი ციხესიმაგრე ისევ პატარა ოქროსკუ-რულეზიანა ცუფამ აიღო; ორივემ ერთად ვისწავლეთ ღელსი.

მეორე დღეს მეგობრებმა მომაკითხეს. შე-წუხებულნი იყვნენ „მისი“ მოქცევი. დღ-ხანს ვისწავლეთ, რა უნდა მელონა. არც ერ-თმა არ ვიცოდით, რა მოუხდებოდა ჩემს აფო-რიაქებულ სულს, გაღზიანებულ ფსიქიკას, რით უნდა მომეცელებინა თავიდან ამდენი კითხვის ნიშანი. ერთი რამ ცხადი გახდა: ავად-მყოფობმა არ გამოიერებულა და აქოზებდა შინ მაინც შემეცადინა, გამოცდენისათვის მოვ-შზადებულყავი. მე ხომ რამდენიმე თვეში სა-შუალო სკოლა უნდა დამეშთავებინა!

ოთხმა ამზანავმა შეეკარით ჭკუფი და სა-ღამომით დაეწიფეთ მეცადინება მათემა-ტიკაში ტერენტო ტყემალაძის ხელმძღვანე-ლობით. რაც უფრო მეტად ვიყავი დაეკებუ-ლი და მოემატე სწავლას, მით უფრო დამე-უფლა სიმშვიდე. ახლა, თითქმის ექვსი თე-ველი წლის შემდეგ, როდესაც ვათვლიერებ ჩემს მაშინდელ სწელტანიან რუველებს, მი-კვირს როგორ ამოხსენით 4 თვის განმავლო-ბაში ამდენი მაგალითი და ამოცანა აღებე-რაში, ტრიგონომეტრიასა და გეომეტრიაში!

დადგა მაისის ზოლო. აშკარა იყო, რომ სუ-ლიერი კრიზისი გადაეიტანე. სკოლაში გამო-ცდების ჩასამარებლად დაებრუნდი.

ყველა კარგად შექცეოდა, განსაკუთრებუ-ლა უურადღებით მასწავლებლებს შეგვარბო-დნენ. ივნისში სიმწიფის ატესტატი გადაშო-ცეს.

ის, რაც 7 თებერვლიდან 25 ივნისამდე გა-ღამზდა, უფრო სიზმარს გავდა, ეიღერ სინამ-ღვლეს. მის შემდეგ ზნორად მიფიქრია: ნე-ტაე რამ გადამარჩინა? ალბათ, ოჯახის, ეკი-მის, მეგობრების შეხმატებლებულმა ზემოქ-მედებამ და შრომისადმი ჩემმა დამოკიდებუ-ლებამ.

12.

საჩხერის ახალგაზრდობა ზაფხულობით ზში-რად იჭრებოდა დავით მანჯიტის ეზოში, ლენინის ქუჩაზე. დავითი ქიათურაში მუშაო-ბდა შავი ქვის მტვირთავად, ამისთანავე, ქია-თურის მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკო-ლაში სწავლობდა. დავითის მამა — იორდანე კუნთმაგარი, სახეზე მუდამ კეთილი ღიმილ-გაღფენილი, ახოვანი ვაჟაკი იყო; დედა — ორინე ქართველიშვილი ნაზი, სათნოებით სა-ესე ქართველი ქალის განსახიერებას წარმო-იდგენდა. დავითის მშობლებს თავისი ახალგა-ზრდობა თავად ამირიღონ წერეთლის საშა-

ხერში გაეტარებინათ და ახლა, მოხუცებულობის დროს, მის მიერ ნაბოძებ ადგილზე ცხოვრობდნენ. სამი აღმზიანი და ორი წაბლა ხარი ერთთობიანი პატარა სახლის ბინადარნი იყვნენ: ხარები ხის შორებზე იდგნენ, აღმზიანებს კი მიწით მოფენილი იატაკი რგებოდა... ოორდანე ყოველდღიურ ლექსა-პერს მეურვეობით შოელობდა, აკინიგზის სადგურადან დაბაში ტვირთს ურმით ეზიდებოდა.

სახლთან, მწიანე ბაღებით დაფარულ ეზოში დიდი ჭოთის ხე იდგა. ამ ხის ფართო ჩრდილში ახალგაზრდები ეყრიბებოდით. ხოლმე და სხვადასხვა საყოფიერე ვსჯელობდით. დაბის მოსახლეობამ მხატვრებების ეზოში ჩვენს თავყურას „მარხას აკადემია“ უწოდა, ხოლო დავითი „აკადემიის პრეზიდენტი“ იქნა აღიარებული.

„მარხას აკადემიას“ საფუძველი 1925 წელს ჩაეყარა და მისი ზემოქმედება ჩვენს გოგებზე 7 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. პირველი სამი წელი უმაღლესისთვის მზადების საკითხებს მივძღვნა, შემდეგი დრო კი სტუდენტობის დროინდელ პრობლემებს. კორპორაციის წევრები იყვნენ: ამბრაკო გაჩეჩილაძე, სიმონ და გუგულა შათაშვილები, გრიგოლ გრძელიშვილი, ამბროსი და გენადი საღუნისშვილები, იროდიონ თუშინშვილი, ვიორჯი და სიმონ ლულუნიშვილები, ბორის წერეთელი, გოგობა საყვარელიძე, დავით ფანჯელიძე, გიორგი კლმახელიძე, შალვა კვცილიშვილი, სტეფანე და ვლადიმერ კალოვანი, ალექსანდრე კაპანაძე, დავით მაისურაძე, ვიორჯი აბუჯაძე, ილია აბრამიშვილი და ამ სტრიქონების ავტორა.

თანამეგობრობის წევრთა ასაკი „აკადემიის“ დაარსებისას, 15-დან 21 წლამდე იყო. არც ერთ ჩვენთაგანს საშუალო სკოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ყველანი უმაღლესი განათლების მიღებაზე ეოცნებობდით. უმრავლესობა ჭიათურაში სწავლობდა, რამდენიმე ახალგაზრდა თბილისსა და ქუთაისში. ჩვენი მსჯელობის საგანი იყო, რომელს რა სპეციალობა აეყარჩია, რა ეთხიდან ჩავმდგარავით ჩვენი ქვეყნის სამსახურში. დღესსრულბეული კამათის შემდეგ მხოლოდ ერთში შევთანხმდით: მოეშადაბეულოყავით ყველა საგანში თანაბრად, ძლიერად. მათემატიკაში ჩვენი მუღმივი კონსულტანტი და დამხმარე ტრენერი ტყემალაძე იყო, შემდეგში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესში ჩასამარებლად დანარჩენ საგნებს დამოუყოღებლად ვსწავლობდით და დროდადრო ერთად ეიშვორებდით, ერთმანეთს ეკონტროლებდით და ვესმარებოდით კიდევ.

სავალდებულო საკითხების გარდა, მუღამ გვექონდა საავექო პრობლემები. კარგად შოგესენებათ, თუ რა ფართოა ახალგაზრდობის ინტერესები. უფრო ხშირად ვსწავლობდით

საქართველოს ისტორიულ წარსულზე, პიროვნების როლზე ისტორიაში, სტრუქტურულ ცვლილებებსა და დასასრულზე, სოციალურ ცვლილებებზე, სივარულზე, სარწმუნოებაზე, სხვადასხვა ლიტერატურული ფანრის მომავალ ბედზე, ქართულ თეატრზე, ქალთა ემანსიპაციაზე და სხვ. იმ დროს სკოლებში გაერელებული იყო ლიტერატურული გასამართლებები. ჩვენს სკოლაში ყველაზე პომუარული იყო აკაიის „გამზადების“ და გიორგი სააკაიის გასამართლება. ამ საკითხებისათვის არც ჩვენ აგვიღლია გვერდი. ლიტერატურული თემები ამბრაკო გაჩეჩილაძის მეთაურობით მუშავდებოდა, ბუნებისმეტყველებაში პირველი სიტყვა დავით მაჩიტაძეს ეუთენოდა, მათემატიკისებად სიმონ შათაშვილი და გენადი საღუნისშვილი იოვლებოდნენ. უმრავლესობა „არც მისს“ ეოყავით და არც „ბარის“, ხან ერთ საგანში გავიჯებდით და ხან მეორეში.

ორი წლის დამბულო შრომის შემდეგ თითქმის ყველანი თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით. თითოეული ჩვენთაგანს სწავლის სფერო გაირკვა და ახლა უკვე ჩვენი მომავალი სპეციალობის პოზიციებიდან ვსაუბრობდით. „მარხას აკადემია“ ლაი ცის ქვეშ მოქმედ ახალგაზრდების კლუბს დაემსგავსა. საზაფხულო შეკრებების გავლენის სფერო გაიზარდა. რაიონის მრავალმა ახალგაზრდამ მოისურვა ჩვენთან დაკავშირება, ახალი წევრები შემოგვემატა. თანამეგობრობის წევრთა ურთიერთობა კიდევ მეტად მჭირდა და მრავალმხრივი გახდა. „მარხას აკადემიის“ „გამსვენელი სესიები“ ყვირილის პირას სპირის წისქვილთან იმართებოდა. მეწისქვილე სპირია ზამზახიძე ბევრი რამის მომსწრე იყო და მის ცხოვრებისეულ სიბრწყნეს სიამოვნებით ვისმენდით.

ისმის კითხვა: მაინც რამ მივეციბინა ასე ძლიერად დავით მაჩიტაძესთან, რამ დაგვაკავშირა ახალგაზრდები ასე მჭიდროდ ერთმანეთთან. ხალხის მიერ არჩეული ჩვენი „პრეზიდენტი“ პატიოსნებით და სიკეთით სავსე ბუნებით სათნო, შრომისმოყვარე პიროვნება იყო. თავისი ასაკისათვის ფართო განათლება ჰქონდა. განსაკუთრებით კარგად იცნობდა სიბუნებისმეტყველო ლიტერატურას. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში დავითს ბუნებისმეტყველებაში არჩილ ავალიშვილი ასწავლიდა, შენაინაზავი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დავითს დაწერილი რეფერატი „ჩარლზ დარვინი და ბუნებისმეტყველების განვითარება“ ჭიათურის ყველა სკოლის მოსწავლეთა ხეულიდან ხელში გადადიოდა. შემდეგში დავითი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ხანგრძლივ გაპირვებას მის თვალეში ნიღველი ჩაესახლებინა, მაგრამ იუმორის გრძნობა და სიცოცხლის წყურვილი მასში

შადრეანივით ამოხეთქადა ხოლმე. დაეთით არასოდეს არავის არაფერს სთხოვდა, თავის შეხედულებას არავის თავს არ მოახვევდა. და მაინც მის აზრს ყველა დიდ ანგარიშს უწევდა, აზროვნების ორიგინალობით ყველასაგან გა-  
მოირჩეოდა.

აღბათ მართიკივების მთელი ოჯახის სისპე-  
ტავე და პატიოსანი შრომა, დაეთითს უხადო  
მორალი, სულიერი სიმდიდრე და ნათელი გო-  
ნება, შეუტნობელის შეინობისადმი მუდმივი  
ღლონა, სხვებისთვის თავდადება და სამშო-  
ბლოს დიდი სიყვარული იყო ჩვენი მისდაში  
უკიდგანო პატივისცემის საძირკველი. დაეთით  
ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, დუზ-  
პირმა ცხოვრებამ და წიგნმა იგი ადრე დაამ-  
რძენა. რაც შეეხება თანამეგობრობის წევრ-  
თა მტკიცე ურთიერთკავშირს, ამას მნიშვნე-  
ლოვნად ამირობებდა „კორპორაციის“ ნებაყო-  
ფლობითი ხასიათი და იდეალთა, ინტერესთა  
ძირეული ერთიანობა.

„მაჩიას აკადემია“, როდესაც ამას საჭი-  
როება მოითხოვდა, ყოველი ჩვენთაგანის მო-  
ქმედებასაც აძლევდა სათანადო შეფასებას.  
მოყვივან მხოლოდ ერთ მაგალითს.

ეროხელ, სრულიად მოულოდნელად, ერთმა  
ადგილობრივმა ხელმძღვანელმა სამ ჩვენგანზე  
მოიტანა ეჭვი, რომ კადრების ფურცლების  
შევსებისას ანკეტებში თითქოს ყალბი ცნობე-  
ბი ჩაეწერეთ და მოთხოვა სამივეს დასჯა.  
უფროსი თაობის სხვა წარმომადგენლებმა არ  
დაიყვარეს ჩვენი დანაშაული და აქტიურად  
ჩაეჩივნენ სიმართლის დადგენაში; დაბაში ხომ  
ყველანი კარგად ვიცნობდით ერთმანეთს! მალე  
გაირკვა, რომ ერთ-ერთ ჩვენი წრიდან გარეთ  
მდგომ ახალგაზრდას, შეტსაზელად „ენუქარს“,  
თავისი ხელით შეეტანა ყალბი ცნობები სი-  
მივეს პირად ფურცელში და ხელიც ჩვენს  
მაგივრად მოეწერა. დაშინავე მოიძებნა, ჩვენ  
გავმართლდით. მაგრამ სიყალბის ჩამდენი არა-  
ვინ არ დასაჯა! როდესაც ჩვენს განცხადებებს  
აღმინისტრაციულ ორგანოებში არავითარი ყუ-

რადღება არ მოაქცევს, მაშინვე შევწყობენ სი-  
კეთარ „ხევისბერს“ — დაეთით: ვთხოვეთ,  
მოლაღატის საქმე ხევის ადამიანს მიხედვით  
გაერჩია. „თემის ყრილობა“ მდინარე ყვირი-  
ლის პირას, ე. წ. კეხთან მოეწყო. საბარო-  
დებო სტყვა ამბერკვი განეჩილაქემ გარამო-  
ქვა, საქართველოში მოლაღატის დასასყელად  
განკუთვნილი ყველა კანონი გაგვაცნო და  
სასყელის უმაღლესი ზომა მოითხოვა. გაცხა-  
რებელი კამათი გაიმართა. „ყრილობა“ ენუ-  
ქარს სიკვდილი მიუსაჯა. დადგა დადგენილების  
„შესრულების“ დრო: პიტალო ქვას მივაკარით  
ენუქარის სურათი და წვრილი ქვეთ დაეც-  
რილეთ, შემდეგ მსხვილი ქვეებით ჩაეჭოლეთ..  
„სისხლი“ ყვირილაში განვიბანეთ და სული-  
ვრად განწმენდილნი სილაშოს სახლებში დაე-  
ბრუნდით.

ამ აქტმა ახალგაზრდებს ფიცხი გონება უჩ-  
ვეულოდ აანთო; პირობითი, იმპროვიზებული  
სიკვდილით დასჯა და ნამდვილი სიკვდილით  
დასჯა ერთმანეთში აურთიეს. ზმა გვიარდა, რომ  
ტოლუბმა ვამცემი ამხანაგი ყვირილის პირას  
მოკლეს და მდინარეში გადააგდესო. მრავალი  
ახსნა-განმარტების მიცემა დაეჭვირდა, ძლიერ  
დაეარწმუნეთ ზოგიერთი უფროსი, რომ არა-  
ფერი უწესო არ ჩავიღვინია. ნახვეარ საუქუ-  
ნეზე შეტი ვავიდა მას შემდეგ და ახლაც  
ეფიჭრობ, რომ სწორად მოვიქციეთ. უნაშუსო  
ხალხის წინააღმდეგ ყველამ ის იარაღი უნდა  
გამოიყენოს, რაც მოეპოვება და რისი ზმა-  
რების უფლებაც აქვს.

შვიდი წელიწადი იარსება „მაჩიას აკადე-  
მიაში“, შვიდი წელიწადი ვუღვქით ერთმანეთს  
მხარში. შვიდი ზაფხული გავატარეთ ერთად  
ძიებაში, სწიელასა და ოცნებაში. აღბათ ნა-  
ყოფიერი იყო ჩვენი ზიარა სულიერი ცხოვ-  
რება, აღბათ ბევრი რამ კარგი შევიძინეთ ერ-  
თმანეთს, რომ ჩვენი თანამეგობრობის ყველა  
წევრი წესიერი მოქალაქე დადგა, ზოლო უზ-  
რავლესობა ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და  
საზოგადო მოღვაწე გახდა.



## ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევის შედეგები

საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებამდე ქართულ ეთნოგრაფიის განვითარების გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი. საუკუნეების განმავლობაში ქართულსა და სხვა ენებზე არსებულ წყაროებში ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო მრავალი ცნობა არსებობდა. ამასთან ერთად, ქართულ საისტორიო მწერლობაში გამოჩნდა მეცნიერულად საყურადღებო დოკუმენტებიც (XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ძველ მკვიდრთა საერთო წარმოშედლობა-მონათესაობის შესახებ, XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ეთნოგრაფიული აღწერილობა — გამოყენებული მასალების მალაღონეზე მოცემული კლასიფიკაციითა და მეცნიერული კვალიფიკაციით).

ამ დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული შესწავლა ახალ საფეხურზე ავიდა. ცნობილია, რომ XIX ს-ის 50-იან წლებში შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება და დაარსდა კავკასიური მუზეუმი (1852 წ.) ეთნოგრაფიის განყოფილებით. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი სამოციანელების აქტიური მონაწილეობითა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, დამუშავებასა და პუბლიკაციას ინტენსიური ხასიათი მიეცა. ი. ჭავჭავაძის შემდეგ ეთნოგრაფიული მუშაობა გააგრძელა ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დაფიქნება განვითარების საქმეში უღარესად დიდი როლი შეასრულეს ივანე ჯავახიშვილის მონუმენტურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მიძღვნა მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობათა ფორმებისა და სუ-

ლიერ კულტურის, ფართო მონოგრაფიულ შესწავლას.

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება აღნიშნული პრობლემების შესწავლის მიმართულებით წარიმართა. ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფა და კულტურა დღემდე შესწავლავდა უშთაბრუსად საველე-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. არსებულ გამოკვლევებში გამოყენებულია წერილობითი წყაროებიც, რომელთა გათვალისწინების საფუძველზე, რეტროსპექტული ანალიზის მეშვეობით, განიხილულია მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ინსტიტუტებისა და სამეურნეო ყოფის გენეზისის, განვითარებისა და ტრანსფორმაციის საკითხები. ყოველივე ეს გააძლევს უფლებას აღვნიშნოთ, რომ ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება ინტენსიურად იყვლევდა ძველ ყოფასა და კულტურას, რაც თავისთავად განეკუთვნება ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროს. ამასთან ერთად, უურადღება მიეცა ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ისტორიის საკითხებსაც. მაგრამ საქართველოში ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლა არ წარმოება წერილობითი წყაროების მიხედვით. წიგნი (რედაქ. — აკად. გ. ჩიტია) პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი ნაშრომია, რომელშიც V-X ს. წერილობითი ძეგლების ანალიზის მეშვეობით შესწავლილია ქართველი ხალხის ყოფითი კულტურა.

წერილობითი წყაროების მიხედვით სხვადასხვა ეპოქის ეთნოგრაფიული შესწავლა მნიშვნელოვნად ზრდის აღნიშნული დარგის როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე შემეცნებით ღირებულებას. ამ წყაროების მონაცემების ანალიზისა და საველე ეთნოგრაფიულ მასალებთან მათი შეჯერების შედეგად რეალურ ნიშნულზე დგება ყოფითი მოვლენების გენეზისის, გამძლეობის ფაქტორებისა და სტადიალური განვითარების კვლევის შესაძლებლობა. ამგვარი მიდგომის გარეშე ძნელი ან გამორიცხულია ამა თუ იმ წეს-ჩვეულების რაობის განსაზღვა-

ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1984.



რა, მისი თვისებრივი შეფასება ტრადიციის დადებითი ან უარყოფითი თვისებების შეუცნობლად კი თანამედროვე ყოფის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხის გადაჭრა შეუძლებელია. ტრადიციის ფუნქციონირების საწესკის პირველ რიგში ეთნოგრაფია იძლევა, ოღონდ ტრადიციის გენეზისისა და სპორების მოთხოვნილებებთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც თავისთავად გულისხმობს ისტორიული ეთნოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებას. მაშასადამე, ისტორიული ეთნოგრაფია მკიდროდა დაკავშირებული თანამედროვეობასთან, ცხოვრების განვითარებთან პრაქტიკულად, რაშიც მდგომარეობს საკვლევი თვისების აქტუალობა.

ს. კანტურიშვილის ნაშრომი წარმოადგენს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო პედაგოგიკური ძეგლების განხილვისა და V—X სს. ყოფითი კულტურის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. ძველი ქართული მწერლობის მონაცემებთან ერთად ნაშრომში გამოყენებულია შესასწავლ პერიოდთან ახლო მდგომარეობის ისტორიული წყაროები, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, მატერიალური კულტურის ძეგლები და ენობრივი მონაცემები, ხოლო ცალკეული საკითხების კვლევისათვის მოყვნილია სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს გათვალისწინებით.

განსახილველი ნაშრომის შექმნით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლას, რომლის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა გვიჩვენებს ამ ნაშრომის საშეცნიერო-თეორიულ ღირებულებას. ამასთან ერთად, მონოგრაფია სათანადო ადგილს იკავებს ისტორიული ეთნოგრაფიის სპეცურის სწავლებაში და ყოფითი ხასიათის რეკომენდაციების მომზადებაში, რაც წარმოაჩენს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ნაშრომის შესავალსა და რვა თავში საკითხები განხილულია ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების მიხედვით. მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის სფეროში მოქცეულია ყველა იმ საკითხი, რომელთა ერთობლიობა ქმნის ყოფისა და კულტურის სურათს შუა საუკუნეების საქართველოში. წერილობითი წარმოების მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების კვლევის შედეგები შეყამებულია დასკვნაში, რაც საბოლოოდ კიდევ ერთხელ წარმოაჩენს წერილობით წყაროებზე დამყარებულ ძიების მნიშვნელობას ეთნოგრაფიული მენცერების განვითარების საქმეში. შესწავლულ საკითხებზე სრული სამეცნიერო ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ავტორის მიერ გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა, რომლის სიაც

ნაშრომს ერთვის საჭირო განმარტებებთან ერთად.

ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების შესახებ საკითხების განხილვამდე შევსწავლი პირველ რიგში ეხება ისტორიული ეთნოგრაფიის რაობას, მის ადგილსა და მნიშვნელობას ქართული ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის სფეროში. ნაშრომში შემოღებულია ქართული ხალხის ყოფითი კულტურის ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები (V—X სს.), წყაროთმცოდნეობითი ბაზა (უმოთხრესად პედაგოგიკური მწერლობის ძეგლები) და დასაბუთებულია ყველა ეპოქის ყოფის შესწავლის საჭიროება.

მონოგრაფიაში სავანებოდ და განხილულია გამოყენებული წერილობითი წყაროები და სპეციალური ლიტერატურა, შეფასებულია მათი მნიშვნელობა, დასაბუთებულია არსებული წყაროების ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კვლევის აუცილებლობა, ნაჩვენებია მონოგრაფიის დასაბუთებული საკითხების შესწავლის მდგომარეობა. ისტორიოგრაფიულ კვლევაში ავტორი სათანადო შეფასებას აძლევს ცალკეულ გამოკვლევებს, რომლებშიც მისთვის საინტერესო წყაროების ანალიზია მოცემული, მაგრამ შეინიშნება ზოგიერთი ნაშრომის გათვალისწინებლობაც. ამის მაგალითი გვაქვს „შუშანიის წამების“ შესახებ არსებული გამოკვლევების განხილვასთან დაკავშირებით (თავი I). მკვლევარს საკმაო სისრულით შეესწავლია ი. ჯავახიშვილის ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებები „შუშანიის წამების“, როგორც ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ მხედველობიდან გამოტყენია მისი „ქართული სამართლის ისტორია“. ამ ნაშრომს ს. კანტურიშვილი პრაქტიკულ შემთხვევაში მომდევნო თავებში ეყრდნობა მთელი რიგი საკითხების კვლევისას, გადმოსცემს აქედ. ი. ჯავახიშვილის შეხედულებებს „შუშანიის წამებაში“ ასახული ყოფითი მოვლენების შესახებ, მაგრამ, ამასთან ერთად, მას მოეთხოვებოდა ისტორიოგრაფიულ ნაწილში ი. ჯავახიშვილის შემოხსენებული ნაშრომის სათანადო შეფასება. ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც მიეძღვნა მატერიალური კულტურის პრობლემას, თანამომდევრობითაა შესწავლილი მენცერლობის ხელოვნება, ცნობები საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სახლის მოწყობილობისა და მისი ცალკეული ელემენტების შესახებ. წყაროებში დატანილი ცნობები და ტერმინები მზირ შემთხვევაში ახსნილია არსებული სამეცნიერო გამოკვლევების დახმარებით. თანამედროვე ეთნოგრაფიული ლიტერატურის მოხმობით ავტორი ავსებს წყაროებში დატანილ ცნობებს და აღადგენს ყოფითი კულტურის სურათს, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტი უფრადლება უნდა მიჰქცეოდა კონკრეტულ ეთნო-



გრაფულ მონაცემებს. ეს ეხება ნაშრომის იმ ნაწილს, სადაც აღწერილია რიტუალის შესრულების წესი შვედეთში დაწესების წინ (გვ. 70-71). გამოყენებული წყაროებიც ცნობილი „ჯერას დაწერის“, „გაბატონების“, თუ „ყარის ვარდასაგვის“ რიტუალის ავტორის ელი აღწერილობა, ბუნებრივია, უფრო ზოგადსაზოგადოებრივ იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილი შემონახული ანალოგიური წესების დამოწმების საფუძველზე.

წყაროების დეტალური ანალიზის შედეგად ნაშრომში ვეცნობით მიწის დამუშავების კულტურას, ნადარბობისა და მეთევზეობის წესებს და შინამრეწველობის დარგებს (თავი III). წყაროებზე დამყარებული კვლევის შედეგები ამ შემთხვევაშიც შეჭერებულა ეთნოგრაფიული კვლევის მონაპოვებთან, რაც აქვს ქართული ხალხის სამეურნეო საქმიანობაში უძველესი ტრადიციების არსებობას მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

მონოგრაფიის დიდი ნაწილი, მომდევნო სამი თავი, დაეთმო საოჯახო ყოფის, საქორწინო წეს-ჩვეულებების, ნათესაურ ურთიერთობათა ფორმებისა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციების კვლევას. ავტორი ამ შემთხვევაშიც იგარგლება უმთავრესად V — X საუკუნეების წყაროების მონაცემების ანალიზით, რისთვისაც გათვალისწინებულია და კვალიფიკირებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული შეხედულებები.

ოჯახის ფორმების, ოჯახის შემადგენლობისა და ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობის გაცნობის შედეგად კ. კანტერინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფეოდალურ ხანაში ქართული ხალხის ყოფისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახებად ცხოვრების წესი. ამ შემთხვევაში ძირითად საყრდენად გამოყენებულია „შუშანიის წამება“, ვარსკენ პიტაბაშის თუ მისი ძმის ოჯახის მავალითი. მაგრამ მკვლევარი ამ კონკრეტული ვითარების პარალელურად დასაშვებად თვლის გაუყრელად ცხოვრების არსებობას — სხვა რიგის წყაროების თუ ამ წყაროების ადრინდელი ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „სახეზე გვაქვს ცოლქმრობაზე დამყარებული ცალკე (უნდა იყოს ინდივიდუალური) — ვ. ი.) ოჯახი, რომელიც აღინიშნება და სახელწოდებით „სახლი“. არ არის გამოჩენილი, რომ საზოგადოების შედარებით დაბალ ფენებში სახეზე იყო „დიდი ოჯახი“, რომელმაც გადმონათესაო სახით გვიანობამდე (XIX ს.) ვი მიიღო საქართველოს მთიანეთში. ასეთი ოჯახი აღრეულ შესაფუძველებში არსებობის არაპირდაპირი მინიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ ტერმინ „სახლი“ ორნარი

მნიშვნელობით გამოყენება ქართულ ენაში, როდესაც ეს ტერმინი აღნიშნავს გარკვეულ ცალკე სახლს, საცხოვრებელს, ისე — სახათესაოს მთლიანად“ (გვ. 151).

დამოწმებული ფორმულირების დახურვების მიზნით შევიწყობთ, რომ დიდი ოჯახი არა მარტო საზოგადოების დაბალ ფენებში არსებობდა, არამედ რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების წესი ასევე დამახასიათებელი იყო პრივილეგიური ზედაფენისათვისაც, რაც მხედველობად არ გამოჩენია ჯერ კიდევ ვახუშტი მაგისტრონს. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი არა მარტო მთიანეთში შეინარჩუნა, არამედ საქართველოს ბარამც, რაც დამტკიცებულია თვით ავტორის მიერ გამოყენებულ სპეციალურ გამოკვლევებში. საქმარისია აღინიშნოს, რომ რუსულან ხარაქმე თავის მონოგრაფიაში (ქართული საოჯახო თემი, I, თბ., 1960, II, 1961, რუსულ ენაზე) ქართული საოჯახო თემის ტრანსფორმირებული სახეობის კვლევისას მთის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს ბარას (ქართლი, იმერეთი...) ეთნოგრაფიულ მასალებსაც და მკვლევრულად დასაბუთა, რომ საოჯახო თემის გადმონათესაო ფორმა (მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი დიდი ოჯახი, რომელიც სამ, ოთხ ან ხუთ თაობას აერთიანებდა, საკუთრებისა და მმართველობის შესაბამის ფორმის ინარჩუნებდა) XIX საუკუნის ბოლომდე ბარის მოსახლეობაშიც ინდივიდუალური ოჯახის, ოჯახის გაბატონებული სახეობის, გვერდზე განავრთობდა არსებობას.

შესაძლებლობის ფარგლებში წყაროების ინტერპრეტაციის საფუძველზე შესწავლილია ქორწინების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორცაა ნიშანი, მზითველი და ურუკადი. აღნიშნული ყოფითი ელემენტების თავისებურებათა წარმოჩენისა და დამოყვრებულ ოჯახებს შორის ვალდებულებათა ხასიათის გარკვევის მიზნით ავტორი სპეციალური გამოკვლევების გამოყენების შედეგად მიუთითებს: „ქართველ მთელითა ერთი ნაწილის (სვანები, მოხვედები) მზითვის ინსტრუქტში ქალის ურუკადის მოპოვების წესის გადმონათესაო დასტურდება. სვანეთის მაგალითზე იგი გამოიყვანა რ. ხარაქმე, ხოლო ბევის მაგალითზე ვ. ითონიშვილი“ (გვ. 170).

ეს განმარტება რეალურ ვითარებას არ ასახავს. ხევე ურუკადიდან მზითვის მოპოვების წესი არ არსებობდა, რაც ჩამს თვით ავტორის მიერ ციტირებული ადგილიდან: „როგორც მზითველი, ისე სათანო გასაბოგარი ქალის პირად ქონებას წარმოადგენდა, ხოლო ურუკადი ქალის საფასურში აღებული თანხა იყო, რომელიც ქალის ოჯახს სხვა საქართველოსათვის უნდა მიეხმარა და არა საშუალოდ“ (ვ. ითონი

ნაშეილი, ქართულ მთელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 235; შტრ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 170).

ვინაიდან ურვადის რაობასა და საქორწინო ურთიერთობაში მის როლს ვეხებით, აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ავტორი საგანგებოდ გამოყოფს ურვადის გადამდის წესს. ურვადის არსებობის შესაძლებლობის შესახებ იგი განიხილავს ი. ჭავჭავაძის მსჯელობას „მუშა-ნიკის წამებაში“ დატული ცნობების შესახებ. მისი აზრით, V საუკუნის საქართველოში ამგვარი ჩვეულებების შესაძლებლობა დასაშვებია, რამდენადაც კავკასიის ხალხთა (ოსების, იჩგუშების) ყოფაში ურვადით ქორწინების ჩვეულება დიდხანს შემორჩა. ეს თავისთავად საგულისხმობა, მაგრამ, პირველ რიგში, სასურველი იქნებოდა ანალოგიური ვითარების აღნიშვნა საქართველოში, რაც ცნობილია სპეციალურად ნაშრომებიდან (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938; თედო სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956; ს. მაკალათია, ზევი, თბ., 1934; ი. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928; რუსულად ხარაძე, დიდი ოქახის გადმონათხები სუანეთში, თბ., 1939; ვალერიან იონიშვილი, ქართველ მთელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; Ш. Д. Инал-Ипа Очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1954).

განზილულ საკითხებთან ერთად მონოგრაფიაში შესწავლილია სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი და ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობათა თავისებურებანი. წყაროების ამ თვალსაზრისით განხილვა შეეხება მონოგრაფიაში მონათხების ურთიერთობის პრობლემის შესწავლის ამოცანებს, რომლის წარმატებით შესრულებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ს. ჭანტურიშვილის მიერ გამოშვერებული მონაცემები.

ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე, როდესაც მის ამოცანას შეადგენს ძველი და ახალი ყოფის ურ-

ველა და თეორიული საკითხების დამუშავებასთან ერთად საფუძვლების მომზადება, სარკომენდაციო დებულებების დამტკიცება ქანტურიშვილის ნაშრომის გამოქვეყნება დროის მოთხოვნებით არის განპირობებული. პირველ რიგში ეს ეხება ეროვნული ტრადიციების პრობლემას, ზნე-ჩვეულებათა დიფერენციალურ შეფასებას დროისა და ხასიათის მიხედვით. ტრადიციის დადებითი თუ უარყოფითი მხარეების განსაზღვრა, პირველის შენარჩუნება და მეორის გარდაქმნა ან სრული ლიკვიდაცია მეცნიერული დისპოზიციის გარეშე შეუძლებელია, ხოლო ეს თავის მხრივ მოითხოვს ნებისმიერი ყოფითი მოვლენის გენეზისის, გამძლეობის ფაქტორებისა და ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავთ, რომელი ჩვეულება მთავარი დადებითად, რომელი ჩავთვალოთ დრო-მოკლედ და მავნე და — რომელი ახალი ეპოქის ნეგატიურ წარმონაქმნად. ყოველივე ეს არგუმენტირებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის ცნობილ დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებთა შესახებ“.

ამოცანებს რასაც ეს დადგენილება უსახავს საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, აქტუალურად ეხმარება განხილული ნაშრომი, როგორც ყოფითი კულტურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთი საფუძვლი. ნათქვამს ისიც უნდა დავამატო, რომ ს. ჭანტურიშვილის მონოგრაფიის მნიშვნელობა სცილდება ეთნოგრაფიული კვლევის ინტერესებს: რამდენადაც ნაშრომში ძირითად წყაროდ გამოყენებულია პავოგრაფიული მწერლობის ძეგლები, მასზე დაფუძნებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები გარკვეულ სარგებლობას მოუტანს ლიტერატურულ ძიებასაც; ხოლო ყველა განხილული ძეგლი მჭიდროდ კავშირშია გარკვეულ ისტორიულ ეპოქასთან და ასახავს მისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების რეალურ სურათს.

ზალდარიან ითონიშვილი.

## თავგანდობის ტოლფასი ღვაწლი და მისი შედეგი

მიხეილ ჭავჭავაძის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 235; შტრ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 170).

ქ. ჭავჭავაძე. მიხეილ ჭავჭავაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. „მერანი“. 1984 წ.

ნაშეილი, ქართულ მთელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 235; შტრ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 170).

ავტორები ზოგი თუ გულდინჯად და ობიექტურად აღსაზრდა მ. ჭავჭავაძის შემოქმედებით მიღწევებს, ზოგიერთი უსამართლოდ ცხარობდა და უმიზეზო ბრალდებებით თავს ესხმოდა სახელოვან მწერალს. გავიდა დრო, დაცხრა ვნებათაღლევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 50-იანი წლებიდან მ. ჭავჭავაძის თვით უმდიდრესმა ლიტერატურულმა მეგობრებმა, ერთ ხანს უსამართლოდ უარყოფილმა, კვლავ დაიკავა ეთნიკური ადგილი საბჭოთა ლიტერატურაში, მის შესახებ დაიწერა ბევრი საყურადღებო მონოგრაფია და ცალკეული გამოკვლევა. მ. ჭავჭავაძე წერენ გამოჩენილი ქართველი ლიტერატურისმცოდნეები და კრიტიკოსები, რომლებიც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მ. ჭავჭავაძის ავტორული და სინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სინტერესო ცხოვრების გზა დღემდე არაღის გაუხვია სხვაგანგებო კვლევა-ძიების საგნად, დაწერილებით არაღის შეესწავლია მწერლის ბიოგრაფია, ყველა ნაშრომში სხვადასხვა ფორმით შეორღებოდა თვით მ. ჭავჭავაძის მიერ. 1936 წელს დაწერილ მოკლე ავტობიოგრაფიაში აღნიშნული ცნობები, ვრცელი ბიოგრაფიის საფუძვლად კი ყველა ვერძინოდა — რიგითი მკითხველიცა და მკვლევარი-სპეციალისტიც.

1966 წ. პროფ. ტ. კვანჭილაშვილმა თავის უდიდოდ სინტერესო მონოგრაფიის წინათქმის მიტოხველს აუწერა: „განზრახული მქონდა, მ. ჭავჭავაძის ცხოვრების გზა გამოვკვლია, მაგრამ „მწერლის ცხოვრების შესწავლაზე მუშაობს მისი ქალიშვილი ქეთევან ჭავჭავაძე, რომელიც ახლო მომავალში დაასრულებს თავის ნაშრომს. ჩვენს მორალურ მოვალეობად მივიჩნევთ, პირველობა ამ საქმეში მისთვის დავუთმო“. ეს განცხადება მაშინ რამდენადაც პაიადოქსურად ვგულისხმობ, მაინც მოთმინებით და ინტერესით ვეყოლით ქ. ჭავჭავაძის ნაშრომს, რომლის ზოგიერთი ნაწილი ავტორმა ვერნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოაქვეყნა. დღეს, როდესაც ჩვენს წინაშეა მ. ჭავჭავაძის სქელტანიანი წიგნი — „მიხეილ ჭავჭავაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა“, თითქოს საბოლოოდ ვიწამეთ, რომ მართლაც პირველს ქ. ჭავჭავაძის უნდა დაეწერა ასეთი წიგნი. ამ პრიორიტეტს მას ანიჭებდა არა უბრალოდ მეგვიდარეობითი უფლება, არამედ სახელოვანი მამის ცხოვრების გზის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. ეს ცოდნა კი დაგროვდა, ერთი მხრივ, თვითმხილველის ცხოველი ინტერესით დაკვირვების საფუძველზე და მეორეს მხრივ, დოკუმენტური მასალების გამოწვლილებით შესწავლის გზით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ. ჭავჭავაძის ც. გენეზისთან ერთად შეადგინა მ. ჭავჭავაძის ვრცელი ბიობიბლიოგრაფია, რომელიც ახლო მომავალში გამოვა.

სარეცენზიო წიგნს წინ უძღვის რედაქტორის გ. ნატროშვილის „ორმოცდაათი წლის შემდეგ“ წიგნსა და მის ავტორს ქ. ჭავჭავაძის მიხედვით: „ქეთევანის ეს წიგნი არამარტო შესანიშნავი ლიტერატურული დოკუმენტია, არამედ იგი ნიმუშია ნამდვილი მოქალაქეობრივი გამბედაობისა და გვირობისა. ყარგა ხანს, მძიმე წლების მანძილზე სათუთად ინახავდა და იცავდა, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა მამის უზარმაზარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას — მან შეინახა ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ხელნაწერები, უბის წიგნაკები, წიგნები და ეტრნალები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, სადაც მამას რაღაც აღუწინაა, ჩაღაც მიუწერია, და მთელი ეს საქმიანობა, წარმართული მწერლის მემკვიდრეობის დასაცავად იმ მძიმე წლებში, მიდიოდა თავგანწირვის მიჯნაზე... ყოველგვარი გადახარბების გარეშე, ეს ასე იყო“. ძნელია, ამ სიტყვებს კიდევ რამე დაუმატო, მაგრამ მაინც ერთხელ კიდევ გადავხედოთ ამ შესანიშნავ წიგნს.

ქ. ჭავჭავაძის წიგნის საგამომცემლო ანოტაციაში აღნიშნულია: „წიგნი მემუარული ხასიათისაა — ქეთევან ჭავჭავაძის იგონებს მამას — დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჭავჭავაძის“. ამ სიტყვებში სრულად არ არის გადმოცემული წიგნის არც ენა და არც შინაარსი. ქ. ჭავჭავაძე მხოლოდ კი არ იგონებს მამას, არამედ ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც აწარმოებს, სწავლობს, როგორც თვით მწერლის აქტივში დაეულ დოკუმენტებს, აგრეთვე სახელმწიფო არქივში, მუსეუმებსა და წიგნსაცავებში დაცულ ისტორიულ საბუთებს, ნათესავ-მეგობართა თუ უცხო პირთა მიმოწერასა და მემუარებს, ერთმანეთთან აყურებს ზოგჯერ საწინააღმდეგო ჩვენებებსა და ამ გზით აღადგენს მ. ჭავჭავაძის ცხოვრების ეპიზოდების ობიექტურ სურათებს.

აქამდე მამის მხრიდან მ. ჭავჭავაძის წინაპრების შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მწერლის მამა — საბა ადამის ძე ტოკლიშვილი (შემდეგ რომ აღიანაშნა და დაეწერა), ქიზიყის სოფ. ზემო მახანაიდან გადასულა სოფ. წერაქეში, იქ შექმნიდა ოჯახი და მიხეილი იქ დაბადებულა. ასევე ცოტა რამ ვიცოდით დედის მხრიდან წინაპრების — ბურნაძეების შესახებ. ვიცოდით მხოლოდ, რომ მიხეილმა პაპა — ანდრო და ბიძაშვილი — ბაგრატი „არსენა მარამდელი“ ხუთისაგარისა და არსენას პროტორიკებად გამოიყენა. ამიერიდან უკვე დაწერილებით ვიცით ის გარემოებანი, რომელთა გამო კახელი საბა და ქართული ბერძნების ოჯახი ბორჩალოს მახრამში დასახლდნენ; ვიცით, როგორი იყვნენ ისინი, როგორც პირივნებები. პირველი ქ. ჭავჭავაძის წიგნიდან ვიკვებთ იმასაც, რომ საბას, მიხეილისა და თავდასხმულთა მიერ

მოკლული ქალიშვილის გარდა, სხვა შვილებიც მყოფია, რომლებთანაც მიხეილს მთელი სიცოცხლის მანძილზე ძალზე გულთბილი დამოკიდებუება ჰქონდა.

ქ. ჭავჭავიძის საკმაოდ ხანგრძლივად ჩერდება მ. ჭავჭავიძის ბავშვობის წლებზე, შთამბეჭდავად, მიმზიდველად, ენაწყლიანად მოგვითხრობს, როგორ იზრდებოდა მომავალი მწერალი; დამაწერებლად გვიჩვენებს თუ როგორ ყალიბდებოდა მისი ხასიათის ის თვისებები, რომელთაც შემდეგ გადამწყვეტი როლი შეასრულეს მის მხატვრულ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. პირველად ამ წიგნში ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ მიხეილი „ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა მხატვრობით“, და ერთ ხანს თურმე „ოცნებობდა კიდევ მხატვარი გამოსულიყო“.

მ. ჭავჭავიძის მამას თურმე ძალზე „უყვარდა შიშა. მთელი თავისი სიცოცხლე მიწას ჩასცქეროდა და მის მოვლა-პატრონობაში აღამებდა და ათენებდა... დიდი სურვილი ჰქონდა შვილი ნასწავლი აგრონომი გამოსულიყო“. სამაგიეროდ, „მიხეილს სასოფლო-სამეურნეო დარგი არ აინტერესებდა. არსოდეს დაჰმადებია სურვილი აგრონომი გამოსულიყო, იგი უფრო ფართო სარბიელს ეძიებდა“. და მიუხედავად იმისა, რომ მომავალი მწერალი ერთხანს დაემორჩილა მამის სურვილს და აგრონომიის შესწავლა დაიწყო, შინაგანად მაინც ღრმად ატარებდა ხატვისა და ლიტერატურული საქმიანობის სურვილს, რის მოწოდებასაც მთელი ძალით გრძნობდა. ამიტომაც იყო, რომ, როგორც კი შემთხვევა მიეცა, საბაღოსნო სასწავლებელს თავი დაანება და ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა. ეს შემთხვევა იყო მიხეილის ოჯახში დატრიალებული საშინელი ტრაგედია, რის შედეგად 19-20 წლის ახალგაზრდა კაცმა დაკარგა დედა, და, მამა. არც ამ ტრაგედიის მიზეზი და შედეგი იყო აქამდე ასე დაწვრილებით ცნობილი. ქ. ჭავჭავიძელი გვაძენობს მას და გვიჩვენებს იმასაც, თუ როგორ შეიცვალა მიხეილის ცხოვრების ნიჩრ: სასწავლებელს თავი დაანება, რადგან აღარ ჰქონდა არც სურვილი და არც მატერიალური საშუალება.

ერთ დროს მდიდარი ოჯახიდან მიხეილს არაფერი შემორჩა. შინიდან წამოსულს სამახოვროდ წამოუღია მამის ნაქონი ვერცხლის კოჭი, კიქის ჩასადგამი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მაგრამ ეს ნივთებიც გზაში ვიღაც მარცხვალს წაურთმევია. ამიერიდან თავად უნდა ეძია ცხოვრების გზა, ეშოვნა საარსებო საბასარი. ისიც ალავერდის მადნეულის ქარხანაში იწყებს მუშაობას და თანაც ხარბად ეწყება ხელოვნებისა და ლიტერატურის შესწავლას. მეთხველისათვის ახალი და ძალზე საინტერესო ცნობაა, რომ მიხეილს ამ დროისათვის „დაუტრიალდა რამდენიმე მოთხრობა

და გადაწყვიტა რომელიმე მათგანი გამოსაქვეყნებლად თბილისში გაეგზავნა“ (აქედან ჩანს, რომ მ. ჭავჭავიძელი მწერლობაში შემთხვევით მებრუნდებოდა კი არ გამოჩენილად და „ჩანჩურა“ მისი ავტორის პირველი ლიტერატურული ცდა კი არ იყო, არამედ მიხეილი, როგორც შემოქმედი, წლების მანძილზე ყალიბდებოდა. პირველი ცდა უბიბლო გამომდგარა — მისი მოთხრობები გაზ. „ივერიას“ არ დაუბეჭდავს. ალბათ, ამის გამო იყო, რომ უკვე თბილისში დასახლებულ მიხეილს ერთ ხანს მხატვრობის შესწავლა განუზრახავს, მაგრამ მწერლობას მაინც ვერ გამოიყვინა. თბილისში იგი დაუახლოვდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციას; ა. იმედაშვილის რჩევით, ქართული ენის უკეთ დაუფლებს მიზნით, წასულა ზემო ქართლში (სოფ. თამარაშენი და ქუთათა). სულ მალე ფართო საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის — აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილს „ჩვენ და ჩვენი თეატრი“, რომელმაც მათდროს კამათი გამოიწვია. რაც მოელოდა, აქვეყნებს მოთხრობას „ჩანჩურა“ და მტკიცედ მკვიდრდება ქართველ მწერალთა ოჯახში. მიხეილის ცხოვრების ეს მონაკვეთი ქ. ჭავჭავიძის დამწერლობით და მიმზიდველად აქვს აღწერილი. მეთხველის წინაშე გამოაქვს ბევრი დღემდე უცნობი დოკუმენტი, აცნობს ბევრ უცნობ ეპიზოდს დიდი მწერლის ბიოგრაფიიდან. ეს იქნება გაზ. „გუგუზის“ დაარსება, თუ გაზ. „გარუზის“ გამოცემის ცდა; უცხოეთში იძულებით გადახვეწა და სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა, თუ საშობლოში დაბრუნება და მებეჭის ცხელი პატრონობა, ვადასახლება და დოქახება, თუ კვლავ თბილისში დაბრუნება და საზოგადო საქმიანობაში ჩაბმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში მ. ჭავჭავიძელმა დაწერა ცნობილი მოთხრობა „ტყის კაცი“, და საბოლოოდ დაუბრუნდა მწერლობას. დღემდე ვეკოდიოთ, რომ მიხეილმა „ტყის კაცი“ პ. იაშვილის ნააზობის მიხედვით დაწერა. ქ. ჭავჭავიძელიც ადასტურებს ამ ფაქტს, თორღ მას თავისებურ აზრსაც აძლევს: „ეს თემა მას დიდი ხანა აწვალებდა. ერთ დღეს პაოლი იაშვილმა მას უფროსი საოცარი ამბავი, რომელიც შემდგომ მან თავის მოთხრობას საფუძვლად დაუდო... და ჩვენ ვფიქრობთ (დასძენს ქ. ჭავჭავიძელი — ა. მ.), რომ მწერალმა, პავლეს სახით, ნაწილობრივ, თავის მამა საბა გამოიყვანა. მოთხრობას მისი სულიერი ტრაგედია ჩააქოცა, ცოლის დავა გვით განცდილი“. ასეთი ვერაუდი სავსებით დოსაშვებია, თუ გავითვალისწინებთ, როგორ განიცადა საბამ ცოლშვილის დაკარგვა, რაც აქ დაზამტულად არის აღწერილი ქ. ჭავჭავიძელის წიგნშიც.

მ. ჭავჭავიძელი დაუბრუნდა მწერლობას და

ზედღებულ გამოაქვეყნა შესანიშნავი ნაწარმოებები, რომელთა უდიდესი იდეურ-მხატვრულ ღირსებებში დღეს ეჭვი აღარაა. ეპარხია, მაგრამ მაშინ სალიტერატურო კრიტიკა საერთო მიზნებითა და აღიარებით როდეს შექმნდა. იყო ბევრი გულგებობა, უნებლიე შეუძლოები და რაც მთავარია, იყო განზრახ, გამაბრუების მიზნით, უპრინციპო გამოხდომები. ასეთ მოპაექრეთაგან თავის დაცვა მწერალს ბევრ დროსა და ენერჯიას ართმევდა, უშლიდა ნერვებს და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. ამის გამო ქ. ჯავახიშვილი წერს: „კრიტიკის ამდენი შემოტევისა და გამუდმებული თავდასხმის გამო, ერთ ხანს, მამას სულიერი მდგომარეობა რამდენადმე დიორღვა. გარეგნულად აქვდა თავდაქერილი, შინაგანად მწვევად განიცდიდა მის მიმართ გულთავებულ ბრძოლას“. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის დღიურში ჩაწერილი აქვს: „რომ მეითონ, სიკვდილით დასჯა თუ საშობლოდან განდევნა — ისევ პირველი მირჩენია“, საქმე იქამდე მისწავა, რომ, როგორც ქ. ჯავახიშვილი წერს, მიხეილს „ამისთანა მძიმე მდგომარეობისაგან თავის დაცვა... აზრად მოსვლია, დროებით მიეტოვებინა საქართველო და საცხოვრებლად რუსეთში გადასულიყო“.

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მიხეილის წინააღმდეგ გამართული ბრძოლებისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურული სინამდვილის თვითმხილველია ქ. ჯავახიშვილი და ამ მოვლენებზე მსჯელობისას უფრო ჰიარბად შემოაქვს პირადი მოგონებები. რაც მთავარია, ეს მოგონებები „სტრუქტურის“ ხასიათის როლია, მემუარისტის იმას კი არ იგონებს, რაც შემთხვევით შემორჩა მესხიერებას, არამედ თურმე ბავშვობიდანვე საგანგებოდ აკვირდებოდა მამის ქცევა-მოქმედებას. ქ. ჯავახიშვილი წერს: „მე ბედნიერი ვიყავი, რომ საშუალება მაქონდა, ყოველდღიურად, ყოველ წუთს, თავალი შედევენებინა მამასთვის, მისი მუშაობისთვის, ჩვეულებისა და მოქმედებისათვის. ჩაწვედომოდა მისი ხასიათის ყოველ წუთში, ღრმად ჩამეხედა მის სულსა და გულში, გაცნობოდი მის სულიერ სამყაროს და მოთხოვნილებებს. გამეგო, რითი სულდგმობობდა რა ახარდობებდა, რა ახარებდა ან აღმოაჩინა მას. ყველაფერი მიწოდდა მცოდნეობა და ამიტომ პატარაობიდანვე ვცდილობდი მისი ყოველი ნაბიჯი, ნააზრევი და ნაფიქრი, სიხარულისა და სევდის მიზეზი გამეჩვიო“. ვითარებით ამ სიტყვებს და მათი ავტორის მიმართ დიდი მადლობის გრძობით ემსქველებით, გვახარებს, რომ ჩვენი საუბრის უდიდესი მწერალს ჰყოლია ასეთი ყოველდღიური „შეთავალუბრე“, რომელსაც ბავშვობიდანვე სცოდნია: „ყველა მწერალს თავისი ინდივიდუალური, მისთვის დამახასიათებელი მუშაობის ხასიათი თა სტილი აქვს, რომელიც აინტერე-

სებს მკითხველს და მასში ცრტყიყმყუყრტობას აღძრავს. მკითხველი ცდილობს, ყველაზე თუ როგორია ესა თუ ის მწერალი პირად ცხოვრებაში, ოჯახურ გარემოში, შეგობრების წრეში“. ეს ყველაფერი სცოდნია და ასეთი შეგონებით აკვირდებოდა სახელოვან მამას. ამიტომაც არის, რომ მისი წიგნის სახით ჩვენს წინაშე არა მშრალი ქრონიკა მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა, არამედ ცხოველი ინტერესით საყოთხავი შემოქმედებითი ბიოგრაფია. აქ უნდა გაიხილეთ ერთი საინტერესო დეტალი: მიხეილს წესად ჰქონია შემოღებული, სადაც უნდა ყოფილიყო, უბის წიგნაქმი ჩაენიშნა ყველა საინტერესო ამბავი, სიტყვა, გამოთქმა, სიტყ. თუ წიგნაქი შემთხვევით თან არ ექნებოდა, ან ამოღება დაეზარებოდა, ჩინიშენებს პაპიროსის კოლოფზე აკეთებდა. შემდეგ, შინ მისული, ამ ჩანაწერებს წიგნაქმი გადაიტანდა, პაპიროსის კოლოფს კი ავადებდა. ამის გამო ქ. ჯავახიშვილი აბლა წუხს, წუხს, რომ „მათი შეგობრება იმ დროს აზრად არაღის მოსვლია“.

„თავისი ნაწარმოებების პირუთენელი მსაქული თვითონვე იყო, თავის თავს ყველაზე მეტსა სიხივება და არავითარ შედეგათს არ მოითხოვდა“, — წერს ქ. ჯავახიშვილი და, ფაქტობრივი მასალის დამოწმებით დაწერილებით, მიწოდებულად გადმოგვცემს მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების შემოქმედებით ისტორიას; საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორ იწერებოდა „ქაყოს ხიზნები“, „ეკვიპ ვაჰანტირაქა“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“, და სხვ. შემდეგ რა აზრის იყო თვით მწერალი მათზე და როგორ ცდილობდა, კიდევ უფრო სრულყოფილი გაეხადა ისინი.

ფრიად საინტერესო ცნობებს ვნახულობთ ქ. ჯავახიშვილის წიგნში 1928 წელს დაარსებული დაქვეყნების „არაფიონის“ და იმავე სახელწოდების ალმანახის შესახებ, რომელმაც მიხეილს თურმე „ბევრი სასიხარულო წუთები მოუტანა, სამაგიეროდ, დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა“.

მ. ჯავახიშვილს უბის წიგნაქმი ჩაუწერია: „ცხოვრება კომედიაა იმისათვის, ვინც აზროვნებს და ტრავდება იმისთვის, ვინც გრძობს. ჩემთვის კი იგი ტრაგიკომედიაა, რადგან მე ზომიერი აღმზიანი ვარ, რადგან მე ვგრძობს და ვახარავებ კიდევ“. შეიძლება მწერლის ეს აზრი რამდენადმე პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ მაინც მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან, როგორც სამართლიანად წერს ქ. ჯავახიშვილი: „მისი მოუხვედარი და დაუდგომელი ბუნება უკარანახება, ჩვენი ცხოვრების შეადგენს ყოფილიყო, თავის საყვარელ ხალხთან ერთად... მოკლედ თვლიდა თავს, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა, ყველაფრისათვის ყურადღება მიექცია, არაფერი გამორჩენოდა მშვედველობიდან“. და რამდენი

რამ ხდებოდა მის ირგვლივ 20-იან და 30-იან წლებში... მ. ჯავახიშვილს ყველაფერი გულთან მიჰქონდა, ეს იქნებოდა ლიტერატურა თუ თეატრი, ქართული ენის სიწმინდისათვის ზრუნვა თუ ისტორიული ძეგლებისა და ბუნების დაცვა, სახალხო განათლება თუ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხები, ქალაქისა თუ სოფლის მტკიცეული პრობლემები. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ უპასუხოდ არ ტოვებდა მკითხველთა წერილებს, ეინც უნდა ყოფილიყო იგი და რა საკითხზეც უნდა მიემართა მწერლისათვის. ასეთ წერილებს კი უამრავს იღებდა. ყველა ამ საკითხებზე მრავალ საგულისხმო ფაქტს ნახავს მკითხველი ქ. ჯავახიშვილის წიგნში.

მ. ჯავახიშვილის მართლაც ამაღლებული ჰუმანიზმის დადასტურებულ მიჯვარება ერთა თითქოს უმინიშნელო, მაგრამ, ზვენი .ზრათ. ფრიალ მრავალსმეტყველი ფაქტი, ქ. ჯავახიშვილი, რომ იგონებს: 1926 წელს თბილისა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შედეგად მიხივნიელთა უმეტესობა სასწავლებლის გარეთ დარჩენილა. ამის გამო ე. „ტარტაროზს“ კარიკატურა გამოუქვეყნებია, რისაც აღშფოთებია მიხვილი. ეს მიუჩნევია ახალგაზრდობის აბუჩად ავღებად, საჯაროდ გამასხარაებებად და თავის უბის წიგნაჟი ჩაუწერია: „წლელს, 1926 წ. 3000 მიხივნილიდან უნივერსიტეტში მიიღეს 400. დანარჩენი უსწავლელი დარჩა. ამის გამო შურ. „ტარტაროზში“ კარიკატურა დახატული: უნივერსიტეტისაჟენ იმედით მიდიან, უკან კი ტირილით ბრუნდებიან. მასხრად არის ავღებული 2500 ჰაბუკის ცრემლი. ასეთი ამბავი ხდება ჩვენს ქვეყანაში“. მწერლის ეს სიტყვები ბევრ რამეს გვეუბნება.

ქ. ჯავახიშვილი ვრცლად ეხება მიხვილის ურთიერთობას ქართველ, რუს და უცხოელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, პირველად აქვეყნებს მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტებს — სხვადასხვა სახის საარტივო მასალებს, პირად წერილებს, მოგონებებს და სხვ. ამით ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით რა ფართო მასშტაბის კონტაქტები ჰქონია მიხვილს თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებთან.

ახალგაზრდა მწერლებთან დამოკიდებულებაში, მ. ჯავახიშვილი მეტისმეტად გულისხმიერი ყოფილან. ამის დასტურება უნდა იქნას მარტო გ. შატერაშვილის ცნობილი მოგონება, რომელსაც ქ. ჯავახიშვილიც ამოწმებს, და სხვა მრავალ საგულისხმო ფაქტსაც ვაიმცნობს.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმასაც, თუ როგორ იყო მიხვილი საკუთარ თავის ხშირ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა იქნის ახლობლებთან და ნათესავებთან — ცოლ-შვილთან, და-ძმებთან, სიდედრთან, შორეულთან თუ ახლობლებთან. ყოველმხრივ ჩანს, რომ მიხვილი თავად იყო კუმშპირტიად დიდი ადამიანი და სხვის ადამიანურ ღირსებებსაც არასოდეს შელახავდა. განსაკუთრებულ სათით დამოკიდებულებას იჩენდა თურმე ახალი თაობის, ბავშვების მიმართ. ამ მხრივ პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთ დიდებულ ნიმუშად მიგვიჩნია მისი „ჩვენი დროის ათი მცნება“, რომელიც მწერალს თავისი ქალიშვილის, ქეთევანის თხოვნით მის აბოიში ჩაუწერია და დღეს დიდად პოპულარულია.

ღრმა გულისტკივილს აღძრავს კითხვა წიგნის იმ გვერდებისა, სადაც სიუბარია მ. ჯავახიშვილის სიმომავლო გეგმებზე. მის, უკვე სახელმწიფოებელ მწერალს, ავტორს საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოებებისა, უბის წიგნაჟში ჩაუწერია: „მე ჟერ არ მიოქვამს ჩემი სათქმელი. ჟერ არ შემისრულებია ღვთისაგან დაქისრებული. თუ გადავჩი...“ აქედანაც ჩანს, რომ იგი შორს იყო თვითკმაყოფილების დამლუბველი გრძნობისაგან და სრული შემოქმედებით სიმწიფის ასაკში მყოფი მწერალი ახალ-ახალ გეგმებს სახადა: ირჩევდა თემი: ადგენდა სიუჟეტურ ჩონჩხს, ზეწედა „ახეებ... მაგრამ თურმე ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერია...“ თუ დამცალდით“, — წერდა და აღარ დასცალდა...

ქ. ჯავახიშვილის წიგნში დაინტერესებულ მკითხველი კიდევ ბევრ სხვა საინტერესო გარემოებას შენიშნავს, მთავარი კი შინც ის არის, რომ, როგორც გ. ნატროშვილი აღნიშნავს, „წიგნი დამწერილია უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მამის წმინდა ხსოვნის წინაშე, ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე“.

ანდრო მირიანაშვილი.

## საყვარელი მასწავლებელი

გარდაიცვალა ვალერიან გაბაშვილი! გამოჩენილი ისტორიკოსი, მწერალი... საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე... უაღრესად ერუდიტი, ბუნებრივი მკვლევარი... სწორუბოვარი აღმზრდელი და მასწავლებელი... სპეტაკი პიროვნება და მოქალაქე... მართალი კაცი...

ვალერიან გაბაშვილი თითქმის 50 წლის განმავლობაში ინტენსიურად იკვლევდა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თუ საქართველოს სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურის ისტორიის, ქართული და სპარსული ისტორიოგრაფიის, დიპლომატიის, ქართული და ირანული სამართლის, ირან-საქართველოს ურთიერთობის, ირანში მოღვაწე ქართველების საქმიანობის საკითხებს... მან არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია. მისი მონოგრაფია „ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში“ (შედარებითი შესწავლის ცდა) სამაგიდო წიგნია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ბატონმა ვალერიანმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მეცნიერული მემკვი-

დრეობის შესწავლა-შეფასების საქმეში- მან ვახუშტი ბაგრატიონს უძღვნა რამდენიმე ნაშრომი. მათ შორის მონოგრაფია „ვახუშტი ბაგრატიონი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1969 წელს.

ვალერიან გაბაშვილთან 35 წლის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა, ჯერ როგორც სტუდენტს, მერე — ასპირანტს, ხოლო შემდეგ — მის უმცროს კოლეგასა და მეგობარს.

მისი ლექციები მსმენელს იზიდავდა საკითხის ღრმა გაშუქებით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით, თბრობის სადა და აკადემიური მანერით. ხოლო რაც შეეხება მის სემინარებს, ეს მართლაც რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

ვალერიან გაბაშვილთან სემინარებში სტუდენტობისა და შემდეგ ასპირანტობის წლებში ვმუშაობდი (ასპირანტურაში ჩემთან ერთად იყო თურქოლოგი-ისტორიკოსი პროფ. ნოდარ შენგელია). მას ასპირანტებთან მუშაობის ასეთი მეთოდი მქონდა: გვაკითხებდა საისტორიო თხზულების ტექსტს, თან გვარჩევინებდა. ვაანალიზებდით სოციალური თუ ეკონომიკური ხასიათის ტერმინებს, სამოხელეო ინსტიტუტებს, ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენას და სხვ. შემდეგ შინ გვაძლევდა წერილობით დავალებას, რომლის შესრულებასაც სისტემატურად ამოწმებდა. სემინარის დროს დაღლას რომ შეგეამჩნევდა, ღიმილით გვეტყოდა: „მეც ასე მამუშავებდა ბატონი ივანე!

ასპირანტებთან მუშაობის ასეთი მეთოდი ივანე ჯავახიშვილისაგან მაქვს შეთვისებულიო“.

სემინარული მუშაობის დროს ბატონი ვალერიანი მეცნიერული კამათის წესსაც გვასწავლიდა. კარგად მახსოვს: რეცენზიის დაწერა დამავალაპროფ. მ. ს. ივანოვის „ირანის ისტორიის ნარკვევებზე“. დავალება შევასრულე, სარეცენზიო წიგნის ღირსება აღვნიშნე და რამდენიმე მოკრძალებული შენიშვნაც გავაკეთე. რეცენზია მიუტანე, წაიკითხა, მომიწონა და მიითხრა: „რაც არ უნდა უარყოფით რეცენზიას წერდე, მეცნიერული კამათის ეთიკის ნორმებს არ უნდა გადაუხვიო! მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინება ყოვლად დაუშვებელია!“ მერე ღიმილით დასძინა: „ივანე ჯავახიშვილისაგან არცერთი მისი ოპონენტის განქიქება და აუგად ხსენება არ გამიგონიაო!“

ბატონი ვალერიანი ხშირად გვიამბობდა ივანე ჯავახიშვილთან სემინარებში მუშაობის შესახებ (ამის თაობაზე მან მშვენიერი მოგონებაც გამოაქვეყნა!). რამდენჯერმე უთქვამს ჩვენთვის: ბატონი ივანე სემინარებს მე და ავთანდილ იოსელიანს მუზეუმის შენობის ნახევრადსარდაფ ოთახში გვიტარებდა. იმავე ოთახში პროფ. გრიგოლ წერეთელიც მუშაობდა. ხანდახან, როდესაც ადრე მივიდოდი, სემინარიის დაწყებამდე, ვუსმენდი ამ ორი დიდი ადამიანის საუბარს და მერე ჩემს მეგობრებთან აღტაცებას ვერ ვშალავდი მოსმენილისა და განცდილის გამო. მრავალი წლის შემდეგაც ბატონი ვალერიანი არაჩვეულებრივი სიამოვნებით იგონებდა იმ დღეებს.

ვალერიან გაბაშვილი შეუდარებელი ხელმძღვანელი იყო. იგი სისტემატურად აღევნებდა თვალყურს მისი მოწაფეების საქმიანობას. ხელნაწერში კითხულობდა მათ ნაშრომებს, ასწო-

რებდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა ავტორს, თუმცა თავის მხარე არასოდეს თავს არ ახვევდა. იგი გულწრფელად ხარობდა მოწაფეების წარმატებით მეცნიერებაში, ამავე დროს, პირში უზომოდ და გადაჭარბებით არასოდეს არ აქებდა მათ. ყოველნაირად ცდილობდა, რომ ღირსეული ნაშრომი დაუბეჭდავი არ დარჩენილიყო. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა მრავალი ს.კახლ-დატო და სადოქტორო დისერტაცია.

ვალერიან გაბაშვილი იყო ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი. იგი ზიარობებით უწყევდა კონსულტაციებს საქართველოს, ახლო აღმოსავლეთის, ევროპისა თუ რუსეთის ისტორიაზე მომუშავე მეცნიერებს. მე თვითონ გახლავართ მომსწრე იმისა, თუ როგორი მონდომებით, ძალ-ღონის დაუშურველად, ხშირად ლექციების შემდეგაც კი, საათობით ესაუბრებოდა ამა თუ იმ საკითხის შესახებ დაინტერესებულ პირებს, უხვად იძლეოდა რჩევა-დარიგებებს.

ბატონი ვალერიანი შესანიშნავად იცნობდა როგორც ქართულ და რუსულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურასაც (როგორც კლასიკურს, ასევე თანამედროვეს), ორიგინალში კითხულობდა ევროპელ ავტორებს. ხშირად ლექციის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, მოდიოდა კათედრაზე უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური) ეურნალ-გაზეთების დასტით. ჩაუჭდებოდა ამ ეურნალ-გაზეთებს და შემდეგ გვესაუბრებოდა წაკითხულის შესახებ.

იგი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე იყო და თვითონაც შეიტანა მოკრძალებული წვლილი მასში. მხედველობაში მაქვს ვალერიან გაბაშვილის (ნიკოლოზ გაბაიანი) მონაწილეობით რომანი „აივნიანი ქალაქი“.



რომელიც ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა 1975-76 წწ-ში. მახსოვს ჟურნალის მორიგი ნომრის გამოსვლას რა მოუთმენლად ელოდა მკითხველი.

ბატონი ვალერიანი დაბეჭდილი გამოვნების თეატრალი გახლდათ. ერთხანს, 30-იანი წლების დასაწყისში, იგი კოტე მარჯანიშვილთანაც მოღვაწეობდა თეატრში. მას არაერთი საინტერესო ეპიზოდი უამბვნია ჩვენთვის კოტე მარჯანიშვილთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე მითხრა: „მინდა დავწერო მოგონებები ივანე ჯავახიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის შესახებო“, მაგრამ, ვაი, რომ ეს ჩანაფიჭრი ვერ შეასრულა.

ვალერიან გაბაშვილი შესანიშნავად იცნობდა მხატვრობას, მუსიკას. გატაცებული იყო სპორტით (განსაკუთრებით ფეხბურთით).

ბატონი ვალერიანი არაჩვეულებრივად მოკრძალებული, თანამდებარე, მშვენიერ დროს, პრინციპულნი, მხატვრული პიროვნება იყო. მისთვის უცხო იყო პარადულობა, ზარ-ზეიმი, თვითრეკლამა...

ვალერიან გაბაშვილი თავისი ყოველდღიური მოქმედებით, ყოველგვარი შეგონებების გარეშე, ასწავლიდა, აჩვენებდა თავის მოწაფეებს, ახალგაზრდობას, თუ როგორი უნდა იყოს ქეშპარიტი მოქალაქე, პატრიოტი...

აი, ასეთი იყო ბატონი ვალერიანი! მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ამიტომ ატყინა გული ყველას, ვინც მას იცნობდა! ამიტომაც იყო, რომ 1985 წლის 6 ივნისს უამრავმა პატივისმცემელმა მიაცილა იგი სამუდამო განსასვენებლამდე.

დავით კავიბაძე

● რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, 3/8გ, მდივნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა, 1985.

გადაეცა ასაწყობად 1.06.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 08. 85 წ. ანაწყობის ზომა 7<sup>1</sup>/<sub>4</sub>X12, ქილალის ფორმატი 70X108, ფოტოზიურნი ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 05550. ტირაჟი 33.000. შტავ. 1447 საქართველოს კვ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3360 80 333.



**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**